

ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

განა კოტორაშვილი

გაუა-ფშაველას თხზულებათა თემატიკა და მხატვრული სტრუქტურა
1900-1910-იანი წლების მიხედვით

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იუზა ევგენიძე



უნივერსიტეტის
გამოცემა

თბილისი

2013

სარჩევი

1. შესავალი	3-19
2. I. თავი- ვაჟა-ფშაველას 1900-1910-იანი წლების ლირიკის თემატიკა და მხატვრული სტრუქტურა;	20-98
3. II. თავი- ვაჟა-ფშაველას 1900-1910-იანი წლების ეპოსის თემატიკა და მხატვრული სტრუქტურა;	99-186
4. III. თავი-დრამატული ჟანრი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (1910- იანი წლების მიხედვით);	187-205
5. IV. თავი-თარგმანი , როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების ერთ-ერთი ასპექტი (1900-1910-იანი წლების მიხედვით);	206-224
6. V. თავი-1900-1910-იანი წლების ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა;	225-242
7. დასკვნა	243
8. გამოყენებული ლიტერატურა	244-251

შესავალი

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს 1900-1910-იანი წლების თხზულებათა თემატიკისა და მხატვრული სტრუქტურის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესთა ეთიკური და ესთეტიკური სამყაროს ანალიზი.

დაკვირვების ობიექტია მხატვრულ სახეთა სისტემის ფუნქციები, ტექსტებსა და ჟანრებს შორის ურთიერთმიმართება. გარკვეული ადგილი ეთმობა ვაჟას ნაწარმოებებთან სხვა ქართველ მწერალთა თხზულებების კონკრეტული პასაჟებისა და მოტივთა შეჯერებას.

ამ ფონზე, თვისობრივად გასარკვევია, თუ რა გზით განვითარდა და რა ხასიათისა განიაღური მგოსნის შემოქმედებითი ინტერესები, რა ნოვაციები წარმოჩნდა მის პოეზიაში, პროზაში, პუბლიცისტიკაში თუ მთარგმნელობით საქმიანობაში, დრამატურგიაში მსოფლმხედველობრივი ცელილებების მხრივ, იდეურ-თემატური ძიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების გამოყენების ასპექტით.

ვაჟა-ფშაველას მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ზნეობრივი სამყარო იმ მუხტის მატარებელია, რომელიც განაპირობებს მხატვრული შემოქმედების ურთულეს საიდუმლოებებში მკითხველის გაცნობიერებას.

ადამიანის ფიქრი, აზროვნება, ემოციები, მისი შინასამყარო აყალიბებს და მონოლითად წარმოაჩენს მის პიროვნულ „მე“-ს. ამის წარმოსახვა-გამოსახვა ხელოვნებაში, კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაში, მოცემულია სპეციფიკურ ჭრილში და ნათელს ხდის შემოქმედის მსოფლშეგრძნებას, ადამიანურობის ნიჭისა და უნარს. ეს კი შემოქმედს აძლევს გარკვეულ გარანტიას,— გააშუქოს დვთისგან ქმნილი სამყაროს საიდუმლოებანი. მუდამ უნდა ახსოვდეს და ითვალისწინებდეს ლმერთობან მოსაუბრე პაინრის პაინეს სიტყვებს, ცოდვილა-უპატრონოს საფლავის ქვის წინ რომ წარმოუთქამს: „ამა ქვის ქვეშე გარინდულა მთელი სამყარო“. თუმცა, ამავე დროს მწერალს პმართებს დიდი სიფრთხილეც, გათვალისწინება იმისა, რომ მას, როგორც ადამიანს, ვერ შეეძლება ყველაფრისა და ყველას მხატვრული გარდასახვა, თუკი ამას მოიწადინებს იგი აღმოჩნდება ისეთ უკიდურესობაში, რომელსაც ფაქტოლოგია შეიძლება ეწოდოს, ამიტომ მას უნდა შეეძლოს შერჩევა, დანახვა უმთავრესი და განუმეორებელი საგნებისა და მოვლენებისა.

კულტურა სიტყვისა, კულტურა გრძნობისა, კულტურა ადამიანურ განცდათა გახსნისა მთელი ელვარებით განსაკუთრებით მაშინ უნდა გამოსჭვიოდეს, როდესაც

მწერალს უხდება ინდივიდთა ზნეობრივი მღელგარების, მათი ცხოვრებისეული კატაკლიზმების გადმოცემა. ყოველივე ამას კი ხორცს უნდა ასხამდეს თხზულებათა მხატვრულ სახეთა სისტემა, თითოეულ ფრაზაში, სიტყვაში ჩადებული იდეურ-ემოციონალური გამოვლინებანი.

მხატვრულმა სიტყვამ იდეურ-ემოციონალური გამომხატველობა სრულყოფილად რომ შეძლოს, რამდენიმე ფაქტორს უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) თხზულებაში ადმრულ განცდათა, მსოფლშეგრძნებათა გამოხატვა შესაბამისი მხატვრული სტილით.

ბ) ლირიკული გმირისა თუ ეპიკურ-დრამატულ პერსონაჟების მიმართება საზოგადოების გარკვეულ ინტერესებთან;

გ) როგორაა წარმოჩენილი მათში ბუნების განცდა;

დ) რა დიაპაზონისაა ადამიანის შემუცნების ფარგლები მწერლის შემოქმედებაში;

ე) როგორ მუდავნდება სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების ესთეტიკური პრინციპები კონკრეტული ავტორის კონკრეტულ თხზულებებში.

ამაში ხედავდა პროფ. გრ. კიკნაძე ვაჟა-ფშაველას ძალას: „ვაჟა-ფშაველას ეს სიძლიერე მარტო მის პოეტურ ალლოსა და ნიჭიე არ არის დაფუძნებული. ვაჟას შემოქმედება მისი, როგორც მოაზროვნე-მოქალაქის, პოეტური წარმონაქმნია. იგი თავისი დროის სოციალური ვითარების შვილი და მოწინავე მოაზროვნეთა სულიერი მექანიზრება. ამიტომაცაა, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების იდეური შინაარსი გამოცალკევებული სახით კი არ წარმოგვიდგება, არამედ თავისი მიზანდასახულობით ეს შემოქმედება ერთვის ჩვენი იმდროინდელი მწერლობის მძლავრსა და მოწინავე ნაკადს, თუმცა, არასოდეს არ კარგავს თავის მკვეთრ პოეტურ ინდივიდუალობას“ (49, 3–5).

უმდიდრესი მხატვრული სამყაროთი, ინტონაციური მრავალფეროვნებით, მიზანსწრაფვით, შემოქმედებითი ინტერესებით ვაჟა-ფშაველა, თუ გურამ ასათიანს დავესესხებით – „დაკავშირებულია საკუთარი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც დიდებულად გამოხატავს „ხალხის ეროვნული ფსიქიკის იერსაც“ (6, 312).

ხალხის სულიერ ცხოვრებასთან ორგანული კავშირი, რომელიც „ეროვნული ფსიქიკის იერსაც“ ატარებს, ნათლად აისახა ვაჟას ლირიკაში.

კანონზომიერებადაა ქცეული ის რეალობა, რომ ერთი საუკუნის დასასრული და ახალი საუკუნის დასაწყისი თითქმის რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდია ხოლმე ცხოვრების ყველა სფეროში, ზოგადად, ხელოვნების ისტორიაში, ყველაზე მკვეთრად კი

მხატვრული ლიტერატურის სამყაროში. აქ დემარკაციული ხაზის გავლება გამორიცხულია, მითუმეტეს გამორიცხულია ისეთი დიდი მასშტაბისა და გენიალური პოეტის შემოქმედებაში, როგორიც ვაუა-ფშაველაა.

XIX და XX საუკუნეების უდელტეხილზე დგომამ თავისი კეთილი კვალი დააჩნია მის პოეზიას, მის საზოგადოებრივ პოზიციას, მის შემოქმედებით ინტერესთა ფართო სპექტრს. ვაუა-ფშაველას პიროვნება, მისი შემოქმედება სამართლიანად არის გააზრებული მსოფლიოს მასშტაბით: „...იწურებოდა მეცხრამეტე და იწყებოდა მეოცე საუკუნე. მსოფლიო ლიტერატურაშიც იწყებოდა მეოცე საუკუნე. მსოფლიო ლიტერატურის ტიტანებიდან ყველაზე მძლავრად მომავლისაკენ ეს ლტოლვა ტოლსტოიმ, დოსტოევსკიმ, თაგორმა და უიტმენმა გამოხატეს. ვაჟამ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. და საქართველოს ტრაგიკულ პირობებში, ე.ი. მსოფლიო რეზონანსის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულმა, მან დაიწყო დამკვიდრება ამ ახალი ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპებისა, მან შექმნა ახალი ეპიკური მსოფლშეგრძნებით გამსჭვალული ახალი ეპიკური ფორმა, მან შეასხა ახალი ფრთები რომანტიზმს არა რეალიზმის საწინააღმდეგოდ, არამედ მისგანვე გამომდინარემ, მან შეიტანა ახალი ეთიკური პრინციპები ესთეტიკურში და ქმედითი პუმანისტური სული შთაბერა მხატვრის ფილოსოფიას“(13,274).

ბუნებრივია, ამ გენიოსი შემოქმედის შესახებ შეიქმნებოდა ერთიმეორის გამომრიცხავი, ან ერთიმეორის შემავსებელ—განმავითარებელი შეხედულებები. მართალია მამუკა ჭანტურაია, როდესაც აღნიშნავს: „...წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებისა, სწორედ 900-იანი წლებიდან იწყება ვაჟას აზროვნებაში ინტელექტუალური სიმწიფის ახალი ხანა, მძაფრდება მისი მხატვრული აზროვნების უნარი, ღრმავდება ფილოსოფიურ—ესთეტიკური არე“(114,4;).

XXსაუკუნის 90-იანი წლების დასასრულს მისი პოეტური გუმანი გაფაციცებით დაეძებდა „სამშობლოს მკვლელთ“; გულს სტკენდა „სიკვდილი გმირისა“(1899); შაშვის კი ემდურის იმიტომ, რომ „მშვიდი, ბავშური გუნება“ არ ამღვრევია მტერზედა, რომ „მოვალეობის უდელი“ არა სდგომია ქედზედა („შაშვო, მასვე პმდერ“.1899) და დასაფიქრებლად აფრთხილებს უსაზღვროდ ძალმომრეობას:

„ვინც ავს უშვრება მოყვასსა,

სხვაც მისოვის ავის მქნელია;

თვითაც მუხთალად მოკვდება

მუხტალად კაცის მკვლელია“

(„მხოლოდ ძალა გვაქვს დღეს ხელთა“)

მკითხველების, საზოგადოების შეგონება-გაფრთხილების ინტონაცია საგრძნობლად იცვლება საახალწლო სურვილებში. 1899 წლის ბოლო აკორდად უნდა მივიჩნიოთ ლექსი „საახალწლოდ“, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიის“ 1900 წლის პირველ ნომერში.

საზოგადოების ზნებრივი ცხოვრების შეფასებისას ვაჟა ხშირად სენტენცია-აფორიზმებით გამოხატავს ხოლმე საკუთარ მიდგომას და ამ მხრივ გამონაკლისს არც ეს ლექსი წარმოადგენს: მაგალითად, აქ პოეტი ქართველ დედებს მოუწოდებს, რომ „შვილთა აღზრდაზე იუბნონ, რო შეიყარნენ ერთადა“ და იქვე ბრწყინვალე სენტენციით ამაგრებს საკუთარ შეხედულებებს ქართველ დედათა მიმართ:

„ლამაზად შვილის აღმზდელი

დედა მიცვნია ღმერთადა...“ („საახალწლოდ“, 1899).

ქრონოლოგიურად ამ ლექსს მოსდევს ლექსები: „ვითომა ვთიბდი ბეჯითად (სიმღერა)“ – „ივერია“, 1900წ. 4 აპრილი, N74 და „ზამთარი და გაზაფხული“ – „ჯეჯილი“, 1900, N2, 1900 წლითვეა დათარიღებული პოემაც – „ნანგრევთა შორის“ – გაზ.. „ივერია“, 1900წ; N141; „ბრძენი ვირი(ძველისძველი ამბავი)“ „ივერია“, 1900წ. N190.

თუ ლექსით „საახალწლოდ“ ვაჟა-ფშაველამ განვლილ, 1899, წელში გაწეული საქმიანობა შეაფასა, ლექსში „ვითომა ვთიბდი ბეჯითად“ კი, ჩვენი ფიქრით, ავტორისეული თვითშეფასება, განვლილ გზაზე თვალის შევლება უფრო ფართო მასშტაბისაა, განზოგადებულია.

„ლირიკული გმირი უკმაყოფილო ჩანს გაწეული შრომის შედეგით, არც გაოცება და არც იმედგაცრუება არ ტოვებს მთიბელს. შრომა, მცდელობა, სიბეჭითე არ დაუშურებია მას, – „თავს კარგ მთიბელად ვსახავდიო“, მაგრამ ვერც კი წარმოედგინა, „თუ მთას უთიბსვე ვნახავდიო“. ხელი მოსცარვია მთიბველს, რადგან „....თივა არსად ჩანს, – ქარს მტვერად გაუტანია და სათიბებში ნიაღვარს ლოდები მოუტანია“ (123, 173).

ერთი შეხედვით, აქ საყოფაცხოვრებო, სოციალურ მომენტები აქცენტი აღებული, მაგრამ თუ ვაჟას სხვა ლექსთა თუ მოთხოვთა ქავექსტებს გავითვალისწინებთ, მივიჩნევთ, რომ ამ ლექსშიც სტრიქონებმორისი წაკითხვა ბევრ ალეგორიულ მიდგომას

გვიჩვენებს, შეიძლება იმის დაშვებაც, რომ პოეტი თიბგაში შემოქმედებით პროცესს გულისხმობდეს, ხოლო ნათიბში— შემოქმედებით პროდუქციას“(123,175)

უდაოდ დიდი პიროვნების თავმდაბლობა გამოსჭვივის სტრიქონებს შორის, რაც ესოდენ დამახასიათებელია მათთვის, დიდი ანა კალანდაძის თქმისა არ იყოს„,თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით?“ (ანა კალანდაძე, „ფეხი დამადგით“).

აბსოლუტურად განსხვავებული ინტონაციისაა ჟურნალ „ჯეჯილის“ 1900წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული მოზრდილი ლექსი—„ზამთარი და გაზაფხული“.

როგორც ხშირად უთქვამთ, დიდი „ ვაჟა ბუნებას სიცოცხლის სინონიმად თვლიდა და მას უცნაური ძალით განიცდიდა... ბუნების წიაღში დაბადებულსა და გაზრდილ კაცს ბუნება მართლაც სულჩადგმული და მეტყველი ეგონა. ეს არც ანიმიზმი იყო და არც პანთეიზმი. ეს იყო დაუსრულებელი შეგრძნება ბუნებისა, როდესაც იშლებოდა საზღვარი ადამიანსა და სამყაროს შორის“(117, 672).

ამ ლექსში, ჩვენი რწმენით, გამოიხატა ვაჟას შემოქმედებითი ინტერესის ერთი ასპექტიც . კერძოდ: წლის დროები, ფლორა და ფაუნა, ციური მანათობლები, სტიქიური მოვლენები, ფერის ესთეტიკური ფუნქცია ლირიკაში.

900—910—იან წლებში პოეტისათვის ერთგვარ თეზად არის ქცეული ოდნავ ადრე ჩამოყალიბებული შეგონება, აფორიზმი—„ავსა და კარგსა კაცისას როდი ივიწყებს სოფელი! გულს ნუ მოგვიკლავთ, ვინცა ხართ ჩვენი კეთილის—მყოფელი“(საახალწლოდ“, 1894წ). მართლაც, თუ გულისგულში ჩავხედავთ ვაჟა—ფშაველას შემოქმედებას, ერთ-ერთ მთავარ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ გმირის, პიროვნების, ზნეკეთილის ძიება, ანუ ის, „ვისაც დღე—და—დამ პნატრულობს ჩუმი ნატვრითა ქართველი“ (ილია).

მრავალ ლექსში ხაზგასმულია ის ფსიქოლოგიური ჭეშმარიტება, რომ აგტორის მიერ ლირიკულ პერსონაჟად გამოყვანილი პიროვნების „შიგანი სინამდვილე იქმნება ობიექტური სამყაროს პიროვნულ მოთხოვნილებათა და ლირებულებათა შესატყვისად გადამუშავების შედეგად. ადამიანის შინაგან სამყაროში სინამდვილე პიროვნული თვალსაზრისით არის ინტერპრეტირებული“(62,364).

მართლაც 900—910—წლებში დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებებში გაცოცხლებულია ის სოციო—ზნეობრივი გარემო, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება დიდ პოეტს. როგორც პროფ.იუზა ევგენიძე აღნიშნავს: „ვაჟა—ფშაველა განსაკუთრებულ შემოქმედებით ინტერესს იჩენს „ეთიკურად ლირებული პრობლემებისადმი . ამ

შემთხვევაში ვაუას პოეტური იდეალები სათავეს იღებს ჩვენი ხალხის განცდაში ტრადიციულად დამკვიდრებული ზნეობრივად გამძლე წარმოდგენებიდან.“(69,216).

ვაუასთვის ორგანული თვისებაა „დიდი მადლისა“ და „დიდი ბოროტების“ მარადკაცობრიულ პრობლემებზე მსჯელობა. ბუნებრივია, ეს მუდმივი ჭიდილი მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, მისი თითქმის ყველა მოქმედება და მთელი მისი შემოქმედება, ამაღლებული მორალის თვალსაზრისით, სიმართლე–სამართლიანობის, პუმანურობის განსახიერებას წარმოადგენდა.

ვაუა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების მრავალფეროვან სპექტრში ფართოდაა წარმოდგენილი ეპოსი, ეპიკური გვარი, რომლის მხატვრულ-შემეცნებითი ფუნქციები, სინამდვილის მხატვრული გარდასახვის შესაძლებლობანი, რესურსები საკმაოდ დიდია. ამას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს: სიუჟეტიანობა, მოქმედ პირთა ხასიათების გახსნა, მხატვრული მხარე, მეტყველების სტილი, ფაბულის შინაარსობლივი სიდრმე, ტექსტის მოცულობა, ემოციური მუხტის ვრცელი ამპლიტუდა და ა.შ.

მიჩნეულია, რომ უანრთა კლასიფიკაცია თავის თავში მოიცავს მხატვრულ ნაწარმოებთა სათანადო უანრისადმი ადგილის განსაზღვრის პრობლემებს. ამას გარკვეული სირთულეები ახლავს, რაც გამოწვეულია მხატვრული აზროვნების ისტორიული განვითარების ინტენსიურობით, თითოეული უანრის შიგნით მიმდინარე ევოლუციის პროცესით. მიხეილ ბახტინის მოხდენილი თქმით-„უანრი“-ეს ხომ წარმომადგენელია ლიტერატურის განვითარების პროცესში შემოქმედებითი მეხსიერებისაო”

პროფ. გრ. კიკნაძის რწმენით, 1900-იან წლებში, ვაუას „...პოეტური სიმწიფის უამს... ყოველგვარი უსაფუძვლო სითამამის გარეშე პქონდა შინაგანი უფლება თვითდახასიათებით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე: ის უკვე იყო ავტორი სახელგანთქმული პოემებისა, მრავალი ლექსისა და მოთხოვნისა...“(2,28). პატივცემულ მკვლევარს მიაჩნია, რომ ყველა წერილში, ყველა ლექსში, მოთხოვნისა თუ პოემაში „დაუფარავი და შეუნიდბავი სახითაა მისი მხატვრული შემოქმედების ლეიიტმოტივი“. ამდენად, ასევეა მისაღები ყველა სათაურის ქვეშ პოეტის გაკეთებული მინაწერი გვარის, სახის, უანრის რაობაზე. თუმცა, ამ კლასიფიკაციაში, ჩვენი ფიქრით, მაინც ფაბულის წარმოშობაზეა აქცენტი გადატანილი. ამის თაობაზე დეტალური ანალიზია მოცემული ქ-ნ ლაურა გრიგოლაშვილის სტატიაში „ვაუას პოემათა ფაბულის საკითხი“. (24,98–123).

ვაუას მიერ ეპიკურ თხზულებათა მიკუთვნება ამა თუ იმ უანრისადმი ჩათვლილია არატრადიციულ მიდგომად ლიტერატურულის თვალსაზრისით, თუმცა

იმავდროულად ატარებს ნოვაციის ხასიათს და მის მიერ განსაზღვრული ყველა „ქანრი” წარმოადგენს თხზულებათა კომპოზიციური მოდელირების აუცილებელ „ორნამენტს”.

ნაშრომში წარმოდგენილია მათი კლასიფიკაცია ჟანრული კუთვნილების მიხედვით, რომელიც ასეთ სურათს გვაძლევს: 1. „ნათქვამი”-, „ნაამბობი”-, „თქმულება” (8 პოემა, 6 პროზაული თხზულება); 2. „ძველი ამბავი”-, „ძველის-ძველი ამბავი”- „ამბავი” (11 პოემა, 3 პროზაული ნაწარმოები); 3. „ცხოვრებიდან”-, „სურათი”- „მოთხოვის” (2 პოემა, 18 პროზაული თხზულება); 4. „არაკი” (1 პოემა, 1 პროზაული ნაწარმოები); 5. „ბალადა” (1 პოემა); „ზღაპარი”-, „ლეგენდა” (2 პოემა, 4 პროზად თქმული); 7. ეპიკური ნაწარმოებები, რომელთა სათაურებში ავტორის მიერ არ არის მითითებული მათი ჟანრული კუთვნილება (13 პოემა, 54 პროზად თქმული); 8. თხზულების სათაურში მითითებულია ადრესატი (1 პოემა); 9. პროზად თქმული ორი თხზულება განსხვავებული მითითებით; 10. პროზად თქმული თხზულებები თემატური ციკლიზაციის მიხედვით: а) „სიზმარი” (4 ნაწარმოები), ბ) „მოჩვენება” (2 თხზულება). ამგვარი პოლიქანრული შემოქმედება, ეპოსის ინტენსიური განვითარების პროცესი ხელს უწყობს კომპოზიციური მოდელირების, ტიპოლოგიისა თუ სხვა ამოცანების ამოხსნას.

ვაჟასმცოდნეობაში მიღწეული შედეგების კვალდაკვალ კვლევის თანამედროვე მეთოდებიდან გათვალისწინებულია პერმენევტიკა და ნარატოლოგია. უახლეს პრინციპთა გამოყენებით განისაზღვრა ვაჟას ეპოსის კომპლექსური ანალიზის ნიუანსები; იქნება ეს ტექსტი რიტორიკულ, პოეტურ გამოთქმათა მხატვრულ-ესთეტიკური და სემანტიკური ფუნქციები, თხზულებებში ჩადებული იდეურ-თემატური მოტივაცია, სიმბოლური თუ ალეგორიული სახისმეტყველება, ურთიერთობა ფოლკლორთან, ეთნოგრაფიასთან; განხილულია სხვა ავტორებთან უანრთა ტიპოლოგიური, გენეტიკური კავშირები, თვითგანმეორების, ავტოლოგიის ფაქტები.

გარკვეული დრო აშორებს ერთმანეთისაგან ილიას „კაცია-ადამიანსა” და ვაჟას „მუცელას”, ვაჟას პოემის „ცოლი, ანუ ჩემი თავგადასავლის” ფაბულას შიო არაგვისპირების ნოველების ფაბულებთან, აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილის „თეორი საყელოს” გარკვეულ პასაჟებთან.

ნაშრომში „მითოლოგიური კრიტიკის” პრინციპის გათვალისწინებით დასაბუთებულია ვაჟას პოემებში თუ პროზაულ თხზულებებში მითიურობასთან დაკავშირებული პრობლემების ორიგინალური, ბრწყინვალე ინტერპრეტაციები ვაჟას მიერ.

1900-1910-იან წლებში ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილ პოემების ანალიზის ფონზე (კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, ტ. ტაბიძე, გრ. რობაქიძე, გრ. კიკნაძე... „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა და სხვა) ყურადღებას იქცევს თანამედროვე მკვლევართა საფუძვლიანი, ზოგჯერ თამამი ანალიტიკა ვაჟას პოემებისა (ა. ბაქრაძე, თ, ჩხერიძე, გ. ასათაანი, ი. ევგენიძე...). მიჩნეულია, რომ ვაჟა-ფშაველამ, როგორც ფართო მასშტაბური ხედვის შემოქმედმა, ადამიანის ხედვის შინა სამყარო გახსნა ვირტოოზული სახისმეტყველებით. გლობალური პრობლემების გადაჭრის იდეალური ნიმუში კი ვაჟამ მოგვცა „გველის მჭამელის” სახით.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსით ხაზგასმით მტკიცდება მისი, როგორც მსოფლიო რანგის მოაზროვნისა და უდიდესი მხატვრის იმიჯი.

დადგენილია, რომ ვაჟამ ნახევარ საუგუნეზე მეტი სნის განმავლობაში შექმნა 112 მხატვრული პროზაული თხზულება, აქედან 1900-1915 წლებში დაიწერა 50 დასახელების პროზაული ქმნილება. ვაჟას პროზის პოეტიკა ბრწყინვალედაა განხილული პროფ. გრ. კიკნაძის მიერ.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი მრავალფეროვანია თემატურადაც, ჟანრულ ელემენტთა სინთეზითაც, ეს ნათლად ჩანს როგორც XIX, ისე XX საუგუნეში შექმნილ თხზულებებში, რომლებშიც ბრწყინვალედ არის დაცული ფოლკლორული ტრადიციებიც და ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკაც. სიუკეტურად თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი ამბის გაზღაპრებაც და ფაუნის წარმომადგენლების ჩვეულებრივი ლიტერატურულ-მხატვრული გასახიერებაც. ცხოველთა ეპოსი ბრწყინვალედაა წარმოდგენილი ვაჟას ლირიკაშიც, პოემებშიც, პროზაშიც, პიესაშიც. ეს ნათლად ჩანს როგორც უშუალოდ ნაწარმოების სათაურში მათი დასახელებით („დათვი”, „მგელი”, „დაჭრილი ვეფხვი”, „კურდღლის სიმდერა”), ისე „შინაარსის გამჟღავნებულ სათაურებშიც (38,92): „სათაგური”, „ბუნების მგოსნები”, „ტყის კომედია” და სხვ.

ყოფითი პრობლემაა მოცემული ვაჟას ნაწარმოებში „დათვი”. ზღაპარი. ეს მოზრდილი პროზაული თხზულება დაიბეჭდა უკრნალში „ჩვენი ერი” (1904წ. №1, №2).

თხზულების ფაბულა, მისი შინაარსი, მთლიანად სიუკატი გარკვეულწილად ამართლებს ლიტერატურისმცოდნეობაში არსებულ დებულებას იმის შესახებ, რომ მხატვრული ქმნილების უანრის განსაზღვრა ავტორთა მიერ ხშირად არ ემთხვევა მის ნამდვილ გვარსა თუ სახეობას, უანრის რაობას. მაგალითად, ვაჟამ 1909 წელს დაწერილ ნაწარმოებს-„დათვი” უწოდა-ზღაპარი.

ეს ნაწარმოები, ჩვენი ფიქრით, არის კლასიკური ნიმუში მოთხოვბისა; ნაწარმოებისა, რომელიც ფაქტიურად ალეგორიაა საზოგადოებრივი ყოფიერების შესახებ. ზღაპრობას მას ანიჭებს გარკვეულ ცხოველთა ამეტყველება ადამიანურად.

დათვში, მელიაში, მგელში, მაჩვში, ვირში, ლომ-ვეფხვში ავტორმა განასახიერა თავისი დროის საზოგადოების წარმომადგენლები. მათი ხასიათები. მათი ურთიერთობა ერთმანეთთან, გარემო ტიპიურია და განაზოგადებს სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ვითარებას.

როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ გაპიროვნებაზე „„ენპირო ბუნების პერსონიფიცინირებაზე, ბუნებრივია, ვაჟა მათ „გაადამიანურებაზე“ აკეთებს აქცენტს ანუ მისი პოეტური თვალთახედვის არეში მუდამ ადამიანია მოქცეული თავისი რთული ცხოვრებით.

ჩანს, დიდ პოეტს ყოველთვის აწუხებდა და აფიქრებდა ბედი, ცხოვრება ობლისა. ამასთან დაკავშირებით ყველა ნაწარმოები აღსავსეა მათადმი ავტორის თანაგრძნობით; არა აქეს მნიშვნელობა, ადამიანი იქნება ის („სული ობლისა“, „ეთერი“), თუ ფრინველი („როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ“), ან ცხოველი („შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მელია-სერეფენია“...). გარდა თემის, იდეის ტიპოლოგიურობისა, ფაბულამ გამოიწვია ერთი სტილისტური ხერხიც მის შემოქმედებაში, როგორიცაა თვითგანმეორება. გავიხსენოთ „შვლის ნუკრის ნაამბობის საწყისი სიტყვები: „პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დაგობლდი და ასევე საწყისი ფრაზების დეტალები თხზულებიდან „მელია-სერეფენია“: „პატარა დაობლდა. მაგრამ არც ისე პატარა იყო, საზრდოს მოპოვება არ შესძლებოდა“ (32,511). ამ ნაწარმოებთა შორის კი იდგა მეოთხედ საუკუნეების მეტი.

ვაჟას ეპოსზე საუბრისას წინ წამოიწევს აგრეთვე სხვა უამრავი საკითხიც ტიპოლოგიურობისა. ესენია: მეტაფიზიკური, რელიგიურ-მისტიკური, მითოლოგიური, საყოფაცხოვრებო, ზღაპრულ ლეგენდური, ცხოველთა ეპოსი, ლირო-ეპიკურობის სტრუქტურები და ა.შ.

თუ ეთერის („ეთერი“), სოფიოს „სული ობლისა“), შვლის ნუკრის, მელია-სერეფენიას ყოფა გაუსაძლისია მათი პატარა ასაკიდანვე, თუ დათვი (ზღაპარი „დათვი“), გოჩი ან მუცელა მძიმე ცოდვების მსხვერპლი ხდებიან, თუ ადაზამ, ალუდამ, ჯოყოლამ, თავიანთი ფერისცვალობით შეარყიეს ზნეობრივად მრავალსაუკუნოვანი ჩაკირული მკაცრი ადათ-წესები, ტრადიციები, თუ ბერი ლუხუმი, ლელა, კვირია, ივანე კოტორაშვილი, გიგლია, გოგოთური ან ძაღლიკა

ხიმიკაური დირსებისა და გმირობის, მამულიშვილობის შარავანდედით სხივმოსილნი არიან, თუ ახუნდსა და ბესლანს, უზნეობისა და მოღალატის ლაფით სახეშერცხვენილებს ვხედავთ, თუ სანათას, მამიდა ხოშიას, ქიჩირს შურისძიების სურვილი და ქმედება გამართლებულია და მათი განსახოვნებით იგავმიუწვდომელია ვაჟა-ფშაველა, არანაკლებ გამაოგნებელია ამ ბუმბერაზი შემოქმედის სითბო და სინაზე „ჯეჯილისა” და „ნაკადულის” მიმართ აღვლენილ ვედრებაში: „ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას!”, ან რა დიდი თანაგრძნობა გამოსჭვივის ბავშვებისადმი მოთხოვობიდან „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ”, პოემიდან „ანნა-ბულბული”, ლირიკული ლექსიდან „ობლების სიმდერა”...

აქვე გვსურს დაგეყრდნოთ ისევ ვაჟას სხვა თეორიულ სტატიას „ფიქრები”, რომელშიც იგი აღნიშნავს: „თუ გინდა ორიგინალური მწერალი დაგიძახონ-უთქვამს ბერნეს-სწერე ისე, რასაც პფიქრობ, ისე, როგორც პფიქრობდე, როგორც შენ სულსა და გულს უნდოდეს, მოსწონდესო”(33,22).

თუ კრიტიკული თვალით გადავხედავთ მისი პოეტურ ეპოს შექმნილს XX საუკუნის დასაწყისიდან, ნათლად დავრწმუნდებით, რომ დიდ პოეტს ყველა თემა, სუჟეტი, ფაბულა თავისებურად ბრწყინვალედ გადაუმუშავებია და შეუქმნია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მის სულსა და გულს უნდოდა და მოსწონდა.

ეს ნათლად გამოვლინდა არა მარტო XIX საუკუნეში შექმნილ ნაწარმოებებში, არამედ 1900 წლით დათარიღებულ პირველსავე პოემაში „ნანგრევთა შორის” (მონადირის ნაამბობი)-დაიბეჭდა „ივერიაში”. 1900 წლის №141.

ნაშრომში დაკვირვების ობიექტია პოემა „სისხლის ძიება”, რომელსაც არ მოჰკლებია მკვლევართა ყურადღება.

ჩვენი ამოცანიდან გამომდინარე, მივყევით რა თხრობის ტემპს, ყურადღება შევაჩერეთ ნარატოლოგიის ისეთ ტიპურ შემთხვევაზე, როგორიცაა „დესკრიპტიული პაუზა”, ანუ როდესაც „თხრობა ჩერდება, ვითარების, პეიზაჟის, ინტერიერის ან საგნის აღწერა იწყება”(121,90)

პაუზა დროთი უნდა იზომებოდეს და პოემაშიც მისი განხომილების მეტნაკლებობა განვსაზღვრეთ თხზულებაში არსებული სიუჟეტიდან გადახვევის ან რეტრადიციის ოთხ ათეულზე მეტი შემთხვევით. მოვახდინეთ რა მათი შინაარსობლივი თუ ფუნქციური კლასიფიკაცია, სამსჯავროდ გამოვიტანეთ მხოლოდ სტილისტიკური ფიგურები, ხოლო მათი რიცხვიდან შევჩერდით რიტორიკულ შეძახილზე. სხვაგან კი საუბარი იქნება, აფორიზმულ გამოთქმებზე, ანდაზებზე, წყვევლის ფორმულაზე, შეგონებაზე, რითაც ასე უხვია პოემა „სისხლის ძიება”.

პოემაში „მამიდის დანაბარები” პოემა სისხლის ძიებასთან” ტიპოლოგიურობის ნიუანსები შეინიშნება მხოლოდ შურისძიების, სისხლისძიების, როგორც აქტის, ასპექტით. თუმცა, მოტივაციურად ქიჩირბეისა („სისხლისძიება”) და ალუდას („მამიდის დანაბარები”) მიერ ჩატარებული აქტები თავისი მიზანსწრაფვით აბსოლუტურად განსხვავებული არიან. ეს პოემები ერთიმეორისაგან სხვაობენ აგრეთვე მონოთემატურობისა („მამიდის დანაბარები”) და პოლითემატურობის („სისხლის ძიება”) მიხედვითაც. შურისმგებლობის ტიპოლოგიურობამ გვიბიძგა „მამიდის დანაბარებშიც” მოგვეცა ტექსტში არსებული რიტორიკულ-ფიგურალურ გამოთქმათა, სიტყვის მასალის, აფორიზმების, შეგონების, ანდაზის, რეტრადიციის კლასიფიკაცია.

როგორც ცნობილია, პროფ. გრ. კიკნაძემ ცალკე გამოყო ე.წ. „ცოლის მოტივი”. (გავიხსენოთ მის მიერ მოცემული შედარებითი ანალიზი „გოგოთურ და აფშინასი” და „გველის მჭამელისა” ამ ასპექტით).

ვაჟას მიერ 1908 წელს დაწერილი პოემა – „ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი. თქმულება თანდილა-არაგველისა“ გამოქვეყნდა 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“. ვაჟასმცოდნეობაში სამართლიანად უყენებენ პრეტენზიას ამ თხზულების მხატვრულ დონეს, მაგრამ თემატიკითა და იდეით იქ ბევრი საგანგაშო მოვლენაა განსახოვნებული-აქაც ცოლის მოტივი, ოჯახის პრობლემაა წინ წამოწეული, მაგრამ გოგოთურ და აფშინასაგან“ და „გველის მჭამელისაგან“ აბსოლუტურად განსხვავებული.

ვაჟას ამ თხზულებაზე იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ იქ აღწერილი ამბავი იმ პერიოდის ზნეობრივი კატასტროფის ტიპიური მოვლენა იყო. გავიხსენოთ შიო არაგვისპირელის ნოველები, მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“.

ვაჟა-ფშაველას ეპოსის არსი ნაშრომში წარმოდგენილია ტიციან ტაბიძის წერილზე დაყრდნობით: „მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ შესძლო მიეცა ქართული მწერლობისათვის ნამდვილი ეპოსი... ქართული ეპოსის საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვლებიან ვაჟა-ფშაველას პოემები... ვაჟას ფანტაზია აქ მეტ გასაქანს ნახულობს“.

სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში პროზას. ვაჟა წერის მანერით რეალისტია, მისი სტილი დახვეწილია, არა აქეს არც ერთი პროვინციული გამოთქმა და მისი წმინდა ქართული კიდევ დიდხანს დარჩება ქართულ მწერლობაში”.

ვაჟა-ფშაველას, როგორც დრამატურგის, ორიგინალურობას მისი პიესების სტრუქტურაში გხედავთ. კერძოდ, მისი პატარ-პატარა „სცენების“ და „ტყის

კომედიის” რემარკების განხილვით წინ არის წამოწეული ავტორის ფუნქციები ნაწარმოებში, რადგან დრამატურგის წამყვანი როლი გადასულია უშუალოდ რემარკებში. კლასიკური განმარტებით, რემარკას ძირითადად ევალება მითითება მოქმედების, დროის, ადგილ-გარემოს, გმირთა გარეგნობის, ჩაცმულობის შესახებ. როგორც ვხედავთ, ფაქტიურად საქმე გვაქვს მთხოვობელის, ავტორის სახესთან. ამან კი წინ წამოსწია პიესების პერსონაჟებთან მისი დამოკიდებულების ფორმა, ანუ დრამატურგი არ ჩაერთვება პერსონაჟთა მეტყველებაში. რემარკა ხომ ძირითადად ინფორმაციის შემცველია თავისი ფუნქციით. თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში რემარკას შეუძენია ახალ-ახალი შინაარსი, რაც გამოწვეულია პიესის ჟანრითა და სტილით.

ცნობილია, ეწ. ბელეტრიზირებული რემარკები (ლ.მეტერლინკი, ბ. შოუ, ლ. ანდრეევი), XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება გაშლილი, აღწერითი, საგნობრივი რემარკები (პაუპტმანი, იბსენი, ჩეხოვი, ოსტროვსკი). ზოგი ავტორის პიესებში რემარკებს უკავიათ პიესის თითქმის მესამედი (ბ. შოუ) და ასრულებს არა მოკლე მითითებების ფუნქციებს, არამედ ფაქტიურად წარმოადგენს პიესის ავტორისეულ კომენტარს.

ვაჟას პიესათა რემარკებიდან რემარკა ძირითადად ბელეტრიზირებული სახისაა. მაგალითად, პიესას „სცენა მთაში” სათაურის ქვეშ მინაწერს „ხევსურების ცხოვრებიდან” მოსდევს მინიატურა, ესკიზი, რომლითაც სხარტადაა დახატული ინტერიერიცა და ექსტერიერიც.

ერთმოქმედებიან და ერთსურათიან პიესას კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს საფინალო რემარკა თავისი შინაარსით.

თავისებურია პიესის „სცენები”(ფშავლების ცხოვრებიდამ) კომპოზიცია. პიესა დაყოფილია ოთხ მოქმედებად, ოთხ სცენად. სპეციფიკურია თითოეული სცენისადმი წამდგარებული რემარკა-სათაურები თავისი შინაარსობლივი ფუნქციით. ხოლო პიესაში „სცენები” (სცენა ხევსურეთში) რემარკები ინფორმაციის ფუნქციებს ატარებს, თითონ პიესა ფაქტიურად ორნაწილიანი მოთხოვობაა.

რემარკის ბელეტრიზირება თითქმის გამორიცხულია „ტყის კომედიაში”, თუმცა ავტორი არსად ტოვებს პიესას მოკლე კომენტარების, მითითებების გარეშე, რითაც გარკვეულ გზამკვლეობას უწევს სიუჟეტის განვითარებაში მათი ჩართვის თვალსაზრისით.

საყურადღებოა პიესის სათაური-„ტყის კომედია”. პიესას კომედია პირობითად შეიძლება ეწოდოს, რამეთუ იქ არის გროტესკი, პიპერბოლა, სატირა, კარიკატურა, როგორც კლასიკური კომედიების ძირითადი მახასიათებელი

ნიშნები. პიესის სათაური ორცნებიანი ფრაზაა: „ტყე” აზუსტებს მოქმედების ადგილს, ხოლო „კომედია” განსაზღვრავს თხზულების უანრობრივ სახესხვაობას.

ნაშრომში სათანადო ანალიზით გარკვეულია, თუ რამდენადაა ეს პიესა კომედია, რა დოზითაა მოცემული იქ კომიკური, სატირული თუ „იუმორისტიკული (ამ ბოლო ტერმინს ამ ფორმით ხმარობს პროფ. გრ. კიკნაძე)

ანალიზის პროცესში ამოვდივართ რა პროფ. გრ. კიკნაძის განმარტებებიდან, დადგენილია, რომ შემოფარგლულია მკითხველის ასაკობრივი ზღვარი, რომ ზღვარდაუდებელია ავტორის პუმანიზმი, ვინაიდან პიესაში არაა მოცემული ე.წ. „ზოგადსაკაცობრიო”, „დიდი” იდეა, „ტყის კომედია” თამამად უნდა მიეკუთვნოს „იუმორისტული” (გრ. კიკნაძე) ნაწარმოებთა ჯგუფს.

„ტყის კომედია” (1911 წ.) ახალთაობის ზეობრივი აღზრდისა და საზოგადოებაში არსებული მანკიერების მხილებასთან ერთად სამაგალითოა ენობრივი თვალსაზრისითაც. პიესის ენა ძარღვიანი ქართულის ნიმუშია, სტილისტურად გამართულია, მდიდარია მისი ლექსიკა. პერსონაჟთა მეტყველებაში ჩართული ფრაზეოლოგიზმები პიესას სახალისოს ხდის. მოხმობილი აფორიზმები, სენტენციები კი დააფიქრებს მოზარდს და გონებით მოაძებნინებს მათი წარმომავლობის წყაროებს. ნაშრომში მოცემულია თითოეული მათგანის ლინგვისტური თუ პოეტიკური ანალიზი.

ნაშრომში გვერდია ავლილი „მოკვეთილის” ანალიზისათვის. „ტყის კომედიის” ანალიზით ვადასტურებთ, რომ დრამატურგია ანგარიშგასაწევ ფაქტორად რჩება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესებში, რომ ილიასთან და აკაკისთან ერთად ვაჟამ მყარი საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის ქართულ დრამატულ ხელოვნებას.

ვაჟა-ფშაველას მთარგმნელობითი მოღვაწეობის ანალიზი გვერდაუკლელ ამოცანად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელობა ვაჟასთვის არ ქცეულა დიდ მოწოდებად, თუმცა თარგმანი მას ქართული მწერლობის განუყოფელ სფეროდ მიაჩნდა.

ვაჟას თარგმანები ვაჟასმცოდნეობაში საკმაოდ მაღალპროფესიონალურად არის გაშუქებული (იხ. სათანადო ლიტერატურა). დგას რა ილიასა და აკაკის მხატვრულ-ესთეტიკურ და იდეურ პოზიციებზე. პირველი თხზულების „ფეოდალის აღზრდა” ემილ ერკმანისა და ალექსანდრე შატრიანის ერთობლივი მოთხოვნისა (იხ. ქ-ნ სალომე ყუბანეიშვილის მიერ მოცემული კომპლექსური ანალიზი) და პირველი ლექსის „ბულბულსაც მოეწყინება” თარგმანი ადასტურებს ვაჟას

ინტერესთა ფართო სპექტრს, რომელიც თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც XIX, ისე XX საუკუნეში.

ნაშრომში საგანგებოდაა გაანალიზებული ვაჟა-ფშაველას მიერ ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანი. ედგარ პოს „ყორანის“ მოტივაცია, ვაჟასთვის მისაღები აღმოჩნდა იმ ასპექტით, რომ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულნი აღარასოდეს აღდგებიან.

ნაშრომში გათვალისწინებულია ე.პოს თხზულების ფილოლოგიური კვლევის შედეგები (ნ.წერეთელი, ზ. აბზიანიძე...). ჩვენი მხრივ მოცემულია ყორნის, როგორც ერთ-ერთი სახე-ხატის, ევლუცია როგორც ქართულ-ხალხურ პოეზიაში, ისე ვაჟას პროზისა და პოეზის მიხედვით. ედგარ პოს „ყორნის“ მოტივაცია ვაჟასათვის მისაღები აღმოჩნდა არა მარტო ლიტერატურული მიმართულების თვალსაზრისით, არამედ ნაწარმოებში ჩაქსოვილი ზოგადადამიანური მოვლენების გამო.

ჩვენს მიერ გაზიარებულია ბ-ნ თამაზ ჩხენკელის საფუძვლიანი შეფასება ვაჟას მთარგმნელობითი სისტემისა: „ვაჟას კეთილსინდისიერად გადმოაქვს დედნის სიუკეტური ქარგა და შინაარსი. მაგრამ იქ, სადაც საქმე ეხება პოეტური ნაწარმოების მთლიანი სტრუქტურისათვის აუცილებელ ასპექტებს (ინტონაცია, ბგერწერა, განწყობილება და სხვა) იგი არ ითვალისწინებს ან უფრო სწორედ, ვერ გრძნობს უცხო ნაწარმოების თავისებურებების მთელ სისავსეს და ამ ასპექტების სრულ ასიმილირებას... ასე იქცეოდა თითქმის ყველა დიდი შემოქმედი, რომელიც თარგმნისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას არ ამჟღავნებდა (რასაც თავისთავად მათი ტემპერამენტის თავისებურება განაპირობებდა), თუნდაც იმ ცხადი მიზეზის გამო, რომ მათი გულისყური და ტიტანური ენერგია დღენიადაგ საკუთარი პოეტური სამყაროს შექმნიასაკენ იყო მიმართული“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინება წარმოუდგენელია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის გარეშე. მისი დროის პრობლემებმა მთელი არსებით იჩინეს თავი ვაჟას პუბლიცისტურ, ეთნოგრაფიულ, დოკუმენტურ წერილებში. პუბლიცისტიკის, როგორც მისი შემოქმედებითი ინტერესების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის, გათვალისწინება აქტუალურია იმითაც, რომ დიდმა მწერალმა თავისი კალამი პირველად პუბლიცისტიკაში სცადა; გავისხმოთ 1915 წელს დაწერილი მისი „ავტობიოგრაფიული ცნობა“. იგი აღნიშნავს: „დავიწყე წერა პირველად „დროებაში“ 1877–78 წლებში, კარგად არ მახსოვეს. ჯერ ისევ შეგირდი ვიყავი, რომ ფშავიდან კორესპონდენციასებ მაქვს იქაურ მასწავლებლის უზნეო ყოფა-ქცევაზე. 1878–1879 მაქვს დაბეჭდილი იმავე „დროებაში“ სოფლის სურათი, იქ

აწერილია დუხჭირი ცხოვრება ფშაველი ბუჩქურისა... იმავე წლებში მაქვს დასტამბული „კორესპონდენცია ხევსურეთიდან–სოფ.ხახმატი...“ (34,433). ვაჟა–ფშაველას, როგორც პუბლიცისტს, თავისი ხალხის, ქვეყნის ჭირ–ვარამისათვის, ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი.

სიმპტომატურად მიგვაჩნია შემდეგი ნიუანსი ვაჟა–ფშაველას პუბლიცისტურ შემოქმედებაში. კერძოდ, 1900 წლით დათარიღებული სტატიის („მოხვედით მშვიდობითა“) შინაარსის დამთხვევა მისი პირველი პუბლიცისტური წერილების შინაარსთან; ეს არის ავტორის დაინტერესება ეთნოგრაფიით. წერილებში ხშირია ამაზე ავტორისეული მითითებაც: „მცირე ეთნოგრაფიული შენიშვნა“.

გარდა ამისა, რა დრმაისტორიულ, ტრადიციულ სარწმუნოებრივ თუ ეთნოგრაფიულ საკითხებსაც არ უნდა აშუქებდეს იგი, ყველა წერილში, სტატიაში (აგრეთვე მხატვრულ შემოქმედებაშიც) აშკარაა მოქალაქეობრივ–პატრიოტულ პრობლემატიკაში ქრისტიანული სულისკვეთების გაძლიერება: „ვაჟას დამოკიდებულება ქრისტიანული ცხოვრების წესთან შესაბამისად აისახა მის მსოფლმხედველობაშიც, რაც დასტურდება პოეტის მხატვრული შემოქმედებით და მისი პუბლიცისტიკით“ (101,9).

მართლაც, პიროვნების თავისუფლება, მისი სულიერი ხსნა–გადარჩენა ვაჟა–ფშაველას ქრისტიანული სარწმუნოების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია. ქვეყნის, სამშობლოს პრობლემების მოგვარების ერთ–ერთ და მთავარ საშუალებად ხალხში რელიგიური ცნობიერების აღორძინება–გაძლიერებასაც თვლიდა. მის მახვილ მზერას არ გამოჰქმდა არც ერთი ნაბიჯი ოფიციოზისა, გადადგმული ჩვენი ზნეობის, ჩვენი სარწმუნოების საზიანოდ. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მისი სტატია „ეპისკოპოსის ანტონის აზრი ფშავ–ხევსურთა სარწმუნოებაზე“ (ტ. V, გვ311–13).

პუბლიცისტ ვაჟა–ფშაველას ეპისკოპოს ანტონის შეხედულებები წმინდა სარწმუნოებრივი ასპექტით გაუანალიზებია. ჩვენ კი წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ეპისკოპოსის ქმედებანი ემსახურებოდა ჩვენი ძირძველი ტრადიციების, ეროვნული თვითშეგნების ფარულ ანექსიას, რუსეთის იმპერიული ზრახვების აღსრულებას ისეთ კოლორიტულ და თვითმყოფად გარემოშიც კი, როგორიც იყო ფშავ–ხევსურეთი.

ამ საკითხს ეხება აგრეთვე ის სტატიები, რომლებშიც მაღალპროფესიონალურ დონეზეა გაშუქებული სარწმუნოებრივი საკითხები: „მოხვედით მშვიდობითა!“ (1900, ივერია“, N176); „ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა“ (1903, „ცნობის

ფურცელი“, N2165); „დიდ მარხვა“ (1906, „ცნობის ფურცელი“, N3034); „ფშავლები“ (1914, „სახალხო გაზეთი“, N1082); „ფშავლები“ (1914, „სახალხო გაზეთი“, N1090, 1091)...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „არც იმის დანამდვილებით თქმა შეგვიძლია, რომ ვაჟა „ეკლესიური“ ადამიანი იყო; მაგრამ თუ ღრმად შევისწავლით და გავაანალიზებთ მის შემოქმედებას, დავინახავთ, რომ დიდი პოეტის აზროვნება ზედმიწევნით მიჰყვება ქრისტიანულ მსოფლგაგებასა და მორალს...“ (101, 10). ამის დასტურად მოვიხმობთ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილს „დიდ-მარხვა“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, N3021). წერილის დასკვნით ნაწილში პოეტი წერს: „დიდო-მარხვაო! დიდად მოხარულნი ვართ. ჩვენი განა მარტო თვალები? გულიც და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს, ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს, გვექმნას მწედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და დონგ, მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ!“ (34, 220).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესს პუბლიცისტიკაშიც წარმოადგენს ნათლად გამოკვეთილი პატრიოტული გრძნობის გამომხატველი წერილები, რაც განსაკუთრებით კარგად აისახა იმ „წერილებში, რომლებსაც ვაჟა უძღვნის ფშავს, ხევსურეთს, ჩვენი ქვეყნის ავ-კარგს, მის წარსულსა და აწმუოს, იქნება ეს „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“ (1902), თუ „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (1905)“ (7, 218).

ჩვენი მხრივ ჩამოვთვლიდით ამავე საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე წერილის სათაურს: „თამარის ცხვარი ფშავში“ (1902), „მახლას“ (1905), „ვინ არის მართალი?“ (1905), „შავბნელი ამბები“ (1905), „ხევსურიც შეინძრა“ (1907), „ვერ მოჰკლეს!“ (1907), „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“ (1907), „შინაური ამბები“ (1908), „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“ (1908–1909) და ა. შ.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში შემოქმედებითი ინტერესების არეალშია მოქცეული ის წერილები, სტატიები, რომლებშიც საფუძვლიანადაა დახასიათებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც მთელი ქვეყნისა ზოგადად, ისე ფშავ-ხევსურეთისა კონკრეტულად. ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელი ობიექტურობითაა მოცემული ქართველი გლეხების, განსაკუთრებით მთის მკვიდრთა, დუხური ყოფა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა 900-იანი წლებიდან. ჩვენი

განხილვის ობიექტად იქცა შემდეგი პუბლიცისტური წერილები: „ფიქრები“, (1902); „თიანური ფელეტონი“(1902); „„შინაური ამბები“(1907); „შინაური ამბები“(1908); კორესპონდენციები: „ფშავის–ხევი“(1906); „ქართველთა ახალშენი შირაქში“(1913).

როგორც აღნიშნავენ, ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად ვაჟას ესთეტიკას ახასიათებს თავისი, სპეციფიკური და განუმეორებელი ნიშნები. მათ ეხება ვაჟა წერილებში „ნიჭიერი მწერალი“, „სად არის პოეზია“, „ენა“ და სხვა. (,399). დამაჯერებლად შეაფასა ვაჟას შემოქმედებით ინტერესთა ეს მნიშვნელოვანი ასპექტი პროფ. ი.ევგენიძემაც ოდნავ მოგვიანებით: „ვაჟას შემოქმედებით ინტერესთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უკავია ხელოვანის პრობლემას, მის როლს და ადგილს ცხოვრებაში, ანუ უპირატესად საკუთარი შემოქმედებითი „მე“–სდახასიათებას. ეს საკითხი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში უმეტესად გაშუქებულია ვაჟას ცნობილი ლიტერატურული წერილების მიხედვით“(27,229).

ეს პრობლემა მონოგრაფიულადაა დამუშავებული პროფ. დ. წოწეოლაურის მიერ სადოქტორო დისერტაციაში–„ვაჟა–ფშაველას თეორიულ–ლიტერატურული ნააზრევი“(2004წ.). „ელექტრონული კატალოგები(28,4).

პუბლიცისტიკა, როგორც ვაჟა–ფშაველას შემოქმედებითი სამყარო, არ ამოწურავს პოეტის ინტერესთა წრეს, რამეთუ „კიდევ მრავალი საკითხისა და მოტივის დაძებნა შეიძლება ვაჟასთან, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში უფრო წარმოაჩენს მისეულ თემებს“(27,231).

ამრიგად, საპაექროდ წარმოდგენილ ნაშრომში კვლევის საგნადაა ქცეული ვაჟა–ფშაველას ლირიკა, ეპოსი, დრამატურგია, თარგმანი, პუბლიცისტიკა. აქცენტი გადატანილია ძირითადად იმ თხზულებათა კომპლექსურ ანალიზზე, რომლებიც ნაკლებადაა განხილული ვაჟასმცოდნეობაში, ან საერთოდ არ დასთმობიათ მკვლევართა სათანადო ყურადღება. მაღალი დონე და მასშტაბურობა საკითხის შესწავლისა გარკვეული სირთულეების წინაშე გვაყენებდა, მაგრამ იმავდროულად ნათელყოფდა ჩვენი მიდგომის სტრატეგიას.

I. თავი-ვაჟა-ფშაველას ლირიკის ტემატიკა და მხატვრული სტრუქტურა

1900-1910-იანი წლების მიხედვით)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს მისი ლირიკა წარმოადგენს.

ზედმეტად მიგვაჩნია დეტალური საუბარი ლირიკის საგნისა, მისი ფორმისა და შინაარსის შესახებ, რადგან ანტიკური ეპოქიდანაა იგი კვლევის ობიექტად ქცეული. მიაჩნიათ, რომ ლირიკაში მთავარია განსახოვნებათა და განსჯათა ემოციონალურად წარმოჩენა ავტორების მიერ. სწორედ ეს განაპირობებს ეწ. „ავტოფსიქოლოგიური“ ლექსების არსეს, რომლებშიც ლირიკული სუბიექტი უშუალოდ ავტორია. გამოაქვთ დასკვნა, რომ ლირიკული შემოქმედება ძირითადად ავტოფსიქოლოგიური მოვლენაა(69,157). მოხდენილადაა იქვე თქმული, რომ ლირიკა არავითარ შემთხვევაში არ არისო ავტორთა მიერ რეალურ ცხოვრებაში განცდილის სტენოგრამა (იქვე).

და ვინაიდან ეს ასეცაა, საშუალება გვეძლევა, თვალი მივადევნოთ პოეტის ლირიკულ მედიტაციებს, რამეთუ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში მიიჩნევენ, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენსო „...უპირატესად ინდივიდუალური ავტორის პიროვნულობის სტრუქტურის გონისმიერი ხედვის მხატვრული ფორმით გამოხატულებას (3,210).

რაც უფრო დიდია ნიჭიერება ლირიკოსისა, მით უფრო მრავალფეროვანია მისი შემოქმედება, მით უფრო მაღლდება იგი საზოგადოების თვალში. ეს კი უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს პოეტს; იგი ხდება აუცილენელი სამიზნე თავდამსხმელებისთვისაც და მისი ტალანტის ღირსეულად დამფასებლებისათვისაც. ჩანს, ასეთი ყოფილა ოდითგანვე რჩეულთა ხვედრი. მაგალითად, ჯერ კიდევ სინაწელითა და სიმწრით იგლოვდა ქართველობა აკაკის, ვაჟასი და სხვა რამდენიმე ქართველი მწერლის გარდაცვალებას, როდესაც გალაქტიონმა ევროპისკენაც მიგვახედა და დიდნი შემოქმედნი მან შეადარა მაღალ კიპარისს, ჩინარს, რომლისთვისაც სიმაღლე საწამებელი ყოფილა:

როგორც ჩინარი-ისე პოეტი,
მისთვის სიმაღლე არის წამება,
არა დიმილით და ალოეთი
დაჰფარავს მტერთა ცილისწამება.
ის-მაღალია, დიდია მაინც!

მისთვის მოისმის ზარების ზარი:

ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,

მაინც მწვერვალებს ედება ქარი.

(გალაქტიონი, ისევ ეფემერა, 1961წ.)

როგორც ვხედავთ, ღვთივრჩეულება ხელოვანთა ტრაგიკული სვებედის, ცილისწამებათა ვუალითაა დაფარული და მის მაღალ ტანს მისსავე სიცოცხლეში სუსხიანი ქარი არხევს და მისი გარდაცვალების შემდეგაც ქარბორბალასავით რომ დასტრიალებს მისს სახელს.

ამგვარად მაღალია და დიადი ვაჟა-ფშაველაც, რომლის სიმაღლესაც უხილავი ფრთების ქროლით ედება ქარი ხან სასტიკ ქარტეხილად, ხანაც უნაზეს სიოდ. დასტურად ამისა გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიერ არაერთგვაროვანი შეფასება და გაგება მისი შემოქმედებისა, მისი პოეტური ენისა და ავადსახსენებელი პერიოდიც მეოცე საუკუნეში, როდესაც „ჩვენს თვალწინ, დღისით, მზისით სცადეს ვაჟა-ფშაველას ღვაწლის დამცირება ყალბი, ანტიმეცნიერული მოტივირებით”(3,108).

საბედნიეროდ, იმავე მეცხრამეტე საუკუნეშიც და მეოცე საუკუნეშიც სამუდამოდ დასამარდა ნიპილისტური ტონი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ცხოვრების მიმართ, რის შემდგომაც ლირსეული ადგილი დაიკავა ვაჟა-ფშაველამ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

სუსხიანი ქარის ქროლვას ყველაზე მძაფრად უშუალოდ შემოქმედი შეიგრძნობს. ამგვარმა ალდომ არ უდალატა ჯერ კიდევ ჭაბუკ ვაჟას, როდესაც დამაჯერებლად განაცხადა:

მკვდარია უგრძნობი კაცი,

უსაზარლესი მკვდარზედა,

მით რომე სიცოცხლე უდგას

სალის ყინულის ტახტზედა.

არ ებრალება მოყენი,

მის წინ რომ აცვან ჯვარზედა....

(„მკვდარია უგრძნობი კაცი”. 1886წ.)

ამ პატარა ლექსში, რომლითაც ახალგაზრდა კაცის მიერ არის შემჩნეული და შეფასებული საზოგადოებაში არსებული უგრძნობელობა, გულციობა. საგულისხმოა ბოლო ორი ტაქტი, რომელიც, ფაქტიურად, შეგონებაა და საგულისხმოა სენტენციურობითაც-„საზარელია დადგომა უგრძნობელობის გზაზედა”.

ამ მძიმე განცდის განქარვება ამოვიკითხეთ ლექსში „პაპიჩემის ანდერძი”. გენეტიკური კაგშირი გამოსჭვივის მის იმედის მომცემ ტონალობაში. პოეტი (აქ პაპამისი-უ.კ.) შთაგონებს ახალგაზრდებს:

ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია!
ვაჟკაცს არ შვენის ცრემლის დვრა,
ქვითინი დიაცურადა...
... ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არის ჩვენი რჯულიო.
(„პაპიჩემის ანდერძი”, 1886წ.)

ამიტომაც კიდევ უფრო დამაჯერებლად აღვიქვამო ავტორის მიერ განკიცხულ გულგრილობას, უგრძნობლობას, სულერთიაობას და სადღაც კაცომობულეობასაც, გახმიანებულს წინა ლექსში.

ასეთი განწყობილება ჭაბუკი პოეტისა გარკვეული კამერტონია მთელი მისი შემდგომი პოეტური მოდგაწეობისათვის; თამამად უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას, როგორც პოეტსა და მოქალაქეს, არ გადაუხვევია პაპის ანდერძისათვის. ამიტომაც იტყვის მაშინვე:

ვერას დამაკლებ, ვარამო,
რა გინდ გულს მჭიდო ბჯლალები,
თუ შენ მე დამაძაბუნო,
ნუმც მიტირებენ თვალები...
ღრუბლებში ელვად მნათობნი,
ხან კი მიბუუტვით მქრალები.
(ვერას დამაკლებ, ვარამო, 1886წ.)

„ებრძოლე მტერსო”-უანდერძებდა პაპა, მტერი კი ახალგაზრდა ვაჟასათვის მხოლოდ მომხდეული დამპყობელი არა ყოფილა. მას მტრად, არაკაცად მიაჩნია ისეთი თავკერძა თანამემამულები, რომელიც ქვეყნის სიკეთისათვის ბრძოლის სიძნელეებს თავს არიდებს და ვაჟაც დაბრძენებული, ასაკოვანი კაცის ტონით შეუკიუნებს ამგვართ:

ტყუილად იტყვის –კაცი ვარ,
თაგზედა ქუდი მხურია,-
ის, ვისაც კარგის საქმისად
ვარამიც არა სწყურია!(იქვე).

გაივლის ათიოდე წელი ამ ლექსების დაწერიდან და უკვე ჭაღარაგამორეული დიდოსტატი ქართული ლექსისა გულლიად შეეხმიანება ახალგაზრდა მგოსნებს ლექსით „სიმღერა (ვუძღვი ახალგაზრდა მგოსნებს).”

ავტორი იტოვებს მორალურ უფლებას, რომ თავისი პოეტური „მე” მაგალითად დაუძახოს მათ და ის, რაც მას თავად გაუხდია საკუთარ სამოქმედო კრედოდ, იგივე მოითხოვოს მათგანაც. ამას კი ორჯერ იტყვის დაბეჯითებით:

„დმერთო, სამშობლო მიცოცხლე!”

მძინარეც იმას ვდუდუნებ!

(„სიმღერა”, 1896წ.)

მარადიული მოძრაობა, საქმის კეთება, შეზავნული სიტყვასთან, მისი რწმენით, გარანტიაა ქვეყნის გადარჩენისა, წინსვლისა. ამავე წლის საახალწლო მილოცვაში აკი ამბობდა კიდეც:

ძველთა თქვეს ძველი ქართული
თავის ძველებურ წესზედა:
„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა”.

შემდეგი სიტყვებით კი რა ბრწყინვალედ ეხმიანება პოეტი ჩვენს დღევანდელ ყოფას-

„თვით უპატრონეთ თავის-თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა.”

(„საახალწლო”. 1896)

სხვათა მოიმედე ადამიანები, ბუნებრივია, მიუღებელი იყვნენ ვაჟასთვის და, ალბათ, არც მათ ეხატებოდათ გულზე ომახიანი, პირდაპირი და მართალი ხმის პოეტი. ჩანს, დიდი ბრძოლების გადატანა უხდებოდა ვაჟას ამგვარ საზოგადოებაში ბრუნვისას. ავზნიან ქარად ედებოდნენ მის სულიერ სიმაღლეებს ისინი. ვაჟას კი წუთითაც არ უფიქრია მათთან ზავის დადება:

დამსეტყვე, ცაო დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუდალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწო არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!

(„დამსეტყვე, ცაო.” 1903წ.)

იმ რეალობაში ყოფნისას იგი თავს „საწყალ ამირანს” ადარებდა, აუტანელი იყო მისი არსებობა-გულში წყლულები გაზრდია, სულს უხუთავს: „სიკვდილი არა მწარიან, თუმც ტანჯვა სიკვდილს მაგონებსო”(მემდერება და ვიმღერი,”, 1903წ). ეს არც იყო გასაკვირველი , როგორც თვით იტყვის ლირიკული გმირი-სიცოცხლეში შხამი ასმია, ეკლის ლოგინიც დაუგო და მაინც ვაჟკაცურად უძლებს სიმწარეს:

მაღლიდან შავი ღრუბელი
თავს დამწოლია მჭეხარი.
რაცა სწადიან, ისა ქმნას,
მესროლოს მეხი-მედგარი.
მე ვარ და არ შევუდრკები
გაპაშებული მხედარი.
ჯერ ასე ყოფნა ვარჩიე,
ნუკი გგონივარ ცხედარი.

(„სიცოცხლეშ შხამი მასმია”. 1903).

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ უფრო დამაჯერებლად იტყვის თავის გამძლეობაზე, გაუტეხლობაზე. მართალია, „ცხოვრებამ არ შეიძრალა”: გულზე ისარი დაასო და თან ამას ჩასჩიჩინებდა: „უნდა დაგამხო, დაგავსო! ხალხიც მას ჩასჩურჩულებდა:

„ბოროტს ფიქრებსა ჰმალავსო...
დაჲკარი, ნუ შეიწყალებ
ქვეყნის სიკეთის მკარავსო!”
(„ცხოვრებამ არ შამიძრალა”1904წ.)

ბოროტებამ სასიკვდილოდ უქნია მახვილი, მის მოკვლას ეცადა, მაგრამ
რამდენიც დამკრა, იმდენი
მე ავიწიე ზეცადა.
ადამიანად ვისახვი,
მგმობლები დარჩნენ მხეცადა
და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა
ქედ -მოუდრეკელ სვეტადა.(იქვე)

დაუნდობელი ყოფილა წუთი-სოფელი-შხამ-ნაღველით უტარებია ლირიკული გმირი, მაგრამ დმერთს არ გაუწირავს იგი: იმედი აკიაფებულა ამის გზაზე; ხედავს, რომ სულს დაფავს ვეშაპი, „ქვეყნისთვის სისხლის მსუბავი”:

მირჩება გულის წყლულები,
რჩება სნეული ოცნება:

ტყდება მონობის ბორკილი,
დღესასწაულობს გონება.
დმერთმა უშველოს იმათა,
ვინც მიექიმა, მიწამლა!

(„მათრია წუთისოფელმა”. 1905წ.)

გასათვალისწინებელია დაწერისა და გამოქვეყნების დრო. ეს იყო რევოლუციური აღმავლობის პერიოდი, რომლისგანაც ქართველობა და მის ბედში მყოფი სხვა ერები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული თავისუფლების მოლოდინში იმყოფებოდნენ, თუმცა, მონობის ბორკილების მსხვრევა იმედს იძლეოდა მაშინ, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ცხოვრებამ ლირიკული გმირი მწარედ ჩააგდო საგონებელსა. არ სურს გაუზიაროს მოკეთეს გულის ვარამი, რადგან „ამის თქმა სევდას შემიმსუბუქებსო”:

საიდუმლოა, ვერავის გეტყვით,
ამის თქმა სევდას შემიმსუბუქებს,
ვიცი და მიტომ ვერ მათქმევინებთ,
დაე, ისევე ჩემს გულში სდუდდეს,
ეს საჭიროა კაეშნისათვის,
რომ გაიზარდოს და უფრო პქუხდეს.

(„მწარეს ჩავვარდი საგონებელსა”. 1912წ.)

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლის გულს ობი არასოდეს არ მოედებოდა და უსასოობა, უიმედობა ვერასოდეს ვერ მოიკიდებდა ფეხს მის არსებაში.

ნუმცა მსმენია სიკვდილი
და ნუმც მინახავ ლომისა!
ნუმც მინახია არწივი,
შნო აღარ პქონდეს ომისა!...
რა ლამაზია დილითა,
მზე რომ სხივს მოჰყენს გორისა!...
ტურფაა ახალგაზრდობა,
ზათქი ვნებათა თრთოლვისა.

(„ნუმცა მსმენია სიკვდილი”. 1914წ.)

ჭეშმარიტი მართმადიდებელი ქრისტიანია ჩვენს წინ ლექსში „მე შენის ტრფობით ვერ გავძელ”. ლექსი მის გარდაცვალებამდე გამოქვეყნებულა კურნალში „კლდე”, 1915წ.

ამ ლექსში ლირიკული გმირი გულწრფელია ლირიკულ ადსარებაში; ადრესატი მისი მიმართვისა მთელი საზოგადოებაა, მთელი ქვეყანაა:

მე შენის ტრფობით ვერ გავძელ,
შენ-ჩემის სიძულვილითა.
ვერ გიდალატებ მაინცა,
თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა,
გულდაკოდილი შენგანა
მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა.

(„მე შენის ტრფობით ვერ გავძელ”. 1915წ.)

აქაც ორმაგი სტანდარტი გამოსჭვივის საზოგადოების დამოკიდებულებაში შემოქმედის მიმართ. ქვეტექსტით იგრძნობა, რომ სიძულვილის გარდა სიყვარულით დამოკიდებულებაც არსებობდა, რადგან ტრფობა მხოლოდ მოძულებისა წარმოუდგენებლი იქნებოდა. ანალიტიკური მიდგომაც ორმაგი სტანდარტითაა საგულისხმო. კერძოდ, კარლ გუსტავ იუნგი 1922წელს ნაშრომში „პოეზიისადმი ანალიტიკური ფსიქოლოგიის მიმართების შესახებ” შენიშნავდა, „რომ ხელოვნების ქმნილებაზე მართებული მსჯელობისათვის უნდა გავითვალისწინოთ ორი სახის შემოქმედებითი პროცესის არსებობა: ერთი მათგანის შედეგად ვდებულობთ ნაწარმოებს, რომელიც ზუსტად ემთხვევა ავტორის ჩანაფიქრს, აღწევს იმ ეფექტს, რისი მიღწევაც პოეტს სურდა”(16,67).

წარმოდგენილი ლექსების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ყველა მათგანში დასახული მიზანი ზედმიწევნით გადმოგვცემს ავტორის ჩანაფიქრს; პოეტი ნათლად, გამჭვირვალედ აყალიბებს სათქმელს და უდაოდ „აღწევს იმ ეფექტს, რისი მიღწევაც პოეტს სურდა”. თითოეულ მათგანში „მასალა პოეტის გაცნობიერებულ ზრახვათა შესატყვისად არის ორგანიზებული”(იქვე, 68).

განხილული ნაწარმოებების მიხედვით ნათელია პოეტის ეთიკური და ესთეტიკური მრწამსი-თერგდალეულთა პოზიციაზე დგომა პოეტისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით, თუმცა, გაცხადებული და გამყარებული თავისებური მიდგომით, მყარი, მონოლითური მორალიტეტით, განსხვავებული მხატვრული სამყაროთი, ინტონაციური მრავალფეროვნებით, რითაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება „...დაკავშირებულია საკუთარი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც დიდებულად გამოხატავს „ხალხის ეროვნული ფსიქიკის იერსაც (6,312).

იბადება კითხვა, როგორ ახდენდა ყოველივე ამის რეალიზებას დიდი პოეტი? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვდებულობთ ვაჟას წერილში „ფიქრები”. ამ სტატიაში ავტორს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ეთიკური ნორმები,

რომლებსაც მტკიცედ იცავდა იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. თანამოკალმებისადმი მოწოდებად გაისმის მისი სიტყვები : „მოქმედებაც თვითოვეული ჩვენგანისა უნდა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითოვეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივყავდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითოვეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც რომში უნდა მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მისასვლელი გზით არ წავედით... რომს ავცდებით. სწორი გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება”.

„ხალხის სულიერ ცხოვრებასთან” ორგანული კავშირი, რომელიც „ეროვნული ფსიქიკის იერსაც” ატარებს, ნათლად აისახა ვაჟას ლირიკული ლექსების იმ ციკლში, რომელიც პირდაპირაც და ქვეტექსტითაც მინიშნებულია საზოგადოებრივი პრობლემატიკის გადაჭრისაკენ. მრავალი მტკიცნეული საკითხი გამოსჭვივის წმინდა ეთიკური ხასიათის ლექსებში. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ორი საუკუნის მიჯნაზე შექმნილ თხზულებებში.

კანონზომიერებადაა ქცეული ის რეალობა, რომ ერთი საუკუნის დასასრული და ახალი საუკუნის დასაწყისი თითქმის რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდია ხოლმე, ზოგადად ხელოვნების ისტორიაში, ყველაზე მკვეთრად კომხატვრული ლიტერატურის სამყაროში. გარდაქმნა კი იმას გულისხმობს, რომ წინა საუკუნეებში დაგროვილი პრობლემები ვითარდება და ორგანულად გადადის ახალ საუკუნეებში. აქ დემარკაციული ხაზი გამორიცხულია, მითუმეტეს ვაჟას რანგის შემოქმედის შემთხვევაში.

XIX და XX საუკუნეების უღელტეხილზე დგომამ თავისი კვალი დააჩნია მის პოეზიას, მის საზოგადოებრივ პოზიციას; ამიტომ მიზნად დავისახეთ დაკვლევა იმ გზისა, რომელმაც „რომში უნდა მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია”(ვაჟა-ფშაველა). სწორედ ეს ამოძრავებს დიდ შემოქმედს, როდესაც მთელი თავისი არსებით ებრძვის და იცავს თავის ერს „ზეობრივი დაბეჩავებისაგან”, დაბერებისაგან. მას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ „ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯაჭვული, უნდა მას ქონდეს სარბიელი”(ვაჟა-ფშაველა).

ვაჟა-ფშაველას პიროვნება, მისი შემოქმედება სამართლიანადაა გააზრებული გლობალური მასშტაბით: „...იწურებოდა მეცხრამეტე და იწყებოდა მეოცე საუკუნე. მსოფლიო ლიტერატურაშიც იწყებოდა მეოცე საუკუნე. მსოფლიო ლიტერატურის ტიტანებიდან ყველაზე მძლავრად მომავლისაკენ ეს ლტოლვა ტოლსტოიმ, დოსტოევსკიმ, თაგორმა და უიტმენმა გამოხატეს. ვაჟამ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით და საქართველოს პირობებში, ე.ი. მსოფლიო

რეზონასის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულმა, მან დაიწყო დამკვიდრება ამ ახალი ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპებისა, მან შექმნა ახალი ეპიკური მსოფლშეგრძნებით გამსჭვალული ახალი ეპიკური ფორმა, მან შეასხა ახალი ფრთები რომანტიზმს, არა რეალიზმის საწინააღმდეგოდ, არამედ მისგანვე გამომდინარემ, მან შეიტანა ახალი ეთიკური პრინციპები ესთეტიკურში და ქმედითი ჰუმანისტური სული შთაბერა მსატვრის ფილოსოფიას”(5,274).

როგორც წინ აღინიშნა, ამ გენიოსი შემოქმედის შესახებ ბუნებრივად შეიქმნებოდა ერთიმეორის გამომრიცხავი ან ერთიმეორის შემავსებელ-განმავითარებელი შეხედულებები. მართებულად შენიშნავს მკვლევარი მამუკა ჭანტურაია: „...სწორედ 900-იანი წლებიდან იწყება ვაჟას პიროვნებაში ინტელექტუალური სიმწიფის ახალი ხანა, მბაფრდება მისი მსატვრული აზროვნების უნარი, დრმავდება ფილოსოფიურ-ესთეტიკური არე”(114,4).

ჯერ კიდევ 900-იანი წლების დასასრულს ვაჟას პოეტური გუმანი გაფაციცებით დაეძებდა „სამშობლოს მცველთ”; გულს სტაქნდა „სიკვდილი გმირისა”; შაშვს ემდურის იმიტომ, რომ „მშვიდი, ბავშური გუნება არ ამდვრევია მტერზედა, რომ „მოვალეობის უღელი” არა სდგმია ქედზედა; დასაფიქრებლად აფრთხილებს უსაზღვრო ძალმომრეობას:

გსურს ანებივრო სვავები
ტიალ-ოხერის ლეშზედა;
ნუ შვრები მაგას, დაფიქრდი,
ხელს ნუ აიღებ დმერთზედა.
ნუ, თორემ მარტო არა ვარ
ამა სიმართლის მთქმელია:
ვინც ავს უშვრება მოყვასსა,
სხვაც მისოვის ავის მქნელია;
თვითაც მუხოდალად მოკვდება
მუხოდალად კაცის მკვლელია
(„მხოლოდ ძალა გვაქვს დღეს ხელთა”, 1899წ.).

გაფრთხილების გარდა, ზეობრივ შეგონებასაც ატარებს სენტენციამდე ამაღლებული ფრაზები. სიფრთხილის ინტონაცია საგრძნობლად იცვლება საახალწლო სურვილებში. მაგალითად, 1899წლის ბოლო აკორდად უნდა მივიჩნიოთ ლექსი „საახალწლოდ”, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიის” 1900წლის პირველ ნომერში.

ტრადიციულად, საახალწლოდ გამიზნულ ლექსებში ვაჟა-ფშაველა ერთგვარად აჯამებდა წინა წლის მოვლენებს, საზოგადოების ზეობრივ

ცხოვრებას; ხშირად სენტენცია-აფორიზმებითაც გამოხატავდა ხოლმე საკუთარ მიღებას, შეფასებას. გამონაკლისს არც ხსენებული ლექსი წარმოადგენს.

უპირველეს სალამს ავტორი უძლვნის-

„ივერის არქ-მარესა

მის სისხლსა და ხორცს-ქართლ-კახეთს
და იმერეთის მხარესა.

ბედი და ბედნიერება,

დღეთამც ნუ ჰნახვენ მწარესა...

ვუსურვებ დღეგრძელობასა

სამშობლოს მზეს და მთვარეს...”

(„საახალწლოდ”, 1899)

პოეტურად ამკობს სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს და ვრცელ ქებას უძლვნის ქართველ დედას. პოეტი მათ მოუწოდებს: „შვილთა აღზრდაზე იუბნონ, რო შეიყარნენ ერთადა” და იქვე დიდებული სენტენციით ამაგრებს თავის შეხედულებას:

„ლამაზად შვილის აღმზდელი

დედა მიცვნია დმერთადა...”(30,172).

კიოთხულობთ ლექსეს და ვრწმუნდებით, როგორ დასტურდება პროფ. გრიგოლ კიკნაძის დებულება ვაჟას შემოქმედების „პოლითემატურობის” შესახებ. კერძოდ, ამ ლექში პოეტი მართლაც დრმად ჩაუფიქრებია ეთიკური ხასიათის პრობლემებს.

იწყებს პატრიოტიზმის თემით-მან გულწრფელად მიულოცა ერთიან საქართველოს წელი ახალი.

მილოცვის შემდეგ პირველად მიესალმება მიწის მხვნელ-მთესველებს

ცულის და თოხის მქნეველთა,

მწყემსთა და ღამის მეხრეთა,

მინდორში ღამის მთეველთა,

თავის მარჯვენის მადლითა

მთელის ხმელეთის მრჩენელთა

(იქვე)

ამგვარი პატივი პირველმილოცვისა მხვნელ-მთესველებისადმი, მწყემსებისათვის არ უნდა იყოს მკიოთხველებისათვის მოულოდნელი, რამეთუ თავადაც ხომ „იმათ გობისა” იყო, ვისი შრომის წყალობითაც ეძლეოდა ოჯახს, ქვეყანას, ხალხს „პური არსობისა”. ამიტომაც შესთხოვდა იგი უფალს, ძალა მიეცა მისთვის იმად, რომ

ნუგეშად ვუგანდე ყველასა,
 რომ არ ვზარობდე არა დროს
 გაჭირვებულის შველასა,
 თოფს ვესვრი დაუმცდარადა
 ცბიერსა, თეთრსა მელასა.
 („არ ვტირი”(სიმღერა), 1900წ.)

პროფ. გრიგოლ კიკნაძე მიუთითებდა: „ვაჟა-ფშაველა სულის პოეტიათ” (35, 10). მართალია, ამ განცხადების დროს მეცნიერის აქცენტი ვაჟას პოემებზე იყო გადატანილი, მაგრამ, განზოგადების კანონის ძალით, ეს დებულება ვაჟას მთელ შემოქმედებაზე კრცხლდება. გამონაკლისს არც ეს განსახილველი ლექსი წარმოადგენს.

პოეტმა არსობის პურის მომყვანთა შემდეგ ახალი წელი მიულოცა სულის პურის შემოქმედთ, ანუ მწიგნობართ:

მწიგნობართ-ერის წინამძღვართ,
 ქვეყნისთვის კარგის მრჩეველთა;
 რა გვარგებს, რა გვაზარალებს,-
 დღე-მუდამ იმის მკვლეველთა
 („საახალწლოდ”) 1899წ.

პოეტი აქ თავისი „მეს”, თავის თავს უშუალოდ „მთელის ხმელეთის მრჩეველთა”, „ერის წინამძღვართა” და „ქვეყნისთვის კარგის მრჩეველთა” სამყაროში მოიაზრებს... მათთან ერთად ეფერება თავის ქვეყანას

შემდეგი საახალწლო მილოცვა „მშობელი ქვეყნის დედათა” ეძღვნება. ეს არცა მოულოდნელი, რამეთუ ვაჟაც ხომ ილიასი და აკაკის საქმეთა თანამესაგრე იყო და ყველა ქართველის გულში ზარივით რეკდა დიდი ილიას მოწოდება დედებისადმი:

„დედაგ, ისმინე ქართვლის ვედრება;
 ისე აღზარდე შენ შვილის სული,
 რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
 უკან პრჩეს კვალი განათლებული!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჟასეული შეფასება დედის ფუნქციისა ამაგრებს ილიასეულ პოზიციას და მის სიტყვებში მოჩანს რაინდის მიერ უაღრესი თაყვანისცემის გამოხატვაც, საგალობელიც დედებისადმი.

დიდ ვაჟას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბავშვებიც, ყრმანიც. მოუწოდებს, რომ-

ერთგულნი ჰყანდნენ დედასა
და არ შეუდრენენ ბოლო ჟამს
ბასრის მახვილის კვეთასა,
როცა კი მტერი მათ მშობლის
შეურაცხყოფას პბედავსა.

ლექსი „საახალწლოდ“ თავიდან აქტუალობას იმითაც ინარჩუნებს, რომ „ივერიაშია“ დაბეჭდილი და ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც მივიჩნევთ ვაჟაფშაველას 1900-1910-იანი წლების შემოქმედებით სამყაროში შესასვლელად.

საახალწლო თემაა გაშლილი ვრცელ ლექსში „ჩემი ახალი მექვლე“ (1910წ. „ივერია“, 1 იანვარი). თემატიკის გარდა, ლექსი იმითაც იწვევს ჩვენს ინტერესს, რომ მხატვრული სტრუქტურის მხრივ განიხილება ეწ. მკრთალი სიუჟეტის მქონე ლირიკულ თხზულებათა ციკლში („ბაკური“, „მოგონება“ (ნუ მიწყენთ, მომაგონდება), „ტყის სურათები“, „აქა ამბავი დისწულ-დედიძმათა“ და სხვა).

1902წლით არის დათარიღებული ლექსი „მიკვლევა“ (1902წ. „ივერია“, 1 იანვარი).

მენტორული, დამრიგებლობითი კილოა ამ ნაწარმოების წამყვანი ინტონაცია. ლექსში ადრესატად არ ჩანს კონკრეტული პიროვნება. ზნეობრივ კოდექსს მოგვაგონებს ნაწარმოების შინაარსი; მკაფიოდ იგრძნობა პუბლიცისტური შემართება ავტორისა და ლექსი მაინც ლირიკული ჟანრის თხზულებაა იმიტომ, რომ იქ უშუალოდ პოეტის საკუთარი განცდები, მისი გულისწადილი და იდეური ჩანაფიქრია ერთიმეორეზე აკინძული.

მკვლევარნი ხშირად აღნიშნავენ, რომ ვაჟა-ფშაველა პროფესიით, მოწოდებით მასწავლებელი, პედაგოგი იყო (პროფ. გრიგოლ კიკნაძე, პროფ. აპოლონ მახარაძე და სხვა). ეს მომენტი წინამდებარე ლექსში რამდენიმე ადგილას მკაფიოდაა გამოხატული.

ნაწარმოების ფუნქციიდან გამომდინარე, ავტორს მიმართვის ფორმა გამოუყენებია მკითხველებისადმი:

კიდევაც მეკვლედ მოვდივარ,
თუკი კეთილად დასცადეთ,
ჩემი მოკვლევა... მოლოცვით
თუკი კეთილი რამ ჰნახეთ,
ან რა ვქნა საწყალობელმა,
ათასი ხერხი გაცადეთ?!

მაინც თქვენ ყეინები ხართ,
მე მაჩანჩალად გამხადეთ

(„მიკვლევა”, 1902წ.)

ლირიკული გმირი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, მათ მიმართ
მიმტევებელია: არც ემდურის და არცა სწყინს, მათთვის მაინც კეთილი სწუურია.
რაც მთავარია,-

სამშობლოს მაჯის ცემისკე
ფხიზლად მიჭირავს ყურია... (იქვე).

ამის შემდეგ იცვლება ლექსში ინტონაცია და ავტორის თხოვნა უფრო
მკაცრი ხდება: ეგებ დაგჩემდესთ თქვენც ეს ზნე/სხვასაც რომ
გაუზიაროთ”(იქვე.გ.189).

ჩანს, XXსაუკუნის დასაწყისშიც სახიფათო სენად იყო ქცეული უძრაობის,
ინდიფერენტულობის სინდრომი; ჩანს, ჯერ კიდევ ვერ გამოვხიზლებულიყო ერთ
„საღამოს ძილიდან”, თორებ ასე დაბეჯითებით არ გააფრთხილებდა თავის
თანამედროვეებს პოეტი:

ძილი გაშოროსთ ხანგრძლივი,
სიფხიზლე მოგცესთ მრავალი.(30,190).

ოპტიმიზმი, იმედი არ კარგავს ლირიკულ გმირს ლექსის საფინალო
სტრიქონების მიხედვით:

ისემც გასწურონით თავის თავს,
საამო იყვნეთ დვთისადა;
რომ იმის ლოცვა-კუროხევით
საშიშნი გავხდეთ მტრისადა.(იქვე)
და მამულიშვილური გაფრთხილება, მოწოდება, შეგონება
აგშორდეთ შური ერთ-ურთში,-
ეგ ჩვენი დამამხობელი.

(„მიკვლევა”, 1902წ.გვ.190)

ნათელია, რომ არც იმ იდეას, ლექსში გატარებულ შინაარსს დაუკარგავს
დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და პატრიოტული სულისკვეთება სადღეისოდაც კი.

საყურადღებო და საგულისხმოა 1907წლის დეკემბერში შექმნილი ორი
„სიმღერა”: „საშობაო სიმღერა” და „საახალწლო სიმღერა”. რივე ლექსი
გამოქვეყნებულია გაზეთში „ისარი”. „საშობაო სიმღერა”,-1907წლის 25 დეკემბრის
ნომერში, ხოლო „საახალწლო სიმღერა”-იმავე გაზეთში 1908წლის პირველი
იანვრის ნომერში.

ეს სწორედ ის დროა, როდესაც ჯერ კიდევ ისმოდა წიწამურთან
გასროლილი თოფების ექო, როდესაც განადგურებულია ეროვნული
დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი, გაბატონებულია შავი რეაქცია, გადაფასება

იწყო ესთეტიკურმა დირებულებებმა. პერძოდ, მითითებულია, რომ „900-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში თავისი შინაარსით მეტად მდიდარი და, ამავე დროს, რთული იყო...“

ამ პერიოდში, ერთი მხრივ, მოღვაწეობენ ის მწერლები, რომელთა ესთეტიკურ-იდეური კონცეფცია და მხატვრული სტილი XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველ მწერალთა რიგები ივსება ახალი მძლავრი შემოქმედებითი ძალებით, რომლებიც ახალი საყურადღებო ნაწარმოებებით ამდიდრებენ მშობლიურ ლიტერატურას...

ამ ძირითადი რეალისტური ნაკადის პარალელურად საცმაოდ ძლიერია დეკადენტური ტენდენციებიც, რომელთაც სათანადო საფუძველი მისცა რევოლუციის დამარცხების შემდეგ ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილმა იდეურმა დაბნეულობამ” (15,248).

და მაინც... ქართველი კაცი ქართველად რჩება, ანუ ჭირსაც და ლხინსაც ოდითგანვე სიმდერით უმკლავდებოდა. დიდმა ვაჟამაც ამ ორი სიმდერით გააცილა 1907წელი.

ორივე ლექსი წმინდა ლირიკული ბუნებისაა, ორთავეში უშუალოდ ავტორის განცდათა განცხადებაა ჩვენწინ, ორივე ნაწარმოები მონოლოგური წყობისაა: „საშობაო სიმდერა” შთაბეჭდილების, ნაფიქრის პოეტური დემონსტრირებაა, ხოლო „საახალწლო სიმდერა” შეთხზულია ჩონგურისადმი, ნადარისადმი ავტორის მიმართვის ფორმით.

ლექსში „საშობაო სიმდერა” მოცემულია მკაცრი, პირუთვნელი შეფასება რწმენაშერყეული ქართველობისა. პოეტს ზარავს ის ვითარება, რომ ვინც –

ქვეყნის გულისთვის იღვაწა,
სული ტანჯვაში დალია!

და დღეს კი იმის სწავლისა
აღარსადა სჩანს კვალია...
გარეგნულად ვსცემთ პატივსა,
ფორმისთვის უკრავს ზარია.
დღესც ვერ შევიგნეთ მის მცნება,
გვესმის რამდენი ხანია!

(„საშობაო სიმდერა”, 1907წ.)

ბუნებრივია, საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით ლექსის მთავარი გმირია მაცხოვარი ჩვენი, ანუ ის, ვინც მოგვიწოდებდა, რომ აღგეხსრულებინა მოძღვრება- „მოყვასი შეიძრალია!” მაგრამ პოეტს გულს სტკენს ფარისევლობა უმრავლესობისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის მოწოდებას „გარეგნულად

ვსცემთ პატივსა, ფორმისთვის უკრავს ზარია...” რომ „საწყალი საწყლადვე რჩება, ისევ სდის ცრემლის დვაარია”.

როგორც ვხედავთ, ავტორმა სოციალურ საკითხს დაუკავშირა რწმენის პრობლემა და აქაც უმთავრეს მიზეზად ხალხის ზნეობრივი დეგრადაცია მიიჩნია.

მან გაპიროვნების მხატვრული ხერხით დაგვიხატა ისინი, ვინც ტკივილს აყენებს თანამოძმებებს:

მგლები, აფთრები მრავლდება,
ხარობს იმათი გვარია,
აზრი კი აზრი მაღალი,
ჰგოდებს ბედ-განამწარია!
(„საშობაო სიმდერა”)

აქვე მინიშნებულია მოქალაქეთა ინტელექტუალურ-სარწმუნოებრივი კრახი: „აზრი კი, აზრი მაღალი, ჰგოდებს ბედ-განამწარია”.

„საშობაო სიმდერას” მოცულობით ბევრად აღემატება ლექსი „საახალწლო სიმდერა”(1907წ.). ამ ლექსში ავტორმა ესთეტიკური საკითხის წინ წამოწევით ლოგიკურად, არგუმენტირებულად გაშალა ეთიკური პრობლემატიკა: ზნეობის, პატრიოტიზმის თემატიკა. ამით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა საიმედო თანამებრძოლია ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა...

იმედის, სიკეთის, რწმენა-ოპტიმიზმის აურა მოდის ვაჟა-ფშაველას მიერ განცდილი საახალწლო განწყობილებიდან.

ინტერესს გვიძლიერებს ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციური მოდელირება, ანუ ის, რომ პოეტისათვის მიმართვის მთავარი ობიექტია მისივე ჩონგური და ნაღარა. მეკვლე-მგოსანი პირველივე სტრიქონიდანვე მიმართავს მათ:

შენი ჭირიმე, ჩონგურო,
შენ გენაცვალე, ნაღარა!
რად მეუბნებით: „გაჩუმდი,
აღარ იმდერო, აღარა?!”
ხომ ჰედავთ, ნდომამ მდერისა
ჩემს გულში დაისახლკარა,
მოფინა ია-ვარდითა,
მას შესტრფის ჩემი ჭაღარა?

(„საახალწლო სიმდერა”, 1907.30 გვ.254).

ქართული პოეტური სამყარო მდიდარია შემოქმედთა ამგვარი განწყობილებით: თავის ჩოგანთან, კალამთან, ქნართან, ჩანგთან, ჩონგურთან, ფანდურთან მიგულგულებით. აკაკის ჩანგური იმისთვის უნდა, რომ „განამტკიცოს

აზრი წმინდა”, რომ „სიმართლეს მსახურებდეს”; მოშაირე ხელმარჯვედ უნდა სცემდეს ჩოგანსა, „იხმაროს დიდი გმირობა”; რომ უშიშარი პოეტის კალამს ტაში არა სჭირდება; ვაჟას „საახალწლო სიმდერის” შექმნიდან გაივლის ოთხი ათეული წელი და თავისი ქნარისკენ მიგვახედებს დიდი გალაქტიონი: „მაქვს მკერდს მიდებული// ქნარი, როგორც მინდა, // ჩემთვის დიდებული// სხივი გამობრწყინდა...” და ესე ყოველი ანთებულია იმ წმინდა ცეცხლით, რომელიც მათზე გარდამოვიდა ტაძრიონების სანთლებიდან თუ ქართველ ხალხურ მალექსებელთა გაჭვარტლული ფანდურის დანაკვნესიდან, დიდი რუსთაველის გენიიდან...

ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი, რომელიც ავტობიოგრაფიულ მუხტს აშკარად ატარებს, მისი „გულის, გონებისა და სულის” ამონაკვნესია... და ეს კვნესაა არა უსასოობისა, დავრდომილისა, არამედ მოყვრისათვის პირში მთქმელისა, მძრახველისა, ღმერთთან მოსაუბრე მოციქულისა, პოეზიის ღვთიურ საკურთხეველთან მლოცველისა... ვაჟას ეს „საახალწლო სიმდერა” ერთგვარი საახალწლო ეპისტოლეცაა პოეზიის ქურუმისა თავისი მკითხველებისადმი...

როგორც ადვინშნეთ, ამ ლექსში აქცენტი ზნეობრიობაზეა ადებული და პოეტი დაუნდობლად ამხელს მათ,-„ვინც სიცოცხლე უმადლოდ გააჩანჩალა”; ამხელს უგუნურთა მიერ მის მიმართ მკვახე შემახილებს, არად მიიჩნევს ამას, რამეთუ ტირილისა თუ მღერის მასალა თვითონ ცხოვრებას მიუცია მისთვის; მას მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ სიცოცხლეს ემსახუროს ერთგულად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხოვრებამ ბევრი სამსალა დაალევინა. ყველას გასაგონადაა თქმული: „ვერ მომკლა უგუნორთ ძრახვამ// ვერც გრძნობისაგან დამცალა.” მათგან ასეთი მოპყრობა არც უკვირს, რადგან „უწმინდურს წმინდა გრძნობები// სად გაგონილა სდებოდეს”-ო და ამ სენტენციურ გამონათქვამს თითქმის აფორიზმად აგვირგვინებს: „სად თქმულა, ვისაც ვინა სძულს, იმის გულისთვის კვდებოდეს?!”

მთავარი კი ის არის მაინც, რომ არ შემდრკალა მისი გული, როდესაც მკლავ-მუხლმა უსუსტა, მისმა გულმა კი „შესუტა” მათი დანაკლისი ძალ-დონე, მაგრამ „არას დაგიდევს ძრახვასა, მოქმედებს თავის ნებითა.”

ამ ლექსში მკაფიოდ ჩამოყალიბდა ცოდვა-მადლის საკითხი. პოეტი ცოდვად მიიჩნევს აგ-სიტყვაობას, ქვეყნის ჭირ-ვარამის მიჩქმალვას, დუმილს. ერთგან, სხვა ლექსში, ვაჟა გულისტკივილით დაიჩივლებს: „გადაირია ქვეყნა ერთურთზე ავის თქმაშია”(„გუთნისდედის ჩივილი”, 1889წ.), აქ კი მისი გული „განმტკიცდა, გაიზაფხულა, შეიმკო ყვავილებითა”. პოეტი საქვეუნო მადლად იმას მიიჩნევს, რომ მისი გული მეც მიჯავრდება: „არ დასცხოე// ვიდრე ჰმეტყველობ ენითა, // თავის სამშობლოს ვარამი// ალაპარაკე მღერითა, // უნდა სამარის კარზედა

მივდგეთ ჩონგურის ქლერითა// ვაჟკაცნი ლალად, თამამად// ჩვენ ვაჟკაცურის
ფერითა!” და მოუწოდებს:

კარგებო, მოდით, ხელს-ხელი,

ბილწნო, შორს გაიჭრენითა!”

გული ლირიკული გმირისა არა პნებდება ბოროტებას და მაგრობს იმით, რომ-

„მადლი მაქვს, მადლი!-დუდუნებს

თავის მხლებელთა კრებითა:

„ქვეყნის ჭირ-ვარამს ვატარებ,

ვერავინ შემედრებითა!”

(„საახალწლო სიმღერა”, 1907)

როგორც აღნიშნავენ: „ვაჟას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია ცოდვა-მადლის საკითხი. ვაჟას აზრით, მადლი ღმერთთან მიახლებაა, სულიწმინდის გადმოსვლა ადამიანზე; ერთადერთი რეალური ბოროტება კი ცოდვაა-ღმერთისგან დაცილება. ცოდვა-მადლი ვაჟას შემოქმედებაში ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც სინათლე და სიბნელე, როგორც სამოთხე და ჯოჯოხეთი... ყველა საქმის მშვიდობიანად დასრულება, უფრო ფართო მასშტაბითკი ქვეყნის ბედნიერება, ადამიანზე მადლის გადმოსვლას უკავშირდება”(101, 259-260).

ამ გადასახედიდან ლექსი „საახალწლო სიმღერა” უდაოდ შეუწყობს ხელს მკითხველზე ოპტიმიზმის, მამულიშვილობის განცდათა გარდამოსვლას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჟას „საშობაო სიმღერაცა” და „საახალწლო სიმღერაც” დაბეჭდილია გაზეთ „ისარში”. ავტორს მაღალპროფესიონალურად მიუსადაგებია ორივე ნაწარმოები გაზეთის პროფილისათვის. ორივე თხზულებაში ავტორი ნაკლები ნართაულობით ამბობს საშობაო-საახალწლო მილოცვა-სურვილებს და ტვირთავს მათ პუბლიცისტური ინტონაციით. „მართლის თქმის პრინციპით” კიდევაც ამხელს ერის ზნეობრივ მანკიერებებს და იმავდროულად კიდევ უნერგავს მკითხველებს იმედს, ოპტიმიზმს, პატრიოტისმს, სიკეთის ჩადენა-სამსახურის სურვილს.

ბუნებისმეტყველების საოცარი გაკვეთილი ჩაუტარეს ქართველ ბავშვებს ვაჟამ და ჟურნალ „ნაკადულის” რედაქციამ 1909წლის პირველ ნომერში „საახალწლო სიმღერისა” და ამავე წლის ბოლო ნომერში „საშობაო ზღაპრის” გამოქვეყნებით. ეს ლექსი „ნაკადულის” რედაქტორს ჟურნალის მოზრდილ მკითხველთათვის განკუთვნილ ნომრებში გაუმიზნავს. აზრობრივი დატვირთვით, იდეური ამოცანით, მხატვრული აქსესუარებით და მიზანდასახულობით ეს

მართლაც შეესაბამება პუბლიკურის ასაკიდან გამოსული მკითხველების საკითხავ რეპერტუარს.

ქართულ საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკაში საგანგებოდ, მაღალმეცნიერულად არის განხილული ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებები (ა.წერეთელი, ი.გოგებაშვილი, ა.პაპავა, ლ.ბოცვაძე, გრ. კიკნაძე, ა.ჩაჩიბაია, ა.ლვინიაშვილი, თ.ჯიბლაძე, ი.ევგენიძე, ზ.ბოცვაძე, ლ.სულხანიშვილი და სხვა.) შველა ერთსულოვნად აღნიშნავს ვაჟას დიდ ღვაწლს ამ სფეროში.

ერთნაირი სულისკვეთებისაა ორივე „სიმღერა“-საახალწლოცა და საშობაოც. „სიმღერისა“ და „ზღაპრის“ საზეიმო განწყობილებით შეუდო პოეტმა თავის მკითხველებს ბუნების კარი, თბილი კერებიდან დათოვლილი ველ-მინდვრებისაკენ, ტყისაკენ გაახედებს მათ და გაყინულ-შეცივნული უსულო საგნების საუბარს მოასმენინებს მათ, მათ საშობაო და საახალწლო განწყობილებასაც გააცნობიერებინებს პატარებს. ხოლო იმ დროს, როდესაც უენპირო ბუნებასთან შეამავლად მათი ენის მთარგმნელად დიდი პოეტი და ბუნების დიდი მესაიდუმლე დაუდგებათ, უდაოა, სიცოცხლის ბოლომდე ტკბილ და თბილ მოგონებებს, განცდებს არ დაივიწყებენ ისინი და ვაჟა-ფშაველას ხედვით შეხედავენ საქართველოს ბუნებას; ყოველ ახლად შემოსულ შობა-ახალწლელს გაახსენებთ თავს დიდი პოეტის საახალწლო შეგონებანი, ზოგჯერ მსუბუქი იუმორი...

ეს ნაწარმოებები თავისებური მინიშნებაცაა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების გასააზრებლად, ანუ საბავშვო თემატიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია მისი შემოქმედებითი სამყაროსი.

ლექსში „საშობაო ზღაპარი“ (30,295-297) უკვე სათაურიდანვეა ჩამოყალიბებული მისი ფუნქცია, განწყობილება. ზღაპრობა ეს არის შშვენიერი სვლა მოზარდის ინტერესთა სფეროსაკენ, მათი ყურადღების მიკურობისაკენ.

როგორც ეს დიდ ვაჟას პოეტურ ხელწერას შეესაბამება, აქ უმარტივესი ფაბულის მშვენიერ პოეტურ ქმნილებად ამაღლებას ვგულისხმობ, „საშობაო ზღაპარში“ ფაბულის ზღაპრად ქცევას განაპირობებს ამბის განვითარებაში ძირითადად გამოყენებული გაპიროვნება-მეტაფორიზაციის მხატვრული ხერხი-ბავშვთათვის გასაგები ენით ასაუბრება ტყის ბინადარი ხეებისა.

ავტორმა სადად, მაგრამ ნათელი შტრიხებით დახატულ ტყეს შეადარა თავისი სამშობლო. არსებული ვითარება, რეალური ცხოვრება პოეტმა რომანტიზმის ძირითადი ნიშნით წარმოუდგინა მკითხველს. ეს ძირითადად წარსულის იდეალიზაციაში და აწმუოთი უკმაყოფილებაში მდგომარეობს:

„ტყე როგორ დაბერებულა,
ძირს თავი დაუკიდია!

შეუბრალებელს ზამთარსა
ზურგს ტვირთი აუკიდია
საწყლისთვის. ტყეს ზვავი აწევს
მძიმე, თეთრი და დიდია...

(„საშობაო ზღაპარი” 1909წ.)

აქ მოხმობილი ციტატი იმითაცაა საინტერესო, რომ სახეზეა ორი

ანუანბეჭები: 1. გრძელი ანუანბეჭები: „შეუბრალებელს ზამთარსა

ზურგს ტვირთი აუკიდია

საწყლისათვის”

და 2. მოკლე ანუანბეჭები: „ტყეს ზვავი აწევს

მძიმე, თეთრი და დიდია...”.

ლექსის შემდეგი პასაუი უკვე ტყის სხვა ბინადართა-ხეთა განცდების პოეტურ მეტყველებას ეთმობა.

ვიდრე სიტყვას მისცემდა ავტორი, ანუ მთხოვბელი, ხეებს დიდებულად, ყოველგვარი სიყალბის, აუიტირების გარეშე შემოიტანს ოპტიმისტურ, საიმედოობის შემცველ ნოტებს და აქაც ალეგორიულად მიგვანიშნებს ქრისტიანული რწმენის თაობაზე, მხოლოდ შობის ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოება ქცეულა იმედად ამ ყიამათ ზამთარში. ცხრათვალა მზის (იესოს მხატვრული სახე) გამობრწყინებაა ის უძლევებელი ძალა, სითბო და დვთაებრივი ნათება, რომელიც გაალლობს ყინულის არტახებს, დაამხობს ზამთრის საბრძანებელ ტახტს. ტყეს ჩაუსახავს გადარჩენის იმედს, გაუთეთრებს ნათელ დღეს:

„მაგრამ ხანდახან ზამთრისა
დღე გამოჩნდება ნათელი,
და ცხრათვალა მზე კაშკაშებს,
როგორც წყვდიადში სანოელი,
სწორედ ასეთი დღე იყო
შობის სამის დღის წინათა,
ხეებიც, საბან-ახდილნი,
მზეს შეჰაროდნენ მწკრივადა.
ყინული, ნამად ქცეული,
დაბლა ჩამოდის ხშირადა”

(„საშობაო ზღაპარი”, 1909წ.)

როგორც ვხედავთ, ავტორმა, მთხოვბელმა სამოქმედო დროის ლოკალიზება მოახდინა: სამი დღე დარჩენილა შობამდე. მზადების პერიოდში საზეიმო განწყობილებას ხელი ალბათ არაფერმა არ უნდა შეუშალოს, მაგრამ ხეებს

ნათელი დღე, საშობაო განცდები უცებ ადამიანების გამოჩენამ ჩაუმწარა, რადგან „ტყეში მოდიან კაცები, მხარზე გაედოთ ცულები”. მოსალოდნელმა უბედურებამ, ცუდმა წინათგრძნობამ აალაპარაკა ხეები, ყველანი-მუხაც, წიფელიც, არყიც, კუნელიც, სხვა ხეებიც-თავისებურ შეფასებას აძლევენ ტყეში ადამიანთა სტუმრობას.

ბუნებრივია, პირველად მუხას უნდა გამოეხატა თავისი შეშფოთება:

„ოჰ, როგორ მოისწრაფიან,
რომ დაგვაჩნიონ წყლულები!
დაგვესევიან წყეულნი,
როგორც ქარაგანს თულები”

უდაბნოში მძლეველ მოძალადე მეკობრეებად, თულებად, წარმოუდგენიათ ხეებს ადამიანები, მათი სახით ავ ძალად, ტკივილის მომგვრელ მოძალადეებად აღვიქვამთ ადამიანებს, რამეთუ თავის გადასარჩენად თამამად შეუძლიათ სხვებს მიაყენონ ტკივილი, სხვებს დააჩნიონ წყლულები.

შობის წინა დღეებია და წიფლის ხეც უფრო აკონკრეტებს ტყეში ცულმომარჯვებულ კაცთა გამოჩენის მიზნებს:

„ჩვენ რა? ხელს როდი გვახლებენ,-
მუხას, წიფლს ან რცხილასა,-
არც ვერხვს, არც არყსა, არც თხილსა,
ვაი, ნაძვების ბინასა.”

თუ რატომ ითქვა: „ვაი, ნაძვების ბინასა”, კუნელი განუმარტავს მომმებსაც და პატარა მკითხველებსაც:

„საშობაოდა ზრუნავენ
ბალდების გასახარადა,
და იმათ საქვიფოსა
ჰქმნიან ჩვენს გასამწარადა
(„საშობაო ზღპარი”. 1909წ.)

მთხობელი შეუმჩნევლად ცვლის საუბრის შინაარსს და აქ წინ წამოიწევს ზნეობრიობის საკითხი კუნელთან დაკავშირებით.

კუნლის სახით ისეთი ადამიანები არიან წარმოდგენილნი, რომელნიც არ ბაქიბუქობენ თავისი ძალ-ღონით. კუნელს თავისი წვეტიანი ეკლები მომმების კი არა, მტრის წინააღმდეგ აქვს მიმართული. ეს კი ტყის მეფეს მუხას ძალზე მოეწონება:

„ყოჩალ, კუნელო, შენაცა
გქონია გრძნობის ნასახი,

შეუბრალები მეგონე
ვით ეკლიანი ბალახი,
სჩანს, რომ ეკალი არ გიკლავს
შენ სიბრალულის გრძნობასა.
ეგ გრძნობა ძვირფასი არი,
გთხოვ, არ დაიხშო, მმობასა”(იქვე)

ამ ლექსში შემცნებითი ხასიათის ერთ პატარა დეტალზე შევჩერდებით; კერძოდ, ავტორმა ერთი სიტყვით, სხარტი ცნობით გააცნო პატარებს, რომ კუნელი ეკლიანი ხეა. სწორედ ამ ხეს ერთხმად აუბამენ მხარს სხვა ხეები. ისინიც საერთო ტკივილს გამოთქვამენ:

„ოღონდაც, როცა ერთს ჩვენგანს
სცემენ, ჩვენ გვტკივა ყველასა
ტანი იმ დროსა, მაგრამა
დაჩაგრულს ვშველით ვერასა”(იქვე).

ადამიანების მოქმედება გამოწვეული იყო მათი სოციალური, მატერიალური სიდუხჭირით. ზნეობრივად სავალალოა ის, რომ ადამიანები სხვათა უბედურებით, აქ ნაძვების გაჩეხვით, ცდილობენ თავიანთი გაჭირვების მოგვარებას. ეს ხომ ზნეობრივად გაუმართდებელია.

ნოველისტური ზღაპრის კომპოზიციურმა სტრუქტურამ განაპირობა, რომ ფაბულაში უეცრივ იცვლება ამბავი, კერძოდ, შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მთელი თავისი არსებით გაბრწყინდება მაცხოვარი ჩვენი. იხატება მისტიკური მოვლენა-როდესაც რამდენიმე ნაძვის ხე წაიქცა, ხელცულიანი კაცები საოცრების მხილველნი გახდნენ:

„ჰედავენ: მონაჭრიდანა
ნაძვებს გადმოსდით მელანი”(30,297).

მათ იქვე დაყარეს ცულები და გაოცებულებმა ერთმანეთს გადასძახეს:

„ხელს ბავშვი მიჭერს ვიღაცა,
ანგელოზისა მსგავსია,
მკლავებს მიღუნებს, თვალებს მჯრის,
თითქოს მზე მადგას ასია”(იქვე).

ლექსის მეოთხე ნაწილში გრძელდება ზღაპრული მოვლენები:

„თოვლი ქაღალდად ქცეულა;
მაზედ ჩვილის ყრმის ხელითა
ზედ იწერება ამბავი

ალმასის კალმის წვერითა...”(იქვე).

მშვენიერ სახე-დეტალებს სთაგაზობს მეზღაპრე მკითხველებს. ესენია: ანგელოზად ყრმის გამოცხადება, მისი ბრწყინვა დადარებული არის მზის ნათელთან, მოჭრილი ნაძვების სისხლად მელნის გამოსვლა. ეს უკანასკნელი იმისთვის დასჭირდა მთხობელს, რომ თოვლი ქაღალდად გარდაესახა, რომელზედაც ალმასის კალმის წვერით ჩვილი ყრმა წერს ამბავს.

ყრმა იესოს ხელით დაწერილში ხდება ზნეობრივი შეგონების დვთაებრივი და პოეტური განაცხადის ბრწყინვალე შეზავება, გაერთიანება, გატარებულია ზნეობრივ-აღმზრდელობითი ტენდენცია-ნუ ვეცდებით სხვათა უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების, თუნდაც უმნიშვნელო კომფორტის, მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

მაცხოვრის სიტყვები მიმართულია ტყეში მყოფი მუშაკებისადმი. მეზღაპრემ მიმართვის ფორმის შემოტანით მონოლოგის მხატვრული ფუნქცია მიანიჭა უფლის განაცხადს. მკითხველის ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით, მთხობელმა მათოვის გასაგები სიტყვებით მოახდინა სახარების მხატვრული ტრანსფორმირება. ემოციურად, მიზნობრივად გამართლებული და ეფექტურია ის, რომ კაცთა მოდგმას შეაგონებს ყრმა იესო:

„...მიტომ არ მოვედ ქვეყნადა,
მიტომ არ დავიბადია,
რომ ყველამ ის ჩაიდინოს,
რაც მოსწონ, რაცა სწადია;
მიტომ არ ვეცვი ჯვარზედა,
საქმე ვიკისრე ძნელია,
ერთის ტანჯვითა მეორემ
რომ მოიღეროს ყელია,
უმწეოთ, ტანჯულო ცრემლებით
ჩემი კალთები სველია
და, უკაცრავად, ავზედა
არ მოგიმართოთ ხელია!“(იქვე)

და აქვე ყრმა იესო თხოვნის ფორმით მიმართავს ხელცულიან მუშაკებს, რომლებიც იმჟამად ავის მქნელები იყვნენ: „გთხოვთ, ერთ დღეს, ერთ დღეს მაინცა არ იყოთ ავის მქნელია“. თხოვნასთან ერთად ეს სიტყვები მკაცრი გაფრთხილებაც იყო მხილველისათვის.

მძლავრ მხატვრულ-დიდაქტიკურ და ფსიქოლოგიურ სვლად მივიჩნევთ ზღაპრის ფინალურ სიტყვებს:

„ვინ იყო ამის დამწერი,
ვინ იყო ამის მთქმელია?”

უპირველესყოვლისა, ამით ავტორმა კომპოზიციური მთლიანობა მიანიჭა ზღაპარს, ფსიქოლოგიურ ეფექტურობას აღწევს ამ ორი რიტორიკული შეკითხვის ტოლფასი მიმართვით ნორჩი მკითხველებისადმი.

ავტორმა და უურნალმა „ნაკადულმა” ბოროტების, სიავის დათრგუნვის ქადაგებით, ადამიანებში თანაგრძნობის, თანაალმობის დანერგვით მკითხველებში, მოზარდებში, მართმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცებას შეუწყეს ხელი. აქვე უნდა გავიხსენოთ ლოცვის სიტყვები „ავისა და მრისხანების გამო”: „უფალო, მადლითა შენითა პქმენ კეთილ მონაი ესე შენი”(58. „ლოცვანი. საღვთო წირვა”, გვ.207).

გვწამს, რომ ვაჟა-ფშაველას „საშობაო ზღაპარი” დღესაც ეფექტურად მოქმედია ადამიანთა, განსაკუთრებით მოზარდთა, ზნეობრივი წრთობის, აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება – დანერგვის საქმეს.

„ნაკადულის” მოზრდილ მკითხველთათვის არის გამიზნული საახალწლო მილოცვები ლექსში „საახალწლო სიმღერა” (ახალიწელია და მაინც ქარი ქვითინებს მწარედა),-1910წ. კ.,„ნაკადული”, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი რედაქციამ გამოაქვეყნა „საშობაო ზღაპრის” შემდეგავ.

„საახალწლო სიმღერა” ანტითეზისის, დაპირისპირების მხატვრულ-სტილისტიკური ხერხის გამოყენებითაა შექმნილი.

თეზაში მოცემულია იმდროინდებული საქართველოს მძიმე სოციალური და ზნეობრივი ფონი. შეფასება დროისა, ცხოვრებისა მკითხველის ასაკის გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

თხულება დაცლილია ყალბი საზეიმო, საახალწლო აუთოტაჟისაგან. ლექსის ყველა პასაჟი ლოგიკური თანმიმდევრობით, მიკროთემატიკის ერთიდაიგივე სიტყვებით-„ახალიწელია”-დაწყებით წარმოჩენილია ლირიკოსი ავტორის, ცხოვრებისაგან დაჩაგრული კაცის ლეგა, მძიმე განწყობილება.

ავტორს არ ახარებს ამ ახალი წლის დადგომა იმიტომ, რომ იმედგაცრუებულია წინა ახალწლის დანაპირებთა შეუსრულებლობის გამო, არ ახარებს არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ახალი წელია, ტრადიციულად სიხარულისა და იმედების მომტანი, მაგრამ: „ახალწელია და მაინც ქარი ქვითინებს მწარედა...”, „ახალწელია და გვადნობს სულდგმულთ სიცივე ძვალებსა...”, „ახალწელია, კერაზე ცეცხლი მიქრება, ნელდება...”, „ახალწელია, ავად ვარ, მუხლები აღარ მოყვება...”, „დალოცვილ ახალწლისაგან ვეროდის ვნახე

მოგება...”, „ახალწელია, მაგრამა ვარდ-იათ როდი აყვავებს...”, „ახალწელია, ახალი, რას მოველოდეთ მისგანა? ცრემლსა და ვაი-ვაგლახსა, როგორც წარსულის წლისგანა!”(30,298-299)

მართალი კაცის სიმართლით შეფასებული, რეალისტი მხატვრის მიერ დახატული რეალური ცხოვრება მის ბევრ თანამოზიარეს, მის ბედში მყოფთ, უთუოდ გულზე მოხვდება და თუ გამოსარჩლებლად არ ეყოფა, ჩააფიქრებს მაინც. თუმცა აქვე ნუ დავივიწყებთ ურნალის პროფილს, მკითხველთა ასაკობრივ რეგლამენტს, მათ რეაქციას ასაკობრივი ფსიქიკის თვალსაზრისით და ანტიოზაში, ლექს-სიმდერის მეორე ნაწილში ასევე მიმზიდველად, სადად, დინჯი კილოთი, იმედის მიმცემი განწყობილებით აქარწყლებს ავტორი გაუსაძლისი სოციალური თუ ზნეობრივი პრობლემების გამო გახმიანებულ ჩივილებს;

ავტორს რომ არ აერიოს სასიმდერო ტაქტი, რომ არ გაჩნდეს ლექსწყობაში დისპარმონია, მიუმართავს თეზაში გამოყენებული სტილისტური აქსექსუარისათვის (ვგულისხმობთ, როგორც ოდნავ წინ აღვნიშნეთ, ყველა თემატური რკალის ერთიდაიგივე სიტყვებით დაწყებას).

განსახილველი ლექსისთვის გარკვეულ პრეამბულას წარმოადგენს პირველი რვა სტრიქონი-ანტიოზისისა:

„სიმწარის დაშინებულნი
ვცდილობთ, გავიტკბოთ ყელია
წინასწარ, რომ ავიტანოთ
ასატანელი ძნელია”
(„საახალწლო სიმდერა” 1910წ)

ამით პოეტი შიშს კი არ თესავს მკითხველში, არამედ აფრთხილებს მას, ამზადებს მომავალი სიმძიმეების ასატანად და პრეამბულის მეორე ნახევარში მაშინვე უბრუნდება საახალწლო განწყობილებას, უნერგავს ნორჩებს ოპტიმიზმს, მომავალი რომ კარგი იქნება, საბოლოო ჯამში:

„ღმერთს ვსოხვოთ, არ დავარდნოდეს
დროთა ტრიალსა ცხენია,
ერთხელ მოგვიტანს კარგსაცა,
ამის თქმა არა მრცხვენია”(იქვე).

და ამას მოსდევს ლოგიკური გაგრძელება ოპტიმისტური ნოტისა:

„ახალწელია და მიტომ
იმედი გულსა მფენია:
იქნებ განგებამ გვაკმაოს
რაც ჭირი დაგვითმენია.

ახალწელია. თენდება
ყივის და ყივის მამალი,
ცაზე ცისკარი კაშკაშებს,
ჩაბრძანებულა მრავალი”(30,299)

ამ მონაკვეთში „ყივის მამალი” და „ცაზე ცისკარი კაშკაშებს”-ერთი და იგივე დროის, გათენების, გამომხატველი სინონიმებია. ხოლო უშუალოდ „ცაზე ცისკრის კაშკაში” ბიბლიურადაც ხომ ძირითადად სიხარულის, იმედის, ამაღლებული განწყობილების მაუწყებელია: „მწუხრი ტირილი და ცისკრის სიხარული”(ოქრ.გურიტ. 227,21); და „ცისკრის იყოს სიხარული”, აღდგ. 157,10); (4,517). ამიტომაც გამოუხატავს თავისი იმედიანობა იქვე: „თავს დამფრენს ტკბილი ოცნება, ტანჯული კაცის წამალი...”.

მშვენიერი ფსიქოლოგიური დეტალის მატარებელია შემდეგი ოთხი ტაქტი:

„წამოიშალნენ ბალდები,
გადიგდებინეს საბანი,
ტკბილეულობას დაეცნენ,
ვის აგონდება ანბანი?”

დამაჯერებელია ბალდების საქციელიც და პოეტის მიერ სითბოთი, ალერსით, მსუბუქი იუმორით თქმულიც: „ვის აგონდება ანბანი?”. დიდსულოვნად „ჰპატიობს” იგი პატარებს ამ ბავშურ ცოუნებას და გულწრფელ ლოცვასაც შეაწევს მათ:

„გმირებიც დაიზრდებიან,
ხარობდეს ქართველთ მთა-ბარი!
ცამდე აზიდულ გრძნობითა
გული ჩაედვასთ მაგარი!”

და აქვე ნაცადი სიუშეტური ხერხი-ლექსის დაბოლოება შეკითხვით: „მეკვლეს მოველით ხმა-ტკბილსა, რად იგვიანებს, სად არი?”

როგორც ვხედავთ, საშობაო თუ საახალწლო თემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესთა სამყაროში გამორჩეულ ადგილს იკავებს არა მარტო იდეური, შინაარსობლივი მუხტით, არამედ მხატვრულ-სტრუქტურული თვალსაზრისითაც.

1900-1910-იანი წლების საახალწლო ციკლის ბოლო ნაწარმოებებია: „საშობაო სიზმარი”, გამოქვეყნებული 1913წლის 25 დეკემბრის ნომერში და „„ძან ახალწელია”–დაბეჭდილი „საახალხო გაზეთის“ 1913 წლის №1081-ში.

ვაჟა-ფშაველას „საშობაო სიზმარი” თავისი სტრუქტურით, კომპოზიციური მოდელირებით იმეორებს წინა წლებში შექმნილ საშობაო-საახალწლო ფორმებს,

ანუ აქაც ლირიკოსი ავტორის მიერ გამოყენებულია ანტითეზისის სტილური ხერხი, ემოციური მუხტი, დამაიმედებელი, ოპტიმისტური ფინალი.

ამ სამნაწილიანი ლექსის პირველი თავი ფაქტიურად მთელი თხზულების თეზაა, რომელიც მეორე თავში ნაწილობრივ გრძელდება და აქვე იწყება ანტითეზისით გაქარწყლება კოშმარული განწყობილებისა, მესამე ნაწილი კი ოპტიმიზმით, ამაღლებული განცდით გამოირჩევა;

ამ ლექსში მნიშვნელოვანი დეტალია სიზმრის ფაქტორი. „სიზმრის მნიშვნელობა და მისი კომპოზიციური როლი განხილულია პროფ. მიხ. ზანდუკელის ნაშრომში „სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში”.

პროფ. მიხ. ზანდუკელს საფუძვლიანად აქვს დასაბუთებული უშუალოდ „სიზმრის მითოლოგიურ-ფსიქოლოგიური ბუნება”(37, 319). ამ ასპექტითაა განხილული ვაჟას მოთხოვობები: „სიზმარი ობლისა”, „საახალწლო სიზმარი”, ლექსი „ერეკლეს სიზმარი”, პოემები: „გველის ჭამელი”, „ალუდა ქეთელაური”, „ბახტრიონი” და „გიგლია”.

პროფ. ი. ევგენიძის მიერ სიზმრისეული მასალა გაანალიზებულია შემდეგი ნაწარმოებების მიხედვით: „დევების ქორწილი”, „შთაბეჭდილებანი”, „მთიელის უბედურება”, „მონადირე”, „მოჩვენება” და სხვა. შეაჯამებს რა ნაწარმოებებში მოცემულ სიზმრისეულ, მითიურ ჩვენებებს, იგი წერს: „ვაჟას ლირიკასა, ეპოსსა და პროზაში წარმოდგენილი ხილვები ეპიკოსი პოეტის ხილვებია და მათი ურთიერთმსგავსება ვაჟას შემოქმედებითს მთლიანობას მოწმობს”(27,253).

„საშობაო სიზმარში” (წუხედა ვნახე სიზმარი) სიზმრისეული ხილვები იწყება კოშმარული ამბებით: მამაპაპეული სახლი ჭერჩამონგრეულია, სახლში მყოფთ თოვლ-ჭყაპი დასდით თავზე, კერაზე ცეცხლია ჩამქრალი და მის გარშემო შემომსხდარ შვილებს „აძევთ სიკვდილის ფერია”, ამის მხილველი მამის თვალთაგან წამსკდარ ცრემლებს „ნახევრად სისხლი ერია”. ამ რეალურ ხილვებს უმალ ჩაენაცვლება მითიური ხილვები: როდესაც მამამ გადაწყვიტა სახლის ჭერის გადახურვა, მას დევმა უტაცა ხელი, მოესმა მისი მუქარა-„ეხლავ გაგაქრობ,... თუ ხელი გაგინძრევიაო”(I,350). ხედავს მამა სიზმარში, რომ სახლ-კარი „ბოროტ სულს დაუჭერია”.

როგორც აღინიშნა, კოშმარული ხილვა II ნაწილის დასაწყისშიც გრძელდება—დანგრულ ინტერიერს დაემატება გავერანებული ექსტერიერი: მგლები და დათვები ფლეთდნენ და გლეჯდნენ მის ცხვარ-ძროხას. ეღუპებოდა სარჩო-საბადებელი ამ ადამიანს, შველა კი არსაიდანა ჩანდა:

„სხვად ვერას ვშველდი, ვტიროდი,
მდუღარე დამინთხევია”(30,350).

თუ მამის სიზმრის ახსნას დავიწყებთ, საინტერესო გზამკვლევად გამოჩნდება გერმანელი ფსიქოლოგის კარლ გუსტავ იუნგის განმარტება სიზმრისა. იგი თვლის, რომ სიზმარში ხილული „...ჩვენი გონების მიერაა აგებული და თუ ჩვენი სიზმრები გარკვეულ იდეებს წარმოგვიდგენს, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი იდეებია, რომელთა სტრუქტურაში მთელი ჩვენი არსებობა არის ჩართული... სიზმრის მთელი მუშაობა, არსებითად, სუბიექტურია და წარმოადგენს თეატრს, რომელშიც თვითონ სიზმრის მნახველი არის სცენა, მოთამაშე, სუფლიორი, პროდუსერი, ავტორი, მაყურებელი და კრიტიკა.”(42,266).

ლექსში ნათლად იხატება ის ობიექტური გარემო, რომელშიც განეფინება სიზმრისეული ხილვა. მძიმე სოციალურმა, ცხოვრებისეულმა ყოფამ სიზმარშიც გაავრცელა თავისი დიქტატი; სიზმარში ხომ დროისა, მოქმედების ადგილისა და თვით მოქმედების „შემოქმედებითი” თავისუფლებაა დასაშვები. ამიტომ არცაა გასაკვირვი, რომ რეალური, მითოსურ ფანტასტიკური ან ენაცვლებიან ერთმანეთს, ან ერთად ამოქმედებენ სიზმრის მნახველს.

სიზმრისეული განწყობილებანი, სიტუაციები მყისიერად ცვალებადნი არიან და ამ ლექსის ლირიკულმა გმირმაც კოშმარული ჩვენებების შემდეგ ოპტიმისტური, თუმცა, ცხოვრებისეული ხილვა იხილა:

„გავხედე: ვნახე ასული,
ყორნების, მგლების მცემელი,
ის ჩემი ძვირი სტუმარი,
ჩემი ნუგეშისმცემელი,
გრძნობების ამტყინებელი,
გულის სიმების მრხეველი”.

მისი სახით პოეტი ისეთ იდეალს წარმოაჩენს ქალისას, რითაც რადიკალურად განსხვავდება ქალის იდეალის მინდიასეული („გველის მჭამელიდან”) და გოგოთურისეული („გოგოთურ და აფშინა”) გაგებისაგან.

ხალხი აუღელვებია „ქალის მამაცურ ქცევასა”, „შიგ და შიგ „ვაშას” უძღვნიდნენ ქალის მამაცურ ქცევასა, ბრძოლას კი ვერა პბედავდნენ, იყვნენ კრძალვას და რყევასა”. ამ მამაც ქალს ვერც სიზმრის მხილველი ეხმარება და ცრემლებმორეული აღიარებს კიდეც:

„გული მიკვდება ძალზედა,
რომ იმ ჩემს მეშველს მხევალსა
მე გავდგომივარ განზედა,
საწყალს ვერ მიგშველებივარ
ხელ-დადებული ხმალზედა”(I,350).

განსახილველი თხზულებების მესამე ნაწილშიც სიზმრის მოყოლასთან დაკავშირებულ ფორმულად ქცეული თქმით იწყება: I ნაწილი ასე იწყება: „წუხელა ვნახე სიზმარი”, II ნაწილი—„გავხედვ, ვნახე ასული” და მესამე ნაწილი: „შევხედვ, მოვრჩი სნეულიო,” „და ვნახე დევი იქიდან გადათხეულა წყეული!”

ეს სტილური დეტალები ადასტურებენ სიზმრის შესახებ იმ თეორიას, რომ „სიზმარი, რაც უნდა ფანტასტიკური და უცნაური იყოს, მაინც პიროვნებისეულია. ეს გარემოებაც სიზმრის განწყობის თეორიას ამტკიცებს”(37,332).

სიზმრის საახალწლო განწყობილება ოპტიმისტური უნდა ყოფილიყო. მართლაც, სიზმრის მნახველს შობის წინა დამეს დაესიზმრა ის, რასაც, სჩანს, მთელი არსებით ნატრობდა, რომ გადაკარგულიყო მისივე სახლ-კარიდან. სიზმრის ოპტიმისტური ტენდენციები ისეა სიუჟეტში გაშლილი, რომ ლექსი იძენს პატრიოტულ სულისკვეთებას. ამის სულის ჩამდგმელი კი ქართველი დედაა, დედაკაცია. რაც ვერ შეძლეს კაცებმა, ის განახორციელა დედურმა საწყისმა, მისმა შეუპოვრობამ, მისმა თავდაუზოგავმა ბრძოლამ იარაღით ხელში:

„გავხედვ: ვნახე ასული,
ყორნების, მგლების მცემელი.
ის ჩემი ძვირი სტუმარი,
ჩემი ნუგეშისმცემელი”(I,350).

თურმე არც ამ მძიმე ვითარებაში დაუკარგავს ასულს თავისი სინაზე, მიმზიდველობა, ამაღლებული გრძნობა სიყვარულისა. აკი ამბობს კიდეც მის შესახებ სიზმრის მნახველი, იგი ჩემთვის არისო „გრძნობათა ამტყინებელი, გულის სიმების მრხეველი”.

თავისი, პოეტის, დღეთა გამოძახილად უნდა აღვიქვათ სიზმრად ნანახი პასიურობა, მომჩვარება, მერყეობა, სადღაც სიმხდალეც საზოგადოებისა. ამ საერთო მდგომარეობას თურმე არც სიზმრის მხილველი ჩამორჩენია: „ვერც რას მე ვშველდი, მხოლოდა ვტირი, მოვთქვამდი მწარედა”. ასულის შესახებ კი გულწრფელად სიმართლეს ამბობს:

„ის იბრძვის ერთი, მარტოკა,
ძველის მანდილით თავზედა,
აბროხობს და ერჩის მტაცებლებს;
გული მიკვდება ძალზედა,
რომ იმ ჩემს მეშველს მხევალსა
მე გავდგომივარ განზედა,
საწყალს ვერ მივშველებივარ
ხელ-დადებული ხმალზედა”(30,350).

მოხმობილ ციტატაში რამდენიმე სახუდეტალია საინტერესო. თითოეული მათგანი ახალი განწყობილების შექმნის იმპულსებს იძლევა. კერძოდ, მებრძოლ ასულს ამშვენებს „ძველი მანდილი თავზედა” და სიზმრის მთხოვნელსაც ხელი აქვს დადებული ხმალზედა. ამით ქვეცნობიერად იგრძნობა, რომ უკვალოდ არ ჩინვლის ამ თავგანწირული ასულის სულისკვეთება.

მართლაც, სასიკეთოდ შეიცვალა უმაღ ცხოვრება სიზმრის მნახველისა. მან შეხედა ცას, შეხედა ასულს და განიკურნა სნეული; როგორც იტყვიან, პოეტს აქ გამოყენებული აქვს აზრის გაცხადების „მისტიკურ-ალეგორიული ხერხი”(101,67).

ავტორის სისხლნარევი ცრემლები აქ მისი განწმენდის მაჩვენებელი კი არა, არამედ მისი უსასოობის, უდონობის, სასოწარკვეთის დამადასტურებელია, რადგან მის გარემოს დევი, მგლები და დათვი, ბოროტი სული დაპატრონებია და თავად მას ვერა გაუწყვია რა მათ ასალაგმავად; ვფიქრობთ, არც მებრძოლი ასულის ხილვა-გამოცხადება არ მიანიშნებს მის არც რელიგიურ წმინდანთა პიპოსტაზობაზე, არც ქვეყნის სიმბოლურობაზე. იგი ერთი სანატრელი პატრიოტი ქართველი ასულია, რომლის მსგავსებმაც დღევანდელობას გადმოულოცა ჭირნახული საქართველო. ყურადსაღებია პროფ. თ. შარაბიძის აზრი: „განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს ვაჟას შემოქმედების კვლევისას, რომ პატრიოტული დირიქის ნიმუში განვასხვაოთ პოეტის შემოქმედებაში ჭარბად არსებული ქრისტიანული ნაკადისა”(101,67).

ამ სიზმრის ასული ქართვლის დედის ტიპიურ სახედ მიგვაჩნია, ვისთვისაც ღმერთს მიუცია სიყვარულის მადლიც, მებრძოლის შემართებაც, პატრიოტიზმის გრძნობაც. ჩემი რწმენით, ამან განაპირობა ლექსის პოლითემატიკურობა.

სხვა ქვეთემებისგან საკმაოდ განსხვავებულია სიზმრის ქრისტიანულ-მისტიკური ოქმა:

„შავი ზღვით კასპიის ზღვამდე
მდგომელნი უფლის კარზედა,
გაწკრივებულა ლაშქარი,
ხმლები უპყრიათ ლამპრადა,
დასცქერენ საქართველოსა,
მიღებული ჰყავთ გამდლადა,
სიყვარულს თავის ქვეყნისას
სთვლიან უაღრეს მადლადა,
ტაბლიდან ახალგაზრდები
თითებს უნთებენ სანთლადა”(I,350).

ბუნებრივად მიგვაჩნია სიზმრის მთხოვბელის რეაქცია საიქიოდან მოსულთა ხილვისას: „სულ დამავიწყდა სახლ-კარი, როცა ვიხილე ყველანი”. წამიერი აღმოჩნდა მისთვის ეს აღტაცება, რადგან ისინი გრძნეული ფარდის იქით აღმოჩნდნენ”. გაქრა მისტიკა. დაუბრუნდა რეალობა სიზმარს და ჩნდება ახალი ნაკადი სიზმრის სიუჟეტში—ნახა, რომ მისი სახლიდან, იმ არე-მარედან დევი სადღაც გადაკარგულა.

ღვთის წყალობით, წინაპართა სულის გამოლვიძებით ქართველმა მანდილოსანმა გააძევა მისი სახლ-კარიდან, მთელი ქვეყნის სიმბოლურობაზე რომ მიგვანიშნებს, ბოროტი ძალა, სატანური სული, დევი.

სიზმრის ფინალური განწყობილება, ზოგიერთი რეკვიზიტი ჩემს წარმოდგენაში აცოცხლებს სანათასა და ლელას „ბახტრიონიდან”.

ასულის გამოჩენისას მოგვესმის სანათას სიტყვები—„უკაცურთ კაცობა გვმართებს”, მისი ასაკი და მებრძოლი სული ლელას მახსენებს, ხოლო სანათას ნატვრა—„თუ ამას გავიგონებდი... ჭრელს ჩავიცომდი კაბასა”—ასრულებულია სიზმრად გამოცხადებული ასულის გარეგნობაშიც, განწყობილებაშიც.

„ის ჩემი მცველი ასული

„მრავალ-უამიერს” გალობდა,

ტანთ ჭრელი კაბა ჩაეცვა,

ჩემზე მეტადა ხარობდა”(„საშობაო სიზმარი”)

ვაჟას შემოქმედების თემატიკა მდიდარია, ახასიათებს პოლიტიკურობა. ყველა თემატური ციკლი აქტუალურია იდეურად არა მხოლოდ თავისი დროისათვის, არამედ სადღეისოდაც.

როგორც ვხედავთ, საშობაო-საახალწლო თემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესთა სფეროში თავის ადგილს იჭერს არა მხოლოდ იდეური, შინაარსობლივი მუხტით, არამედ მხატვრულ-სტრუქტურული თვალსაზრისითაც.

მაგალითად, მრავალი იდენტური მხატვრული ხერხიდან გამოვარჩიეთ ორი ლექსის-1909წელს დაწერილი „საშობაო ზღაპრის” და 1910 წელს გამოქვეყნებული „საახალწლო სიმღერის”—საფინალო სტრიქონების კითხვითი წინადადებებით დასრულება: I. „ვინ იყო ამის დამწერი, ვინ იყო ამის მთქმელია?”(„საშობაო ზღაპრი”) და II. „მეგვლეს მოველით ხმატკბილსა; რად იგვიანებს, სად არი?”(„საახალწლო სიმღერა”)

მითითებული მხატვრულ-სტილისტური ხერხით ლირიკოსი პოეტი უმალ შედის ნორჩ მკითხველებთან ემოციურ კონტაქტში და ნაწარმოებთა იდეური ამოცანა, ავტორის მიზანდასახულობაც ბრწყინვალედაა გადაჭრილი.

ვერსიფიკაციის ასპექტით დიდი პოეტური დატვირთვა ეძლევა ავტორის მიერ ანუამბემანის ჭარბად გამოყენებას, რომელსაც ქვემოთ ცალკე შევხებით.

საკმაოდ განსხვავებული ტონალობისაა ჟურნალ „ჯეჯილის“ 1900 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული მოზრდილი ლირიკული ლექსი „ზამთარი და გაზაფხული“.

მოცემულ ლექსშიც დიდი პოეტი თავისუფლად ეპყრობა უანრულ ელემენტთა ურთიერთობას. თავისი ემოციურობით, ნატიფი სიუჟეტით, პირადი განცდების გამჯდავნებით „ზამთარი და გაზაფხული“ ლირიკულ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, ხოლო ამბის გაშლით, ფაბულით იგი გვაგონებს ქართული ეპიკური პოეზიის ერთ „მიგიწყებულ“ უანრს-გაბაასებას.

ზამთარსა და გაზაფხულს შორის გაბაასებაში გარკვეულ როლს თამაშობს მთხოვობელი. იგი კომენტარებით მონაწილეობს სიუჟეტში, ერთგვარი გზამკვლევია, მოკამათეთა სასაუბრო თემის გეზის მიმცემია. ამით სახალისო ურთიერთობას ამყარებს ნორჩ მკითხველთან, უადვილებს მათ შინაარსის აღქმას, რაც მთავარია, თვალთახედვიდან არ გაექცევა ყმაწვილს მოკამათეთა ფერადოვნება, მიმზიდველი იერ-სახე.

აშკარაა, რომ მთხოვობელის სიმპატია პირველივე სტრიქონიდან გაზაფხულისკენაა მიმართული:

„ყავლი გაჲსვლოდა ზამთარსა,
მიჩანჩალებდა ჩუმადა...
ქვეყნად არც ერთმა სულდგმულმა
არ გააცილა მმურადა.
ყველა მისძახდა: „გაგვშორდი,
რაც გვტანჯე ისიც კმარაო,
ჩვენი ყოფა და ცხოვრება
სულ შენგან დაიცარაო!“(1,173)

ლექსის პირველი თავი თავიდან ბოლომდე ავტორისეული კომენტარია მოვლენებისა. დიდებულად, მაღალმხატვრულად არის გამოძერწილი ქრონოტოპი, გარემოსა და დროის პარმონიული შერწყმა. ყველას შეძახილს უერთდება მთხოვობელიც და მოკლედ, სხარტად ამცნობს მკითხველს, რომ ზამთარს „სწორედ აქ ბინა აღარ აქვს, ადგა და გაიპარაო“. ბუნებრივია, მისი ადგილი გაზაფხულმა უნდა დაიჭიროს: „გაზაფხულს ჯარი მოუდის, მეტი არ არის ჩარაო; ზამთარმა ჯაგლაგი ცხენით მთა და მთა შეიარაო“. ბუნებრივია ისიც, რომ ზამთარს ნირი წახდენია: „ძალიან დაღვრემილიყო, ძალიან გული სტკიოდა“, არ უხარია ტყე-კულის გაცოცხლება, კაეშანს უმატებს „მინდვრის პატარა ქალები“, ანუ ყვავილები,

როგორც თავად პოეტი განმარტავს. ყოველმხრივ ხელი მოსცარვია ზამთარს, მოხუცს, „კუდალა ცხენის პატრონს”.

პატარა მკითხველს კარგად დაამახსოვრდება, რომ მოხუცებული ზამთრის ცხენი ჯაგლაგია და კუდალა; სამაგიეროდ, გაზაფხული „მოაქროლებდა მერანსა, წითლად და მწვანედ ჰმოსავდა ქვეყანას მწირს და ვერანსა. თან მოსდევთ ყვავილთ კონები ფრინველთა გუნდი ათასი... წინ გადაუდგა მოხუცსა ვაშკაცი , ლალი, კაპასი და უთხრა:-გამარჯვებაო!“;

ამგვარი შესავლის, მოსამზადებული პერიოდის შემდეგ უკვე იწყება გაბაასება გაზაფხულისა და ზამთრისა.

დაუოკებელი ენერგია მოდის გაზაფხულისაგან, შემტევია და თანაც სამართლიანი მისი პრეტენზიები ზამთრის მიმართ: „რად გიყვარს ქვეყნის წვალება, რადა ხარ აგრე ბილწია?” მუქარაც გამოერევა მის სიტყვებში, ზამთარი კი უბასუხებს:

„ერთი თვის წინათ სად იყავ,
ახლა რომ მიტევ, „ვაჟაო”?!
ვერას გაჲხდები, ზამთრისგან
ქვეყანა დაიბაჟაო.
თქვენ სამთა ძმათა ამაგი
სულ ჩემგან დაიხარჯაო”.

პატარა ჩაფიქრდება და მიხვდება, რომ ის სამი ძმა მარტი, აპრილი და მაისია, ქვეყნის დაბაჟებაში კი ზამთრის ვალის გადახდა იგულისხმება. ზამთარი პოზიციას არ თმობს, ნიშანსაც უგებს გაზაფხულს, თავის ცუდსაც არ მაღავს: „დამჭლევებული ჩემგანა ცხვარი, ძროხა და ხარები ძლივს დაათრევენ ფეხებსა, დადიან როგორც მოვრალები”.

ზამთარ-გაზაფხულის გაბაასებას ეთმობა ლექსის მესამე თავი. ძალზე მნიშვნელოვან კითხვას დაუსვამს ოდნავ დამშვიდებული გაზაფხული გულდრმო მოხუც ზამთარს:

„მამაშვილობას, მითხარი,
გინ გძულს, გისი ხარ მტერია?!
ათასგან დაიარები,
გიცნობს სხვადასხვა ერია.
ან სიყვარული შენს გულში
ქვეყნად გისიმე სწერია?”(30,174).

შეიძლება უცნაურად ქდერდეს ზამთრის პასუხი, მაგრამ სიმართლის მარცვალს უთუოდ შეიცავს. მისი პასუხით ბავშვები კმაყოფილნი დარჩებიან, რამეთუ ზამთარს ნამდვილად აქვს ნაგრძნობი მათგანაც მისი სიყვარული. აკი კარგადაც განუმარტა გაზაფხულს თავისი ურთიერთობა პატარებთან:

„ბავშვები მიყვარს, სხვა არვინ,
ხელ-ფეხ ფუნჩულა, ცელქები;
სხვა ყველა მიფრთხის, მემალვის,
როს ქვეყნად დავეხეტები”.(იქვე)

უენპირო გარემოც კი აღარ დებულობს საკუთარი სიცივით შეციებულ ზამთარს; სამაგიეროდ, ბალდებს არ ემეტებათ გასარიყად იგი. ასე გულწრფელია ზამთარი ამ დროს და ისე გატაცებით უყვება გაზაფხულს ბავშვების სიხარულის თაობაზე, რომ დაუვიწყარი სურათი იხატება უშუალოთ პატარებისა; მის თითოეულ სიტყვაში, ფრაზაში ნორჩი მკითხველი საკუთარ თავსაც დაინახავს:

„ბავშვებს ვუყვარვარ, უეცრად
გამოცვიან კარშია,
ან გუნდაობენ, კიუინით
არბენინებენ ციგასა,
არ ესმით დედის ვედრება,
ჟურს არ უგდებენ ძიძასა...
აქეიფებენ ბალდები
ამ თავის მოხუც ბიძასა”(იქვე).

ბრაზმორეული გაზაფხული აწყვეტინებს სიტყვას მას და აფრთხილებს კიდეც „გულქვა მოხუც”:

„წადი, აჩქარდი, ეცადე,
რომ მალე ავლო სერია;
თორემ ხომ ხედავ, ღრუბლებსა
სურს თავში დაგვკრას კვერია,
დაგვკრას და დაგვანიაოს,
ზურგზე გადინოს მტვერია”(30,175).

აქ წყდება მათ შორის კამათი და ლექსის დანარჩენი ასპარეზი მთხოვობელს რჩება.

გაპიროვნების მხატვრული ხერხის მომარჯვებით პოეტი დინამიკურად, მოძრაობაში ხატავს ზამთრის სვლას, უფრო სწორედ, ზევით, იალბუზისაკენ, ყინულის გვერდით ასვლას და იქ დაბინავებას:

„აბრძანდა იალბუზზედა

და, ყინულების გვერდითა,
ისიც თეთრ-ჯავშან-მოსილი,
დადგა იმ თავის ცხენითა,
იქ მოიბრუნა მან გული,
იქ განისვენა შვებითა”(იქვე).

ავტორს რეალობისა და მწვრთნელის გუმანი არ დალატობს და პატარებს გულში მომავალი სიხარულის იმედს უტოვებს: ზამთარი „დროს ელის, ისევ გვესტუმროს ჩვეულებრივის წესითა”.

ამის შემდეგ მკითხველის წინაშე დგება დიდებული პეიზაჟისტი, ბუნების დიდებული მხატვარი-, „გაზაფხულს თავს ადგას თვალ-მარგალიტის გვირგვინი” და, რაც მთავარია:

„დიდება ისმის უფლისა
სულდგმულთ სხვადასხვა ენითა...
წყალნიც კი ღმერთს ადიდებენ
ლალად, ტალღების დენითა”.(იქვე).

„ბედნიერი ერის” გამოძახილი ვიგრძენით ლექსში „ვინ არის კაცი?”(1902წ.). აქაც კითხვითი ინტონაცია, აქაც ირონია, აქაც სტილისტიკურ ხერხად გამოყენებული ანტიუზისი. აქაც ძიება-ვინ არის კაცი?

ლექსში ხაზგასმულია ის ფსიქოლოგიური ჭეშმარიტება, რომ ავტორის მიერ ლირიკულ პერსონაჟად გამოყვანილი პიროვნებების „შინაგანი სინამდვილე იქმნება ობიექტურ სამყაროს პიროვნულ მოთხოვნილებათა და დირებულებათა შესატყვისად გადამუშავების შედეგად. ადამიანის შინაგან სამყაროში სინამდვილე პიროვნული თვალსაზრისით არის ინტერპრეტირებული”(116,364). ამ ასპექტით თუ მივუდგებით ლექსს, იქ პოეტი ყურადღებას მიგვაქცევინებს მძიმე სოციალურ გარემოებაზე, ზნეობრივ მანკიურებაში ჩაფლულ პიროვნებაზე.

ლექსს ემოციურობას პმატებს მორფოლოგიური გამეორება, კერძოდ, ანაფორა: „კაცი ის არის...”პოეტმა მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული მანკიურებანი. მისი ირონიული შენიშვნით, „კაცი ის არის”, ვინც:

ა) „ცხოვრება გაატარა ჭამაში და კაცის დანიშნულება მხოლოდა პპოვა ამაში”;

ბ) „ქუჩაში სალამს არ გაძლევს, თუ დაპატიჟე სადილად, დიდ ჯიუტობას არ გასწევს;”

გ) „საქმით სხვის, სიტყვით ჩვენია და თავის ოინბაზობას პმალავს, არ დაუჩენია”;

დ), „შესტრფის შექსარის დვინოსა და პსახავს იდეალადა სალხინო სამიკიტნოსა;”

ე), „არა კითხულობს გაზეთსა, წიგნისთვის შაურსა პზოგავს, მეარღნეს აძლევს მანეთსა”;

ვ), „გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარ ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა”;

ზ), „სიცოცხლე ატარა ტკბილადა, – სიკვდილის შემდეგ იწოდა დიდყურიანის შვილადა” (3,195).

როგორც ვხედავთ, პოეტმა პირუთვნელად, მოყვარულად ამხილა ადამიანთა შინაგანი სამყარო, იდეური დატვირთვა ლექსის კი არის საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილება.

განხილული ლექსი მიგვაჩნია ორგანულ გაგრძელებად 1900 წელს დაწერილი ლექსისა „ის კი არ არი ბიჭობა”.

აქ სხარტად, სიმღერით არის ჩამოყალიბებული ლირიკული გმირის ზნეობრივი კოდექსი. ლექსი მიმაჩნია რიტორობის ბრწყინვალე ნიმუშად. ორატორს, აქ ლირიკულ გმირს, თუნდაც ავტორს, წარმოვიდგენთ საფიხვნოს თავში მჯდომარედ, რომელსაც გზიანი სიტყვა მოუდის და ზნეობისაკენ მოუწოდებს მსმენელთ.

ავტორი ლოგიკურად, თანმიმდევრობით ამხელს „ბიჭობის” ანუ „კაი ყმობის” მრუდედ გამგებთ. ორატორის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არ გამორჩენია ისეთი ადამიანები, რომელთაც თავისებურად ესმით საზოგადოებაში გარკვეული ადგილის დაჭერის არსი. მათი გზა კი, ზნეობრიობის თვალსაზრისით, რბილად რომ ითქვას, ორატორისთვის მიუღებულია.

პირველ სტროფში დაგმობილია სხვების წაქეზებით, მფარველობით წათამამებული ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს პიროვნული ლირსება, დამოუკიდებლად ქცევის უნარი. სხვისი იმედითა და ხელშეწყობით ბიჭობაზე თავის დადება, კარგი ბიჭობის პრეტენზია ავტორისათვის მიუღებულია: „ის კი არ არი ბიჭობა, რო გამაგრებდნენ, ჰმაგრობდე”; მას არც ისეთის „კარგი ბიჭობა” სწამს, რომელიც სუსტს, მასთან შედარებით უძლურს, დაუნდობლად, აგრესიულად, სადისტურად ექცევა: „არც ის მგონია ბიჭობა, ვისაც ერევი, ახრჩობდე”. მესამე სტროფითაც მხილებულია ძალმომრეობით თავგასული ადამიანი, რომელიც ჩაფლულა ეგოზმის მორევში და „ბილწო”, დამჩაგვრელებს შეკვერია ზავით, მათი მხარე დაუჭერია.

მეოთხე სტროფში ლირიკულ გმირს, ავტორს, აქცენტი შეუცვლია საყვედურისა. იგი „ბიჭობად” არ უთვლის ცხოვრებით გაზულუქებულს, მაძღარს

თვითქმაუფილებით ამღერება-გალობას; კაცს, რომელსაც ამით თავი მოაქვს და კიდევ აქეთ არის პრეტენზიული. ავტორის მიერ აქ მხილებულია შემოქმედთა გარკვეული კლანი-მეშჩანების მოდგმა; მეხუთე სტროფში კი უპვე კონკრეტულად მიუთითებს მათ მცდარ პოზიციაზე. მხილების არგუმენტად პოეტს დიდი რუსთაველის შეხედულება გამოუყენებია. ანუ ამხელს მას, ვინც „მაგრა იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“. იგი სულიერი ამაღლებისაკენ, ჭეშმარიტი პოეტური წვისაკენ მოუწოდებს „ვაი-მგოსნებს“;

„არც რა ბიჭობა ეგ არი,
მაძღარი ჰმდერდე, გალობდე,
თავი მოგქონდეს სხვებზედა
და ამის გამო გვშარობდე,
მგოსნობას არვის აცლიდე,
მუდავ ჰქვეხდე და სცხარობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
მშიერ-მწყურვალიც ჰგალობდე“ (30,177,1900).

როგორც განხილული თხზულებიდან ჩანს, ლირიკული გმირი, იგივე ავტორი, ცდილობს განსაზღვროს, გაიაზროს ადამიანი, როგორც ეთიკური ფენომენი. ამისათვის მას გამოუყენებია ბრწყინვალე რიტორიკული ხერხი-პარალელიზმი, ანუ ისეთი კომპოზიციურ-სტრუქტურული საშუალება, როდესაც „პარალელიზმი იქმნება სიტყვების განლაგებით მომიჯნავე (პარალელურ) ფრაზებში, ტაქტებში, სიტყვებში (და ჩვენი მხრით აქვე დავამატებდით-სტროფებშიც კი-ჭ-კ) და განლაგების ურთიერთშეფარდებით (116, 232-233).

ვფიქრობთ, ლექსი-„ის კი არი ბიჭობა (სიმღერა)“ პარალელიზმის თითქმის ყველა ნიშანს ატარებს; გვაქვს:

- ა) სინტაქსური პარალელიზმი, ანუ როდესაც მომიჯნავე ტაქტებში დაცულია წინადადებათა ერთნაირი სტრუქტურა. კერძოდ, ასეთი ფრაზები-„ის კი არ არი ბიჭობა“ და „ბიჭს მაშინ დაგიძახებდი“, აგრეთვე შინაარსით მათთან დაახლოებული ფრაზები-„აბა, ბიჭობა ის არი“ და „არც-რა ბიჭობა ეგ არი.“
- ბ) სტროფული პარალელიზმი, ანუ როდესაც მომიჯნავე სტროფებში მეორდება სინტაქსური და ლექსიკური სტრუქტურები. მთელი ლექსი ატარებს დასრულებული მეტატექსტების ორგანულ ურთიერთკავშირს და ნაწარმოები, ფაქტიურად, წარმოადგენს ეწ. ამებეური კომპოზიციის ჩინებულ ნიმუშს.

(3) უარყოფითი პარალელიზმი, ანუ როდესაც ავტორს მხატვრულ-
უმოციური ეფექტი მიღწეული აქვს პარალელურ კონსტრუქციებში
აზრობრივი დაპირისპირებულობით. მაგალითად:

„ის კი არ არი ბიჭობა,
რო გამაგრებდნენ, პმაგრობდე,
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა ჰგვარობდე.
არც ის მგონია ბიჭობა,
ვისაც ერევი, ახრჩობდე,
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
რომ სხვის დამრჩვალსა
სწამლობდე”(30,177)

მოხმობილ სტროფებში პირველ ორ ტაქტში ჩამოყალიბებულ აზრს
უპირისპირდება მესამე და მეოთხე ტაქტებში წამოყენებული ავტორისეული
პოზიციის გამომხატველი კონტრარგუმენტები. ანუ არგუმენტებსაც და
კონტრარგუმენტებსაც ნათლად აქვთ გამოკვეთილი დამოუკიდებელი, საკუთარი
მიკროთემები და ლინგვისტურად ახასიათებთ ორგანიზებული გაფორმებულობა,
აზრობრივი დამთავრებულობა და შედეგად თითოეული მათგანი ასრულებს
საკომუნიკაციო ფუნქციას. როგორც მიუთითებენ: თითოეული მიკროსტრუქტურა
„უზრუნველყოფს გაბმული ტექსტის გლობალურ სემანტიკურ მთლიანობას”(108,
295). აქედან გამოდინარე, ლექსი—„ის კი არ არი ბიჭობა”—მიგვაჩნია ვაჟა-
ფშაველას ეთიკური კონცეფციის ერთ პატარა, ორიგინალურ, მაგრამ დიდებულად
გამომხატველ თხზულებად.

განხილული ლექსებითა და აგრეთვე იმ თხზულებებით, რომელთა
შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ვცდილობთ გავაცოცხლოთ ის სოციო-ზნეობრივი
გარემო, რომელშიც უხდება ცხოვრება დიდ პოეტს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო 900-იანი წლების პირველი წლის, 1901 წლის,
ლირიკულ ნაწარმოებთა თემატურმა მრავალფეროვნებამ, პოეტის ინტერესთა
ფართო სპექტრმა. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის ხუთტომეულის
I ტომში (1961წ.) დაფიქსირებულია პოეტის მიერ შექმნილი თოთხმეტი ნაწარმოები,
რომელთაგან პოეტის სიცოცხლეში დღის სინათლე უხილავს ათ თხზულებას:
„ვითომა ვთიბდი ბეჯითად”(ივერია, 1900, 4.IV, №74), „ზამთარი და
გაზაფხული”(„ჯეჯილი”, 1900, №4), „გულ-დაკოდილი ნატო”(„ჯეჯილი”, 1900, №5),
„დანაბარები”(„ივერია”, 1900, 21.V, №108), „ის კი არ არი ბიჭობა”(„ივერია”, 1900,
5.VI, №118), „მგოსნის სიმღერა”(„ივერია”, 1900, 11.VI, №124), „ჩიტის

სიმღერა”(„ჯეჯილი”, 1900, №6), „ხარისთვის უდიერი”(„ჯეჯილი”, 1900, №10), „მრავალმა ხმალი აგელა”(გაზ., „ცნობის ფურცელი”, 25.XII, №1338), „ჩემი ახალი მექვლე”,(„ივერია”, 1901, 1.I, №1. ლექსი შექმნილია 1900წელს).

ოთხი ლექსი „ჩვენთვის იკარგვის, თქვენთვისაც”, „ანდერძი”, „არ ვტირი”, „სნეული ვიყავ” გადმოღებულია პოეტის ავტოგრაფებიდან რომელიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ვაჟა-ფშაველას ფონდში (№=№78, 107,123 და 123).

როგორც პროფ. იუზა ევგენიძე აღნიშნავს: „ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებულ შემოქმედებით ინტერესს იჩენს ეთიკურად დირებული პრობლემებისადმი. ამ შემთხვევაში ვაჟას პოეტური იდეალები სათავეს იღებს ჩვენი ხალხის განცდაში ტრადიციულად დამკვიდრებული ზნეობრივად გამძლე წარმოდგენებიდან”^{27,216}.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა ორგანულად ერწყმის იმდროინდელ სინამდვილეს, მხარში უდგას ჩვენს დიდ მწერლებს ადამიანთან მიმართების ასპექტით. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თუ ალექსანდერე ყაზბეგის შემოქმედებით ნაღვაწს ეხმიანება ვაჟა-ფშაველა პროფ. ფაქტებიშვილის რწმენით „სამივე ამ შემოქმედთა ნაღვაწი მეტად რთული „დიდი მადლისა” და „დიდი ბოროტების” მარადკაცობრიული პრობლემითაც ეხმიანება ერთმანეთს. ილიას მუდმივი საზრუნავი სტუდენტობიდან მოკიდებული სიცოცხლის ბოლომდის კაცური-კაცის არსი, ყაზბეგისა „უმაღლესთა კანონთა საზრებით” მქმედი, შინაგანად ამაღლებული რაინდი, ვაჟა-ფშაველასი კი „ლამაზი არსობა”- ნაჭარბი პიროვნება პირდაპირ კავშირშია „დიდი მადლისა” და „დიდი ბოროტების” მუდმივი ჭიდილის გაზიარებასთან”^(52,319).

მთელი მისი შემოქმედება სიმართლე-სამართლიანობის, პუმანურობის განსახიერებას წარმოადგენდა. თავისი პრინციპულობით კი მხარში ედგა თავისი დროის დიდ ქურუმთა-ილიას და აკაკის-თავდადებულ ბრძოლას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ყველა თხზულებაში, ყველა პუბლიცისტურ წერილში ეხმარება მკითხველს ნაციონალური თუ სოციალური საკითხების, დიდი პრობლემების მოგვარებაში. გამჭვირვალედ არის ინტერპრეტირებული იდეურ-აღმზრდელობითი პრობლემები, არ ერიდება მანკიერებათა მხილებას და მახვილგონივრული მიგნებებით პროტესტის გამოხატვას. სწორედ ამ თვალსაზრისით მივიჩნიეთ საჭიროდ პირველად შეგხებოდით ვაჟა-ფშაველას, როგორც საყმაწვილო, საბავშვო მწერალს, რამეთუ ბავშვებისათვის შექმნილი ლექსები და მოთხოვნები დიდებულად მიუთითებენ სიკეთის ძალთა გამარჯვებაზე, ბავშვებში პატრიოტული გრძნობის გაღვივებაზე, მშობლიური ბუნების დიდ სიყვარულზე.

საგულისხმო აზრს გამოთქვამს ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე აკაკი პაპავა „სახალხო გაზეთში” 1913წელს ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხოვობების დიდაქტიკურ მნიშვნელობაზე: „ოქვენ გინდათ ოქვენი შვილები გამოვიდნენ კეთილშობილნი, მოსიყვარულენი, თავგანწირულნი და სულით სპეტაკნი? მაშ, აკითხეთ მათ ვაჟას საყმაწვილო მოთხოვობები, რომელიც მთელ ბუნებას შეაყვარებს ამ ნორჩ თაობას და მათ სულს სილალით ამოავსებს”(67,257). მართალია, აქცენტი აქ ვაჟას საბავშვო მოთხოვობებია გადატანილი, მაგრამ ქვეცნობიერად პოეზიაც იგულისხმება, რამეთუ საზოგადოებრივი ფუნქცია ერთიანი აქვს პროზასაც და პოეზიასაც, მითუმეტეს ვაჟას საყმაწვილო თხზულებებს. ამას თვით პოეტიც გრძნობდა, ლვთაებრივთან, ლმერთთან სიახლოვეს აგრძნობინებდნენ ანგელოზები, მისი საკუთარი ანგელოზები. რა გულწრფელად გაგვესაუბრა ამის თაობაზე დიდი პოეტი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში „ჩემი ანგელოზები”(1915წ.):

„ჩემს ანგელოზებს ვენაცვლა,
იმათ ფრთებს, იმათ სახესა!
სხვებს ისე არა სწყალობენ,
მე კაი თვალზე მნახესა:
მოვლენ და მომისხდებიან,
მომიყვებიან დარდებსა,
სანატრელს, ამაგზნებარსა,
საამოს, ია-ვარდებსა.”(30,364).

სწამს მგოსანს, რომ „პატარა ქართვლის ბიჭებში” სიკეთის დამთესი და მომტანია მისი ნაწერები და ვინც კი კეთილს საქმეებს სჩადის, პოეტის რწმენით, ის ადამიანი დვთით ნაკურთხია:

„უდვოლო არაა, ვინც კეთილს
საქმეს იქმს შესაჯიბრებსა.
ჩემ ანგელოზთა წყალობით
სამშობლო უყვართ ბიჭებსა,
თვის მიწა-წყალი და ენა,
როგორც სალი კლდე ჯიხვებსა.”

სხვა ლექსში კი პირდაპირ, დაუფარავად აცხადებს, რომ განგებამ იგი „ერის აღმზრდელად დანიშნა”:

„ვინც მომამადლა მე დიდი მადლი
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,

ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაკურთხი,
მომჯადოები სამოთხის ხისა,
ვინამც დამნიშნა ერის აღმზრდელად,—
ჩემს ბედს განაგებს ყოველმხრივ ისა”.

(30,329; 1912წ. 3სექტემბერი)

მისი ბედის გამგებელი კი ღმერთია. ღვთის წყალობით, ეკლესიური ცხოვრების არსე კეთილი, გონიერი მამა-მშობელი სადად, გასაგებად განუმარტავს და შთააგონ-შთაუნერგავს თავის პირმშოს. ამას ხელს უწყობდა საზოგადოებრივი გარემო, მართმადიდებლურ-ქრისტიანული ატმოსფერო საქართველოში. ვაჟა-ფშაველას იმედიანი განწყობილება აშკარაა ლექსში „მამა და შვილი”(1901წ, 30,187).

აღნიშნული ლექსი ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშად მიგვაჩნია, თავისი შინაარსით, ფორმით „ვაჟას საბავშვო თხზულებათა შორის” იმ რკალს განეკუთვნება, რომელშიც მოცემულია „უშუალოდ ბავშვის სულიერი განცდები, მისი სამყარო”(27,447). თუმცა, იმავდროულად, ეს ლექსი „ბავშვის ფსიქიკისა და წარმოსახვისათვის შესაფერისი, ყმაწვილთა ფანტაზიისა და ქცევის გამომხატველი, ანუ საკუთრივ ყმაწვილებისათვის განკუთვნილი თხზულებაა”(იქვე).

ავტორის მიერ მიზნის მისაღწევი რამდენიმე კომპონენტის მონოლითურობა, ერთიანობაა დამახასიათებელი ამ ნაწარმოებისათვის. ესენია: საყდარისახარებითურთ, ავტორის პოზიცია, მამა-შვილის დიალოგი და გაზეთი „ივერია”(1901წ. 25. XII, №280).

ამ კომპონენტთაგან პირველად ავტორის პოზიციას უნდა შევეხოთ, რადგან აქ გარკვევა დაგვეხმარება დანარჩენების მართვულად გააზრება-შეფასებაში.

ლექსის მიხედვით, აშკარაა, რომ ავტორის მსოფლმხედველობას განაპირობებს ქრისტიანიზმი. ამ მსოფლადქმით შემოჰყავს ნაწარმოებში პოეტს მოუსვენარი და ცელქი გოგია. მისი პირველი სიტყვებია: „ძალიან მიყვარს იქსო, მისი ამბავი მითხარი”.

ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე, იშვიათ ფაქტთან გვაქვს საქმე-მხედველობაშია ის, რომ აქ ვერ ვნახავთ ბუნებისადმი მიმართებას. თუმცა, ბევრი ნაწარმოები „ცხადად გვიჩვენებს, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსებში ბუნება ამა თუ იმ იურით ღმერთის სახეს ატარებს, რომ ბუნების საგნებსა და მოვლენებში ღვთიური ძალაა გაბატონებული”(123,142). გრიგოლ ხერხეულიძეს მიაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას „მხატვრულ ნაზრებს თავიდან ბოლომდე უწყვეტ ზოლად გასდევს პანთეისტური მსოფლგანცდის კვალი... აქ ჩვენ ვგულისხმობთ ქრისტიანულ პანთეიზმს(აქვე). მკვლევრის განცხადება ვაჟას პანთეისტობის თაობაზე

კატეგორიულ ტონს კი ატარებს, მაგრამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შემუშავებული იყო მანამდეც და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს სულ სხვაგვარი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. (იხ. გრ.კიკნაძის, დ.ბენაშვილის, ლ.თეთრუაშვილის, თ.შარაბიძის შეხედულებები ამის თაობაზე). მიუხედავად ბუნების ძალთა განლმრთობისა, ვაჟას პანთეისტობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება იმთავითვე ჩამოყალიბდა და ყველაზე დამაჯერებლად პროფ. გრ.კიკნაძის პოზიციას მივიჩნევთ: „თეისტურსა” და „პანთეისტურ რელიგიებზე ამახვილებს მკვლევარი ყურადღებას და წერს: „თუ თეიზმი აღიარებს პიროვნულ ღმერთს, რომელიც ქვეყნიერების შემქმნელად ითვლება, პანთეიზმში-უპიროვნო, პოტენციალურად არსებულ ღვთავებას არ ძალუბს იყოს მსოფლიოს ნაირსახეობების შემოქმედი. პანთეისტური ღმერთი მოკლებულია მოვლენათაგან დამოუკიდებელ არსებას, იგი მსოფლიოს მოვლენებში მზეურდება“(49,128).

ლექსის აგტორი მთელი თხზულების მანძლიზე ურყმებად დგას ქრისტიანულ პოზიციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ლირიკულ თხზულებაში იგი ერთხელაც არ შედის თავისი მრწამსის უშუალო გამჟღავნებით. მას ასპარეზი მოქმედი პირებისათვის დაუთმია. მოქმედი პირი კი ორია-მამა და შვილი.

სრუქტურის მიხედვით აქაც დაცულია ვაჟა-ფშაველას სტილური ხელწერის ერთი მომენტი-დიალოგით გაშლა ერთგვარი სიუჟეტური ხაზისა. გავიხსენოთ თუნდაც „ბაკური”, „კითხვა-პასუხი”, „მოგონება”, „ის კი არ არი ბიჭობა”, „მთა და მთვარე” და სხვა.

დიალოგი ორი ძირითადი ხაზითაა წარმოდგენილი მის ლექსებში: დიალოგი უშუალოდ ავტორსა და ლირიკულ გმირს შორის და დიალოგი უშუალოდ ლექსის მოქმედ პირთა შორის. ეს სტილური ხერხი გამჭვირვალეს ხდის ამბავს, ნათლად წარმოაჩენს მიზანდასახულებას და, რაც მთავარია ძალზე უწყობს ხელს ნაწარმოებში მისაწვდომობის პრინციპის გატარებას ბავშვებისათვის გამიზნული ამბის გაშლისას.

ჩვენს მიერ განსახილველ ლექსში დიალოგი წარმოებს მამასა და შვილს შორის. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ თხზულებაში დაცულია ე.წ. „ფსიქოლოგიური სისტორე”(იხ. რ.ნათაძის, ზოსიმე ხოჯავას შრომები). ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიუჟეტი ლექსისა შეთხზულია, არაისტორიულია და პოეტის მიერ „სტორად არის დაჭერილი ამ შეთხზულს ამბავში ადამიანის (აქ პატარა გოგიასი და მამამისის) სულიერი ცხოვრების კანონზომიერება”(40,205-206).

თუ დავეყრდნობით ფსიქოლოგთა გამოცდილებას, ვაჟა-ფშაველამ ბრწყინვალედ დაიჭირა ბავშვის ფსიქოლოგია, როდესაც მიანიშნა, რომ მამის

პასუხებით გარკვეულწილად სწავლების პროცესი წარმოადგინა და ბავშვის ფანტაზიის განვითარება-მონაწილეობაზეც მიგვითითა. რაც ხაზგასმულია, ბავშვი გაიტაცა ფანტაზიამ და ამაში მამასთან ერთად საყდარმა და მოძღვარმა ითამაშეს დიდი როლი, ე.ი. გარემომაც განაპირობა ბავშვში ინტერესის აღმვრა, ფანტაზიის გაჩენა და მამისეულ განმარტებების, მღვდლის ქადაგების მოსმენის პროცესში თავი იჩინა მოზღვავებულმა ემოციამ(63,497-499).

„რაზე მოჰკლავდა ქრისტესაც
შეჩვენებული იროდი?!
მანამადე გაათავებდა
მღვდელი მის ამბავს, ვტიროდი...
და რომ შევიტყვა, გადარჩნენ
მტერს ქრისტე, მისი მხლებლები,
გულში ნათელი ჩამიღვა,
ადარ მდიოდა ცრემლები”.(30,188)

როდესაც პოეტი მამის განცდას შეეხო შვილის პასუხების გამო, აშკარად მიანიშნა, რომ მამა დადებითად, ოპტიმისტურად არის განწყობილი. თუ თვალს მივადევნებთ მამის მოქმედებას,—როდესაც შვილს შუბლზე აკოცა და თავზედაც ხელი გადაუსვა—ნათლად გავაცნობიერებთ მის პიროვნებაში აღძრულ ფიქრებსა და ოცნებას:

„მამამ შვილს შუბლში აკოცა,
ხელი გადუსვა თავზედა,
და, სახე-გაბრწყინებული,
ხელს დიდხანს უსვამს თმაზედა.
ფიქრი—კი შორს მიურბოდა
თავის ძის მომავალზედა!(იქვე).

რა დიდებულადაა დაჭერილი ასაკობრივი ფსიქოლოგიის ნიუანსები. ბავშვის მოჭარბებული ემოცია, აცრემლება და მამის თავშეკავებული დამოკიდებულება გაჩენილ სიტუაციაში-სახის გაბრწყინება და ხელით დიდხანს მოფერება, ფანტაზია და ოცნება შვილის მომავალზე ერთდროულად რომ დაიუფლებენ მის ფიქრთა და განცდათა ნაკადს.

ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღი-1901წლის 25 დეკემბერი, აგრეთვე 1900 წლების „ივერიის” ფურცლები ადასტურებენ, რომ ვაჟა-ფშაველა თითქმის ზამთრის ბოლო თვეს თბილიში ატარებდა და „ივერიის” რედაქციაში გულდია მასპინძლობას უწევდნენ მას, მითუმეტეს, რომ მიუთითებენ-ამ დროისათვის

ჯანმრთელობის გაუარესების გამო დიდი ილია თითქმის აღარ მუშაობდა რედაქციაში, მაგრამ მის მიერ დანერგილი ტრადიცია-ვაჟას მიმართ განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება-გრძელდებოდა.

ყურადღება კვლავ უნდა გავამახვილოთ ისეთი ლექსის ანალიზზე, რომელშიც მოქმედი პირი ადამიანები, ბავშვები, არიან და წლის დროების ფაქტორი ოდენ სამოქმედო ფონია მათთვის. არჩევანი შევაჩერეთ 1903წელს დაწერილ და 1904 წლის 1-ლ იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ლექსზე –„ახალი წელი ფშავში“(30,214-217).

ორმხრივ მივუდგებით მის განხილვას: 1. რა ეფექტი შეიძლება გამოეწვია ამ ლექსს გამოქვეყნებისას და 2. რა დირებულებას ინარჩუნებს იგი სადღეისოდ, საუგუნის გავლის შემდეგ.

როგორც პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძე აღნიშნავს: „...ვაჟამ მთისა და ბარის საქართველოს საერთო ინტერესები დაგვანახა, ბარის ქართველობას მთიელთა გულისტკივილი, მისწრაფებანი და თავისებურებანი გააცნო და ამით ერთიანი საქართველოს იდეა კიდევ უფრო განამტკიცა”–ასე შეაფასა მან ილია ფერაძის კრიტიკული ესკიზი და იქვე მიგვანიშნა შ. ამირეჯიბის სტატიაზე და ეპისკოპოს ლეონიდის მიერ ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაზე. დასკვნის სახით კი ითქვა: „ე.ი. ვაჟამ გვიჩვენა, რომ მთის ქართველობას ბარის ქართველობისაგან განსხვავებული ინტერესები არასოდეს პქონია და არც შეიძლებოდა პქონოდა“(120,285). ეს, ფაქტიურად, არის ლექსის შეფასება იმ ეპოქის გადასახედიდან. დაბეჭითებით უნდა ითქვას, რომ იმ დროს ინტერესის აღმდვრელი ფაქტორი სადღეისოდ იძენს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მნიშვნელობასთან ერთად შემცნებით დირებულებას. ჩვენს წინ ვაჟა-ფშაველა წარმოდგება ეთნოგრაფიდ. პროფ. დ. ბენაშვილის თქმით „...საზოგადოებრივი ყოფის ისტორიული განვითარების უძველესი ფორმები მის მშობლიურ კუთხეს, თუმ-ფშავ-ხევსურეთს, ჯერ კიდევ შემონახული პქონდა, როგორც ძვირფასი რელიქვია, ადამიანის ცხოვრების პირველი ყოფიდან დაწყებული და გვაროვნული წყობილებით დამთავრებული ხელუხლებელ ფონდს წარმოადგენდა არა მარტო ხევსურეთში, არამედ მის მოსაზღვრე კუთხეებშია“(10,274). ამიტომაც არ დასჭირვებიაო პოეტს ისტორიული მასალის ძებნა-ქექვა.

უკვე ლექსის სათაურშივეა ლოკალიზებული სამოქმედო ადგილი-ფშავი. რეალური დროც ისეთია შერჩეული, რომ იგი საყოველთაოა-ახალი წელია, მისი შემოსვლის წინა საათებია.

ვაჟა-ფშაველას პირველი სტრიქონებიდანვე შევყავართ განსაკუთრებულ კოლორიტულ სამყაროში—ერთ ფშაურ ოჯახში. საახალწლო სამზადისი სწორედ აქაურ ტრადიციებზე მიგვითითებს. პოეტს მთელი აქცენტი ბავშვებზე გადააქვს.

თხზულება, მართალია, ვაჟას ლირიკულ პოეზიაში შეუტანიათ გამომცემლებს, მაგრამ იგი ისეთ გამოკვეთილ სიუქეტს მოიცავს, ისეთი ლოგიკური მსვლელობით გადმოგვცემს ამბავს, რომ, ჩვენი რწმენით, ლექსი ლირო-ეპიკურ ქანრს უნდა განეკუთვნებოდეს. ყველა დეტალი ერთიმეორესთან ისე ლაღად, ისეთი მხატვრული სიმართლით არის დაკავშირებული, რომ ლექში გამოყვანილი პერსონაჟები: დედა თეთრუა, მისი შვილები, მამა (დაუსწრებლად) თუ მოხუცი მეკვლე ინარჩუნებენ კოლორიტულობას, ჩამოყალიბებულ, მხატვრულად დასრულებულ იერ-სახეს.

პიოთხველს მშვენიერ მოგზაურობას უწევს ავტორი, რომელიც ყურადღებას მიგვაქცევინებს მოქმედ პირთა განცდებზე, მათ საქმიანობაზე და, რაც მთავარია, ფშაური ოჯახისათვის დამახასიათებელ ადათ-წესებზე, გარემოზე, სოციალურ რეალობაზე.

პოეტი დიდი სითბოთი და სიყვარულით ძერწავს ბალდების განცდებს, მათ არსებაში გაჩენილ წინასაახალწლო აუთოტაჟს, სიხარულს.

მათი განწყობას ახალი წლის დილას გარიჭრაჯზე „ლოგინში დედა მიუხედა შვილებსა”...

ენასცვლოსთ დედა-მშობელი
ამ ჩემსა ოქროს ღილებსა!
კოგზით თაფლ-ერბოს სთავაზობს
დააღებინებს პირებსა”

აქ მთხოვთელიც ვედარ იკავებს თავის ემოციას და უერთდება დედის სიხარულს: „დედისგან ნაზიარებლებს ღმერთიც დაუზრდის გმირებსა”. დედა კი განაგრძობს:

„დაბერდით ასე ტკბილადა,
შვილებო, როგორც თაფლია,
მფარველად გედგათ თავზედა
დვოის და ხატების მაღლია!”(30,216)

და აქ სენტენციაში გაიზრდება ავტორისეული კომენტარი ამ რიტუალის შემდეგ:

„დედისა ხელით ნაჭმევი,

შხამიც, რომ იყოს ტქბილია,
თავის თავს უკვდავადა ჰერძნობს
ასეთ ძღვნის შემდეგ შვილია”(30,216).

დედისგან თაფლ-ერბოთი ნაზიარებელი ბალდები დვთისგანაც
დალოცვილები იქნებიან.

საახალწლო სამზადისი, მექვლის დახვედრა გამასპინძლება ნათლად
ადასტურებს ვაჟას სიტყვებს: „ფშავლის დედაკაცი არის მაგარი და გაუტეხელი;
კლდეებთან და ბუნებასთან ბრძოლის გამო; მისი ხასიათი არის ნაწრობი.
ამიტომ სახლში მამაკაცის უყოლობა ისე არ დააწიოკებს ოჯახს როგორც ბარად
მოხდება”(29,11).

დედა, სახელად თეთრუა მექვლეს წინ მიეგება და „მიაწოდა კვერია”, კარგი
ფეხისა გამოდგა მექვლე, რადგან „დვთით, კვერი წალმა დაბრუნდა, ვერ გაიხარებს
მტერია”. ყველა კმაყოფილია: მექვლე იმით, რომ „გაი კვალი ჰქონია”; თეთრუა
იმითი, რომ „ღმერთი თავის შინ ჰგონია”, ბალდები იმითი, რომ მექვლის მიერ
მოცემული თხილით ჯიბეები აიგსეს.

თეთრუა რომ ქმრის გასაკეთებელს აკეთებს, ვაჟამ კოლორიტული სცენის
აღწერით გვიჩვენა: სასმლით უმასპინძლდება მექვლეს:

„თეთრუაც წამოჩიქილი
ცალ მუხლზე იქნე არია”(30,217).

დედაკაცის, დიასახლისის ცალ მუხლზე დგომა მოხუცი მექვლისადმი დიდი
კრძალვისა და პატივისცემის მომასწავებელია. მოლოდინაანთ მოხუცის ბეროს
(ბერიას) დადნაფიციცაა მათი რძალი თეთრუა.

ვიდრე ინტერიერის დახასათებას შევუდგებით, რაც ასე დიდებულად აქვს
მოცემული ვაჟა-ფშაველას ამ ლექსში, ორიოდე სიტყვით გვსურს შეგჩერდეთ
ახალწლის დამეს დედაკაცის მიერ „ბედის კვერების” გამოცხობის ამბავზე. ამის
თაობაზე საგანგებოდ ბევრ მეცნიერს აქვს თავისი აზრი გამოთქმული, მაგრამ
ფშავში „ბედის კვერების” გამოცხობის თაობაზე ყველაზე სანდო, უტყუარ
პირველწყაროს თვით ვაჟას ინფორმაცია წარმოადგენს: „ახალწლის დამეს
დედაკაცი აცხობს „ბედის კვერებს” ყველა სახლში მყოფის კაც-დედაკაცისათვის
და ერთს საზოგადო კვერს... როდესაც მექვლე მოდის ამ კვერს შეაგორებს სამჯერ
სახლში. თუ წალმა მიდის კვერი, ოჯახის საქმეც წალმა ივლის, თუ უკუღმა-
ოჯახის საქმეც უკუღმა წავა”(29, 13). თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვაჟა
ლექსში 1886 წელს ნათქვამს თავის ეთნოგრაფიულ წერილებში „ფშავლები”:

„აგერ გამოჩნდა მოხუცი,

მოლოდინაანთ ბერია,
 „უკვალაგს თოვლსა მოჰკვალაგს,
 თან ჯოხი დაუბჯენია.
 წინ მიეგება თეთრუა
 და მიაწოდა კვერია;
 აგორებს ისიც დარბაზში,-
 სცნან, ღმერთს რა დაუწერია:
 ღვთით, კვერი წალმა დაბრუნდა,
 გერ გაიხარებს მტერია...”(30,216).

ბუნებრივია, ამ რიტუალის დალოცვაც უნდა მოჰყოლოდა და მოხუცი ბეროც ამას ამბობდა მტკიცედა: „ფეხი ჩემი და კვალი ღვთის!” დიმილიც მოსდის პირზედა: ახალმა წელმა ახალი, ვთხოვ უფალს, მოგცეთ ბედია,—ცხვარი და ძროხა ურიცხვი, დოვლათი მეტის—მეტია! შენ იყავ, ღმერთო, გამგონე, რაც ეხლა დავიყბედია!”(იქვე).

საქართველოს მთიანეთში გავრცელებული რიტუალია მეკვლის მიერ არყის შესხმა სახლის კედელზე და ცეცხლში; მაგალითად, თუშეთში „მაქალათს” „ოჯახის პატრონი თუ არ დაუხვდა, მის წილ არაუს მაქალათი სახლის კედლებს მიასხამს”(15,192). თითქმის ანალოგიურია მეკვლის მიერ არყის ნარჩომის ცეცხლში შესხმა:

„მეკვლეც პსვამს, ხოლო ნარჩომსა
 ცეცხლს უძღვნის, ასდის ალია.
 —არაუს ხომ ქება არ უნდა,
 ვატყობ, ექნება ძალია!...(30,217).

მეკვლე ბერომ ერთდროულად ნახელავიც შეუქო რძალს და სახლში არმყოფი უფროსიც დააფასა. რაც მთავარია:

„ბედნიერია ოჯახი,
 ტრიალებს ღვთისა თვალია,
 იკურთხოს მისვლა მეკვლისა,
 იკურთხოს მისი კვალია!(30,217; 1903წ).

ვაჟა-ფშაველამ ბავშვისათვის მისაწვდომი ენით როდესაც გადმოგვცა ფშავში არსებული წინასაახალწლო რიტუალები—ხევსურულად „მებედისკვერეთა სტუმარმასპინძლობა”, ხოლო თუშურად „წელწდობა”,—როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსში დიდი სიზუსტით არის დახატული ერთი რიგითი ფშაური ოჯახის ინტერიერი.

მშვენიერ ილუსტრაციას მიიღებს მკითხველი, თუ რიგიანი მხატვარი გაითვალისწინებს ვაჟასეულ პოეტურ აღწერას თეთრუას საცხოვრებლისას: აგერ, „დარბაზში ცეცხლი ანთია, გაჩაღებული ტკრციალებს”; ბალდებს „დედა-ბოძისა უკანა... უდგათ ჩალის ლოგინი”, სადაც ბავშვები „ჩაეწყვნენ ძელების შუა”; „ლოგინის ბოლოს ვარცლი იდგა, თავით საპურე გოდორი. ზედა ზის ჭრელი დედალი, მას თავს უმშვენებს ქოჩორი, ხოლო მხარს-მისი მეუღლე-გვირგვინოსანი მამალი”.... „ზევით მივარდნილს კუთხეში ხარი ნიკორაც ფშვინავდა. გახშირებული ძილია, მთელი დარბაზი ხერინავდა”... „ხინჯლისთვის საკიდელზედა დიდრონი ქვაბი პკიდია, უხინჯლოდ ახალი წელი არაფერსა ჰგავს, ფინთია”.(30,215-216).

როგორც დავრწმუნდით, ლექსის თემა ძირითადად აღწერით გაშლას მოითხოვდა; ამ დროს ძნელია ავტორს მოეთხოვოს მაღალი პოეტური რეგისტრები. თუმცა, ბავშვთათვის განკუთვნილ ლირიკულ ლექსში (იქნებ ლირო-ეპიკურშიც), როდესაც ავტორი მიმართავს პეიზაჟს, ბუნებას, აქ უკვე გაიბრწყინებს პოეტური, მხატვრული ოსტატობა ვაჟა-ფშაველასი. სულ სამჯერ მოუხდა ბუნების აღწერა პოეტს და სამივე შემთხვევაში პეიზაჟი გადმოცემულია შეკუმშულად, მოკლედ. მაგალითად ავტორი პეიზაჟს წარმოგვიდგენს ფერწერული სახით. პოეტურ პალიტრას კოლორიტულობას ანიჭებს ისეთი მხატვრული აქსესუარები, როგორიც არის გაპიროვნება, მეტაფორა და შედარება:

„გარეთ კი თოვლი ნაპენტი
მიწას ედება, დუდუნებს,
თან მოსდევს ქარი მხლებლადა,
ისიც იმასთან ზუზუნებს:
ხან ქარის ზღრუბლზე მოდგება,
კურატივითა ბუბუნებს;
ხევებშიც გადაიჭრება,
გარისხებული გუგუნებს,
შორს თუ წავიდა, მაშინ კი
სნეულივითა კრუსუნებს”(30,215).

გაპიროვნების მშვენიერი ნიმუშებია: „გარეთ კი თოვლი ნაპენტი მიწას ედება, დუდუნებს, თან მოსდევს ქარი მხლებლადა, ისიც იმასთან ზუზუნებს”; „გარეთ ბუნება ჯავრობდა, დედამიწასა ყინავდა”.

შედარებაში გადასული მეტაფორაა: ქარი „ხან ქარის ზღრუბლზე მოდგება, კურატივითა ბუბუნებს, ხევებშიც გადაიჭრება... სნეულივითა კრუსუნებს”.

ლექსში რამდენიმე შემთხვევა დაგაფიქსირეთ ანუამბემანის თაობაზე:

1. „ძველს ცხოვრებასა სწირავდა
ქვეყანა, ასე შავნიშნე,
კიდევ იმიტომ გმინავდა”.
2. „ახალმა წელმა ახალი,
ვთხოვ უფალს, მოგცეთ ბედია,
ცხვარი და ძროხა ურიცხვი,
დოვლათი მეტის-მეტია!”

პირველი ნიმუში მოკლე ანუამბემანია, მეორე კი-ვრცელი, დიდი.

მხატვრულობის თვალსაზრისით აშკარად იგრძნობა პოეტური ენერგიის დაზოგვა. ეს კი იმით არის გამოწვეული რომ ავტორმა გაითვალისწინა ლექსის ადრესატის, მოზარდის ფსიქოლოგია და არ გადატვირთა თხზულება რთული მხატვრული აქსესუარებით. როგორც ვხედავთ, ამბავმა, თემამ მისმა გაშინაარსებამ განაპირობა შესაბამისი ფორმის გაჩენა.

მიუხედავდ ასახული დროის ტრადიციულად ამაღლებული, სადღესასწაულო განწყობილებით გადმოცემის აუცილებლობისა, ლექსში მაინც იჩინა თავი მწვავე სოციალურმა სიდუხჭირემ. მაინც მიგვანიშნა ავტორმა ერთი-ორი შტრიხით, სიფრთხილით ამაზე; ფრთხილობს პოეტი, რამეთუ საახალწლო განცდებს ბალდებში რაიმე მრუმე ლრუბლები არ დასწოლოდა, გაჭირვებაზე წუწუნი რომ არ დაჰკვებებოდათ დამდეგ წელს.

ავტორი ისეთი სიდინჯით, ისეთი გაჭირდიდებით ესაუბრება მკითხველებს ზოგადად ოჯახის გაჭირვებაზე, რომ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება თქმული.

დედა-დიასახლისი შვილების გახარებას ცდას არ აკლებს; უცხობს ხმიადის ბედისკვერებს ყველას; თითქოს ბედის-კვერისათვის მიუნდვიაო თეთრუას „შვილების საქონლის ბედისწერა”, მომავალი ხვედრი.

შრომა-ჯაფით გაწამებული დედაკაცი კი-„თავის თავისთვის, თავის კაცისთვის კვერებს არა ცდილობდა. რა საჭიროა, რომ მათთან წუთისოფელი წბილობდა... დათრთვილა უამთა დენამა ორივე-ცოლი, ქმარია... დღეს შვილებისა მოლხენა დედისთვისც სიხარულია, აშრომებს ძალაუნებრივ ბალდების სიბრალულია... ამ დღისთვის ქმარსაც ელოდა, –შირაქში არი ცხვარზედა...

ინტერიერიც ხაზს უსვამს მათ დაულხენელ ყოფას: დედა-ბომის უკან ჩალის ლოგინი ელით პატარებს, რომლებსაც „დედამ ფარდაგი წაჭხურა, ერთიც ნაგლუჯი ფლასისა, ფეხებზე კაბა მიაგდო და ფაფანაგი თავისა”.

ვიმეორებთ—ასეთი აღწერილობა გარემოსი თუ დიასახლისის განწყობლებისა მაინც არ უკარგავს ხალისს წინასაახალწლო ატმოსფეროს.

განხილულ მონაკვეთში კომპლექსურ მთლიანობაშია წარმოდგენილი სხვადასხვა პრობლემის შემცველი ლირიკული ლექსები. ესენია: საზოგადოების მხრივ დიდი პოეტისადმი ორმაგი სტანდარტით დამოკიდებულება, საქმაწვილო ნაწარმოებები, რომელშიც ერთიმეორისაგან გაუთიშავადაა მოცემული დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი საკითხი, პატრიოტული, სოციალური პრობლემები, ბუნების კულტი, რელიგია, ფსიქოლოგია-ფსიქიკასთან დაკავშირებული მოვლენები, ცალკეა გაშუქებული ზნე-კეთილი გმირის ძიება ვაჟას ლირიკაში, ყურადღება გადატანილია ეთნოფსიქოლოგიაზე, ისტორიულ რეალიებზე.

ლირიკის შასახებ საუბრისას გზადაგზა შევეხეთ მრავალ საკითხს, ვეცადეთ ჩვენებული ხედვით დაგვენახა ვაჟას ლირიკა. ვგრძნობთ, კიდევ ბევრი საკითხი წამოიწევს წინ, რომელიც კრიტიკოსთა მიერ დეტალურადაა განხილული. ვიზიარებთ ჭეშმარიტებას, რომ ვაჟას პოეზიის ნოვატორობა უშუალო გაგრძელებაა ტრადიციისა, გაგრძელებაა, რომელშიც გამორიცხულია უბრალო გამეორება ძველისა, ძველებისა. იგი მართებულად წარმოადგენს ახალ ეტაპს ქართული პოეტური აზროვნების რთულ პროცესში, საზოგადოების სულიერი გამდიდრების იმ პროცესში, რომელმაც შექმნა ვაჟას ნიში ქართული ლექსის ქურუმთა პანთეონში. ეს კი მისი თხზულებების ახლებურად წაკითხვის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით მიახედა დიდმა ილიამ საზოგადოება ვაჟას ფენომენისაკენ.

თავის დროზე ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში აღინიშნა, რომ „ყოველ ახალ ეპოქაში ნაწარმოების ახლებურად წაკითხვას დიდად განაპირობებს მისი რთული გამართვა როგორც პოეტური სტრუქტურის, ასევე პრობლემების თუ მრავალ პრობლემათა დასმა-გადაწყვეტის მხატვრულ-იდეური ასპექტის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ნაწარმოების იმგვარ ქვეტებსტურ დამუხტვას, რომ იგი ინარჩუნებდეს მუდმივ-მოძრავ შინაგან სულს ყოველ ეპოქაში(61,38).

აქვე დამაჯერებლად მიგვაჩნია პროფ. გიორგი მერკვილაძის მიერ ჩამოყალიბებული განმარტება ქვეტექსტისა. იგი წერს: ქვეტექსტი არ უნდა აბუნდოვნებდეს აზრს ხელოვნურად, უნდა გამორიცხავდეს დამახინჯებულ ტენდენციებს-„ლირიკის ის ისტორიული ტრადიციებიც და ნოვატორული ხასიათიც, სადაც ქვეტექსტი რეალურის, მისახვედრის, არსებულისა და

ლოგიკურის, მაგრამ კონკრეტულ პოეტურ მეტყველებაში გაუაშკარავებელი, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ან შეფარული ელემენტია(იქვე-გვ.39).

ფაქტია, რომ ყველა მაღალნიჭიერი ნაწარმოები ნებისმიერი ჟანრისა მატარებელია ქვეტასტისაც და ე.წ. ზეტეტისაც (ეს ტერმინი გ.მერკვილაძის მიერ მოხმობილია ე.ისაუვის წიგნიდან-ჟ.კ.). ეს ეხება ვაჟას შემოქმედებით სამყაროსაც. ჩვენი ფიქრით, ანგარიშგასაწევია ლირიკული გმირისა და ავტორის თანაყოფნა ნაწარმოებში, ანუ ვისი მეტყველებაც შეიცავს ქვეტასტს და როგორაა იქ მოცემული ზეტეტი.

ჩვენი ფიქრით, ქვეტასტის ფენომენი ყველაზე უფრო მკაფიოდ იმ ლირიკულ ლექსთა ციკლში ჩანს, ერთი სათაურით რომ შეგვიძლია გამოვყოთ-„ქებათა-ქება”.

ტექსტოლოგებს დაფიქსირებული აქვთ ვაჟა-ფშაველას 15 თარიღიანი და ერთი უთარიღო „ქებათა-ქება”-სულ 16.

1893 წლიდან 1899 წლის ჩათვლით ვაჟას მიერ დაწერილია 10 „ქებათა-ქება”; მათგან ცხრა დაიბეჭდა ჟურნალ „პვალში”, 1 კი ჟურნალ „მოამბეში”. დანარჩენი 5 კი შექმნილია 1903 წლიდან 1912 წლის ჩათვლით, 1კი-უთარიღოა.

რედაქტორ-გამომცემლებს, ტექსტოლოგებს, თითოეული „ქებათა-ქება” დაუსათაურებიათ ტექსტის პირველი სტრიქონით.

1893-1899 წ.წ.

1. „ქებათა-ქება”(დაუკარ, სტვირთ, დაუკარ)-კვალი, 1893, №33, №34
2. „ქებათა-ქება”(ჯანდმა დაჰფარა ქვეყანა)-კვალი, 1893, №206
3. „ქებათა-ქება” (იუდასავით ქრისტესა)-კვალი, 1893, №50
4. „ქებათა-ქება” (ქრთამი ვაძლიე მუზასა)-კვალი, 1893, №52
5. „ქებათა-ქება” (მელო, შენ გაქებ) -კვალი, 1894, №1
6. „ქებათა-ქება”(დარბაისლურად ვწერდით, ვგალობდით)-კვალი, 1894 №40
7. „ქებათა-ქება”(მოქუჩდენ ამრეზილები)-1894, კვალი, №51
8. „ქებათა-ქება”(უცნაურია ესე სოფელი)-კვალი, 1897, №9
- 9.პროვინციის ქებათა-ქება-კვალი, 1897, №45-46
10. „ქებათა-ქება” (ხელში ავიდებ ჩონგურსა)-მოამბე, 1899, №1.

1903-1912წ.წ.

- 1.,„ქებათა-ქება”(დროებაგამოიცვალა)-1903, გაზ. „ცნობის ფურცელი”№21
2. „ქებათა-ქება” (მავნე აზრებზე დამდგარა)-1906, გაზ. „მიწა”, №14
3. „ქებათა-ქება”(რედაქტორებით გაიგსო)-1906, გაზ. „მეგობარი”№75
4. „ქებათა-ქება”(მოდის გოჭობა, ბატობა)-1908, ჟ. „ნიშადური”, №53
5. „ქებათა-ქება”(ვირები ბედაურობენ)-1912, „სახალხო გაზეთი”, №558

უთარიდო

- „ქებათა-ქება” (მეგაზეთენი შეყრილან)-ხელნაწერთა ინსტიტუტი ვაჟას ფონდი, №77.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას ლირიკის შემოქმედებითი ისტორიისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს „ქებათა-ქების” ციკლი.

მრავალმხრივაა საყურადღებო ზემოჩამოთვლილი ლექსები. კერძოდ, სპეციფიკურია სტილის თვალსაზრისით, იდეურ-თემატური მრავალფეროვნებით, უანრულ ელემენტთა სინთეზით, კერძოდ, ლირიკული პოეზიისა და პუბლიცისტიკის შერწყმით.

თავისი ქვეტაქსტური ბუნებით ყველა „ქებათა-ქება”, ჩვენი ფიქრით, სააგიტაციო ლირიკის ნიმუშია, რამეთუ, გარკვეულწილად გარდამავალი სტილისაა პოეზიასა და პუბლიცისტიკას შორის.

ცნობილია, რომ ქვეტაქსტს შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მხატვრული თხზულება, არამედ ერთი თემატური თუ სტილური ციკლით შექმნილი ნაწარმოებების ერთობლიობაც. ამ მიდგომით თუ ვიხელმძღვანელებთ, ვაჟას „ქებათა-ქების” ციკლში აღმოვაჩენთ შემდეგ ქვეტაქსტს—განსხვავებული მანერით ჩადგეს ცხოვრებისეული პრობლემების უშუალო გადაჭრაში, ხმა შეუწყოს იმ კონკრეტულ დროში წინ წამოწეულ სააგიტაციო, სამოქმედო ინტონაციებს, მოახდინოს ერთგვარი პუბლიცისტური რეაგირება საზოგადოებაში წამოჭრილ მრავალფეროვან პრობლემებზე.

სააგიტაციო ლირიკის ძირითად სტილურ თავისებურებებზე განმარტებები იხილეთ პროფ. აკაკი ხინთიბიძის სტატიაში, „ოციანი წლების ქართული პოეზიის სტილური სიახლეები”(124,74-107).

მკვლევარს მიაჩნია, რომ „საგიტაციო ლირიკის” ძირითადი სტილური მახასიათებლებია: „აზრის მოკლედ, მკაფიოდ, ლოზუნგის ფორმაში გამოხატვა, რათა თავისი მიმწოდებლური პათოსით სწრაფად მოახდინოს ზემოქმედება მკითხველსა და მსმენელზე.”(124,76).

ამ სტატიაშივე ვკითხულობთ: „თავისი არსით სააგიტაციო ლირიკა არის რადაც გარდამავალი პოეზიასა და პუბლიცისტიკას შორის, მას გარკვეული ფორმა, სამოსელი პოეზიისა აქვს, პათოსი—პუბლიცისტიკისა. რიტმული მეტყველება და ტროკული აზროვნებისაკენ მიდრეკილება მას პუბლიცისტიკაზე უფრო ძლიერსა და უფატურს ხდის, ხოლო მზამზარეული იდეური სქემებით გატაცება მას ხშირად უკარგავს ჭეშმარიტი პოეზიის ძალას”(იქნე).

მიგვაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას არც ერთ „ქებათა-ქებას“ „არ დაუკარგავს ჭეშმარიტი პოეზიის ძალა“.

ვაჟა-ფშაველას ლექსების „შინაარსს“, „პათოსს“ დიდებული გზამკვლევი აღმოუჩნდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სახით. აქ ვგულისხმობთ მამხილებელ ტონს, აშუქებს „სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს“, განწყობილებათა გამომწვევ იმპულსებს, მკითხველებთან კონტაქტს, შეცავს იუმორს, სატირას... თუმცა, ვაჟა-ფშაველას „ქებათა-ქების“ ციკლისათვის აშკარაა, განსხვავებულია, გამორჩეულია საკითხის დასმის, შინაარსის, პრობლემების აქტუალობა, მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემის თრიგინალურობა, წმინდა ვაჟასეული ხელწერა.

ვაჟა-ფშაველას „ქებათა-ქების“ ციკლის ანალიზი გვხურს დავიწყოთ, პირველ რიგში, სათაურის სემანტიკის გარკვევით.

ენათმეცნიერებაში მიჩნეულია, რომ სათაური (ზოგადად) წარმოადგენს ე.წ. ფრაზულ ტექსტს, ანუ სახესხვაობას ზოგადად ტექსტისა. პროფ. დავით გოცირიძის განმარტებიტ: „ფრაზულ ტექსტებში გამოიყოფა: ანდაზები, აფორიზმები, ლოზუნგები, სათაურები და ნაწილი ფრთიანი სიტყვებისა(23,201).

თითოეული მათგანის მოკლე დახასიათებისას სათაურის შესახებ თქმულია: „სათაურები,-აფორიზმების ანალოგიურად, ჩნდება პირველადი ტექსტის სამეტყველო ტექსტის გვივალენტად“(23,202).

ვიზიარებთ მოსაზრებას სათაურის ფრაზული ტექსტის შესახებ. ვფიქრობთ, რომ თითოეული სათაური თავის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს მოკლე ფრაზულ შეტყობინებად, ინარჩუნებს რა იმპლიციტურობას (დაფარულს) ან ექსპლიციტურობას (ხილულს, გახსნილს). სათაურის დაფარულობას ან გახსნილობას ხომ უშეალოდ იმ ტექსტის შინაარსი განსაზღვრავს, რომელსაც წინ უძღვის იგი.

„ქებათა-ქება“, როგორც სათაური, 16 ტექსტიდან 15-ში იმპლიციტურია. განა ამაზე არ მიუთითებს ტექსტოლოგთა მიერ ქვესათაურად პირველი სტრიქონების მითითება? მხოლოდ ერთი ტექსტის („პროვინციის ქებათა-ქება“) სათაურია ექსპლიციტური ხასიათისა, რადგან მოკლე ფრაზული შეტყობინება გავრცობილია მართული განსაზღვრებით-„პროვინციის“.

„ქება” გრამატიკულად საწყისია; ტრადიციულად, საწყისს მრავლობითი რიცხვი არ უნდა გააჩნდეს, მაგრამ აკად. აკაკი შანიძეს მითითებული აქვს: „საწყისი ბრუნვიანი სიტყვაა, მაგრამ მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს, ამიტომ იმის თქმაც არ იქნება მართებული, თითქოს მას მხოლობითი გააჩნდეს, ანუ, საზოგადოდ, რიცხვი პქონდეს. საწყისის მხოლობითი მოჩვენებითია”(100,279).

ხაზგასმული დებულების ბრწყინვალე დადასტურებაა ლექსიკური ერთეული „ქებათა ქება”, კერძოდ, ამ საწყისის თანიანი მრავლობითის ფორმა. აღნიშნულ ფორმას კი ოდითგანვე ვხვდებით უძველეს ქართულ სასულიერო თუ საერო ხასიათის ტექსტებში.

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში” წერია: „...აქებდენ ქებასა ამას ქუეყანისა იუდაისსა(I. ეს. 26,1)”; „აღვამაღლო იგი ქებითა”(ფს. 68,31); „სასმენელ ყვნეს ქებულებანი დიდებულებისა შენისანი (მ.ცხ.307)”—(4,452).

გავიხსენოთ იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”, ან გიორგი ათონელის „ქებით დიდებაი”(22,457-500).

„ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში” ვკითხულობთ: „ქება, (აქებს), ქებათა-ქება, დიდება... შემკობა, მოძვ. ზრმა („მეორე სახელი არს და ქებათაც ითქმის-საბა)... „მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი (შოთა)”, „ვით უძლო ქებად, შესხმად, დიდებად თქვენდა, მსაჯულო სიმართლისაო (შავთ), „მონა ვარ მისი მუდამ უამ და მისი შემამკობელი(ბესიკი)”. (65, 479-480).

თუ ზემოჩამოთვლილ მაგალითებს მივყვებით, განმარტებათა და დამოწმებულ წყაროთა მიხედვით საქმე გვაქვს ე.წ. ქებისმეტყველებასთან (76,223) ან ილია აბულაძის ლექსიკონში—„მაქებელი, მაქებარი, მეფსალმუნე: „მომგუარეთ მე მაქებელი”, (O.IV.მფ.15)

ა. ე. გ . ლ-შიც მოკლედაა განმარტებული მაქებარი ესაა „ქების შემსხმელი”(31,სვეტი №93).

სიტყვა „ქება”, მისი სინონიმი „შესხმა” საერო ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესს, თუ არა ვცდებით, ერთმანეთს დაუახლოვა დიდმა რუსთაველმა: „მას არა ვიცი, შევჰადრო შესხმა ხოტბისა, შე რისა”. პროფ. იუსტინე აბულაძეს „შესხმა” ასე აქვს განმარტებული: „შეთხვა-შეწყობა, ქების თქმა”(73,390); „ქების თქმასაც” რამდენჯერმე პირდაპირი გაგებით ვხვდებით პოემაში: „მას ვაქებ, ვინცა

მიქია”... „მოსეს უქია ხონელსა და სხვა. „შესხმა ხოტბისა” ხომ იგივე „ქებათა-ქებაა”.

ამის შემდეგ, ქებისა და მხილების თვალსაზრისით, ბრწყინვალე პოეტური ტრაქტატი, ინტერპრეტაცია მოგვცა დავით გურამიშვილმა „დავითიანში”(25, ჩვენი საუნჯვ, 5)

1. „აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელი რა დავარქო?
2. „ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო”
3. „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად,
მე თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად”(25,1-4).

როგორც ვხედავთ, დავით გურამიშვილმა ქებაც, ძაგებაც, მხილებაც უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიებად მიიჩნია და ამავე დროს ნათლად განსაზღვრა რეალისტი შემოქმედის მოქალაქეობრივი პოზიცია საზოგადოების, ქვეყნის წინაშე. ეს ხომ, თავის მხრივ, „სოფლისათვის ზრუნვას” წარმოადგენდა, რაც გენიალურად იქნა ჩამოყალიბებული შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერაც:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა;
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფლში და სოფლისთვის არა იზრუნვოს”(8,30).

როგორც იყვიან, აქ კომენტარები უკვე ზედმეტია. ბევრი კომენტარი არა სჭირდება იმასაც, რომ თავად გენიოსი ვაჟა-ფშავლა გენეტიკურ კავშირშია წინაპრებთან. ამავე დროს მისმა ბუმბერაზმა თანამედროვეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმაც ხომ უმაღლეს ზნეობრივ და ესთეტიკურ დონეზე აიყვანეს „ქმნა მართლისა სიმართლისა”. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება მათ მიმართ მისივე ლირიკული პოეზის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ ქრონოლოგიურად ვაჟა პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას შეეხმიანა, რამეთუ ნიკოლოზ ბარათაშვილში მან დაინახა „ქართლისა წყლულთა მოზარე”, „ძლიერი სული”, რამაც ბევრჯერ მოჰკვარა ვაჟას ცრემლები. მან სხარტად და მრავლისმთქმელად ჩამოაყალიბა საკუთარი შეფასება გენიოსი წინაპრისა:

არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტრიალი,

მედგარი სულის კვეთება,
შავბედობაზედ ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი.
(ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს. 1893წ.)

ილია მას მიაჩნდა ქვეყნის, ქართველი ხალხის მფარველად, რომელიც „მოძმეთოვის ნაჭირმაგარი“ იყო:

გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი—
მოგალით ჩვენივე ხელით,
მოძმეთოვის ნაჭირმაგარი.

(ილია ჭავჭავაძის სახსოვრად, 1907წ.)

თავის განთქმულ ლექსში „აკაკის საიუბილეოდ“ ვაჟამ ხაზი გაუსვა დიდი პოეტის დამსახურებას, მის მამულიშვილობას, მის მიერ საქართველოს წყლულების დაუფარავ მხილებას:

მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!...
(აკაკის საიუბილეოდ, 1908წ.)

მორიდებულად, მაგრამ პრინციპულად, გაეკამათა ვაჟა თავის ძმას ბაჩანას, რომელმაც თავის ლექსში „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო“ კაი ყმის საკითხი რადიკალურად განსხვავებული რაკურსით დასვა, რამაც ვაჟას უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

ბაჩანა ვაჟას უკიუნებს კაი ყმის შესახებ „ხოტბა— შესხმას“, რაც არამართებულად მიაჩნია. სწორედ ამან გამოიწვია ვაჟას პასუხიც.

„კაი ყმა“, ვაჟას გაგებით კი, სიტყვითაც და საქმითაც დგას ქვეყნის სადარაჯოზე.

ამგვარი განცხადებით ვაჟა დგება სულხან-საბა-ორბელიანის პოზიციაზე, ვისთვისაც მთავარი სამოქმედო დევიზი იყო „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

ვაჟა-ფშაველა, როგორც საზოგადოებრივ ყოფიერებაში, ისე ობიექტურ გარესამყაროში, ბუნებაში, ღრმა ფილოსოფიურად უდგება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს.

ლექსში „მოგონება” (ნუ მიწუენთ, მომაგონდება) იგი ხომ გენიალურად განსაზღვრავს სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობის კანონს:

ლმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით
ერთურთი სწყურან ორთავე,
ერთურთთან დაილევიან
(მოგონება.1890წ.)

აქ სიცოცხლეს სიყვარული ანიჭებს მარადიულობას და იგი გვევლინება სიკვდილის დამთრგუნველადაც.

„უენპირო ბუნებაც” მორჩილად ასრულებს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს. ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ ლექსს შორის გამოვარჩიეთ გენიალური ლექსი „დამე მთაში”(1890). შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით, ეს წელი ვაჟას ფილოსოფიური „აფეთქების” წლად შეიძლება ჩაითვალოს. ხსენებულ ლექსთა გარდა გავიხსენოთ: „მგოსანს”, „მთას ვიყავ”, „მესტვირის ანდერძი”, „ჩივილი ხმლისა”. მათ შორის კი ღრმა ფილოსოფიური ინტერესების შემცველია „დამე მთაში”, განსაკუთრებით მისი საფინალო ნაწილი:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭვს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქმე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა
(დამე მთაში. 1890წ.)

სიძულვილისა და სიყვარულის ერთიანობში გააზრება ბრწყინვალედაა მოცემული ვაჟას მიერ 1898წელს გამოქვეყნებულ ერთადერთ ლექსში

„მძულხარ-მიყვარხარ”, რომელშიც პირუთგნელად გამოხტა თავისი მოქალაქეობრივი მრწამსი.

მყარია მისი პოზიცია—ავს ავს უწოდებს ... „ჩვენს ცუდს არ მალავს”... მოყვრისთვის პირში თქმით განაცხადებს:

მძულხარ იმიტომ, უძლური რად ხარ
ძლიერი მკლავით, მტირალი სახით
და შენი ბედი, ბედი შავ—ბედი,
რად შემოსილა სულ მუდამ შავით?
(მძულხარ-მიყვარხარ, 1898წ.)

და იქვე განუმარტავს ყურზე მიძინებულ, გზაარეულ, ზნეობაშერყეულ ქვეყანას დაცემის მიზეზებს:

მოკეთის მგმობო და მტრის ვერ მცნობო,
შენს დამდუპავთან მისულო ზავით,
ბედის მომლოდნევ გვერდზე წოლითა,
ცარიელ ჯიბით და ბნელის თავით.

ჩანს, ასეთი ვითარება უდაოდ „ძულებადა ხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა”. ოდნავ ზემოთ ყურადღება შეჩერებული გვქონდა მაქებრებზე. ეს ცხოვრება კი იქვე მძაგებლებსაც ბადებს. ამას ცხოვრების განვითარების ლოგიკა მოითხოვს და სასულიერო თუ საერო მწერლობას, ქართულ ლექსიკოლოგიას, ფრაზეოლოგიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ასეთი პიროვნება, ასეთი მოვლენა.

თუ „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს” მივყებით, ეს ძაგება არაა ოდენ ზიზღი, მტრული მიდგომა, ამავე დროს ეს „დაწუნებაა”, წუნისდადება, გაკილვაა, გაკენწლვაა, გაკიცხვაა, ძრახვაა(65,177).

ასეთ პიროვნებაზე სათანადოდ მიგვითითებს ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი”: „ძაგება-ძულებაი, სიძულვილი—„ჯერ არს, რაითა იყოს... მათა ფრიად მოძაგე.” საკ.წიგ. II, 775”(4,285).

ასევე მკაცრადაა ინტერპრეტირებული მძაგებელი პროფ. ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში”: „მძაგებელი—მოძულება-ვერცადა კუალად მათსა მძაგებელ ანუ მაქებელ გარ მუშებასა წინდაცეთისასა.”(76,157).

რაც ავყიობას, ძაგებას, „მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო” და დიდი ვაჟაც, გაზრდილი ამ ზნეობრივ ატმოსფეროში, ბრძანებს:

მაინც მიყვარხარ, ჩემს წყლულს ოცნებას
ზედ აკერიხარ ალმასის დილად;

ვერ დაგივიწყე, გულს არ პშორდები,
მღვიძარე ვარ თუ მივიქეც ძილად.

მძიმე და რთული ყოფილა „მოკეთის მგმობის, მტრის ვერმცნობის, ქვეყნის დამლუპველთან ზავით მისულის” დანდობა, ცოდვათა მიტევება, მაგრამ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი პოეტი სულგრძელობას იჩენს და განაცხადებს:

სამსალა პირს მწვავს, გუნებას მირევს,
ბოლოს კი ისევ მეჩვენა ტებილად,
ესეც წესია, ალბათ, ბუნების:
შენ დედა თუ ხარ, გმაუთვნი შვილად!
(მძულხარ-მიყვარხარ. 1898წ.)

შვილის მოვალეობას კი წმინდა წერილი ნათლად განსაზღვრავს: „პატივ-ეც-მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნ ქვეყანასა ზედა “(ბიბლია). „მეხუთე მცნება გვიბრძანებს...—შვილები უნდა დაემორჩილნენ მშობლებს იმ შემთხვევაშიც —კი, როცა პხედავენ მათს ნაკლულევანებას.”(78,89)

ჩვენი რწმენით, აღნიშნულ ლექსში გამორიცხულია ლირიკული გმირის, ავტორის, მიერ ავთან ზავის დადება. იგი ისეთი დედის შვილია, რომელსაც „წინ მიუძღვის ჭეშმარიტება და უპან რჩება კვალი განათლებული”.

მითუმეტეს, ლირიკული გმირის განწყობილებას, მის ოპტიმიზმს პოზიციას უმაგრებენ ისევ და ისევ წმინდა წერილიდან: „დაწყებაი სიყუარულისაი ქებაი არს”. მ .სწ. 156, 26”—(4,452).

მეცხრამეტე საუკუნე პოეტმა გააცილა ლირიკული და პუბლიცისტური ინტონაციებით შერეული „ქებათა-ქებით”(ხელში აგიღებ ჩონგურსა”. 1899).

ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილისაგან განსხვავებით, აღნიშნული „ქებათა-ქება” შერეული სალექსო სისტემით წარმოადგენს გარკვეულ რეაგირებას საუკუნის ზნეობრივ თუ სოციალურ მოთხოვნილებებზე.

იქ, სადაც ჭარბობს ლირიზმი, ემოციური ინტონაციები, ნაწარმოები რვამარცვლიან შაირთა მონაცვლეობითაა წარმოდგენილი:

ხელში აგიღებ ჩონგურსა,
მინდა დავმდერო ლალადა,—

აქცენტი გადადის მის შინაგან განცდებზე:

თითები აღარ მომყვება—
გული არ არი საღადა,
გადაქცეულა ნაოხარ

გაბეჭხერებულ ბალადა.

აქვე ჩამოყალიბებულია მისი პოეტური, მოქალაქეობრივი კრედო:

მიყვარს საგმირო ჰანგები,

სიტყვა და აზრი ციური,

მაგრამ გულს იქით არ მიდის

გრძნობა და ფიქრი დვთიური;

ფრთებს მიკვეცს აღმაფრენასა

ამბავი ყოველდღიური.

წარმოდგენილი მონაკვეთი ნაწარმოებისა მიგვაჩნია ერთგვარ ლირიკულ უკერტიურად სააგიტაციო, პუბლიცისტური ნაწილისათვის, რომელიც განსხვავებული სალექსო ფორმითაა წარმოდგენილი—ეს არის ათმარცვლიანი საზომი სხვადასხვა მუსიკალური ჟღერადობის რითმებით.

ფორმა 18-ტარებიანი მონაკვეთისა განაპირობა მისმა იდეურმა ფუნქციამ, პუბლიცისტურმა შეფასებამ გაუსაძლისი სოციალური ყოფისა, ძირითადად ქართველი გლეხეცისა.

პირველივე სტრიქონებიდან განისაზღვრა სათქმელის იდეა:

მოძმეთ გონების სიმაღლე მწადდა,

იმათ გრძნობათა და ფიქრო დიდობა.

(ქებათა-ქება. (ხელში ავიდებ ჩონგურსა 1899).

თუმცა, საწადელს ვერ აღწევს, გული სტკივა, რომ ვერაფერს გახდა, ვერავის ვერა არგო-რა, მაშინ, როდესაც:

სიყმილი მკლავდა მმათა რგებისა,

ეს იყო ჩემთვის ბედნიერება,

ეს იყო ჩემთვის ყოფნა შვებისა.

მიზეზი ამისა კი იყო ის, რომ „ცუდივ ამბავი მესმის ძმებისა”.

მოკლე კომენტარით კმაყოფილდება ავტორი გუთნისდედის მძიმე და აუტანელი ყოფის აღწერით;

ეს პუბლიცისტური შეფასებაა სოციალური ვითარებისა და ლექსი ინარჩუნებს სააგიტაციო ლირიკის ინტონაციას, რომელიც ძლიერდება ვაჟასული სტილის ლირიკით: ერთიმეორეს მოპყვა მეტაფორიზაცია, გაპიროვნება, ალეგორია, გპიოგტი:

გელით, არ მოხველ, მთვარეო,

ცრუმლი წინ გვიდგა გუბედა,

შავი მოერტყა ნისლები

ჩვენს უბედურს ბედს ზღუდედა.
გსტირით, ტირილი არას გვშელს,
დავცურავთ ნაღვლის ზღვაშია,
შინა არ გვეშინავება,
არც გვასვენებენ კარშია,
ჩამწარდა ჩვენი სიცოცხლე
ყოველგან, მთა და ბარშია.

და ასეთ აუტანელ ყოფაში წასულა სიყმაწვილის დრო, გამოერია ჭადარა,
მოუხედავად ამისა, იგი გუილთ არაა გატეხილი, სულით არ დაცემულა.

არ მომრჩენია, ისევ მჭირს
გულზე რაც მჭირდა იარა,
შავაქლარუნებ ფანდურსა,
თუ უინმა წამომიარა,
მაგრამ ეს არის სადარდო,
თქმა არი, საქმე კი-არა!

„ქებათა-ქება („ხელში ავიღებ ფანდურსა“)

როგორც გხედავთ, საუკუნის მიწურულშიც მდგარა აქტუალურად საქმისა და
სიტყვის ურთიერთობის პრობლემა. გვიქრობ, „ქებათა-ქების“ ბოლო სტრიქონმა
შეაჯამა სააგიტაციო და პუბლიცისტური ამოცანა, ანუ რისი მხილებაც იყო მთავარი—
„თქმა არი, საქმე კი-არა“.

ცნობის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 1898წელს ვაჟას მიერ არ
გამოქვეყნებულა არც ერთი საშობაო თუ საახალწლო სიმღერა, რომლებიც თავისი
ფუნქციით პუბლიცისტური ლირიკისანი არიან; არ გამოუქვეყნებია არც ერთი
პუბლიცისტური წერილი. ზოგადად, თუ რამ განაპირობა ამგვარი პასიურობა,
სარკასტულადაა გამოხატული დაუთარიდებელ ლექსში „პუბლიცისტი“.

ამ ლექსში იუმორისტულადაა განმარტებული პუბლიცისტის მძიმე
მდგომარეობა „იმ წლევანდელს წელშია“. პუბლიცისტის სულთამსუთავად
იმდროინდელი ცენზურა მოჩანს.

გამწარებული პუბლიცისტი იძულებული ხდება, დაემორჩილოს მუქარას,
მოთხოვნებს და გულმოსული იტყვის:

ლექსის სათაურიც და შინაარსიც ნათელი ნიმუშია პუბლიცისტური
ლირიკისა. სატირულ ლექსში ქვეტექსტებით, ალბათ, 1905-1907 წ.წ. არეული დროც
უნდა იგულისხმებოდეს: „არაფერი წამოგცდეს, მუშტებს მცემენ ფერდშია“.

1903 წელი იწყება ბრწყინვალე ლექსით „დამსეტყვე ცაო”, რომელშიც ნათლად ჩამოყალიბდა მისი სამომავლო მოქალაქეობრივი, პოეტური პოზიცია:

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწო არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!
(დამსეტყვე, ცაო. 1903წ.)

ბუნებრივია, როდესაც აცხადებდა: „ჯერ ისევა ვარ ფხიანადო”, ხელიდან არ გაუშებდა ქვეყნის მაჯას, კარგად მიხედავდა „უამ-კარ” არეულებს. რთულია მისი მდგომარეობა, რადგან მის გულში წყლული იზრდება, სულს უხუთავს, აღონებს და ამბობს:

სიკვდილი არა მწადიან,
თუმც ტანჯვე სიკვდილს მაგონებს
და ჩემი ყოფნა ასეთი
საწყალს ამირანს მაგონებს.
(მემდერება და ვიმდერი(სიმდერა). 1903წ.)

შესაშურია მისი ოპტიმიზმი, რწმენა მომავლისა. იუხედავად იმისა, რომ გულზე სამი იარა სჭირდა, სიმდერას მაინც არ მოიშლიდა:

მემდერება და ვიმდერი,—
გულზე მჭირს სამი იარა:
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ყრია-რა,
და მომაგალის ფიქრებიც
არავინ გამიმზიანა!

(30.234).

ვიდრე, „ქებათა-ქებას” (დროება გამოიცვალა) განვიხილავდეთ, საინტერესო ერთი შტრიხის აღნიშვნა: პოეტის მახვილ თვალს არ გამოჰკარვია ზნეობრივი მეტამორფოზები თანამემამულეებისა. იხილე მისი ლექსი „ბაღი ვიხილე გუშინა”(სიმდერა). ეს ლექსი გამოქვეყნდა 1903 წლის 2 მაისის ნომერში, „მემდერება და ვიმდერი”-ამავე წლის 22 მაისის ნომერში. ჩანს, საერთო

შემოქმედებით-ფსიქოლოგიური იმპულსები დაუფლებოდა მის მუხას და „ცნობის ფურცლის“ 25 მაისის ნომერში ქვეყნდება მოზრდილი ლექსი „ქებათა-ქება“, რომლის პირველსავე სტრიქონში მინიშნებულია ზოგად მეტამორფოზაზე, ფართო გაგებით—„დროება გამოიცვალაო“.

დროების ცვალებადობა კი რამ გამოიწვია, ბრწყინვალედაა ჩამოყალიბებული ჟურნალისტური აქტუალურობით გაჯერებული ერთგვარი „რეპორტაჟებით“ როგორც „უენპირო ბუნების“ სამყაროდან, ისე თანამემამულების ყოფა-ცხოვრებიდან. დრო, დროება, მბრძანებელია და მან განაპირობა ზნეობრივი მეტამორფოზები.

და ასეთ მძიმე გარემოში გაზეთის რედაქციის დავალებით გასულ კორესპონდენტს მოგვაგონებს ლირიკული გმირი.

შესავლისა და დასკვნითი ნაწილის გარდა „ქებათა-ქებაში“ მოცემულია რვა სიუჟეტი. აქედან ხუთი ეხება ბუნებას, ბუნების მოვლენებს, რომლებსაც დროების ცვლილების გამო საკუთარი პრობლემები გასჩენიათ. პოეტი არ იფარგლება მხოლოდ აღწერით, ბუნების ყველა მეტამორფოზას კაცთა ცხოვრებას უკავშირებს. ალეგორიულად საგაზეთო დავალებაც ხომ ეს იქნებოდა—ნათელებულ საზოგადოებრივი ყოფიერების პრობლემები.

სხარტადაა შედგენილი ქართველ მემამულეთა სატირული პორტრეტი. ავტორი ამ დროს უკომპრომისოა. ესაა მოყვრისათვის პირში თქმის მეთოდი, ამგვარ მანკიერთა გამომზიურება. „რეპორტიორის“ მახვილ თვალს არც ოფიციოზის, კერძოდ პოლიციელის, ძალმომრეობა, მექრთამეობა გამორჩება.

თუ აქ სოციალურ კატასტროფაზეა მინიშნება, შემდგომ სიუჟეტში უკვე ეროვნული გადაჯიშების სახიფათო ტენდენციაზეა საუბარი: ამის ერთ-ერთ მიზეზად ავტორს ურბანიზაციაც მიაჩნია:

ვინც შემხვდა და ვისაც შევხვდი,
ყველა იძახის „ზდრასტისა“,
ეს ამოდენა დუნია,
რაც-კი ქალაქში დადისა.

ეს გასაგებია,-ქალაქი ჭრელია, ოდითგანვე ხომ სოფელი იყო ქართული ენის გადამრჩენელი, და პუბლიცისტის მახვილმა თვალმა ამოდენა დუნია ქალაქში შეამჩნია თავისი ნაცნობი სოფლელი სესე. იმედი ჩაუსახა ავტორს:

ეგები ამან მაინცა,
ესთქვი, მითხრას „გამარჯვებაო“.
სალამი ჩემის ქვეყნისა
გულს მალამოდა ჰევდებაო.

იმანაც „ზდრასტიო“ მომმართა
თავი არ მომიკვდებაო.

ერთგვარად სააგიტაციო ლირიკა, პუბლიცისტური პოეზია მოცემულ
„ქებათა-ქებაში“ კომპოზიციურად შეკრულ შთაბეჭდილებას გვიტოვებს საფინალო
სიტყვებით:

მანამდე თვალთა ხედვა მაქვს,
არ დავოჩნდები სმენითა,
უქნარმა, ხელებით დამბლამ,
უნდა ვიუბნო ენითა”.

(„ქებათა-ქება“(დროება გამოიცვალა).1903).

„ქებათა-ქების“ ის პასაუები, რომლებშიც პეიზაჟია მოცემული, ლირიზმის
მშვენიერი ნიმუშებია, ხოლო იქ, სადაც ადამიანები არიან გამოყვანილნი, მიგვაჩნია
პოეტურ ფელეტონებად (ფელეტონის დღევანდელი უურნალისტური გაგებით). ასე
რომ, „ქებათა-ქება“(დროება გამოიცვალა) სააგიტაციო ლირიკის, პუბლიცისტური
ლირიკის მშვენიერი ნიმუშია.

თუ მოვლენებს სათანადოდ გავაშუქებთ, დროების გამოიცვლა ქვეყანას
უფრო მკვეთრად 1906 წლიდან დაეტყო. ქვეყნის არევ-დარევის ამბავს
ხევსურეთშიც აუღწევია და ბებერი ბერდიაც აუღელვებია:

უამბეს ბებერს ბერდიას
ქვეყნისა არევ-დარევა,
ცეცხლის მომდები ამბავი,
მთელის ქვეყნისა დარბევა.
(ხევსური ბერდია.1906წ.)

ჩივის მოხუცი, რომ მკლავი მოუდუნდა, მუხლებიც აღარ მისდევს; ახალ-
უხლებიც არ ჩანან, ცხენებს არ კაზმავენ და მიმართავს მათ:

ნუ სჩადით უგვანს საქმესა,
კისრად ნუ იღებთ სირცხვილსა,
ბიჭი ის არი, საომრად
ვინაც დაიწყებს ზიდილსა,-
ვინც გამწარებულს სიცოცხლეს
დაამჯობინებს სიკვდილსა...
წესია: მამულისადა
მოკვდით და დაიხარჯენით!(იქვე).

ნაწარმოები მომწოდებლური პათოსითაა გაუღენილი და ინარჩუნებს სააგიტაციო ლირიკის თვისებას. საგულისხმოა, რომ ლექსი გამოქვეყნდა „ივერიაში”.

თავისი ბუნებით პუბლიცისტურია ლექსი „ბოქაული”. როგორც სატირულ ნაწარმოებს მოეთხოვება, ნათელია ავტორისეული ტენდენციურობა. აღნიშნული ლექსის აქტუალობა განპირობებულია საყოფაცხოვრებო, სოციალური ფაქტორით.

„ბოქაული” მამხილებელი ნაწარმოებია. მხილებულია ოფიციალური ჩინოვნიკი— ბოქაული.

ლექსის მიხედვით, ბოქაული მედროვე კაცია, გაქნილია; საზიზდარია მისი მლიქვნელობა. გუშინ რომ მუშტით, მათრახითა და ჯოხით სჯიდა, დღეს იგივე ხალხი, ბრძო, გაიძახოდა: „გამოკეთდა, დრომ შეცვალა... ნამდვილია”.

პუბლიცისტიკის მახვილ თვალს არ ეპარება ასეთი პიროვნების ზნეობრივი მეტამორფოზები, უფრო სწორად, მისი ქამელეონობა.

რეაქცია ბატონობს ქვეყანაში, იბრძვის საბოლოო გამარჯვებისათვის და, როგორც ცნობილია, სასურველ შედეგებსაც მიაღწია. ხალხმა ალღო ვერ აუდო ბოქაულის ქცევას, ვერ გაითვალისწინეს ვისი „ნაწურთნი, გაზრდილია” იგი. მშვენიერი ანდაზით შეაფასა პუბლიცისტმა პოეტმა ბოქაულისნაირნი:

„საცა ძვალს ხრავს

ძაღლი იქ ჰყევს.”

ხალხი თანდათანობით მოეგო გონს და თქვა „ნუ ვენდობით ბოქაულებსო”. დასკვნით ნაწილში შეგონებაა მოცემული, მიზანდასახულება თხზულებისა ის არის, რომ საზოგადოებას აფრთხილებს ბოქაულისნაირთა შეფასებით:

სწორე უთქვამო ცხონებულებს

მამა-პაპას საგძლად ყურის:

„ძაღლი იმის ერთგულია,

ვინაც სწურთნის, ვინც პურს უყრის”

(ბოქაული. 1906წ.)

ბოქაულის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ იმავე გაზეთმა-„მიწა”(1906წ. XII №14) დასტამბა ვაჟა-ფშაველას მწვავე სატირა „ქებათა-ქება”(მავნე აზრებზე დამდგარა), აქაც რეაქციის პარპაში, დაბნეული ხალხი, გამოსავლის ძიება. სარკაზმის ობიექტი ოფიციოზი კი აღარაა, არამედ „ჩვენი სოფელელი ტეტია”, მღვდელ-დიაკვნები.

მათზე არანაკლებ მძიმე მდგომარეობაშია ლირიკული გმირი ლექსისა „დამუნჯებულსა ენითა”(1906წ.), მაგრამ გულში წუთითაც არ გაუვლია

მედროვეობა. ეს ლექსი იშვიათი გამონაკლისია ვაჟა-ფსაველას პოეზიაში, რომელიც დამძიმებულია ლირიკული გმირის პესიმიზმით:

უბედო ბედმა გამრიყა,
მიმაკრა ლოდსა კლდისასა;
დაგლიე წუთისოფელი,
მივემგზავრები ცისასა.
ვერცა რა თავსა ვუშველჭ,
ვერც გაჭირვებას ძმისასა.
(დამუნჯებულის ენითა.1906წ.)

მაგრამ ამ ლექსისა და „ქებათა-ქების“ პუბლიკაციებს შორის 3-4 დღე დგას, როგორ განსხვავდებიან მათი ლირიკული გმირები ერთმანეთისაგან.

პესიმიზმი უცხო არ იყო 1905-07 წლების პერიოდში ქართველ ინტელიგენტთა შორის, ამას თავისი გამამართლებელი საფუძველი ჰქონდა.

მიუხედავად პესიმიზმისა, პოეტს მაინც არ ტოვებს ჯანსაღი იუმორის გრძნობა, რომელიც მთელი ელვარებით გამოვლინდა „ქებათა-ქებაში“ (რედაქტორებით გაივხო).” 1906წ.

თუ კვალში მივყვებით რეპორტაჟის სიუჟეტს, ადმოვაჩენთ სარკასტულ სურათის დროებისას.

ჩანს, მოვლენათა „ლოგიკა“ ითხოვდა პრესის, უურნალ-გაზეთების გამოცემის სიმრავლეს:

„რედაქტორებით გაივხო
ეს ჩვენი დედაქალაქი.
მსურველიც კიდევ ბევრია,
ვით გაზაფხულზე ბალახი...
ხელისმომწერი თუმც არ ჰყავთ,
პფიქრობენ, მისცემთ ალლახი“
(ქებათა-ქება(რედაქტორებით აივხო).1906წ.)

ამდენი რედაქტორების სიჭარბე პუბლიცისტ პოეტს „საზოგადოების გამოღვიძების“ უტყუარ ნიშნად მიაჩნია. გამანადგურებელი სატირაა რევოლუციურ ძალთა ერთი პატარა შტრიხით გამოხატვა:

ვიღვიძებთ, წინ მივისწრაფით,
დარწმუნებულ ვარ ახლა კი:
მარსელიეზას მდეროდა
იმ დღეს მიხაკა დალაქი.(იქვე).

ეს ლექსი, ფაქტიურად, პუბლიცისტური შეფასება-შეჯამებაა 1906წლის მოვლენებისა: მარსელიეზით ამდერებულ მიხაკა დალაქს თავი რომ დაგანებოთ, სხვა უფრო მეტი სავალალო ვითარებაა გასათვალისწინებელი. იმ წლის განვითარებული მოვლენები პუნქტებად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- I. ჭკვიანს ჭკვას აღარ ჰკითხავენ,
მიტომ რომ ყველა ჭკვიანობს;
- II. დარბაზში ვინმე ბრძანდება,
თუ ქუჩა-ქუჩა ყიალობს;
- III. დიაკვანს მღვდლობა სწადიან,
ურჩობს და აღარ დიაკვნობს;
- IV. ბრიუვი, უზრდელი მოვახშე
თავს გვიკრავს, თავაზიანობს;
- V. მოდის ახალი დროება
მოდის და არა გვიანობს;
- VI. ცუდი დროება დაგვიდგა,
თუ ამ პუნქტების მიხედვით ჩამოყალიბებულ მოვლენებს ურნალისტის პოზიციიდან გამოვიკვლევთ, მკითხველის თვალწინ მძიმე რეალობის სურათი დაიხატება.

მიზანდასახულება გაზეთ „მეგობრის“ რედაქციისა და უშუალოდ თხზულების ავტორისა ნათელია: გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მკითხველი საზოგადოების განწყობილებაზე, გამოაფხიზდოს ფართო მასების შეგნება.

პირველ და მეორე პუნქტში ოდნავ შესამჩნევი კი არა აშკარა ირონიაა მოცემული საზოგადოების გარკვეული ნაწილის დასახასიათებლად. მეტყველების ნაწილების „ყველა“ (ყველა ჭკვიანობს) და „ვინმე“ (დარბაზში ვინმე ბრძანდება) ჩართვა ლექსიკურ საშენ მასალაში განზოგადების საშუალებას იძლევა. ოდნავ წინ კი მიხაკა დალაქის მიერ მარსელიეზას „დაგუგუნებაც“ ღიმილის მომგვრელია, ირონიული შეფასებაა რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა ავტორის მიერ.

ვინ რას მოელოდა რევოლუციისაგან? პუბლიცისტი პოეტი დაუფარავად ამხელს დიაკვნების მისწრაფებას. იგრძნო-რა ათეისტური მოძრაობის „სარგებლიანობა“, ანუ როდესაც შეტევის სიმძიმე მღვდლებზე გადავიდა, თავად მოიწადინა მღვდლის ადგილი.

პუბლიცისტ –პოეტს ჯავრს ჰგვრის დიაკვნებისა და მისთანების ქცევა და ხრიკები.

ამის შემდეგ წინ წამოიწევს ალეგორიული სახისმეტყველება: ალეგორიულობის საფარქვეშ ავტორი ზრდის მხილების სუბიექტურ როლს და ერთგვარად „რბილდება” მისი პოზიციის სიმკვეთრე:

ცუდი დროება დაგვიდგა,
ძალიან ცუდი დარია;
თაგვები კატებს არჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დაპრია,
ქორი დაქოჩრა ქათამმა,
ომი შაქნათ ცხარია.
საგმირო საქმეებს სჩადის
ინდაურების გვარია.

ასეთმა ქაოსმა კი ის უბედურება გამოიწვია, რომ
გალახეს, ჯვარზე გააკრეს
აზრი და სამართალია.

თუ ასე აირია სულიერი უენპირო სამყარო, უკეთეს მდგომარეობაში არც უსულო უენპირო ბუნებაა:

რიონი უკან გაბრუნდა,
იმას თან მოჰყვა მტკვარია,
აღარ სწადიან იდინონ,
ტალღები შედგა ჩქარია.
მცხეთას ატირდა არაგვი,
ცრემლები მოსდის ცხარია.

„ქებათა-ქების” დასკვნით ნაწილში სარკაზმი უმაღლეს დონეს აღწევს და ცრემლზე უფრო მწარე სიცილით ბოლომდე აშიშვლებს რევოლუციურ პროცესს საქართველოში და დიდი გამბედაობით იტყვის:

დღევანდელი დღის შვენება
ალადებს მხოლოდ ვირებსა.

„ქებათა-ქების”(რედაქტორებით გაივსო) ბოლო სტროფი ერთგვარად პროპაგანდისტული სულისკვეთებისაა, რამეთუ ფართო მასებზე ზნეობრივი ზემოქმედების ხასიათი აქვს.

რაც შეეხება ლექსს „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა”(1906წ.), უკვე სათაურშივეა გაშიფრული ნაწარმოების მიზანდასახულება.

გოდება—ეს ხომ იგივე მოთქმა-ჩივილია. ბიბლიური გააზრებით, წინასწარმეტყველნი „ყოფადთა საქმეთათვის წინაისწარმეტყველებენ”.

წინასწარმეტყველება კი დასაშვები იყო სასიპეთოც და არაკეთილი ამბისაც: „არა წინასწარმეტყველებს იგი ჩემთვის კეთილისა”(ბიბლია. ძველი აღთქმა. მ.II 68. 12,7).

ვაჟას თანამედროვე წინასწარმეტყველს გულს სტაქნს ის, რომ საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელში მადლი მატლადაა ქცეული, ანუ საზოგადოება განიცდის ზნეობრივ დეფიციტს.

მთელი ლექსი ინარჩუნებს ჭკუის სასწავლებელ, სააგიტაციო ფუნქციას ცოდვისა და მადლის დაპირისპირების გამო. ლირიზმი ფაქტიურად მოქცეულია მოვლენათა ეპიკურ თხრობაში.

პოეტს ერთ მძივად აუსხამს სხვადასხვა შემთხვევა, რაც მას გადახდენია ცხოვრების მანძილზე.

ვკითხულობთ ლექსს და ვრწმუნდებით, ავტორს პირადი ქმედების გამზიანება-დაყვედრება კი არ სურს, არამედ ხაზს უსვამს უმაღურ, დაუნახავ ადამიანთა უზნეობას; რომელთაც ამოძრავებთ ბოროტება, სიხარბე, კაცომოძულეობა, მოღალატეობა, ანგარება. ყველა მძიმე ცოდვადაა მიჩნეული და ლირიკულ გმირს სამოქმედო დევიზად უქცევია ერთი ქართული ანდაზა(პერიფრაზით)-რომ თქმა ნამდვილად სჯობს არათქმასა. თქმით კი მას თითქმის არაფერი არ დაუშავებია. პირიქით-ლექსის იდეური მრწამსიც მანკიერებათა მხილებაზეა დაფუძნებული.

აღარ მოვყვებით იმ სავალალო ამბების შინაარსს, რაც გადმოცემულია ლექსში. ყურადღებას მხოლოდ ავტორის, ლირიკული გმირის, სამოქალაქო პოზიციებზე შევაჩერებთ:

მე ნარი ვგლიჭვ, ეპალი,
სხვამ კი მოიმკო სამკალი
სხვამ მოხნა ჩემი მამული,
დაჩლუნგდა ჩემი ნამგალი.

(გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა.1906წ.)

მრავალი კეთილი საქმე ჩაუდენია ლირიკულ გმირს და ყველაზე ავზნიანი პასუხი მიუღია.

მიუხედავად ამისა, მას მაინც არ გადაუხვევია კეთილის გზიდან, ის თავდადებულ პიროვნებად რჩება

თავი მაქვს დავიწყებული,
ვრგებ, მას კინც შესაწყალია.

საზოგადოების ზნეობრივი პორტრეტი ორიოდე შტრიხითაა დახატული:

ამისთვის ცოლ-შვილი მწყევლის,

გარეთ დამცინის ქვეყანა:

„არ გიკირსო? რაებსა შვრება,

რამ გააგიჟა ნეტარა?!”

მედება ყოველ მხრიდანა

გმობის და წყევლის ბეგარა.

(გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა. 1906წ.)

აგზორი ოპონენტებს დააყენებს საგოდებელი კედლის წინ და მტკიცედ განუცხადებს მათ:

იმას ვერ დამაშლევინებთ,

რაც ჩემგან განაბჭობია.

თავ-გამოდებულს ქცევასა

ნუთუ სჯობ ტვინის ობია?(იქვე).

რაც მთავარია:

სიმართლე მიყვარს, სიმართლე,

მიყვარს იმისი წესია.

არ მენანება, იმისგან

რამდენიც დამიკვნესია

ვესწრაფი კეთილის ქმნასა,

გრძნობებიც გამიღესია(იქვე)

ამ განცხადებით კიდევ ერთხელ დასტურდება ის ჭეშმარიტება, რომ მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის პოეტისათვის „სიკეთე და სიყვარულია... ადამიანის არსებობის მიზანი”(101,258). აქვე პროფ. თამარ შარაბიძე წერს: „ქრისტეს რჯულისა და სამშობლოსათვის თავდადებულთა სიყვარულს კი უმაღლეს იდეალად მიიჩნევს, ქრისტეს ცხოვრების დამოწმების ტოლფასად რაცხს... სიკეთე, სიბრალული, მიტევება და სხვა პუმანური გრძნობები მხოლოდ სიყვარულთან კავშირში უნდა არსებობდეს, რათა ამ გრძნობებმა სრულყოფილებას მიაღწიოს და მხოლოდ მოვალეობის ფუნქცია არ შეასრულოს. სიყვარულის გრძნობას ვაჟას ზოგიერთ ლექსში პირდაპირ უკავშირდება მესიის სახელი”(101,258). ამ თვალსაზრისით, ბრწყინვალე დადასტურებას ვნახულობთ წინამდებარე საანალიზო ნაწარმოებში:

შესაბრალებელს ვიბრალებ,

როგორც მიბრძანებს მესიია.

თქვენი კანონი თქვენ იცით,

ჩემი კანონი ესია!...

ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა,

ვისაც რამ დაგვითესია.

(გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა. 1906წ.)

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის პვლევას ხანგრძლივი და ანგარიშგასაწევი ტრადიციები გააჩნია (კ. აბაშიძე, გრ. რობაქიძე, გრ. კიკნაძე, ა. გარეულია, ს. დანელია, დ. ბენაშვილი, ა. მახარაძე, ბ. დობორჯგინიძე, გრ. ხერხეულიძე, თ. ჩხერიძე, ლ. თეთრუაშვილი, გ. ასათიანი, რ. თვარაძე, ჯ. ჭუმბურიძე, რ. სირაძე, ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, თ. შარაბიძე, დ. წოწკოლაური და სხვანი მრავალნი).

ყველა ავტორის მოსაზრებაში უდაოდ ძევს რაციონალური მარცვალი, მაგრამ ყველა თანხმდება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ყველაზე სანდო მრჩეველი ისევ და ისევ დიდი ვაჟაა. გავიხსენოთ მისი ლირიკული, ეპიკური, პროზაული თხზულებები; პუბლიცისტური, ეთნოგრაფიული, კრიტიკული წერილები; აგრეთვე მისი კორესპონდენციები და ფელეტონები თიანეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, შირაქიდან და ა.შ.

ვაჟას რწმენით, მართლმადიდებლური ქრისტიანიზმით ცოცხლობს და არსებობს როგორც ადამიანთა საზოგადოება, ისე ჩვენი ქვეყანა მიწიანა, ციანა, მზიანა, ზღვიანა. გავიხსენოთ ერეკლეს მიმართვა ჩვენი მოლაშქრეებისადმი:

ნუ გამაწილებთ, მიიღეთ

ჩემი ხვეწნა და მუდარა.

მე მოგვვდე თქვენზე უწინა,

მე მიმიბაროს მიწამა,

ოდონდ ნუ დავგმობთ იმ რჯულსა,

რაც კი ჩვენგანმა იწამა.

(ირაკლი ბრძოლის წინ. 1911წ.)

შემთხვევით არ ითქვა თავის დროზე: „უსულო საგნებს სული ჩავბერეთ“ და არავითარი უცნაურობაა ის, რომ სალ კლდეებს, მაღალ მთებს, ამ გმირებს, „ერთი ფიქრი ჰქლავს... , იგივე საერთო ჩვენება“. საერთოა იმიტომ, რომ მათაც დაპყენიათ მადლი სულიწმინდისა.

ერეკლეს ხვეწნა-მუდარისაგან არაფრით განსხვავდებოდა გერგეტის ჭიუხებში მთელ დამეს ლოცვად დამდგარი ჯიხების ვედრება.

თუ მეფე ირაკლის აზატ-ხანის ფაფხური და გათავადების სურვილი აშფოთებდა, სალ კლდეზე ქანდაკად გაქვავებულ ჯიხეს გულს უკლავადა მაღალი მთების დამონება „ქარ-ბუქის, ყინვა-ზრობისაგან“, რომ „ყოილთაგან“ და ბალახთაგან გამქრალ-გადამხმარ ფერდობებს ადარაფერი ალადებთ:

ერთი ფიქრი ჰქლავს გმირებსა,
იგივ. საერთო ჩვენება.
დაპლატის თავზე ბორიო,
აგლეჯს თმა-წვერს და ქოჩორსა,
გერგეტით გადმოტანილსა
აყრის მთაწმინდას, კოჯორსა
(ჯიხვების ვედრება. 1911წ.)

მართლაც მშვენიერი ფერწერული ფრაგმენტია შექმნილი გენიოსი პოეტის
მიერ:

ჯიხვმა სთქვა სალის კლდისამა,
მთელ დამეს ლოცვად მდგარია,—
ცისთვის მიუპყრავ თვალები,—
რა მშვენიერი არია!
ლამაზე უმშვენებს ყელ-ყერსა
ცრემლის წვეთები მწარია: (იქვე)

ცისკენ აპყრობილი თვალები, მხურვალე ლოცვით აცრემლებული ჯიხვის
სავედრებელი ზოგადქართულია, საერთო ტკივილის გასაყუჩებელი თხოვნაა
დამბადებლის მიმართ:

„მიიღე, დამბადებელო,	მინამ ნუ მომკლავ, მაშინ კი
ეს ჩემი სათხოვარია.	ადარა სანუკვარია
გულს მიკლავს მთების დაჩაგვრა,	ჩემთვის სიცოცხლე და სული
ესა მაქვა საწუხარია.	წაიღე, მიიბარია.
მაჩვენე აყოვებული	ასრულდეს ჩემზე ბრძანება
სამშობლოს მთა და ბარია.	დვთისა, ცით ნაჭუხარია!?”!

(ჯიხვების ვედრება (ვუძღვნი გ.ნ. ყაზბეგს). 1911წ.)

თავს დროზე წერდა დიდი პოეტი: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
ძილშიაც ამას ვდუდუნებო” და ძილშიც რომ არ ტოვებდა სამშობლოზე ფიქრი,
დიდებულად გამოვლინდა ლექსში „ჩვენება”(1911წ.):

კვლად ამიდგნენ თვალ-წინა
წარსულთა დროთა გმირები.
ტანზე აესხათ აბჯარი
და უღიმოდათ პირები...
შუაზე თამარი უდგაო,
ბრწყინვალე, როგორც ცისკარი,
გარს ერტყნენ ლვაწლით მოსილნი...

ბევრი მათგანი ვიცანი.

ყველასა პქონდა გულზედა

მოწამეობის ნიშანი.

„აღსდგება საქართველოვო!“

გმირთა საოქმედი ეს არი.

ამ წარწერითვე ყველასა

ხელთ ეპყრა ოქროს ფიცარი.

(ჩვენება. 1911წ.)

მათი ჩვენება, მათი ხილვა ქართველი კაცის ზნეობრივი ამაღლების საფუძველია: „ზნეობრივი ამაღლება ვაჟას ყველა ლექსში სამშობლოს კეთილდღეობის მომასწავებელია, ვაჟასთვის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის, სამშობლოს ბედი თითოეული მამულიშვილის, თითოეული ადამიანი ზნეობას უკავშირდება. ბუნების აყვავების, ზნეობრივი სიწმინდისა და სამშობლოს კეთილდღეობის ფონზე ლექსში იხატება სანატრელი სახე მკვდრეოთ ადმდგარისა, ე.ი. იესო ქრისტესი. მას გვერდს უმშვენებენ მისი „ზვარაკნი“, „მეტისმეტი ტრფიალებით თავდადებული“ ვაჟაცები, „ერთგული მამულიშვილები“, ე.ი. ისინი, ვინც რჯულისა და სამშობლოს თავი შესწირეს”(9,102-103).

ლექსში „ჩვენება“ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა დიდი თამარ მეფის სახემ, როგორც გრ. ხერხეულიძე აღნიშნავს: „სახელოვან წინაპართა შორის ვაჟა-ფშაველას ჰყავს თავისი სათაყვანებელი სახელები, რომელთაც ის დიდი სიყვარულით ახსენებს. თამარი, შოთა, ერეკლე, სააკაძე, გურამიშვილი, ბარათაშვილი და სხვანი ლექსებში დიდების შარავანდედით არიან მოსილნი.

პოეტის გულს განსაკუთრებული სიფაქიზით ანათებს თამარ დედოფლის სახე, რომელსაც მან ბრწყინვალე ლექსი უძღვნა. „დიდი თამარი“ პქვია ამ შესანიშნავ ნაწარმოებს”(123,121-122). ლექსი „დიდი თამარი“ 1915წლით არის დათარიღებული, „ჩვენებიდან“ ოთხი წლის შემდეგ, რომელშიც თითქმის გაშიფრულია თამარის გარს შემოკრებილი „დვაწლით მოსილნი“:

გულში გვინთისარ ლამპრადა,

ნათობს და არა პქრებაო.

შენს და შოთაის მარჯვენას

ვემთხვიე ზედიზედაო.

შენა ხარ ერის სიცოცხლე,

თავი არ მომიკვდებაო!

მოწყალედ გვექმენ ქართველთა,

ჩვენო ლამაზო დედაო!

(დიდი თამარი. 1915წ.)

რაც მთავარია, წარსულთა დროთა გმირებს, ცისკარივით მბრწყინავ თამარ დედოფალს ლოცვა-პურთხევას ევედრება ლირიკული გმირი და ამას მოსძახოდა მიმავალთ:

„ლმერთს შეგვავედრეთ!—მიგძახდი,—
დაჩაგრულნი ვართ მტრისგანა!
უმწეო, უპატრონონი
შველას მოველით მისგანა”.
როს ქვეყნად წყდება წამალი,
არაფერია ცისთანა!
(„ჩვენება“. 1911წ.)

როგორც დავრწმუნდით, მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფენომენია დიდი ვაჟა-ფშაველას ლირიკა. ვაჟას ლირიკის შესახებ მსჯელობა გვსურს დაგასრულოთ მისივე სიტყვებით, რომლითაც, ჩვენი რწმენით, ბრწყინვალედ დახსასიათა თავისი პიროვნება და ჩვენ ანდერძად დაგვიტოვა:

ნეტავი იმას, საქვეყნოდ
ვინც ყოფნა გაიმწარაო,—
ხალხის ბომონის წინაშე
ქედი არ მოიხარაო;
ხორცით ეწამა და სულით
აპყვავდა, გაიხარაო.

(„საიო გეძებო, არ ვიცი“. უთარიღო)

პოეტის სულიერი გაუტეხლობის საფუძველთა საფუძველია „იესო ქრისტესა და მისი მოძღვრების ჭეშმარიტება“(101, 32), რომელიც ჩვენში განმტკიცდა წმინდა ნინოს წყალობით:

პოეტი ქართველ ქალთა საზოგადოებას ამ ლექსით ულოცავს ნინობას:
სასახელოა ჩვენთვისა
დედათ მთავარის დღეობა,
იმის წყალობით განმტკიცდა
ქართლში ახალი ზეობა.
ვცანით იესო ქრისტესი
ჭეშმარიტის ლვთის ძეობა

და ქრისტეს სწავლა-მოძღვრების
სიდიდე, მძლეთა-მძლეობა
გინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.
იკურთხოს მისი სახელი,
იკურთხოს ნინოს მხნეობა.
(წმინდა ნინო. 1914წ.)

რაც მთავარია, დიდი ვაჟა გენიალურად აგრძელებს ნიკოლოზ
ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის მამულიშვილურ შემართებას,
ოპტიმიზმს.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლის ლირიკის თემატიკისა და
მხატვრული სტრუქტურის შეძლებისდაგვარად ანალიზმა მიგვიყვანა იმ
დასკვნამდე, რომ პოეტის სიცოცხლის ბოლო წლებში იდეურ-თემატიკური
თვალთახედვით და მხატვრულ-შემოქმედებითი ესთეტიკური ხარისხის მიხედვით,
აშეარად გამოჩნდა, რომ ვაჟას პოეზიამ გარკვეული პროგრესული ცვლილებები
განიცადა. თუ შევადარებო 900-იან წლებამდე შექმნილ მის ლირიკას,
დაგრწმუნდებით, „როგორც ერთია ქვეყნა მთელი”, ისე ერთია ვაჟა-ფშაველა. მას
არ გადაუხვევია თავიდანვე აღებული შემოქმედებითი პრინციპებიდან. თუმცა, 900-
იანი წლების ლირიკაში, ისე როგორც პროზაში თუ პუბლიცისტიკაში, თავისი
გამოხმაურება პპოვა ორი საუკუნის უღელტეხილზე ატეხილმა მძაფრმა
ეროვნულმა, სოციალურმა და მსოფლიო-ისტორიულმა პერიპეტიებმა. არ უნდა
მიკროსკოპით სინჯვა იმ ჭეშმარიტებას, რომ ამ წლების პოეზია, პროზა,
პუბლიცისტიკა, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ნირი გამოირჩება უფრო
მძლავრი მხატვრულ-შემოქმედებითი ენერგიით, აზროვნების გლობალური
მასშტაბით, თავისი მხატვრულ-იდეური თუ მხატვრულ-ესთეტიკური
კონცეფციურობის აქტუალურობით.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია 900-იანი წლების ლირიკა
თემატურად. იქნება ეს პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ნაწარმოებები, ლექსები,
რომლებშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი შემოქმედებითი კრედო, განსჯა
პოეზიის დანიშნულებისა, პოეზიის საგნისა და პოეტის ამოცანებისა იმ მძიმე
სოციალურ-ისტორიულ და პოლიტიკურად არეულ ეპოქაში, რაც გამოწვეული იყო
1905-1907 წლების რევოლუციით და ამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ
მძიმე რეაქციით მეფის ხელისუფლების მხრივ აჯანყებულთა მიმართ. ამავე
პერიოდში გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას მხატვრულ-ესთეტიკური პოზიცია, რომელიც

ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომ მწერლისათვის გარდაუგალია და აუცილებელია რეალურად აღქმა და შეფასება ცხოვრებისა, რომ პოეტი გულწრფელად უნდა ამჟღავნებდეს თავის ემოცია-განცდებს ასახულში.

ნაშრომის ამ თავში აღვნიშნავთ, თუ როგორ იქცა დიდი ვაჟას პიროვნება თუ შემოქმედება აუცდენელ სამიზნედ ავგულა თავდამსხმელებისთვისაც და მისი ტალანტის ღირსეული დამფასებლებისთვისაც. იხ. მისი „მკვდარია უგრძნობი კაცი”, „პაპიჩემის ანდერძი”, „ვერას დამაკლებ, ვარამო”, „სიმღერა”, 1896წ. „სიცოცხლემ შხამი მასმია”, „გულო, არ გასტყდე”, „მათრია წუთისოფელმა” და სხვა.

თამამად უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თანამებრძოლის გულსა და სულს თბი არასდროს არ მოსდებია და უსასოობამ, უიმედობამ ფეხი ვერ მოიკიდა მის არსებაში („ნუმცა მსმენია სიკვდილი”, 1914წ.). ამაში მას წინ მიუძღვდა ჭეშმარიტი მართმადიდებლური ქრისტიანული მსოფლმხედველობა („მე შენის ტრფობით ვერ გავძედ”. 1915წ.).

როგორც აღნიშნავენ: საზოგადოების მხრივ და საზოგადოებისადმი პოეტის გაცხადებული და გამყარებული თავისებური მიდგომით, მყარი, მონოლითური მორალიტეტით, განსხვავებული მხატვრული სამყაროთი, ინტონაციური მრავალფეროვნებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება „...დაკავშირებულია საკუთარი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც დიდებულად გამოხატავს ხალხის ეროვნული ფსიქიკის იერსაც” (გურამ ასათიანი).

ეს მომენტი კი ნათლად არის ასახული ამ ეტაპზე შექმნილ წმინდა ეთიკური ხასიათის ლექსებში. ვაჟა ხომ მთელი არსებით იცავდა თავის ერს „ზეობრივი დაბეჩავებისაგან, დაბერებისაგან. პოეტს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ „ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯაჭვული, უნდა მას ჰქონდეს სარბიელი” (ვაჟა-ფშაველა).

მრავალ საშობაო თუ საახალწლო ლექსში მაღალნიჭიერად არის წარმოდგენილი გულწრფელი მილოცვები ქვეყნისადმი, სხვადასხვა ფეხის წამომადგენლებისადმი. ამ ციკლის ლექსებში მიმართვა ძირითადად ჩვენი ბავშვებისადმია აქცენტირებული.

არც ერთ საშობაო-საახალწლო ხასიათის ლექსში ავტორის მიერ არ არის დარღვეული საახალწლო განწყობილება, ბრწყინვალედაა გათვალისწინებული ნორჩი მკითხველების ფსიქოლოგია, ორგანულადაა ჩართული ეთნოგრაფიული მასალა, დიდებულადაა გატარებული ახალგაზრდობის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ტენდენციები. ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ამ ციკლის ლექსები მხოლოდ საყმაწვილო დატვირთვის მქონენი არიან. ბევრ

მათგანში ოსტატურადაა შერწყმული ლირიკულ-პუბლიცისტური ჟანრული ელემენტები, რომლებშიც აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემებია დასმულ-გადაჭრილი (იხ. „საახალწლოდ”, „მიკვლევა”, „საშობაო სიმღერა”, „საახალწლო სიმღერა”...).

ამავე ციკლის ნაწარმოებებში ერთ-ერთ მთავარ მოტივად მოცემულია ცოდვა-მადლის საკითხი. ამ თვალსაზრისით ისინი უდაოდ უწყობენ ხელს მკითხველზე. იმავდროულად ბუნებისმეტყველების საოცარი გაკვეთილი ჩაუტარეს ბავშვებს ვაჟა-ფშაველამ და ჟ. „ნაკადულის” რედაქციამ ლექსებში „საახალწლო სიმღერა” და „საშობაო ზღაპარი”(1909წ.). აქვე ბოროტების დათრგუნვის ქადაგებით, ადამიანებში თანაგრძნობის დანერგვით ნორჩ მკითხველში მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცებას შეუწყეს ხელი.

იმითაცაა აღნიშნული „საახალწლო სიმღერა”(1910წ.) მნიშვნელოვანი, რომ ის შექმნილია ანტითეზისის, დაპირისპირების მხატვრულ-სტილისტიკური ხერხის გამოყენებით.

გარკვეული ადგილი დაეთმო სიზმრის სტილურ დეტალებს ვაჟას ლირიკაში. ვერსიფიკაციის ასპექტით დიდი პოეტური დატვირთვა ეძლევა ანჟამბემანს.

განხილვის ობიექტი იყო ისეთი ლექსებიც, რომლებშიც პოეტი თავისუფლად ეპყრობა ჟანრულ ელემენტთა სინთეზს. მაგალითად, ჟ. „ჯეჯილში”(1900წ. №4) გამოქვეყნებული ლექსი „ზამთარი და გაზაფხული” თავისი ემოციურობით, ნატიფი სიუჟეტით, განცდათა გამჟღავნებით ლირიკულ თხზულებათა რიგს განეკუთვნება, ხოლო ამბის გაშლით, ფაბულით იგი გვაგონებს ქართული ეპიკური პოეზიის ერთ „მივიწყებულ” სახეს-გაბაასებას.

ეს ლექსი ტიპიურია ვაჟას პოეტური სტილისთვის, რამეთუ მკითხველის წინ დგას დიდებული პეიზაჟისტი, ბუნების დიდებული მხატვარი-„ხოლო გაზაფხულს თავს ადგას თვალ-მარგალიტის გვირგვინი”. რაც მთავარია, ლექსში ხაზგასმულია აგტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ხოლო აღმზრდელობითი ფუნქცია დააგვირგვინებულია სიტყვებით:

დიდება ისმის უფლისა,
სულდგმულთ სხვადასხვა ენითა...
წყალნიც კი ღმერთს ადიდებენ
ლალად, ტალღების ენითა
(„ზამთარი და გაზაფხული”. 1900წ.)

ვაჟა-ფშაველას ლირიკის ერთ-ერთ მძლავრ ნაკადად უნდა მივიჩნიოთ გმირის, პიროვნების, ზნეკეთილის ძიება. იხ. ლექსი „კაცი ის არის”(1902წ.), აქაც კითხვითი ინტონაცია, ერთგვარი გამოძახილი ილიას „ბედნიერი ერისა”, აქაც ირონია, აქაც სტილისტიკურ ხერხად გამოყენებული ანტიტისი. იდეური დატვირთვა ლექსისა არის საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილება, ხოლო ლექსში „ის კი არ არი ბიჭობა” (1900წ.) სხარტად „სიმღერით” არის ჩამოყალიბებული ლირიკული გმირის ზნეობრივი კოდექსი. პოეტი თანმიმდევრობით ამხელს „ბიჭობის” ანუ „კაი ყმის” მრუდედ გამგებთ.

ლექსი „ის კი არ არის ბიჭობა”(სიმღერა) პარალელიზმის თითქმის ყვალა ნიშანს ატარებს; გვაქვს: სინტაქსური პარალელიზმი, სატრუქიალო პარალელიზმი, უარყოფითის პარალელიზმი.

ცალკე მსჯელობის საგნადაა ქცეული ის სოციო-ზნეობრივი გარემო, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება პოეტს, რადგან „ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებულ შემოქმედებით ინტერესს იჩენს ეთიკურად დირებული პრობლემებისადმი”(იუზა ევგენიძე). ეს გარემოება ჩანს მის ყველა თხზულებაში, ყვალა პუბლიცისტურ წერილში, ყველგან გამჭვირვალედ არის მოცემული იდეურ-აღმზრდელობითი პრობლემები. სწორედ ამ ასპექტით საჭიროდ მივიჩნიოთ განსაკუთრებულად მოვპყრობოდით ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო ნაწარმოებებს. იხ. „ჩემო ანგელოზებო”(1915წ.). „მამა და შვილი”(1901წ.). ამ ბოლო ლექსში პოეტი ურყევად დგას ქრისტიანულ პოზიციაზე; სტრუქტურის მიხედვით ამ ლექსში დაცულია ვაჟას ხელწერის ერთი მომენტი-ლირიკულ თხზულებაშიც დიალოგით გაშლა სიუჟეტური ხაზისა (იხ. „ბაკური”, „კითხვა-პასუხი”, „მოგონება”, „ის კი არ არი ბიჭობა”, „მთა და მთვარე” და სხვა).

დეტალურად არის განხილული ლექსი „ახალი წელი ფშავში”(1904წ.). გათვალისწინებულია პროფ. ჯუმბეგრ ჭუმბეგრიძის, პროფ. დ. ბენაშვილის, ლევან ბოძაშვილის კომენტარები როგორც ლექსში ჩაქსოვილი იდეური მრწამსის შესახებ, ისე იქ აღწერილ ეთნოგრაფიულ აქსესუარებზე.

როგორც ამ ლექსში, ისე სხვა ნაწარმოებებშიც, საყმაწვილოდ გამიზნული ფაბულა ძირითადად აღწერით გაშლას მოითხოვს, რის გამოც ავტორს აღარ მოეთხოვება მაღალი პოეტური რეგისტრები, თუმცა, ბავშვთათვის გამიზნულ თხზულებებში, როდესაც ავტორი მიმართავს პეიზაჟს, იქ უკვე ჩვეული ოსტატობით გაიბრწყინებს ავტორი.

ხშირია გაპიროვნების მხატვრული ხერხის გამოყენება, ხშირად შედარებაშია გადასული მეტაფორა.

განსახილვები ლექსში დაფიქსირებულია ანუამბემანის რამდენიმე შემთხვევა:

1. ბველს ცხოვრებასა სწირავდა

ქვეყანა, ასე შევნიშნე

კიდევ იმიტომ გმინავდა”

2. ახალმა წელმა ახალი,

ვთხოვ უფალს, მოგცეთ ბედია,

ცხვარი და ძროხა ურიცხვი,

დოვლათი მეტისმეტია.

ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ მხატვრული ტექსტი, გამომდინარე მრავალი პრობლემების დასმა-გადაწყვეტიდან, ატარებს, შეიცავს გარკვეულ ქვეტექსტურ დამუხტვას, ჩვენი აზრით ქვეტექსტურ დამუხტვას დიდი როლი აკისრია ლირიკულ ლექსთა ციკლში ერთნაირი სათაურით—„ქებათა-ქება”.

ეველა „ქებათა-ქება” საყურადღებოა სპეციფიკური სტილით, იდეურ-თემატური მრავალფეროვნებით, ჟანრულ ელემენტთა სინთეზით, ლირიკული პოეზიისა და პუბლიცისტიკის შერწყმით. თითოეული მათგანი ბრწყინვალე ნიმუშია სააგიტაციო ლირიკისა.

საგანგებოდაა გახსნილი „ქებათა-ქების”, როგორც სათაურის, როგორც ლინგგისტური, ისე პოეტიკური შინაარსები.

მათ ფონზე გაშუქებულია როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის გარკვეული ნიმუშები—„მართლის თქმის პრინციპის” გენეტიკური ხაზის გაგრძელებით. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია როგორც ვაჟას ახლო წინაპრების, ისე თანამედროვე ავტორთა პოზიციები.

მრავალი ლექსი ვაჟასი გაშუქებულია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის ფარგლებში. იხ. „მოგონება”(ნუ მიწყენთ, მომაგონდება), „დამე მთაში, „მძულხარ-მიყვარხარ”.

სათანადოდაა განხილული „ქებათა-ქება” (ხელში ავიდებ ჩონგურსა), „პუბლიცისტი”, „დამსეტყველი”, „მემდერება და ვიმდერი”, „ქებათა-ქება”(დროება გამოიცვალა), „ხევსური ბერდია” და სხვა.

პუბლიცისტური ბუნებისაა ლექსი „ბოქაული”(1906წ.). პოეტის ირონიული დამოკიდებულება ერთობის მიმართ კარგად აისახა ლექსში „ქებათა-ქება” (მავნე აზრებზე დამდგარა)” 1906წ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსმა „დამუნჯებულის ენითა”, 1906წ. ლექსში გამორიცხულია ლირიკული გმირის მედროვეობა, ლექსი დამძიმებულია ლირიკული

გმირის პესიმიზმით, რაც იშვიათია ვაჟას პოეზიისათვის. მიუხედავად ამგვარი პესიმიზმისა, ჯანსაღი იუმორით ხასიათდება „ქებათა-ქება”(რედაქტორებით აივსო), 1906წ.

საზოგადოების „გამოღიძების” უტყუარ ნიშნად მიაჩნია ავტორს რედაქტორების სიჭარბე. აღნიშნული „ქებათა-ქება” გამანადგურებელი სატირაა 1905-1907 წლების რევოლუციური ძალებისა.

ლექსი „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა”(1906წ.) ინარჩუნებს ჭკუის სასწავლებელ, სააგიტაციო ფუნქციას ცოდვისა და მადლის დაპირისპირების გამო. ლირიზმი მოქცეულია მოვლენათა ეპიკურ თხრობაში.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, მართლმადიდებლური ქრისტიანიზმით ცოცხლობს და არსებობს როგორც ადამიანთა საზოგადოება, ისე მთლიანად „უენპირო ბუნება”. იხ. „ირაკლი ბრძოლის წინ”(1911წ.), „ჯიხვის ვედრება”(1911წ.), „ჩვენება”(1911წ.).

ლექსში „ჩვენება” კიდევ ერთხელ გაიბრწყინა თამარ-დედოფლის სახელმა.

პოეტის სულიერად გაუტეხლობის საფუძველთა საფუძველი მის მიერ „იესო ქრისტესა და მისი მოძღვრების ჭეშმარიტება”(თ.შარაბიძე), რომელიც ჩვენში განმტკიცდა დედათ-მთავრის, წმინდა ნინოს წყალობით. იხ. ლექსი „წმინდა ნინო”(1914წ.).

ვაცნობიერებთ, რომ ვაჟასმცოდნეობაში ვაჟა-ფშაველას ლირიკის საფუძვლიანმა, მრავალმხრივმა ანალიზმა გარკვეული სირთულის წინაშე დაგვაყენა; თუმცა, ამან გარკვეულწილადაც განსაზღვრა, გამოჰკვეთა ჩვენი სათქმელი.

II. თავი-ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლების ეპოსის თემატიკა და მხატვრული სტრუქტურა (1900-1910-იანი წლების მიხედვით)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების ვრცელ სპექტრში ფართოდაა წარმოდგენილი ეპოსი, ეპიკური გვარი, რომლის მხატვრულ-შემეცნებითი ფუნქციები, სინამდვილის მხატვრული გარდასახვის შესაძლებლობანი, რესურსები საკმაოდ დიდია. ამას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს: სიუჟეტიანობა, მოქმედ პირთა ხასიათების გახსნა, მხატვრული მხარე, მეტყველების სტილი, ფაზულის შინაარსობლივი სიღრმე, ტექსტის მოცულობა, ემოციური მუხტის ვრცელი ამპლიტუდა და ა. შ.

ეპიკური გვარი იმითაც გამოირჩევა ლირიკული, დრამატული თუ ლირო-ეპიკური გვარებისაგან, რომ იგი საგრძნობი დოზით შეიცავს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ჟანრულ ელემენტებს: ლირიკულ მედიტაციებს, მოვლენათა დრამატიზირებას, თითოეულ მათგანში არსებულ მხატვრულ-სტრუქტურულ რესურსებს. ამით ეპიკური გვარი თითქოს მიმართულია იქითკენ, რომ საკუთარ სამყაროში მოახდინოს მხტვრული რელობის ადეკვატური აღქმა-შემეცნების კონცენტრირება.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეპოსია სხვა გვართა ელემენტების დიდი მოცულობით მატარებელი, თორემ თავის მხრივ არც ლირიკული, არც დრამატული და არც ლირო-ეპიკური გვარებია თავისუფალი უშუალოდ ეპიკური გვარის სპეციფიკური ჟანრული ელემენტებისაგან. თავისთავად ცხადია, ამ ზოგადი კანონზომიერების გარეშე ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა მხატვრული შემოქმედება, მხატვრული აზროვნება.

მიჩნეულია, რომ ჟანრთა კლასიფიკაცია თავის თავში მოიცავს მხატვრულ ნაწარმოებთა კუთვნილი ჟანრისადმი ადგილის განსაზღვრის პრობლემებს. ამას გარკვეული სირთულეები ახლავს, რაც გამოწვეულია მხატვრული აზროვნების ისტორიული განვითარების ინტენსიურობით, თითოეული ჟანრის შიგნით მიმდინარე ევოლუციის პროცესით. მიხეილ ბახტინის მოხდენილი თქმით-„ჟანრი“-ეს ხომ წარმოუდგენელია ლიტერატურის განვითარების პროცესში შემოქმედებითი მეხსიერებისათ”(69,287).

ჟანრული ნიშნები ძირითადად მართლაც მყარი თვისებისაა, მაგრამ შინაგანად მაინც განიცდიან ევოლუციას, რაც ხშირად თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ შეუსაბამოებს ტრადიციულად დამკვიდრებულ კლასიფიკაციაში. მაგალითად, ცნობილია ავტორისეული და ტრადიული ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგის განსხვავებული გააზრებები-გოგოლის პროზაული თხულება

„მკვდარი სულები” პოემაა, პუშკინის „ევგენი ონეგინი” რომანია ლექსად და ა.შ. ეს კი, ლიტერატურისმცოდნეთა აზრით, ამგვარი მიდგომა, ამგვარი განმარტებები, არ ჯდებაო თანამედროვე ტრადიციულ ჟანრულ კლასიფიკაციაში და მათ მხოლოდ ისტორიული ღირებულება გააჩნიათ (69, 288). მსოფლიოში მრავალი ამგვარი ფაქტია ცნობილი და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც.

ლიტერატურის თეორიტიკოსთა მიერ განსაზღვრულია, რომ „ჟანრულ კლასიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა წარმოადგენს მხატვრული სტილის წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორს, რომელშიც სახეზეა: პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის თავისებურებანი, მათი გაშლა-განფენა სიუჟეტში, სხვადასხვაგვარი ფუნქცია სიუჟეტური ხაზისა, თხზულების კომპოზიციური მოდელირება, გარკვეული ენობრივი სტილისტიკური ტენდენციები და ა.შ. (69, 289), ანუ „თავისი პრობლემატიკის საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით ნაწარმოები მიეკუთვნება ძირითადად სამი მთავარი ჟანრიდან (ეპოსი, ლირიკა, დრამა) ერთ-ერთს. თუმცა, არსებობს ისეთი ქვეყნულიც, რომელშიც ერთდროულად თავმოყრილია სხვადასხვა სახის, სასიათის პრობლემები.

თხზულებათა კომპლექსური ანალიზის პროცესში ლიტცოდნები ყურადღებას ამახვილებენ თვითონეული გვარის შიგნით არსებული სხვადასხვა ჟანრული ნიშნების ურთიერთგადამქვეთ ხაზებზე, ჟანრულ ელემენტთა სინთეზირების ფაქტებზე, რომ ამგვარი კლასიფიკაციის შედეგად მიღებული ნაწარმოების კომპოზიციური მოდელი განსაკუთრებული სტრუქტურის მქონეა და თხზულება პოლიცენტრულია (69, 289). აღნიშნული ვითარება კი გასათვალისწინებელია ტექსტის პოეტიკური მორფოლოგიის კვლევის დროს. არ იქნება გაზვიადებად თქმული, რომ ამ ასპექტით ბრწყინვალე მასალას იძლევა ვაჟა-ფშაველას ეპოსი-როგორც ლექსად თქმული, ისე პროზაული.

ვხელმძღვანელობთ რა ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული ტრადიციული კლასიფიკაციით როგორც კლასიკურ მხატვრულ ლიტერატურაში, ისე ფოლკლორში, ჩვენთვის წინა პლანზე მაინც უშუალოდ ვაჟა-ფშაველასეული მიდგომა, კლასიფიკაციაა, მის მიერ ეპიკურ ნაწარმოების მიკუთვნება ამა თუ იმ ჟანრისადმი (მიუხედავად იმისა, რომ მას ამის თაობაზე წმინდა თეორიული ხასიათის წერილი არ დაუწერია). მის მიერ განსაზღვრული ყველა „ჟანრი” ბრწყინვალე ორნამენტს წარმოადგენს შესაბამის კონტექსტში.

პროფ. გრ. კიკნაძის რწმენით, 1900-იან წლებში, ვაჟას „პოეტური სიმწიფის ქამს... ყოველგვარი უსაფუძვლო სითამამის გარეშე პქონდა შინაგანი უფლება თვითდახასიათებით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე: ის უკვე იყო ავტორი

სახელგანთქმული პოემებისა, მრავალი ლექსისა და მოთხოვბისა..."(49, 28).

პატივცემულ მკვლევარს მიაჩნია, რომ ყველა წერილში, ყველა ლექსში, მოთხოვბასა თუ პოემაში „დაუფარავი და შეუნიდბავი სახითაა მოცემული მისი მხატვრული შემოქმედების ლეიტმოტივი”(იქვე). ამდენად, ასევეა მისაღები ყველა სათაურის ქვეშ პოეტის გაკეთებული მინაწერი გვარის, სახის, ჟანრის რაობაზე. თუმცა, ამ კლასიფიკაციაში, ჩვენი ფიქრით, მაინც ფაბულის წარმოშობაზეა აქცენტი გადატანილი. ამის თაობაზე დეტალური ანალიზია მოცემული ქნ ლაურა გრიგალაშვილის სტატიაში „ვაჟას პოემათა ფაბულის საკითხი”(24,98-123).

ასეა, განსაზღვრული ავტორის მიერ თავისი თხზულებების ფაბულები, როგორც ლექსად თქმულთა, ისე პროზისა:

I. ნათქვამი-ნაამბობი-თქმულება

ა)ლექსად თქმული

1.,„მოხუცის ნათქვამი”, (1883წ.); 2.,„ივანე კოტორაშვილის ამბავი” (კარახელის ნაამბობი) (1896წ.); 3.,„ნანგრევთა შორის” (მონადირის ნაამბობი)-(1900წ.); 4. „სიტყვა “(ძველი თქმულება)-(1905წ.); 5. „ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი” (თქმული თანდილა არაგველისა)-(1908); 6. „ღილა და კვირისა” (მწყემსის ნაამბობი)-(1908წ.); 7. „დედა-შვილები” (თქმულება)-(1910წ.); 8. „საშობაო ამბავი” (თქმულება)-(1910წ.)

ბ)პროზად თქმული

1.,„შვლის ნუკრის ნაამბობი”-1883წ; 2.,„ერემ-სერემ სურემიანის” (ძველი დავთრებიდამ სურემის ნაამბობი)-1893წ; 3.,„ჩემი შავარდენი” (ბესოს ნაამბობი)-1906წ; 4. „ახალი წელი ფშავში” (ბეჟანას ნაამბობი)-1909წ; 5. „კურდლელი” (მონადირის ნაამბობი)-1911წ; 6. „ბათურის მადი” (თქმულება)-1913.

II. ამბავი ძველი, ამბავი ძველის-ძველი, ამბავი

ა)ლექსად თქმული

1. „სულა და კურდლელა” (ძველი ამბავი)-1888წ; 2. „კოპალა” (ძველი ამბავი)-1889წ; 3. „დაჭრილი ვეფხვი” (ამბავი)-1890წ; 4. „ილო” (ძველი ამბავი)-1892წ; 5. „ივანე კოტორაშვილის ამბავი “(კარახელის ნაამბობი)-1896წ; 6. „სისხლის ძიება” (ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან)-1897წ; 7. „ახუნდი” (ძველი ამბავი)-1900წ; 9. „გველის-მჭამელი” (ძველი ამბავი)-1901წ; 10. „სული ობლისა” (ძველის-ძველი ამბავი)-1903წ; 11. „მანდილი” (ხევსურული ამბავი)-1913წ.

ბ)პროზად თქმული

1. „დათვი” (ამბავი)-1888-89წ; 2. „ვტობიოგრაფია ურიადნიკისა” (ძველისძველი ამბავი ბიჭიელა ურიადნიკის დღიურიდან)-1888-89წ; 3. „ორი ამბავი მევა ერეკლეზე”-1902წ.

III. ცხოვრებიდან-სურათი-მოთხოვბა

ა)ლექსად თქმული

1. „ალუდა ქეთელაური” (ხევსურების ცხოვრებიდამ)-1888წ; 2. „სისხლის ძიება” (ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან)-1897წ.

ბ)პროზად თქმული

1. „სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ”-1881წ; 2. „შტაბეჭდილებანი” (ფშავლების ცხოვრებიდამ)-1886წ; 3. „პატარა მწყემსის ფიქრები” (ფშავლების ცხოვრებიდამ)-1886წ; 4. „სურათები” (სოფლის ცხოვრებიდამ)-1886წ; 5. „საშობაო მოთხოვბა” (ფშავლების ცხოვრებიდამ)-1890წ; 6. „სოფლის სურათები”-1893წ; 7. „შობის წინა დამეს” (სურათი)-1902წ; 8. „ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება” (ფშავლების ცხოვრებიდან)-1909წ; 9. „საახალწლო სიზმრები” (სურათი ფშავლების ცხოვრებისა)-1910წ; 10. „ბერიძე გაუტეხელი” (საშობაო მოთხოვბა ფშავლების ცხოვრებიდან)-1911წ; 11. „ორაგულის ცხოვრება” (არაგვის წიაღზე)-1912წ; 12. „ფშაველი და მისი წუთისოფელი” (ეთნოგრაფიული მოთხოვბა)-1913წ; 13. „კურდღლი” (პატარა მოთხოვბა)-1887წ; 14. „მოგონება”(საშობაო მოთხოვბა) 1890წ; 15. „ქუდოვანი” (საბავშვო მოთხოვბა)-1898წ; 16. „გასამართლებული ჩიბუხი” (სურათი ფშავლების ცხოვრებისა)-1910წ.

IV. არაკი

ა)ლექსად თქმული

1. „მეჯლისი ლომისა” (არაკი)-1892წ;

ბ)პროზად თქმული

- 1., „ქართველი კაცი, დვინის ქვევრი და ბოჩკა” (არაკი)-1913წ.

V. ბალადა

ა)ლექსად თქმული

1. „თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?”(ბალადა)-1892წ.

VI. ზღაპარი-ლეგენდა

ა)ლექსად თქმული

1. „უიღბლო იღბლიანი” (ზღაპარი)-1902წ; 2. „ნახევარ-წიწილა” (ხალხური ზღაპარი)-1905წ.

ბ)პროზად თქმული

1. „წისქვილი” (ზღაპარი)-1888-1889წ; 2.,„მუცელა” (ზღაპარი)-1895წ; 3.,„დათვი” (“ზღაპარი)-1909წ; 4. „გოჩი” (ლეგენდა)-1886წ.

VII. ეპიკური ნაწარმოებები, რომელთა სათაურებში ავტორის მიერ არ არის მითითებული მათი ჟანრული კუთვნილება

ა)ლექსად ოქმული

1. „დაჩაგრული მესტვირე”-1880წ.; 2. „გიგლია”-1886წ.; 3. „მონადირე”-1886წ.; 4. „გოგოთურ და აფშინა” 1887წ.; 5. „ეთერი”-1890წ.; 6. „ბახტრიონი”-1892წ.; 7. „ანაბულბული”-1892წ.; 8. „სტუმარ-მასპინძელი”-1893წ.; 9. „ხის ბეჭი”-1895წ.; 10. „პაოს და ქართლოს”-1899წ.; 11. „მამიდის დანაბარები”-1892წ.; 12. „სვინდისი”-1913წ.; 13. „კაცი მართალი”-1915წ.

ბ)პროზად ოქმული

1. „მთიელის უბედურება”-1886წ.; 2. „ია”-1886წ.; 3. „მთის წყარო”-1888წ.; 4. „სააღდღომოდ”-1889წ.; 5. „ხმელი წიფელი”-1888-89წ.; 6. „ბაგრატ-ზახარიას სიკვდილი”-1889წ.; 7. „მტრედები”-1889წ.; 8. „კლდე მტირალი”-1889წ.; 9. „ერთგული მეგობარი”-1890წ.; 10. „ჩვენი მამალი”-1890წ.; 11. „წიფლისჩიტა”-1890წ.; 12. „შალვას ნანახი ხატი”-1890წ.; 13. „მელია კუდაგრძელია”-1891წ.; 14. „საწყალი ჩხიკვი”-1891წ.; 15. „გოგრა”-1892წ.; 16. „ქუჩი”-1892წ.; 17. „ხოლერამ მიშველა”-1892წ.; 18. „ფესვები”-1893წ.; 19. „ჩხიკვთა ქორწილი”-1893წ.; 20. „გველი”-1894წ.; 21. „მთანი მაღალნი”-1895წ.; 22. „ამოდის, ნათდება!”-1896წ.; 23. „მწყერი”-1897წ.; 24. „კლდემ მხოლოდ ერთხელ სოქვა”-1898წ.; 25. „ვერხვი”-1900წ.; 26. „ჟოლი”-1901წ.; 27. „ამირანის ხმალი”-1902წ.; 28. „მგელი”-1902წ.; 29. „ნაპრალნი”-1902წ.; 30. „პაპას მსოფლიო ფიქრები”-1903წ.; 31. „არწივი”-1904წ.; 32. „კოდალა”-1905წ.; 33. „ყორანი”-1905წ.; 34. „ლექსოს სამწყემსო”-1905წ.; 35. „ირემი”-1906წ.; 36. „უსურვაზის დასჯა”-1907წ.; 37. „ცრუპენტელა აღმზრდელი”-1908წ.; 38. „სათაგური”-1908წ.; 39. „ნადირთა პატრონი”-1908წ.; 40. „ერთი უყურეთ ტყესა და” ... -1908წ., 41. „ძაღლმა ციკანი მოიგო”-1909წ.; 42. „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ” -1909წ.; 43. „მელია სერეფენია”-1909წ.; 44. „გაველდა ცხვარი”-1910წ.; 45. „ბუნების წიაღზე”-1910წ.; 46. „გუგული”-1911წ.; 47. „კლდე სალი”-1912წ.; 48. „ტყე ტიროდა”-1912წ.; 49. „საჩივარი”-1913წ.; 50. „ბუნების მგოსნები”-1913წ.; 51. „დროშა”-1913., 52. „შეყვარებული”-1914წ.; 53. „კაკალი-უთარიდო”; 54. „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში”-უთარიდო.

VIII. დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი პოემა „ ძაღლიკა ხიმიკაური”-1902წ., რომლის სათაურშიც მითითებულია ადრესატი- „გუძღვნი ილია ჭავჭავაძეს”.

IX. ზემოდესენებული სასათაურო სისტემიდან განსხვავებულია ორი პროზაული თხზულების სათაური; ესენია: 1. „დღეს ვიცინი” (ოცნების ცელქობა)-1913წ. და 2. „მამაცი” (საახალწლო სცენა)-უთარიდო.

X. დასათაურება პროზაული თხზულებებისა თემატური ციკლიზაციის

მიხედვით

ა) სიზმარი

1. „საახალწლო სიზმარი”-1893წ.; 2. „გაზაფხულის სიზმრები”-1895წ.; 3. „სიზმარი ობლისა”-1905წ.; 4. „საახალწლო სიზმრები”-1910წ.

ბ)მოჩვენება

1. მ„ოჩვენება”-1893წ.; 2. „მოჩვენება”,-1897წ.

როგორც ვრწმუნდებით, ვაჟა-ფშაველა დიდ ყურადღებას აქცევს ტექსტის დასათაურებას. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ხელნაწერები, ამ ხელნაწერ თუ ბეჭდურ ტექსტთა ნაყოფიერი მაღალპროფესიონალური ტექსტოლოგიური, კოდიკოლოგიური ძიებანი, რედაქტორ-გამომცემლობის მცდელობები თუ ვაჟას შემოქმედებითი ისტორიის ფართო მასშტაბებით კვლევა.

ტექსტის ამ მნიშვნელოვან კომპოზიციურ სტრუქტურაზე-სათაურზე მუშაობა მინიშნებაა იმაზე, თუ როგორ ინტერესს იჩენს იგი სიუჟეტის მიმართ. შემოქმედებითი პროცესის მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ ავტორის მიერ „სიუჟეტის გულმოდგინე გაკონტროლება ყოველთვის სასარგებლოა სიუჟეტისათვის, რამეთუ ახდენს ცალკეული ნაწილების, დეტალების შეთანხმებულობა-გამართულობას, განაპირობებს მათი ურთიერთობის სიმწყობრეს, ამბის ლოგიკურ, გეგმაზომიერ განვითარებას.”(107, 394).

მოცემული ზღვა მასალიდან საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოვადგინოთ ვაჟას ეპოსის ინტენსიური განვითარების, შემოქმედებითი პროცესის ისტორიის სტატისტიკა 1900-1915 წლების მიხედვით. ვფიქრობთ, ეს გარკვეულ დახმარებას გაუწევს ვაჟას შემოქმედებითი პროცესის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

ეპიკურ თხზულებათა დაჯგუფება 1900-1915 წლების მიხედვით

წლები	პოემა	პროზაული თხზულება
1900 წ.	1. „ნანგრევთა შორის” (მონადირის ნაამბობი); 2. „ბრძენი ვირი”(ძველის ძველი ამბავი)	1. „ვერხვი”
1901წ .	3. „გველისმჭამელი” (ძველი ამბავი)	2. „ქოლი”

1902 წ.	4. „მამიდის დანაბარები”	3. „ამირანის ხმალი”
	5. „უიღბლო იღბლიანი” (ზღაპარი)	4. „მგელი”
1903 წ.	6. „ძაღლიკა ხიმიკაური” (ვუძღვნი იღია ჭავჭავაძეს)	5. „ორი ამბავი გევე ერეგლეზე”
		6. „ნაპრალნი”
1904 წ.		7. „შობის წინა დამეს”(სურათი)
		10. „არწივი”
1905 წ.	8. „სიტყვა” (ძველი ოქმულება)	11. „სიზმარი ობლისა
	9. „ნახევარ-წიწილა” (ხალხური ზღაპარი)	12. „კოდალა”
1906 წ.		13. „ყორანი”
		14. „ლექსოს სამწყემსო”
1907 წ.		15. „უძმოს ძმა” (ფშავლების ცხოვრებიდან)
		16. „ირემი”
1908 წ.		17. „ჩემი შავარდენი”
		18. „ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება” (ფშავლების ცხოვრებიდან)
	10. „ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი” (თქმული თანდილა არაგველისა)	19. „უსურვაზის დასჯა”
		20. ცრუპენტელა ადმზრდელი;
		21. სათაგური;
		22. ნადირთა პატრონი;

	<p>11 „დილა და კვირისა”</p> <p>12 „მთათა ერთობა”</p>	<p>23. „ერთი უყურეთ ტყესა და...”</p> <p>24. „ეშმაკი” (საშობაოდ);</p>
1909 წ.		<p>25. „ახალი წელი ფშავში” (ძექანას ნაამბობი);</p> <p>26. „დიდებული საჩუქარი” (საშობაო მოთხოვობა);</p> <p>27. „ბერდიხა” (სურათი (ფშავლების ცხოვრებიდან);</p> <p>28. „ძაღლმა ციკანი მოიგო”</p> <p>29. „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე”</p> <p>30. „დათვი “(ზღაპარი)</p> <p>31. „მელია-სერეფენია”</p>
1910წ . .	<p>13. „დედა-შვილები” (თქმულება);</p> <p>14. „საშობაო ამბავი” (თქმულება);</p>	<p>32. „საახალწლო სიზმრები” (სურათი ფშავლების ცხოვრებიდან)</p> <p>33. „გასამართლებული ჩიბუხი”</p> <p>34. „გაველდა ცხვარი”</p> <p>35. „ბუნების წიაღზე”</p>
1911წ		<p>36. „პურდლელი” (მონადირის ნაამბობი);</p> <p>37. „ბერიძე გაუტეხელი” (საშობაო მოთხოვობა ფშავლების ცხოვრებიდან);</p> <p>38. „გუგული”</p>

1912წ	.	39. „კლდე სალი” 40. „ორაგულის ცხოვრება” (არაგვის წიაღზე) 41. „ტყე ტიროდა”
1913წ	15. „სვინდისი” 16. „მანდილი”	42. „საჩივარი” 43. „ბუნების მგოსნები” 44. „დროშა” 45. „დღეს ვიცინი(ოცნების ცელქობა); 46. „ქართველი კაცი, ლვინის ქვევრი და ბოჩკა” (არაკი); 47. „ბათურის ხმალი” (თქმულება); 48. „ფშაველი და მისი წუთისოფელი” (ეთნოგრაფიული მოთხოვნება);
1914წ	.	49. „შეყვარებული”
915წ.	17. „პაცი მართალი”	
უთა რიღ ოები		50. „პაკალი” 51. „მამაცი” (საახალწლო სცენა); 52. „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურამიანეთში”.

ამით ვეცადეთ წარმოგვედგინა ერთგვარი სტატისტიკა ვაჟას ეპიკური თხზულებებისა ქრონოლოგიურადაც და უანრობრივადაც. თვალის ერთი გადავლებაც მასალაზე ცხადყოფს პოეტის დამოკიდებულებას არა მარტო „შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროზე-ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე” (27. 249), არამედ სახეზეა წმინდა ლიტერატურული, ორიგინალური ნაწარმოებებიც

სხვადასხვა გვარისა და სხვადასხვა ქანრისა: „...ვაჟას სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებთა გაცნობა გვარწმუნებს, რომ მასალის მხრივ ვაჟას თხზულებებს მეტნაკლებად ურთიერთან ამსგავსებს ინტერესი მითიურ-ლეგენდარული, სიზმრისეული და ოცნება-ჩვენების ფორმით წარმოდგენილი მასალისადმი... ეს ჩანს ვაჟას ლირიკულ ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში”(იქვე).

ამავე დროს ეპიკური გვარის მრავალი ტექსტი საშუალებას იძლევა მათში გამოვამულავნოთ „იმპლიციტურად წარმოდგენილი ეპოქის სულისკვეთება” ანუ თითოეულ მათგანში უნდა მოვნახოთ ტიპოლოგიური ფაქტორების სათანადო ნიშნები, რომელთა მეოხებითაც საანალიზო ტექსტებს იმდროინდელი მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების კლასიკურ ნიმუშად აღვიქვამთ.

ამგვარი კლასიფიკაცია კიდევ ერთი ლოგიკური დასაბუთებაა ისეთი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც ადასტურებს ჭეშმარიტებას,-რომ ოდითგანვე ერთნაირად ხელეწიფებოდათ ქართველ სასულიერო დარგის მწერლებს, როგორც პიმნოგრაფიული, ისე აგიოგრაფიული (იამბიკო, ლირიკა, პროზა) ხასიათის ნაწარმოებების თხზვა. გავიხსენოთ თუნდაც იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი, არსენ იყალთოელი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი და სხვანი მრავალნი, მოკაშკაშ- მოელვარენი თუ მიმქრალი შარავანდედით შემკულნი. ეს ტრადიცია ახლებური შემოქმედებითი ენერგიით განმტკიცდა და თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში-გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა... ასევე, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაც სახელოვნად აგრძელებდა ამ პროცესს-კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური... და სხვანი მრავალნი. აქვე უნდა გავიხსენოთ ლექსინარევი ხალხური ეპიკური თხზულებებიც.

აღნიშნული მოვლენა სათანადოდაა შესწავლილ-შეფასებული ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და პოეტიკის მკვლევართა მიერ.

ამგვარი პოლიტიკური შემოქმედება ხელს უწყობს ტიპოლოგიის ამოცანების ამოხსნას არა მარტო სხვადასხვა ხალხის, არამედ თვით ერთსადაიმავე მწერლის შემოქმედებაშიც კი. ტიპოლოგია კი, თუ მის „ამოცანას არ გავართულებთ და ამით არ გავაძუნდოვნებთ მას, მარტივად იგი ასე გადმოიცემა: რა ტიპისაა ესა თუ ის ლიტერატურული მოვლენა, ან სხვაგვარად: ლიტერატურულ მოვლენათა რომელ ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის ნაწარმოები?(80.208). ქვეტექსტით, ჩვენი აზრით, აქ წყაროების საკითხიც იქნა გასათვალისწინებელი, რითაც მჟღავნდება ერთი ავტორის მიმართება მეორე

ავტორთან, ან ერთი ნაწარმოების ფაბულის მიმართება სხვა თხზულებასთან ერთი ავტორისავე შემოქმედებით სამყაროში. ამგვარი მიღვომა საფუძველია მწერლის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისათვის. ასეთი კვლევა-ძიების მდიდარი ტრადიცია გაგვაჩნია. მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორია და სალიტერატურო კრიტიკა ძვირფას მასალას იძლევა. გავიხსენოთ პროფ. ელგუჯა ხინობიძის „შენიშვნები გურამიშვილის მიმართებისათვის რუსთაველთან”(125, 50 და ა.შ.), მისი წიგნიდან „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში”(1993წ.): „დავით გურამიშვილის მიმართება რუსთაველის პოეზიასთან ძალზე რთული და მნიშვნელოვანი საკითხია. რთულია ეს საკითხი იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულება არ არის ერთგვაროვანი და სწორხაზოვანი. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გურამიშვილის მიერ რუსთაველის პოეზიის სიდიადის აღიარება... გურამიშვილის პოეტური სიტყვა აშკარად დაკვალიანებულია რუსთაველის დიდი პოეზიით. ეს, პირველ რიგში, „დავითიანის” ლექსიკაში იგრძნობა. „რუსთველისეული ლექსიკა ფიგურირებს გურამიშვილის ახლებურ-სიმბოლურ სახეებშიც... გურამიშვილთან გვხვდება რუსთველისეული მისტიკურ-თეოლოგიური სახეების სრულყოფილი ანალოგიებიც (125, 50-54). მკლევარი სათანადო ციტატების ანალიზით დამაჯერებლად ასაბუთებს თავის დებულებებს და გვთავაზობს ფრიად საგულისხმო და მართებულ დასკვნას: „დავითიანის” მთელი სიმბოლიკა, თვით პოეტის აზრით, რუსთველისეული აზროვნების ხაზს მიჰყვება, საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურამიშვილს ვახტანგ მექქის კვალდაკვალ „ვეფხისტყაოსანი” სიმბოლურ-ალეგორიულ ქმნილებად მიაჩნდა, მასში იგი იგავურ მეტყველებას ხედავდა. ანალოგიურ ხაზე აგებს დავითიც საკუთარ შემოქმედებასაც. „დავითიანიც”, თვითონ ავტორის მითითებით, უპირატესად სიმბოლური ნაწარმოებია, იგავია. მაშასადამე, გურამიშვილი აზროვნების იმ მოდელს ავითარებს, რაც მისი აზრით, რუსთველმა შექმნა”(125,55).

პროფ. ელგუჯა ხინობიძე ყველგან ხაზგასმით მიუთითებს დავით გურამიშვილის მოკრძალებაზე, თავმდაბლობაზე, მის მაღალზნეობრივ დამოკიდებულებაზე რუსთაველის გენიისადმი: ამის დასტურად ერთი მაგალითიც იკმარებდა: „მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს-ჩალის ძირსა”(25, 51). ამგვარი ტიპოლოგიური ვითარება ახასიათებს ჭეშმარიტ ქართული მწერლობის ისტორიას და ლოგიკურად უდერს ვაჟა-ფშაველას მიმართებაც იმავე რუსთველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის თუ აკაკი წერეთლის პოეტური სიდიადისა და აგტორიტების მიმართ. ვაჟასმცოდნეობაშიც ეს ლოკალური საკითხიც დრმადაა დამუშავებული.

მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის ისტორია ნათელყოფს კრიტიკული აზროვნების დინამიკურ განვითარებას მრავალი ასპექტით, რაც გამოიხატება ახალ-ახალი კრიტერიუმების დაღვენაში, ნოვატორული სტილის შემოღება-დამკვიდრებაში. სწორედ ამგვარმა ტენდენციამ განსაზღვრა XX საუკუნის ლიტერატურის თეორიის სპეციფიკაც. გამომდინარე აქედან, ვეფუძნებით პრაქტიკული კრიტიკის, „ახალი კრიტიკის” იმ შეხედულებებს, რომ სადღეისოდ „ლიტერატურული ნაწარმოების უმაღლეს კრიტერიუმს ...თეორიულ სისტემაში ემოციისა და ინტელექტის ინტეგრაცია წარმოადგენს”(72, 115).

ვფიქრობთ, ანალოგიური მიღგომა მხატვრული ტექსტისადმი უცხო არ იყო და უცხო არ არის ქართული კრიტიკული აზროვნებისათვისაც. მართალია, ეს ყოველივე ჩვენთან გამოკვეთილ მიმდინარეობად ან სკოლებად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ იმავე XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კრიტიკული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია „ემოციისა და ინტელექტის” თავისებური ინტეგრირება. მიგვაჩნია, რომ ქართული კრიტიკა უფრო დრმად შევიდა მხატვრული ტექსტის კომპლექსური კვლევის სამყაროში. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. მაგალითად, პროფ. გრიგოლ კიკნაძე ვაჟა ფშაველას ხუთი პოემის შეფასებისას აღნიშნავდა: „ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება შეიძლება განიხილოს და შეფასდეს ერთმანეთთან გადაჯაჭვული სამი რიგის ფაქტების მიხედვით: როგორც ეთნოგრაფიული ფაქტი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფაქტი, და როგორც ლიტერატურულ-მხატვრული ფაქტი. განსაკუთრებით საჭიროებს ამგვარ მიღგომას მისი პოემები”(9,10). როგორც ვხედავთ, მკვლევარმა დიდი ამოცანა დაუსახა ვაჟას გპოსის მნიშვნელოვანი სფეროს, პოემის, ანალიტიკოსებს.

ამავე დროს ბრწყინვალე დაკვირვებაა მოცემული ბ-ნ გრიგოლ კიკნაძის მიერ ვაჟას პროზის პოეტიკის შესახებ. იგი წერს: „...ვაჟას ბევრი მოთხოვნება ტრადიციულ მოთხოვნებათაგან იმითაც გამოირჩევა, რომ უკანა პლანზეა გადატანილი ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი კვანძი, კულმინაცია, კვანძის გასსნა... თავიანთი აღნაგობით ვაჟას ასეთი თხზულებები განსხვავდებიან ტრადიციულად მიმდინარე, კომპოზიციური ჩარჩოთი მტკიცედ შეკრული მოთხოვნებისაგან... მოვლენათა ტოლფასოვნება ვაჟას ნაწარმოებთა კომპოზიციური პრინციპი. ეს პრინციპი გასდევს მის თხზულებებს, როგორც საკუთრივ ვაჟასეული პრინციპი ჩვენს მწერლობაში და როდესაც ვაჟას ფენომენზე ვლაპარაკობთ, ადამიანისა და ბუნების ყოველი წარმონაქმნის თავისთავადი ღირებულების აღიარებასა და მხატვრულ ხილვას ამ ფენომენის არსებით ნიშნად ვთვლით”(48,19).

როგორც უკვე ადგნიშნეთ, თანამედროვე ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის ანალიტიკური პროცესი ხასიათდება ნოვაციურობისა და კვლევის ტრადიციული პრინციპების შერწყმით, მათი დინამიური გარდაქმნებითა და მრავალფეროვნებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საყოველთაო ფერხულში ჩაბმულია ქართული მხატვრული და კრიტიკული აზროვნებაც.

ამოვდივართ რა ამ ზოგადი კითარებიდან, კცდილობთ „მითოლოგიური კრიტიკის“ პრინციპის გათვალისწინებით წარმოგადგინოთ ვაჟა-ფშაველას ეპოსის არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ჟანრის კომპლექსური განხილვა. ეს არის ზღაპარი, რომელიც შეიცავს მითოსურ ელემენტებს. ჯოზეფ ქემფბელის თქმით: „მითოლოგიური კრიტიკა ცდილობს გამოავლინოს ამა თუ იმ ლიტერატურულ ტექსტი არსებული დაფარული ელემენტი... სურს ზედაპირზე ამოიტანოს, ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები თუ როგორ წარმოსახავს სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, რომელზეც მკითხველი ყოველთვის ერთნაირად რეაგირებს“(54, 192).

მითოურობასთან დაკავშირებული პრობლემების გათანამედროვეობა დამახასიათებელია ყველა ეპოქის ქართული მწერლობისათვისაც. ამ მხრივ გამონაკლისს არც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურა წარმოადგენს. კვლევის ამგვარი კრიტიკის პრინციპები განსაკუთრებით კარგად მიესადაგება ისეთი სიუჟეტის მქონე ლიტერატურული ზღაპრების ანალიტიკას, რომლებშიც გამოვლენილია ხალხური ჯადოსნური ან ნოველისტური, თუნდ საყოფაცხოვრებო ზღაპრების სტრუქტურა, ანუ როდესაც მწერლის მიერ ფაქტიურად წაშლილია ხოლმე ლიტერატურულსა და ფოლკლორულს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნები და ლიტერატურული ზღაპარი ერთ ორგანულ მთლიანობადაა ჩამოყალიბებული, როგორც ლიტერატურულ-მხატვრული სახე.

ამავე პრობლემის წინაშეა ეპიკური გვარის სხვა სახეებიც. ხალხური და ლიტერატურული ნოველის საკითხი ამომწურავადაა განხილული პროფ. ალექსანდრე დლონტის მონოგრაფიაში-„ქართული ხალხური ნოველის საკითხები“(1989წ.): „ხალხური ნოველის ტრადიციამ შეამზადა ლიტერატურული ნოველის, პროზის ამ თავისებური ჟანრობრივი სახის, წარმოქმნის პირობები. ხალხური ნოველის უძველესმა მოტივებმა ნიადაგი მოუმზადეს როგორც პროზაული ზეპირშემოქმედების თვისებრივ გაღრმავებას საერთოდ, ისე ლიტერატურული ნოველის აღმოცენებასა და მწერლობაში დამკვიდრებას“(97,75). ბუნებრივია, იმავე პროცესს გაივლიდა ლიტერატურული ზღაპარიც.

ფოლკლორთან მიმართების საკითხი, როგორც ვიხილეთ, ძალზე აქტუალურია და კვლევის ობიექტად ბევრ მკვლევარს უქცევია: „ჩვენი მიზანია-

წერს პროფ. თეიმურაზ ქურდოვანიძე-წარმოვაჩინოთ ფოლკლორთან მიმართების ქართულ ლიტერატურაში გამჟღავნებული ტენდენცია.(96,52). ავტორი მოკლედ ახდენს ამ თეზისის სათანადო მაგალითებით ილუსტრირებას როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობიდან. ეს არის საკითხის ერთი მნიშვნელოვანი მხარე-ფოლკლორთან, მითოლოგიასთან მიმართება.

დიდმა ვაჟამ თავის ეპიკურ პროზაულ თხზულებას „მუცელას” (1895წ.)ზღაპარი უწოდა, რაც სათაურის ქვეშ მინაწერითაა დაფიქსირებული.

ვაჟასმცოდნეობაში კარგადაა ცნობილი, რომ სათაურის ქვეშ მინაწერში ვაჟა-ფშაველას მიერ განსაზღვრულია ხოლმე თხზულების უანრის, მოტივის, განწყობილების, აღწერილი ამბის დროის, ეპოქის არსი. ეს კი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ხელწერად, სტილადაა განსაზღვრული. აღსანიშნავია მკვლევარ ლ.სანაძის მიერ „მუცელას” ტექსტოლოგიური დამუშავება. მის მიერ დადგენილია ოფიციალური ბეჭდური ვარიანტისაგან საკმაოდ განსხვავებული კრცხლი ვარიანტი. ეს თვალსაჩინოა ვარიანტის ტექსტის დასათაურებაშიც-„მუცელა”. ზღაპარი (ძველი დავთრებიდამ)” (32, 560); ესე იგი, თხზულების ზღაპრობა ავტოგრაფშიც და ბეჭდურადაც დადასტურებულია.

ვინაიდან „მუცელას” ზღაპრობა ეჭვგარეშეა და ჯადოსნური და ლიტერატურული ზღაპრების სტრუქტურული ნიშნები აშკარადაა გამოკვეთილი, მისი შესწავლის პროცესში გამოვიყენებთ ვლ. პროპისეული კვლევის პრინციპებიდან ერთ-ერთს. კერძოდ, იმას, რომ „ზღაპრის ისტორიულ-გენეტიკურ ანუ დიაქრონულ შესწავლა-განხილვას წინ მისი ზუსტი სინქრონული აღწერა უნდა უძღვდესო.

პირველი და უმნიშვნელოვანესი ოპერაცია, რომელიც უნდა ჩატარდეს, ეს არის „...იმ მუდმივ ელემენტთა (ინვარიანტთა) გამომჟღავნება, რომელიც ჯადოსნურ ზღაპრებში არსებობენ და მკვლევრის მხედველობის არედან არ ქრებიან სიუჟეტიდან სიუჟეტზე გადასვლისას (70,204).

აღიარებულია, რომ პროპა შეიმუშვა ორი სტრუქტურული მოდელი: „ერთი (მოქმედებათა თანმიმდევრობა დროში)-უფრო საფუძვლიანად, მეორე (მოქმედი პირები)-შედარებით გაკვრით”(70,204). ჩვენ ორივე მოდელის მიხედვით წინამდებარე ზღაპრის ანალიზი დასაშვებად მივიჩნიეთ ზოგადად და ერთგვარ გზამკვლევად დავისახეთ მუშაობის პროცესში.

აქედან გამომდინარე, ტექსტი დავყავით თანმიმდევარ მოქმედებებად, ანუ მოვახდინეთ „მისი სეგმენტაცია”(ვ.პროპი). ვაჟას ზღაპარი თავისუფლად იძლევა სეგმენტაციის ჩატარების საშუალებას. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დაფიქსირებული სეგმენტი ასრულებს თავის „ფუნქციას”, რაც აადვილებს

მის მრავალმხრივ შესწავლას. სეგმენტირება თავისი ფუნქციითა და დანიშნულებით არ ემთხვევა ნაწარმოების კომპოზიციურ მოდელირებას. თუმცა, ზოგადად ზღაპრის კომპოზიცია და სეგმენტირება ერთიანობაში მაინც მიუთითეთებენ, რომ სახეზე გვაქვს ე.წ. „სინქრონულობა”-უშალოდ აგტორის მიერ წინასწარ საგანგებოდ ჩატარებული ოპერირების გარეშე. ეს ვითარება კი, როგორც ზემოთ იყო მინიშნებული, ხელს უწყობს საანალიზო თხზულების „დიაქრონულ” შესწავლას.

ტექსტის დიაქრონული ანალიზი მიესადაგება მის ისტორიულ-გენეტიკურ ანალიზს, ანუ მისი ეანრული სპეციფიკის გამოვლენას, ტიპოლოგიურობის დადგენას და „მოტივთა დაჯგუფებას სტრუქტურულ ერთეულებში”(ვ. პროპი).

ვაჟა-ფშაველას ზღაპარებში მოქმედებათა თანმიმდევრობა მოცემულია მთხოველის მიერ ამბის ლოგიკური გაშლა-განვითარებით. ჩვენი რწმენით, ტექსტთან ურთიერთობისას ყველაზე ახლოს მიდის ე.წ. „ნარატოლოგის პრინციპი”, ანუ რომელშიც ურთეულესი დროითი გამოცდილება თხრობის ოსტატობითაა დაძლეული, როდესაც ყურადღების კონცენტრირება ძირითადად მაინც გამონაგონზე მოდის”(მალხაზ ხარბეგია 121,182). ამ ვითარებაში საყურადღებოა დროის სარჩევლში მოქცეული თხრობისა და დისკურსის დიქტომია. ვ. ბენვენისტის განმარტებით: „თხრობა გამორიცხავს აწმყოს, დისკურსი კი-წარსულს”(121, 189).

თხრობა და დისკურსი, ანუ თხრობა და განსჯა, მთელი თავისი არსებითაა წარმოდგენილი ავტორის, ჩვენს შემთხვევაში კი მეზღაპრის პერსონაჟში. როდესაც წინასწარ მოვახდინეთ საანალიზო ტექსტის-სეგმენტირება, გამოიყო ორი მთავარი პერსონაჟი: მეზღაპრე-მთხოველი და მუცელა.

მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა დასაბუთდეს ამ ზღაპრის სახეობა, ანუ რა ჭარბობს ფაბულაში- ჯადოსნური ზღაპრის თუ ლიტერატურულის ნიშნები. ამის შემდეგ კი ყურადღება გამახვილდება თხზულებაში გატარებულ მოტივებზე.

თუ ვიმსჯელებთ ზღაპრის მთავარი მოქმედი გმირის ვინაობაზე, უნდა გამოირიცხოს თხზულების ჯადოსნური ზღაპრობა, რამეთუ, „მუცელა” არ არის „გენეტიკურად დვთაებრივი გმირი” და მისი თავგადასავალი არ გამოავლენს მის დვთაებრიობას”(რუსუდან ჩოლოყაშვილი; 105,446). თუმცა, ავტორი თავის ზღაპარს მაინც უნარჩუნებს ერთგვარი მითიურობის, ჯადოსნური ზღაპრის ელფერს, როდესაც მოქმედ პირებად, მუცელას სახის სრულსაყოფად, შემოჰყავს დევები,

ჭინქები, ალები, ტარტაროზი. ეს მითიური არსებანი მხოლოდ დამხმარე, არამთავარ მოქმედ პირთა ფუნქციებს ასრულებენ ფაბულაში.

„მუცელა” მთელი თავისი ცხოვრების წესით, გარემოსთან დამოკიდებულებით, დროის ფაქტორთან მიმართებით კლასიკური ლიტერატურული ზღაპრის პერსონაჟია, რამეთუ „ლიტერატურული ზღაპრის გმირი ერთი შეხედვით, ჯადოსნური გმირისაგან განსხვავებით, მიწიერი არსებაა, ჩვეულებრივი ადამიანური მიზეზებით და საყოფაცხოვრებო ინტერესებით,... ყოველგვარ დვთაებრიობას მოკლებული”^{105,446)}.

„მუცელას” ტექსტი საშუალებას იძლევა მასში გამოვავლინოთ „იმპლიციტურად წარმოდგენილი ეპოქის სულისკვეთებაც” ეს კი იქითკენ გვიბიძგებს, რომ მასში ვეძიოთ ტიპოლოგიური ფაქტორების სათანადო ნიშნები, რომელთა საშუალებითაც საანალიზო თხზულებას იმდროინდელი მხატვრულესთეტიკური აზროვნების კლასიკურ ნიმუშად აღვიქვამთ.

მაგალითად, სამ ათეულ წელზე მეტი პყოფს „მუცელას” დაწერის თარიღს იღიას „კაცია-ადამიანის?!?” დაწერის თარიღისაგან. მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის 90-იან წლებშიც კვლავ აქტიური იყო ლუარსაბიზმის, თათქარიძეობის, მხილება.

„კაცია-ადამიანი?!?” პოლიფონიური პრობლემატიკის თხზულებაა და შესაბამისად მისი მხატვრულ სახეობა სისტემა, სახისმეტყველება მრავალფეროვანია. ბუნებრივად მივიჩნევთ იმას, რომ ანალოგიური მიზანდასახულობის მქონე სხვა ავტორთა თხზულებაშიც შევნიშნოთ გარკვეული ასოციაციები. მოვიძიოთ ტიპიურობის ნიშნები, ავტორთა სულიერი თუ შემოქმედებითი ნათესაური კავშირები.

პირველ რიგში შევეხებით თხზულებათა დასათაურების სისტემას. დიდმა იღიამ სათაურიდანვე და ეპიგრაფშიც საფიქრალი დაუტოვა მკითხველს მთავარ მოქმედ პირთა ვინაობისა და რაობის თაობაზე და ინტონაციის საშუალებით ჩვენთან ერთად არკვევს-მოთხოვბაში მოქმედ ადამიანებს სცხიათ რაიმე ნიშანწყალი ადამიანობისა?

ამ საკითხზე სარწმუნო შემაჯამებელ მოსაზრებად მივიჩნევთ პროფ. ლადო მინაშვილის მონოგრაფიიდან მსჯელობას „კაცია-ადამიანის?!?” სათაურის გაგებასთან დაკავშირებით. იგი საგანგებოდ განიხილავს ათი ავტორისა და იღიას ოცტომეულის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს და აღნიშნავს: „შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას მოთხოვბის სათაურის გაგების საკითხი. სათაურის გაგებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები იქნა გამოთქმული (მკვლევარი აქ მიუთითებს გ. ვახანიას სტატიაზე

„რამდენიმე შენიშვნა „კაცია-ადამიანის” შესახებ-ჟ.ქ). ზოგიერთი ავტორის აზრით,- განაგრძობს ლ.მინაშილი -სათაური ასე უნდა იქნეს გაგებული-ყველა კაცი არ არის ადამიანი, ერთი სიტყვით ადამიანი კაცთან შედარებით უფრო მაღალი ღირებულების შინაარსის მქონე სიტყვადაა გაგებული (სქოლიოში მითითებულია ის ავტორები, რომლებიც ასე ფიქრობენ მაგ. გ. წულუკიძე, ბ. კაპანელი, ა. ბაქრაძე და ა.შ-ჟ.ქ.), ზოგიერთი ავტორის აზრით, პირიქით, კაცი არის ადამიანთან შედარებით მაღალეთიკური შინაარსის მატარებელი სიტყვა და მოთხოვნის სათაურიც ასე უნდა გავიგოთ, ყველა ადამიანი არაა კაცი.

არსებობს სხვაგვარი გაგებაც, რომლის თანახმადაც კაცი და ადამიანი ილიას მოთხოვნის სათაურში სინონიმური შინაარსის შემცველი სიტყვებია და მოთხოვნის სათაურიც ასე უნდა გავიგოთ; ადრეული პუნქტუაციით, ლუარსაბ თათქარიძე კაცია, ადამიანიო, მაშასადამე აქ ეს სიტყვები ლუარსაბის მიმართ ირონიული შინაარსით ითქმის, ხოლო გვიანდელი პუნქტუაციით- კითხვა-ძახილის ნიშნით, სათაური რიტორიკული კითხვის შემცველია -ნუთუ ლუარსაბი კაცია, ადამიანია? ეს აზრი თავდაპირველად წამოაყენა პ. დონდუამ, ამავე აზრს იზიარებენ გ. შალამბერიძე, ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ვ. ვახანია. ამავე აზრს იზიარებს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის სარედაქციო კოლეგია”.

ვაჟა-ფშაველას ზდაპრის მთავარი პერსონაჟიც შვილია ამა სოფლისა, მაგრამ არა ზრუნავს სოფლისათვის, კაცობისა მასაც რომ არა სცხია-რა, სათაურად გამოტანილ გაარსებითებულ ზედსართავში ჩანს „მუცელა”. რა ასოციაციების გამომწვევიცაა მისი ლექსიკური შინაარსი, კომენტარს აღარ საჭიროებს.

ფუნქცია სათაურებისა არის მკითხველი საზოგადოების დაინტერესება თხზულებათა იდეური მიზანდასახულობით.

ამის შემდეგ უნდა შევეხოთ, პერსონაჟთა სახელებს, ანთროპონიმებს.

ილია ჭავჭავაძემ თავის მთავარ მოქმედ გმირს ლუარსაბი დაარქვა. ავტორის დიდი გულისტკივილია ჩაყოლებული ამ სახელში. ქვეტექსტი გვეუბნება, რომ ლუარსაბ თათქარიძე შემარცხევენელია დიდებული ქართველი წამებული მეფის ლუარსაბ-II-ის სახელისა. ამით ავტორმა მიანიშნა იმაზე, თუ როგორ დაკინებულა თავისი დროის ქართველობა, როგორ დაცემულა, გადაგვარებულა ზნეობრივადაც და ბიოლოგიურადაც.

ვაჟა-ფშაველამ კი პირდაპირ, როგორც ეს მეზღაპრე-მთხოვბელს მოეთხოვება, მოკლედ გვაცნობა მთავარი პერსონაჟის წარმომავლობა და მისი დეგრადირება; პრეამბულაში იგი გვიამბობს, რომ მამას თავისი უფროსი შვილისთვის პაპის ზედმეტი სახელი დაურქმევია. მუცელას პაპისათვის,

გივისათვის, ხალხს კი მუცელა იმიტომ შეურქმევია, რომ მტრიანობის დროს ჯარი დასცემია გივის ოჯახს. შინ მარტოკა გივი დახვედრია მათ და ხალხს უნახავს ცხრა-ათი კაცი გივისგან ფაშვებდაფატრული. თავად გივიც მუცელში დაუჭრიათ და ამის შემდეგ შეურქმევიათ მისთვის და შემდეგ მისი მოდგმისათვის „მუცელაანი”. აი, ამ კაცის თიპუნი „მუცელა” დაარქვეს უფროს შვილს.

აქვე არ იგვიანებს მთხოობელის კომენტარი: „ეგონა, სახელი რამეს მოუმატებდა იმის „უფროს შვილს” და დასძენს, რომ ამ ბავშვს სულაც არ შეეფერებოდა ამ დიდებული კაცის სახელი, არც გარეგნულად,-ტანწერწეტა პაპას როგორ დაედრებოდა „რუმბივით გაბერილი”, „კოლოტს რომ პგავდა”-და არც გონებრივად: მშობლები ხშირად უამბობდნენ პაპის სასახელო თავგადასავლებს, მის სიმამაცეს, ქველობას... „მაგრამ ამ უკანასკნელს ეს მოთხოობა თავისებურად ესმოდა: „ალბათ გამოჩენილი მსმელ-მჭამელი იქნებოდაო”(ვაჟა-ფშაველა,32,263). მთხოობელის მიერ დასმული დიაგნოზი ზუსტია და უტყუარი.

სხვა პერსონაჟთაგან საყურადღებოა ლუარსაბ თათქარიძისა და მუცელას ძმათა სახელები: დავითი, ყარამანა და ამირანა; აგრეთვე დარეჯანის, მოსეს, ხორეშანის, ელისაბედის, ლამაზისეულის, ესტატეს, მარინეს სახელები.

მაშასადამე, ორივე ავტორის მიერ პერსონაჟებისათვის სახელების შერჩევის პრინციპი, ქვეტექსტები საერთო ტენდენციისაა, მათთვის ხორცშესხმის გზები კი-აბსოლუტურად განსხვავებულნი.

ამათგან ყურადღებას ლუარსაბისა და მუცელას ძმათა სახელებზე გავამახვილებთ.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით დაუნდობელია ლუარსაბის ძმის, დავითის, მიმართ, გამომდინარე მისი ზნეობრიობიდან, საქციელისაგან. ძმის გამყიდველს დიდი დავითისა არა სცხია-რა. ზაალ თათქარიძის შვილებს გულ-გონებაშიც კი არ გაუვლიათ ხალხური შეგონება: „მმაო მმითა ხარ ძლიერი!” ისინი ხომ იმ საზოგადოების წარმომადგენლები არიან, სადაც მმათმოძულეობა, სადაც შურსა და ზაკვას ძულებად უქცევია მოყვასის სიყვარული. სწორედ მათ მიმართაა ბიბლიაში გაცხადებული „ის კი, ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება ბნელში დადის და არა იცის, საით მიდის, ვინაიდან სიბრულემ დაუბრმავა თვალები (I იოანე, 12,11).

ამირანისა და ყარამანის მოსახელე მუცელას ძმების სახელებს ვაჟა-ფშაველამ კნინობითის ფორმა მიუსადაგა და ასე მოიხსენიებს- „ყარამანა” და „ამირანა”. გვიქრობთ, ამით მთხოობელმა ხალხურობისა და ირონიულობის ელფერი შესძინა მათ; გვაგრძნობინა, რომ არც მათთვის ყოფილა შესაფერისი ფალავანთა სახელები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს პერსონაჟები განსხვავებულნი

არიან დავითისაგან და ლუარსაბისაგან მმასთან მიმართებაში. ყარამანა და ამირანა, მუცელას-მორჩილი მმები-კი ოფლსა დგრიდენ, მმას ქეიფს არ უშლიდენ, პირიქით, კიდევ უხაროდათ, რომ მუცელამ ოჯახი გაათაროზნა და სხვა აუარებელი სიმდიდრე შესძინა... (96,266). ეს ბოლო სიტყვები საგულისხმო შერიხებით ამკობს ყარამანასა და ამირანას ბუნებას, ჩანს, რომ მმები ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით არ სულდგმულობენ. ასევე ყალბია მუცელას „მმური” დამოკიდებულება მათადმი: „აბა, რაში მარგია ჩემი ქონება, იმას ჩემი მმები შეჭამენ და მე აქ შიმშილით ვიხრჩვები (32, 276)-ამბობდა დატყვევებული მუცელა. მწერალი ქვემექსტით შეგვახსენებს „მმათმოყვარეობის” ბიბლიურ ჭეშმარიტებას: „ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით განიწმინდეთ თქვენი სულები მმური, უპირფერო სიყვარულისათვის და მტკიცედ, სუფთა გულით გყვარდეთ ერთმანეთი”. (პეტრე, I, 22).

როდესაც დიდმა ილიამ წამყვანი ფუნქცია დააკისრა ცოლ-ქმრის წყვილს, ამით წინ წამოსწია ქართული ოჯახის პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ მათი „მოღვაწეობის” მასშტაბი არ სცილდება მათს ოჯახურ იდილიას, საკუთარი კარ-მიდამოს არეალს. ჩვენი რწმენით, ეს უფრო მეტად სახიფათოა ქვეყნისათვის, რადგან განვაზოგადებთ რა მათ ფენომენს, ხელთ შეგვრჩება დანგრეული სახელმწიფო, დასხებოვნებული საზოგადოება. მითუმეტეს, რომ ამის თაობაზე თვით ავტორიც ბრძანებს-„ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთო” (ილია ჭავჭავაძე; 112, 12). თხზულების მოტივაცია, იდეური დატვირთვის მთელი სიმძიმე ხომ ამ წყვილზე, მათი ცხოვრების გათვალისწინებაზე მოდის.

სტრუქტურულად მსგავსი, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებულია მუცელასი და მისი ხელმწიფის ტანდემი.

მართებულად მიუთითებს თამარ შარაბიძე, რომ „ვაჟა თავისი მსოფლმხედველობით ილიას მემკვიდრეა. მისი დამოკიდებულება სხვადასხვა წოდებისადმი წმინდა ქრისტიანულია”. (თამარ შარაბიძე 101, 259). ჩვენც ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და სწორედ ბიბლიის მიხედვით შევაფასებთ ნორმალური საზოგადოებისათვის მტკიცნეულ პრობლემას – ნაყროვანებას, როგორც ცოდვას. წმინდა წერილი გვასწავლის: „ნუ დათვრები და ნუ პნაყროვანობ საჭმელთა ზედა და შევახსენებდით ადამიანებს მათი დაცემის ერთ-ერთ მიზეზს: „ბომონად შეკრაცხე ნაყროვანებაი”. ადგნიშნავთ, რომ ორივე ციტატა მოვიხმეთ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან”.

გავიხსენოთ, როგორ უგულგულებენ ერთმანეთს ლუარსაბი და დარეჯანი, როგორი დაგემოვნებით, „სრული სერიოზულობით” იწესრიგებენ ჭამა-სმის პრობლემებს და ამ „საჭმიანობაში” დმერთსაც არ ივიწყებენ - „ხვალაც ჭამა

გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი”(112,150). გემრიელი ლუქმის ხსენებისას „ღვთის მადლის” მოშველიებაც არ ავიწყდებათ ხოლმე. საგულისხმოა მთხოვნელის ჩარევა ფაბულაში , კომენტარი ცოლ-ქმრის „გაცხარებული” კამათისას: „რა იცოდნენ იმათ, რომ თავისი ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათოვის შთაუბერია”. იქვე შეახსენებს ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვებს; „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო”. ამის გაგება-მიღებისათვის მათ ყურიც ხომ არ შეუბერტყავთ. როგორც იტყვიან, აქ კომენტარები ზედმეტია.

ვაჟას ზღაპარში კი თქმულია, რომ მთელს სახელმწიფოში გახმაურდაო მუცელას სმა-ჭამის ამბავი. ქება-დიდება არ მოჰკლებია ამის გამო მუცელას და როდესაც მუცელას შესახებ ამბად მოუვიდა ამ ქვეყნის ხელმწიფეს,-„მოინდომა მისი თვალით დანახვა, ისურვა, ენახა აგრეთვე თავისი თვალით მისი სმა-ჭამის უნარი. ყველა კუთხიდან დაუპატიჟა მეფემ მუცელას სმა-ჭამით განთქმულები”... „ივაჟკაცა” მუცელამ: -„...ზოგი დააძინა, ზოგიც „სახლში გააქცია და ახალ-ახალს ფალავნებს სთხოვდა მეფეს. სმა-ჭამეთის მეფე „განცვიფრდა-გაოცდა”(32,265). საუბედუროდ იმ ქვეყნისა, ამგვარ „განცვიფრება-გაოცებას” უარყოფითი რეაქცია, სათანადო შეფასება არ მოჰყოლია. პირიქით, მუცელა „შესანიშნავ კაცად” მოევლინა ქვეყანას, სამეფო კარს.

ნორმალურ საზოგადოებაში იგი მკაცრად უნდა მხილებულიყო, მაგრამ მთხოვნელი იცავს ე.წ. „ტიპიური გარემოს” პრინციპს და დიდებულად აისახა ეს მეფის დამოკიდებულებაში მუცელას მიმართ: „-რას ითხოვ ჩემგან, შესანიშნავო კაცო?... ეხლავე მზად ვარ, ავასრულო შენი თხოვნა,-უბრძანა მეფემ მუცელას”(32, 265).

მოჭარბებულ სასმელს „გონება” არ დაუბნელებია მუცელასათვის. „ტაქტიანად” იქცევა, კიდეც „თავმდაბლობს”, მეფის განწყობილებას „ალდოს უდებს” და „შეტევაზეც გადადის:” „ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ზომას მაკლია და თუ გეგულებათ კიდევ ვინმე თქვენს სამეფოში მსმელი, მოიკითხეთ, რომ სმა განვაგრძო”(იქვე).

მეფის საპასუხო რეაქციაში ნათლად გამოჩნდა, რომ მუცელაცა და მისი მეფეც ერთსულ – და –ერთფერხორცისანი არიან: „მიბოძებია შენთვის ასი სოფელი და ორასი ათასი დღის ტყე და მიწა საშვილიშვილოდ არგეთიდან დაწყებული არგუდამდე”(იქვე). ეს დიალოგი ადასტურებს, რა სახელმწიფო რანგამდეა ასული ნაყოფანება, მუცელდმერთობა.

ასევე „თავმდაბლობს” სმაში ბაყბაყ-დევს დადარებული ლუარსაბი, როდესაც „გონივრულად” იტყვის უარს იმერელ მსმელთან მოგებულ სანაძლეოზე

მხოლოდ იმიტომ, რომ იმ მომენტში მემკვიდრის არყოლის გამო თავისი მამაპაპეული მამულებიც ოხრად რჩებოდა. ხოლო როდესაც დარეჯანისაგან შეიტყობს, რომ მემკვიდრე გაუჩნდებათ, მაშინვე „ფხიზლად გადააფასებს” სიტუაციას და ცოლს დაამშვიდებს, ეხლა ოხრად აღარ დაგვრჩებაო. რა მარტივი, პრიმიტიული, „მმისმოყვარეობიდან” შორს მდგომი და ეგოისტურია მათი დემოგრაფიულ-ნაყოვნული მსოფლშეგრძნება. ესეც ლუარსაბისაგან „მმისმოძულეობაზეა” აქცენტირებული. იგი არ აცნობიერებს, რომ „ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია”(I,იოანე; 12,15).

ის, რაც ილია ჭავჭავაძემ სააქაოში ამხილა და მოყვრულად პირში მიახალა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, ვაჟა-ფშაველამ იგივე პრობლემა ზღაპრის სამოსში შევსვია და ასე წარუდგა მამხილებლად თავის ხალხს. ზღაპრის ბუნება კი ნაკლებ ხასიათდება თავისი სათქმელის სტრიქონებშორისი წაკითხვით. სადად და დაუფარავად აფასებს საგნებსა და მოვლენებს მეზღაპრე ჩვენს წინაშე კლასიკური ნიმუშია ლიტერატურული ზღაპრისა და მოვლენები, და ამბავი მის შესაბამისად ვითარდება.

ბუნებრივია, სათანადო ლოგიკური შედეგები უნდა მოჰყოლოდა მუცელა-მეფის ურთიერთობას და არც დაუგვიანია: „რაკი მეფემ სმა-ჭამის უნარი ისე გააზიადა, გაადიდა, ხალხმა იფიქრა, ალბათ დიდი დირსებაა „მსმელობა” და მსუნაგობა”(32,267).

სიმბოლურად ადეკვატურია ამ მეფის მიერ დაკანონებული სახელმწიფო რეგალიები, რომლითაც იგი ამკობდა ხოლმე თავის საყვარელ კაცთა მოწყალების გამოსახატავად. საპატიო კაცად მიჩნეულს ქვეყანად დაატარებდნენ ორი დროშით: „ერთს დროშას უნდა პქონოდა გუმბათის ნაცვლად გაკეთებული ჯიხვი-ყანწი, ხოლო მეორეს –გაბერილი ძროხის ფაშვი”(იქვე). ეს სიმბოლიკა ზუსტად შეესაბამებოდა ქვეყნის დასახელებასაც-„სმა-ჭამეთი” და მუცელას სოფლის სახელიც „უძღებარი”.

სატირით, გულისგულში ჩამდგარი სევდით ამხელს მთხრობელი ქრისტიანულ სამყაროში გაჩენილ „ჯერკუალ” სიმპტომებს და გამოხატავს თავის გულისტკივილს: „ამ ქეიფებმა, მცონარეობამ, უსაქმურობამ ბევრი ოჯახი დასცა და ხალხიც საზოგადოდ გააღარიბა, ამ სიდარიბემ ბევრი დააფიქრა: საიდან, როგორ მოხდა ჩვენი დაცემა, დაქვეითებაო, ეკითხებოდნენ თავიანთ თავს” (32,268). ამის შემდეგ სიუჟეტში შემოჰყავს ზღაპრისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკით შემკობილი პერსონაჟი-პართენი.

პართენისეული განსჯა ფაქტობრივად ბიბლიური შეგონებიდან გამომდინარეობს: „ვერც მპარავნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც

მლანძლველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს”(პავლე მოციქული, I წერილი კორინთელთა მიმართ, I კორინთ. 12,10). პართენი იმას შეუწევებია, რომ ქვეყანა მეფეს ჰქამავს, რომ მეფემ ხალხს დაავიწყა „ხმლის ქნევა, გულითლომობა”, რომ მას დაპირისპერია ომში „ომის წესი და რიგია” და ა.შ.

მეფემ სიმართლის მთქმელს არ აპატია და ბრძანა მისი ჩამოხრმობა. მუცელაც ამას ურჩევდა: „თუ არ ჩამოახრჩეთ, დიდებულო მეფევ, ეგ ვიღაცა პართენია,... თქვენი მტერი დალუპოს, ჩვენი ქვეყანა დაიდუპებაო”(14,269). პართენი ჩამოახრჩეს. პართენი ხომ მუცელასნაირთათვის ხორციელი ტპბობა-ნებივრობის საფრთხეს წარმოადგენდა. მუცელამ არ იცის, რომ ასეთი ბოროტების „ჩამდენის ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ”(პეტრე, გალატელთა, 5-19-21).

სასუფეველს ვინა ჩივის, მუცელას ავმუცლობას, ავკაცობას, ნაყროვანების გამო ცოდვიანს სააქაოშივე განაცდევინეს ჯოჯოხეთური სასჯელი „კუდიანობა-დამეს” მუცელას სახლში შემოჭრილმა დევებმა.

ფანტაზიის წყალობით, სიუჟეტში ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდნენ ბოროტი ძალების ადეპტები-დევები, ჭინკები, ალები, ეშმაკები, ტარტაროზები. პარადოქსულად ჟღერს დევების სიტყვები მუცელასთან საუბრისას მათს ტყვეობაში მყოფ ესტატე დიაკვანთან დაკავშირებით.

საკითხავია, როგორ და რატომ მოხვდა ეკლესის მსახური დევებთან ტყვედ? მათ პირდაპირ განუცხადეს მუცელას, რომ ეს დიაკვანი ყოფილა მსუნავი, გაუმაძღარი, ტაბლიპარია და მოძღვარს, მღვდელ ზაქარიას, ღმერთისთვის ჟოხოვია მისი დასჯა-გამოხწორება და აკი დასაჯა კიდეც: „უფალმა მიიღო მოძღვრის დაღადება და ჩვენ დაგვავალა მისი გაწვრთნა და გასუფთავება ყოვლის მწიგვლისგან; აქ უნდა მოინანიოს მაგან თავისი ცოდვები”(32,272). როგორც ვხედავთ, აქ ბოროტი ძალა პირდაპირ, დაუფარავად მოქმედებს, ეშმაკივით კი არ ცდილობს მიკიბულ-მოკიბულად ადამიანის ცდუნებას.

დამაჯერებელი ტონით განუმარტავენ მუცელას, თუ რატომ იმყოფება იგი მათთან ამ დღეში: „ჩვენ ვასრულებთ მხოლოდ ღვთის ბრძანებას; ეს სასჯელი თვით უფალმა გაგიწესა, რადგან შენგან ტირიან ცხვარნი და ძროხანი; შენგან ჰგოდებს პური და მარილი... ამიტომ სასჯელად და ცოდვათა მოსანანიებლად გაგიწესა უფალმა ეს სადგური”(32,273).

ვხედავთ, რომ დევები მუცელას ადანაშაულებენ ოდენ ხორციელ, გასტრონომიულ ცოდვებში და გადაკვრითაც არ შეუხსენებიათ მისთვის ადამიანთა მიმართ დანაშაულებრივი მოპყრობა. ამდაგვარი ბრალდების წაყენება მათგან არც იყო მოსალოდნელი. აუღეს რა ალღო მუცელას ადამიანურ სისუსტეს, აშიმშილეს და ლამის სულის ამოხდომამდე მიიყვანეს იგი.

ამით დევები ნელ-ნელა სძირავდნენ „ხორციელ რჯულში” და ფიზიკური, ხორციელი გადარჩენის საფასურად სულს ითხოვდნენ მისგან. რაღაცა ურიგოს მოელის მუცელა და მეზდაპრეც ადასტურებს ამას: „...გაჭირვებაში ჩაგარდნილს ეხლა გაახსენდა ლმერთი, დვთისმშობელი: „დვთისმშობელო, შენ გაეცი ამათ პასუხი, შენ აზღვევინე ჩემი სისხლი; დააქციე ამათი ოჯახი, ამოქლიტე, ამოფხვერ ძირ-ფოჩიანად, რომ ქრისტიან კაცს მოსვენება მიეცეს! – ამბობდა ბრაზმორეული მუცელა”(32,282).

საგულისხმო პასაჟი მოსდევს მუცელას აღშფოთებას: „დევებმა ერთმანეთს თვალი გადაავლეს და პირზე ლიმილი შეუთამაშდათ”. ესე იგი, ავსულებმა იგრძნეს გამარჯვების მოახლოვება და გაწამებულ ტყვეს მაშინვე წაუყენეს მოთხოვნა: „გაგათავისუფლებთ, მხოლოდ იმ პირობით-კი, თუ შენ სულს ჩვენ მოგვცემო.” დევებმა მაშინვე თვალებთან მოუტანეს სპილოს ბეჭი, რომელზედაც ეწერა: „როგორი ყოფილა შიმშილი?” ძლივს მიხვდა მუცელა წაკითხულს. ბოლოს თავი დაჰკიდა და დრმად დაფიქრდა; გაიხსენა, ალბათ იმ გლახაკებსაც ასე ეშიებოდათ, დაღადებით რომ ითხოვდნენო ლუკმაპურს.

ეძნელა დევების თხოვნის ასრულება- „სული უფლისაა, -მიუგო დევებს მუცელამ კარგა ფიქრის შემდეგ, - მე როგორ უნდა მოგცეთ დვთის ჩადგმული სული?” შესაბამისია დევთა პასუხი – შენ სული დათმე და შემდეგ ჩვენ თვითონ ვიცით. ჩვენ გვედაოს უფალი, პასუხს ჩვენ გავცემთ, შენ არხეინად იქნები”. – უთხრეს დევებმა (32,283).

დიდი და მძიმეა მუცელასათვის თავისუფლების საფასური, ჭოჭმანობს: „როგორ უნდა დაეკარგა საიქიო, დაუსრულებელი ბედნიერება წუთიერი სიცოცხლისათვის? მაგრამ ამ დროს მუცელას წარმოუდგა გაშლილი სუფრა თავის დარბაზში: ძმები, ცოლი, სტუმრები... ქეიფი... მეტად ტკბილი ეჩვენა სიცოცხლე”(იქვე).

სწორედ ამგვარ ადამიანებზე იყო ნათქვამი: „არ გასწორდებისო ძაღლის კუდი” და მაშინვე საზარელი დრიანკალის ბუნების კაცად იქცა მუცელა. მუცელდმერთაში მზაკვრის სული მდგარა; თავს იმით დაიმშვიდებს, რომ ეგებ გააცუროს დევები და გულში გაივლებს: „სიტყვით მივცემ სულს, ხოლო გულში „არას” ვიძახებო. თუ ესეც ცოდვად ჩამეთვლება, მოვინანიებ: საყდრებს ავაგებ, ქვრივ-ობდებს, გლახაკო დავასაჩუქრებო. ჯერ კი სხვა ლონეს მიკმართა: მოდი, იქნება, ჩემის ძმების და ცოლის სულით შევიჯერო წყეული სულებიო”. (32,283)

მთხოობელმა ახალი რაკურსით შეგვახედა მუცელას შინაგან არსზე. ამ ადამიანში სხვებისადმი სიყვარულს ერთი დღეც არ დაუღამებია და ერთი დამეც არ გაუთენებია. მოღალატურად გასწირა დედმამიშვილიცა და ცოლიც.

ეშმაკისათვის, აგსულისათვის სულის მიყიდვის მოტივი ხალხურ ეპოში ცნობილია. გავიხსენოთ, თუნდაც მურმანი. მაგრამ მურმანი მთელი არსებით უფრო „მაღლა” დგას მუცელასთან შედარებით. მას სხვათა სულების ხარჯზე არც კი გაუფიქრებია ეთერის დასაკუთრება. მან მხოლოდ საკუთარი სული მიჰყიდა სიყვარულისათვის ეშმაკს, თუმცა მისი ქმედებაც ძალზე შორსაა ჭეშმარიტებისაგან.

მიუთითებენ, რომ „პერსონაჟთა ყოველ კატეგორიას გამოჩენის საკუთარი ფორმა აქვს, ყოველი კატეგორიისათვის განსაკუთრებული ხერხები გამოიყენება, რომელთაც პერსონაჟი შეჲყავთ მოქმედების მსვლელობაში. ეს ფორმები შემდეგია: ანტაგონისტური (მავნე) მოქმედების მსვლელობისას ორჯერ გამოჩნდება. პირველად ის მოულოდნელად ჩნდება საიდანმე (მოფრინდება, მოიპარება და სხვ.), შემდეგ გაქრება”(70,125).

ვაჟა-ფშაველას ზღაპრის მორფოლოგიური ანალიზით ნაწილობრივ დასტურდება ახალი პერსონაჟის შემოსვლის ფორმა. როგორც ზემოთ მივუთითეთ, დევები მოულოდნელად შემოიჭრებიან მუცელას სახლში ქვიფის დროს და გაიტაცებენ მუცელას. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დევები გამართავენ მასთან დიალოგს, მიიღებენ მის სულს თავისუფლების საზღაურად და ათავისუფლებენ ტყვეს. ეს დეტალი ჯადოსნური ზღაპრისთვისაა დამახასიათებელი.

ვაჟა-ფშაველას როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, პატარა დეტალიც კი არ შეუტანია სიუჟეტში უსაფძლოდ. გავიხსენოთ, მაგალითად, მუცელას მიერ საკუთარი თავისათვის მიცემული პირობა ეკლესიების აგების თაობაზე და გაყიდული სულის ფაქტორი.

ზღაპრის ფინალში ულვაშენელთა მეფემ სამაგალითოდ დასაჯა სმაჭამეთელები. მუცელასთან ერთად თერთმეტი კაცი ჩამოახრჩეს. მკაცრი იყო ულვაშენელთა მეფის ვერდიქტი: „დაარჩვეთ ეგ თერთმეტი მსმელ-მჭამელი... სამაგალითოდ ქვეყნისა, რათა უბირთა დაინახონ მაგათი გვამი და შეიგნონ, რომ გარდა სმაჭამის გაღმერთებისა, არის სხვა ღმერთიც”(32,292). მხოლოდ მეფე დაინდეს, როგორც დვთისგან ცხებული.

მთხოვბელსაც სამართლიანად, უფლის ნების აღსრულებად მიაჩნია ამგვარი გადაწყვეტილება. მხოლოდ ძმები აფრქვევდნენ ცხარე ცრემლებს, ცოლმა კი სიცოცხლე გასწირა ქმრის გულისათვის.(იქვე).

სიმბოლურია ისიც, რომ მუცელაცა და მარინეც უშვილძიროდ გადაშენდნენ, როგორც ლუარსაბი და დარეჯანი. ამ შტრიხებშიც მუღავნდება XIX საუკუნის სხვადასხვა თაობის შემოქმედთა ერთსულოვნება მომავლის განსაზღვრაში „საზოგადო ჭირზედ” ყურადღების გამახვილებაში.

ვაჟას ზღაპარში კარგად გამოიკვეთა ხალხური ნოველისათვის დამახასიათებელი კანონზომიერი მოდელი. ამით ავტორმა, ჩანაფიქრის იდეური შინაარსიდან გამომდინარემ, მაქსიმალურად დაიცვა ნაწარმოებში გატარებული „მოტივების შაბლონური წეობა”(97,112). სწორედ ამან განაპირობა ეპილოგის დართვა. შინაარსის სრულ შესაბამისობაშია ეპილოგის სახისმეტყველება.

ეპილოგში ორი სიმბოლო გამოიყო: მუცელას საფლავიდან ამოფრენილი უზარმაზარი სვავი და 6-7 წლის ბავშვი. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია.

საფლავიდან მიცვალებულის ცხოვრების განმსაზღვრელი სიმბოლიკის გაჩენა ტრადიციულია ფოლკლორში – მურმანისაზე ეკლის, ხოლო აბესალომისა და ეთერის საფლავებზე ვარდების გაშლა და ა.შ. ანალოგიური ფუნქციისაა მუცელას საფლავიდან სვავის ამოფრენა და მთისაკენ გაფრენა.

სვავი ტრადიციულად სიხარბის, გაუმაძღრობის სიმბოლოდაა მიჩნეული, იგივე ფუნქცია აკისრია სვავს ეპილოგში. თუ სულეთის რომელი სამყარო პქნია ბინად მიჩნეული მუცელას სულს, ნათელია, აქვე უნდა აღინიშნოს მსოფლიო სიმბოლოთა ენციკლოპედიაში ყვავის, ყორნის მრავალგვარი სიმბოლური შინაარსი. თითოეული მათგანი, პირველ რიგში, წარმოადგენს სატანის, ცოდვის სიმბოლოს. მართალია, ზოგიერთი ხალხის წარმოსახვაში ისინი დადებითი სიმბოლიკის განსახოვნებასაც წარმოადგენენ (85,299), მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, ვაჟას შემოქმედებაშიც, კონკრეტულად ამ ზღაპარშიც, სვავი დიდი ცოდვიანობის გამომხატველი სიმბოლოა.

მთისკენ სვავის წასვლასაც გარკვეული ფუნქცია ენიჭება, რამეთუ „მთა ვაჟასთვის ის „სიმაღლეა”, რომლის გადალახვა მრავალ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული და რომელიც ხსნას მოუტანს ადამიანს”(101, 138). აქედან გამომდინარე, მთისკენ სვავის წასვლაში ვხედავთ უფლის მიერ მუცელას სულის დაბარებას პასუხის საგებად, ანუ უფლის სამსჯავროზე მუცელას სულმა უნდა ზღას ცხოვრებაში ამ ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვები. ამას რომ ვერ გაექცეოდა, მუცელას სული ადრევე გრძნობდა, როცა სამართლიანად ამხელდა მუცელას, მის მუცელსა და მის ჭკუას(32, 277-279).

რას ემსახურება ეპილოგში მუცელასაგან ნახევრად აშენებული საყდრის ეზოში მოწყალების მთხოვნელი 6-7 წლის ბავშვი? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მასთან მოკლე დალაპარაკების შემდეგ?

კვიქრობთ, ცალკე სვავი და ცალკე უს ბავშვი ურთგვარი პერსონიფიკაციაა მუცელას ორმაგი სტანდარტით ცხოვრებისა. ამქვეყნიურმა მოვლენებმა გამოჰკვეთა სახე გაორებული ცხოვრების გზისა, მუცელამ რომ

განვლო: სილადეში მყოფს ლოცვა სძულდა და გაჭირვების ჟამს „მიუბრუნდა” ღმერთს. იგრძნობა, რომ ბოლომდე გულწრფელი არ იყო იგი დვოისადმი მიცემულ სიტყვაში, რომ საყდრის აგება საქველმოქმედო, რწმენის კარნახით კი არა, საქრთამო ქმედებად იყო მისგან ჩაფიქრებული, რომ მან გაბედა და ხორციელ რჯულს მსხვერპლად შესწირა „დვოისგან ჩადგმული სული”, არა მარტო თავისი საქუთარი, არამედ თავისი ძმებისაცა და ცოლისაც. ამ მზაკვრობით მოიპოვა მან, აწ უკვე „ეშმაკის კერძმა”, ხორციელი თავისუფლება, რათა ძველებურად მისჯდომოდა ნაყროვან ტრაპეზს.

ჩანს, ბოლომდე არ გაუწირავს ქრისტიანული სულისკვეთების მქონე ავტორს მუცელა. მართალია, ფინალში მუცელა დამდაბლებულია, მოწყალების მთხოვნელია, მაგრამ გულწრფელი მოჩანს იგი მხოლოდ იმიტომ, რომ მოწყალებას ითხოვს, რათა საყდრის აშენება დაასრულოს. ამით მონანიების შანსი ეძლევა, ალბათ, ცოდვილის სულს. ეს ზდაპარი მკაცრი გაფრთხილებაა და ხმამაღალი მოწოდებაა მუცელდმერთებისადმი - „სძლიერ სიხარბესა შენსა!”

ამ ორი თხზულების ანალიზით ვცდილობდით საერთო ტენდენციების გამოტანას. კერძოდ, პროფ. ლადო მინაშვილი აღნიშნავს: „ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ტიპები მხოლოდ ლიტერატურულ ღირებულებებს კი არ წარმოადგენენ, მხოლოდ ლიტერატურაში კი არ ცოცხლობენ, არამედ მათ დრმა სოციალური დატვირთვაც აქვთ, სოციალური გამძლეობაა მათთვის დამახასიათებელი (59 ,40)

ამ ორი ნაწარმოების განხილვის შედეგად უცილებლად დავრწმუნდით იმაში, რომ ილიას მიერ დახატული ტიპებისათვის „სოციალური გამძლეობაა... დამახასიათებელი”, იგივე ესთეტიკური მრწამსი ასულდდგმულებს დიდ ვაჟასაც, როდესაც ბრძანებდა: „მე პირადად საქმე უსულგულობასთანა მაქვს და არა სხვასთან ვისთანმე. ვებრძვი უსუგულობას და ვებრძვი ჩემს თავს, რადგან მინდა ორიგინალური რამ ვსოდვა თრიგინალურადვე... (32 ,114).

ანალიზმა დაგვარწმუნა იმაშიც, რომ „მუცელათი” ბევრი რამ თქვა ორიგინალურად, თავისებურად, სრულიად განსხვავებულად; იგრძნობა, რომ ნაწარმოებისათვის გარკვეული სული და გული ჩაუტანებია. გარკვევით მიუთითებს ვაჟა-ფშაველა თანამოკალმებს: „მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რაიმე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე, თუ არა. თავი და თავი აზრი მიწის შვილთა, ჩემის ფიქრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიავ-სიკეთე მწერალი კიდევ, როგორც გამომხატველი ცხოვრებისა, უსათუოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძნობა იმას დაჰფოფინებდეს, თვით ცხოვრებიდამვე გამომდინარი, თვით ცხოვრებისაგან

შობილი, უამისოდ მწერალი უაზრო ხმაა, გაურჩეველი, გაურკვეველი, ყველასთვის გაუგებარი (32,114-115).

როგორც ამ ბოლო ამონარიდიდან ჩანს, ტიპოლოგიურობას ვხედავთ არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების, არამედ ესთეტიკური აზროვნების სამყაროშიც ამ ორ ბუმბერაზ ავტორს შორის.

თუ „კაცია-ადამიანი“?! კლასიკური ვრცელი მოთხოვობაა, ვაჟას „მუცელა“ ასევე კლასიკური ნიმუშია ლიტერატურული ზღაპრისა.

როგორც ითქვა, ვაჟა-ფშაველას წმინდა თეორიული ხასიათის წერილი არ დაუწერიაო, მაგრამ მის პუბლიცისტურ თუ კრიტიკულ სტატიებში უხვადაა გაბნეული თეორიული მოსაზრებები ეპიკური გვარის უანრების შესახებ და ყველა მათგანი ბრწყინვალე ორნამენტადაა მორგებული შესაბამის კონტექსტში.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს არც ვაჟა-ფშაველასა და მის ოპონენტებს შორის წარმოებული კამათის ანალიზი და არც ჩვენებული განსჯა ვაჟას ესთეტიკური პოზიციებისა. ეს საკითხი ფართოდ და მაღალმეცნიერულადაა განხილული ვაჟასმცოდნეობაში.(იხ. სათანადო ლიტერატურა).

განხილული თხზულებებით დავრწმუნდით ვაჟას მიდგომაში ტიპოლოგიურობის თაობაზე. თავის სტატიაში „ნიჭიერი მწერალი“იგი წერს: „პოეტები თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიმართულებით, წერის საგანთა შერჩევით, ბევრშიცა პგვანან ერთი-მეორეს; უკვართ სილამაზე, რომელსაც უსათუოდ ქალის სახით წარმოადგენენ,-ბუნება, გმირობა, თავდადება, ხასიათის სიმტკიცე, საზოგადოდ ალტრუისტული მისწრაფებანი, და სძულო ძალმომრეობა, ადამიანისა ადამიანის მიერ დაჩაგვრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა საერთოდ“(32,62).

პროფ. გრ. კიკნაძე როდესაც თავის მონოგრაფიაში განიხილავდა ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზას და გვაძლევდა ვაჟას პროზასა და ილიასა და აკაკის პროზას შორის შედარებით დახასიათებას, წერდა, რომ ილიასა და აკაკის პროზაში ხაზი ესმება პერსონაჟთა რაოდენობის ზრდას და ამ მხრივ ავლებდა პარალლელს ვაჟას პროზასთან: „...პერსონაჟთა რაოდენობის ზრდა გამოწვეულია ან ახალ-ახალ საკითხთა დაყენებით, როგორც ამას, მაგალითად, ილიას ნაწერებში ვამჩნევთ, ანდა ახალი, ცხოველმყოფელი, საკითხის საილუსტრაციოდ გამიზნული ამბის გადმოსაცემად, რომელიც აზრის მხრივ ადრე უკვე ცხადყოფილი იყო („ბაში-აჩუკი“). ამ გაგებით ილიასა და აკაკის პროზა „გაფართოებისაკენ“ მისწრაფებით ხასიათდება, იგი, თუ შეიძლება ითქვას, „განზე იზრდება“.

ვაჟას პროზისათვის „განვი ზრდა“ კი არაა დამახასიათებელი, არამედ გარკვეულის ირგვლივ ტრიალი და ამ გზით წვდომა პერსონაჟთა სულიერი

ვითარების სიღრმისა. ასეთია განთქმული მოთხოვბები: „ხმელი წიფელი”, და „ფესვები”, „მთანი მაღალნი” და „მთის წყარო”, „გოჩი” და „სინიდისი”...” (49,223-224).

პროფ. იუზა ევგენიძე იკვლევს რა ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა შემოქმედებით ინტერესებს, ცალკე გამოყოფს ციკლს ისეთი მოთხოვბებისას, რომლებიც ლეგენდური იერითაც სავსეა და ბიბლიური მოტივებითაცაა დატვირთული. ამ ციკლის ნაწარმოებებია „გოჩი”(ლეგენდა), „სააღდგომოდ”, 1889წ., „პლდე მტირალი”, 1889წ., „საშობაო მოთხოვბა”, 1890წ., „ეშმაკი (საშობაოდ), 1908წ. და სხვა. სხვა ავტორთაგან განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ ამ ნაწარმოებში ვაჟას ფანტაზია, მისი წარმომსახველობითი უნარი ვერ აღწევს იმ დონეს, რაც ზმანება-ჩვენების, სიზმრისეული ხილვებითაა და ოცნების ფორმით მოწოდებულ მოთხოვბებშია გამოვლენილი”(27,416).

ერვალივე ზემოთქმულს განვავრცობთ ვაჟას პოზიციის დაფიქსირებით. ცნობილ სტატიაში-„კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი” ვკითხულობთ: „ამასთანავე ისიც უნდა ვსოდავათ, ბევრი ამბავი და ზღაპარი, მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხატობის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველის-ძველი ამბავიო”, „ზღაპარიო”, „თქმულებაო”, იმ მოსაზრებით, დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა პქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების მითვისება, როგორც ამის უფლება არა აქვს არავის, ისე-თავის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება”(32,315).

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი მრავალფეროვანია თემატურადაც, უანრულ ელემენტთა სინთეზითაც, ეს ნათლად ჩანს როგორც XIX, ისე XX საუკუნეში შექმნილ თხზულებებში, რომლებშიც ბრწყინვალედ არის დაცული ფოლკლორული ტრადიციებიც და ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკაც. სიუჟეტურად თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი ამბის გაზღაპრებაც და ფაუნის წარმომადგენლების ჩვეულებრივი ლიტერატურულ-მხატვრული გასახიერებაც. ცხოველთა ეპოსი ბრწყინვალედაა წარმოდგენილი ვაჟას ლირიკაშიც, პოემებშიც, პროზაშიც, პიესაშიც. ეს ნათლად ჩანს როგორც უშუალოდ ნაწარმოების სათაურში მათი დასახელებით (დათვი, მგელი, დაჭრილი ვეფხვი, კურდღლის სიმღერა”), ისე „შინაარსის გამუდაგნებულ სათაურებშიც (38,92): სათაგური, ბუნების მგოსნები, ტყის კომედია და სხვა.

მიუთითებენ, რომ „ცხოველთა ზღაპრებში დასმული პრობლემები ყოფითია. ისინი ეძებენ საჭმელს და მის მოსაპოვებლად ტყუიან, ძალადობენ. შემდეგ მოდის გაჭირვებიდან თავდახსნის პრობლემა.

ცხოველების ხიფათით საგსე ცხოვრება მიმდინარეობს „შეზღუდულ პორიზონტალურ სივრცეში-ტყეში, მინდორში, სოფელში”(95,187).

სწორედ ყოფითი პრობლემაა მოცემული ვაჟას ნაწარმოებში „დათვი”. „ზღაპარი”(14,500-510). ეს მოზრდილი პროზაული თხულება დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი ერი”(1904წ. №1,№2). ან ზღაპრის შინაარსმა, ან სხვა რამ მიზეზმა განაპირობა, ალბათ, ის, რომ იგი არ დაბეჭდილა ჟურნალ „ნაკადულში” მოზრდილთათვის.

თხულების ფაბულა, მისი შინაარსი, მთლიანად სიუჟეტი გარკვეულწილად ამართლებს ლიტერატურისმცოდნეობაში არსებულ დებულებას იმის შესახებ, რომ მხატვრული ქმნილების ქანრის განსაზღვრა ავტორთა მიერ ხშირად არ ემთხვევა მის ნამდვილ გვარსა თუ სახეობას, ქანრის რაობას. მაგალითად, ვაჟამ 1909 წელს დაწერილ ნაწარმოებს -„დათვი” უწოდა- ზღაპარი.

ეს ნაწარმოები, ჩვენი ფიქრით, არის კლასიკური ნიმუში მოთხოვნებისა; ნაწარმოებისა, რომელიც ფაქტობრივად აღეგორიაა საზოგადოებრივი ყოფიერების შესახებ. ზღაპრობას მას ანიჭებს გარეულ ცხოველთა ამეტყველება ადამიანურად.

დათვში, მელიაში, მგელში, მაჩვში, ვირში, ლომ-ვეჯევში ავტორმა განასახიერა თავისი დროის საზოგადოების წარმომადგენლები. მათი ხასიათები. მათი ურთიერთობა ერთმანეთთან, გარემო ტიპიურია და განაზოგადებს სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ვითარებას.

თუ ხალხურ ზღაპრებში, კერძოდ, ცოველთა ეპოსში, წარმმართველია მისწრაფება, თავი აარიდონ მშრალ დიდაქტიკას და მეზღაპრეები მხატვრულად მოგვითხოვნებ ამბავს, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ იდეაზე, დასკვნებს კი არ გვთავაზობენ”(82,186), ლიტერატურულ ზღაპარში სწორედ იდეური, სოციალური თუ რიგი საზოგადოებრივი პრობლემებისა იძენენ სრულ დატვირთვას. მაგალითად, განსახილველ ნაწარმოებში დესკრიფციულია მეზღაპრის მეტყველების მოელი რიგი ტექსტოლოგიური პასაუები. ესკრიფციის ფუნქცია ხომ ისაა, რომ „ერთგვარად ანელებს ფაბულის დინებასა და სიუჟეტის განვითარებას, მაგრამ ამასთანავე აფართოებს თხოვნის ფარგლებს, ხელს უწყობს ამბის გაშლას, სხვადასხვა მომენტისა და მოტივის შემოტანით ამდიდრებს ნაწარმოებს. ესკრიფცია რეტარდაციის (ფაბულის შენელების) ერთ-ერთი სახეა.”(119,350).

დათვის მონოლოგს მოსდევს ავტორისეული დესკრიფციული პასაუ: „ამას, იცით, ჩვენი დათვი როდის ამბობდა?-ომგადახდილი იკვეხოდა თავის სამფლობელოში, დაბურულს, უღრანს ტყეში,-მაშინ როცა მთელი ნინიას ოჯახი

და მისი მეზობლები გმინავდნენ და ტიროდნენ დიდიან-პატარიანა თავპირდამსვრეულნი, ტანდალეწილები ბიძია დათუნიას წყალობით”(33,500).

ინტერესმოკლებული არ იქნება უშუალოდ დათვის სიტყვებში გამოხატული დესკრიფციული პასაჟი: „როცა გული მოიჯერა ბობოქრობით და ორომტრიალით, დათვმა მიხედ-მოიხედა, შემდეგ დაყუნთდა, თავი დაქინდრა და დაფიქრდა. „პო,-წარმოსთქვა დაბოლოს,-ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყნისა, ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვაგვარად არა: „დაემორჩილენით უძლურნი ძლიერთა, რამეთუ მათ ხელო არის სიცოცხლე თქვენი, ე.ი. ჩვენიო”.(96,501).

ავტოლოგიის არაერთი მაგალითია ვაჟას შემოქმედებაში. ავტოლოგიის დროს ის მთელი „თავისი რეალისტური სიზუსტით უპირისპირდება ფიგურალურ, ტროპულ მეტყველებას”(ჯუმბერ ჭუმბურიძე). მაგალითად, მოცემულ ზღაპარში მთხოვთ იტყვის: „...მგლები, ტურები, მელები, მაჩვები და სხვანი მუშაობდენ სოფლად თანახმად დათვის მიერ ბოძებულის პლანისა: ააოხრეს, დააწიოკეს სოფლები ქურდობით, ტაციაობით, სხვადასხვა ავაზაკობით”(33,507). მოცემულ ციტატაში ავტოლოგიის ნიმუშია სიტყვა „პლანი”, გამოყენებული მეზღაპრის მეტყველებაში. ნათელია, რომ ავტოლოგიის სტილისათვის დამახასიათებელია ბარბარიზმის შემოტანა მეტყველებაში.

პროფ. ჯ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ „ავტოლოგიის მაგალითები საკმაოდ გვხვდება ვაჟას პოემებში. ეს ბუნებრივია: ეპიკური ქანრის ისეთ ნაწარმოებებში, სადაც გაშლილი სიუჟეტი და თხრობითი მხარე, ამბავი არსებითად განსაზღვრავს მხატვრული ქმნილების ხასიათს, ავტოლოგიური პასაჟი წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ ავტოლოგიურია მთელი მხატვრული ტექსტი ისეთი პოემებისა, როგორებიცაა: „სიტყვა”(1905წ.) და „დედა-შვილები”(თქმულება)(1910წ.). ამის თქმის საშუალებას იძლევა, უპირველეს ყოვლისა, თითოეული მათგანის მხატვრული სტრუქტურა: ორივე ნაწარმოები შექმნილია აბსოლუტურად განსხვავებული სტილით. ეს გამოხატულია რიტმიკაში, სტრიქონთა აგებაში 5,10-მარცვლოვანი განზომილებით. თუმცა „სიტყვის” რითმა ტრადიციულია, ვაჟასათვის დამახასიათებელია; ერთმანეთს ერითმება II-IV-VI-VIII და X ტაქტები, ხოლო პოემაში „დედა-შვილები” ავტორი ძალზე თავისუფლად ეპყრობა ამ საკითხს.

ავტოლოგიურობას იწვევს ამ პოემებში სიჭარბე ანუანბემანისა.

ვაჟა-ფშაველას ყველა ნაწარმოებში მოჩანს მისი დამწერის გენიალური ჭვრება სამყაროსი. განუსაზღვრელად კრცელია და მრავალფეროვანია მწერლის ინტერესთა სფერო. ამ სფეროში მარტო ადამიანი კი არ არის მისი დაკვირვებისა და წარმოსახვის ობიექტი, არამედ ფლორაცია და ფაუნაც, როგორც თვით ვაჟა ამბობდა: მთელი „უენ-პირო ბუნება”. თავისი გენის წყალობით მათ ადამიანური სული ჩაუდგა, ადამიანურად აამეტყველა, ადამიანურ ვნებებს აზიარა. ერთი სიტყვით-უსულო საგნებს სული შთაბერა. ვაჟა-ფშაველას მთელი პროზა სამყაროს დიდ სივრცეზე შეძახილი-ხმაა, როგორც სიცოცხლისათვის სიყვარულის უდიდესი ქებათა-ქება.

1902 წელს დაწერილი მოთხოვნის „მგელი” ერთადერთი მთავარი მოქმედი პირია მგელი, რომელიც ავტორმა წარმოგვიდგინა ადამიანური განცდებით, ვნებით აღჭურვილი. მოთხოვნილი ფაქტი გულთამხილველობით ეპყრობა მგელს, მის განცდებს, მის ემოციებს.

დიდი ფერმწერის ფუნჯით დახატულ ტილოს მოგვაგონებს მგლის ადგილსამყოფელი, თავად მგლის შინაგანი სულიერი განწყობილება.

ავტორი დაკვირვებული ფსიქოლოგის თვალით ჭვრებს მგლის ნაფიქრს, ყურადღებით უხმენს მის შინაგან მეტყველებას: „ფრიად დადონებული იყო. ბევრჯერ მოჰშივნია... შიმშილისაგან შეწუხებულს ბევრჯერ უთხოვნია დვთისათვის: „დმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძღვ, ნუ მომკლავ სიმშილით!... შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე, უფალო!”-მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაკვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამაოდ ჩაუვლია მის თხოვნა-ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია დვთისათვის”.

აქ მარტო მგლური ბუნება კი არა ჩანს, არამედ ეს არის ადამიანთა ფსიქოლოგიური ქმედება, რაც, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენთაგანს ახასიათებს. ავტორი კვალდაკვალ მისდევს მგლის ფიქრთა დენას, აკვირდება მის ფერისცვალებას: სასაყვედურო სიტყვების თქმის დროს „ეს საცოდავი ნადირი, უნდა გენახათ, მაშინ რა საზარელი შეხედულება პქონდა და მასთან საბრალო. თუმც ორივე თვალი ცისაკენ პქონდა ამართული, მასთან ერთი თვალი მაინც ალმაცერად იცქირებოდა: მიწას, ტყეს არ აშორებდა... ან ლუკმა არ ამცდეს, ან მტრის მსხვერპლი არ გავხდეო”.

თვალები სულის სარკეაო, თქმულა და ავტორმაც მგლის სულიერი განცდების დამაჯერებლად გადმოსაცემად მგლის თვალთა ელგარება ასახა გენიალურად: „მისი თვალები ცასა და დედამიწას ცეცხლის სხივებს ესროდა; ეს

ცეცხლი სხვა ჯურის ცეცხლი იყო, იგი არ ჰგავდა არც ცეცხლს, არც მზე და მთვარის სინათლეს, ხოლო საშინელი სანახავი იყო ეს სინათლე”.

წარსულიდან აწმუო დროში გადმოდის მთხოვობელი, თვალს არ აშორებს დღეს ყველასგან მოძულებულსა და შეჩვენებულს მგელს, რომელიც „იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა, დიდი სალი კლდე თავზე დასჩერებოდა და ზურგს უმაგრებდა; მგელი ცის სივრცეს გასცეროდა”. ინტერიერი ხელს გვიწყობს უკეთ განვსაზღვროთ მგლის განწყობილება, მისი რეალური ყოფა. მის გულთახილვას ახმიანებს ავტორი, როდესაც ამბობს: „მას სასმელ-საჭმელი აღარ აწუხებდა. მაშ რადა სწუხდა? რად იყო დაღონებული? რას ფიქრობდა ეს ბებავი ცხოველი? გიგირსთ? ნუ გაგიპვირდებათ!.. დღეს მგელი სრულიად სხვას რასმე ფიქრობდა და ისევ ამ ფიქრით დმერთს ემდურებოდა”.

რაში გამოიხატებოდა ეს სამდურავი? სამდურავის სიტყვები, ფაქტიურად, გაბეზრებული ადამიანის სიტყვებია, ადამიანისა, ვისაც თავისი ყოფა ვერ აუტანია, უკეთესის მომლოდინე და მსურველი კაცის სიტყვებია:

„დმერთო, რად გამაჩინე მგლად?! რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რად ვარ სისხლით გაუმაძლარი? და მოულოდნელად უცნაურ ნატვრას ინატრებს მგელი: „რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბებავი კურდღელი?” აქვე სიმართლეს იტყვის მგელი და დამაჯერებელია მისი ნათქვამი, რეალობაა: „კურდღლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვაა, ეშმაკი მიზის გულში: „გააფუჭე, წაახდინე... რაც შეიძლება ბევრი სისხლი დაანთხიე! ნუ დაპზოგავ ნურავის... თესე ქვეყანაზე ვაება, ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი!”

შემდეგ კი იწყება მონანიება: „არ მინდა გავიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები... დმერთო, დმერთო, შე დალოცვილო! რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგიჩენივარ! და განა მარტო მე? რა საჭიროა ან ვეფხვი, ან დათვი, ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი? რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა!... რა მქვიან მე?-მგელი. უვარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუთუ ამისთანა ყოფნა ყოფნაა, ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?! არა ეს მკვდარი სიცოცხლეა!... ჩვენ როცა გვშიან, ერთმანეთსაც კი ვჭამთ”. აქ მახსენდება მგელ ტოტიას ტრაგიკული აღსასრული ბრწყინვალე ნაწარმოებიდან „ამოდის, ნათდება!”

მგელი გულწრფელად სთხოვს ყველას: „მითხარით, მირჩიეთ, რა ვქნა? რით ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავაღწიო თავი ამ მგლურს ბუნებას, ამ წყეულს, ამ შეჩვენებულ წადილთა და გრძნობა-მისწრაფებათა ხროვას?... ეგჲ!-სთქვა მან, მწარედ კბილებში დააკრაჭუნა”.

ავტორი დაკვირვებული თვალით იხედება მგლის ირგვლივ არსებულ გარემოში. გადმოგვცემს ჩხიკვის, მდინარისა და ტყის რეაქციას მგლის აღსარების მიმართ. დასაწყისში წარმოუდგენლად მიაჩნდათ ჩხიკვსა და მდინარეს ამგვარი აღსარება, არ სჯეროდათ მგლური ბუნების მქონესაგან ასეთი ფერისცვალება. მაგრამ როდესაც ჩაუფიქრდნენ ნათქვამს და ირწმუნეს მგლის გულწრფელობა, ყველამ თანაუგრძნო მგელს და გაამართლეს იგი: ჩხიკვმაც, მდინარემაც, ტყემაც: „მართალია, მართალი, არა სტყუისო!-დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თავისი ფოთლიანი ტოტები”. კოდალამ კი ყველას გასაგონად „დააკაპუნა”: „განა, აქაო და მგელიაო, სიმართლეს არ იტყვის, არაფერი დაეჯერება?!” მგელი კი გარინდებულიყო და მალე თვლემაც მოერია.

ძილში კი რაც ენატრებოდა, რაც ინატრა, სიზმრად აუცხადდა: „ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჭოჯდი რქებით შემოსილი, ყელმოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში”.

ერთ ბეწო ხანს თვალის მოხუჭვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა მგელს. მძინარს ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწა-ლუწი მოესმა, წამოდგა. მის წინ დამფრთხალი ირმების გუნდი გარბოდა. სინანულით თქვა: „მოვტყუვდი, წავიდნენ, წავიდნენ! მირბიან, მირბიან!.. ირმებს თან გაჟყვა მისი თვალები”. „მგელი არ მოშლის მგლობასაო”-და მას სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა ამან. ყურადღება მოადუნა, სიფხოზდე და სიფრთხილე დაეკარგა და ირმებზე ხელმოცარულმა მონადირემ ერთი გასროლით მოკლა მგელი.

გასაოცარი გამოდგა იმავე ჩხიკვის, მდინარის, კლდისა და ტყის დამოკიდებულება მგლის აღსასრულის მიმართ. ავტორი ასე აღწერს ამ ამბავს: „ამ შემთხვევამ ყველანი გააოცა: „დიდება შენოვის, უფალო, წინადიგრძნო სიკვდილის მოახლოვება, თორემ ვინ მგელი, ვინ მაგისთანა მსჯელობა?-ამბობდა კლდე”; „საწყალი, სააწყალი მგელი!- დუდუნებდა მდინარე, თქვენ არ დაიჯერებთ, ცხონებულია!” ჩხიკვი „დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა... ტყე არაფერს ამბობდა, თავი დაბლა დაედო და ლრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.”(33,134).

ამ ბოლო სიტყვებით ავტორმა ფაქტიურად საზოგადოებას მოუწოდა გულისხმიერებისაკენ, რწმენისაკენ, რომ უნდა გვჯეროდეს გულწრფელი აღსარებისა, რომ თანამგრძნობელნი უნდა ვიყვნეთ ასეთების მიმართ.

ამ თხზულების სახით ჩვენს წინაშეა ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ნოველა. ფსიქოლოგიზმი განსახოვნებულია მგრძნობიარე ლირიზმით, რომელიც ავტორის მეტყველებაშია გამოვლენილი. ბ-ნ. გრიგოლ კიკნაძის მართებული პოზიციის მიხედვით, „მგელი” ლირიკული მოთხოვნაა. აქვე უნდა შევეხოთ პროფ. გუჩა

კვარაცხელიას ორიგინალურ მიღებობას ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა ბუნებისადმი. კერძოდ, მან გაიზიარა გრიგოლ კიქნაძის რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც პოეტიკა ისეთი ნაწარმოებებისა, როგორებიცაა: „ია”, „გოჩი”, „მთის წყარო”, „პატარა მწყემსის ფიქრები”, „ხმელი წიფელი”, „კლდე ტირის” და ა.შ. („...ისინი სამ ათეულს აღწევენ)... აშკარად მიგვითოთებს იმაზე, რომ ჩამოთვლილი ნაწარმოებები პროზას არ წარმოადგენს არც ტრადიციული და არც თანამედროვე გაგებით. ისინი არც ლირიკული გადახვევებია, ვინაიდან თითოეული მათგანი თავიდან ბოლომდე ლირიზმით განმსჭვალული დამოუკიდებელი თხზულებაა”(45,118-119). ჩვენი დრმა რწმენით, მათ რიცხვს უნდა მიემატოს აქ ჩვენს მიერ გაანალიზებული „მგელი” და „ვერხვიც”.

მკვლევარი გვთავაზობს საინტერესო ნიშნებს მთელ რიგ თხზულებათა დამოუკიდებლობის მახასიათებლად. იგი ვაჟას თხზულებებს განიხილავს საზღვარგარეთული ლიტერატურის არეალის ფონზე და აღნიშნავს: „...ეს არც ლამარტინის, მიუსეს, ვინის, პიუგოს რომანების ან ნერვინის მოთხოვების მსგავსი პროზაა, თუნდაც მცირე ფორმატის გამო, რაც თავის თავად ბევრ სტრუქტურულსა თუ შინაარსობლივ განსხვავებას აჩენს. შედარება მაინც შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ ყველა დასახელებული ავტორი, ისევე როგორც ვაჟა, პოეტი იყო და მათ პროზაში ექსპრესიული სიმბოლოების შემოქმედებითი წარმოსახვა ისევე დომინირებდა როგორც მათსავე რომანტიკულ პოეზიაში”(45, 119).

საკუთარი დებულების დასასაბუთებლად გ. კვარაცხელია მიმართავს სათანადო თეორიულ ანალიზს, სადაც ჩამოყალიბებულია პროზის სპეციფიკა ანუ „...სადაც, ჩვეულებრივ, პერსონაჟის მრავალმხრივი გამოხატვა მოქმედებისა და სხვა პერსონაჟებთან რთული მიმართების საშუალებით ხდება, ვაჟა მხატვრული სახის თავისებურ ტიპს აგებს, იმგვარ ლირიკულ სახეს ქმნის, რომელიც აღსარებითი და თვითგამოხატვითია”(45,119). ამ ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნოველა „მგელი” ლირიკული პროზაა იმ განსხვავებით, რომ ლირიზმის მუხტი პერსონაჟთან შედარებით უფრო მთხოვებელზე მოდის. მგელი კი უფრო „აღსარებითი” ტიპია, სტრუქტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორია მთხოვებლი. ამდენად, „მგელი” მართლაც უფრო პოეტური პროზის ნიმუშია.

სიზმრის თემით, პოეტურობით, ლირიზმით, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ საფუძვლად მინიატურის იდეური დატვირთვის განსაზღვრისათვის უნდა განვიხილოთ 1905 წელს დაწერილი „სიზმარი ობლისა” (დაიბეჭდა „ივერიაში”- 1905წ. №151) გახლავთ.

ფაბულა, როგორც ეს მინიატურას მოეთხოვება, უმარტივესია! „ვეხშიშველი, ჩამოგლეჭილი კაბის ამარა ობოლი ჭილობზე იწვა და ეძინა... სძინავს ობოლს.. მცველი ანგელოზი ადგა თავს, იგი ლმობიერია, ობლების მოყვარული და მობრალული... მან იცის ობლის გულის ტკივილი, უნდა უწამლოს და როგორ?.. და მოუგლინა სიზმარი”(32,360).

მინიატურის ქრონოგრაპიც მყისიერი, სიზმრისეული მასშტაბისა აღმოჩნდა. სიზმარში მან დედა იპოვა. უბედიერესი იყო... დაესიზმრა ის, რასაც ცხადში ნატრობდა, რაც ცხადად აკლდა... დედამ ყველა სურვილი აუსრულა, პირობაც მისცა, თავს აღარ დაგანებებს, სულ შენთან ვიქნებიო, „გაგახარებ და გავიხარებ შენგანო”(32,361). ბუნებრივია, სიზმარმა მცველი ანგელოზის ბრძანებით ფერი მალევე იცვალა. ობოლს მოევლინა დედინაცვალი-გაახდევინა დედის ნაჩუქარი კაბა, მოაძრობინა საყურებიც. გაიღვიძა შემკრთალმა ობოლმა-„ხელებს ფათური დაუწყო, დედას ეძებდა, დაბარბაცებდა კუთხიდან კუთხეში, ლუდლუდებდა: „დედავ, დედავ! სადა ხარ? სად დამემალე, დედი, დედი შენი ჭირიმე! და ... პასუხი ხომ არ მოესმა არსაიდან ხელებგაფარჩხეული მიწის იატაკზე გაერთხა და გაისმა საზარელი, გულსაკლავი ქვითინი”.(32, 362). ავტორმა ორიოდე ფრაზით მიანიშნა დროის შესახებ-გაზაფხულზე: „გარეთ ნელი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა, ხეხილი წითლად, ყვითლად, თეთრად პყვაოდა. შორიდან ბულბულის კვნესა-გალობა ისმოდა. გაზაფხულის დამე იყო...” რაც მთავარია, ობლის თანამგრძნობელი მცველი ანგელოზი „მინამ სიზმრით ობოლი სტკბებოდა, გახარებული იყო, ეხლა კი ისიც ტიროდა”32,362).

ობოლს მხოლოდ მისი მეგობარი კატა „ტოტსა სცემდა უალერსებდა, თითქოს ეუბნებოდა: რა გატირებს? რა გაჩივლებს? ადე, ვიხტუნოთ, ვითამაშოთო... (იქვე).

უადრესი სენტიმენტალობისაა საფინალო შორისდებული, წარმოთქმული ავტორის მიერ-აახ!..”

ვიზიარებთ, რა ჭ-ნ გ. კვარაცხელიას ნოვატორულ მიდგომას, ამ პროზაულ პოეტურ თხზულებასაც მისივე პოზიციიდან შევაფასებდით: ეს მინიატურა „მოიცავს ჩვეულებრივსაც და უჩვეულოსაც, არსებულსაც და წარმოსახვითსაც, ზღაპრულსა და მითოსურსაც, ცხადსაც და სიზმარსაც, ცნობიერსაც და არაცნობიერსაც-ყოველივე იმას, რის მოხელოებასაც ახალი პოეზია და შემდგომ მოდერნისტული პროზაც ცდილობდა და ცდილობს”(45,123).

ვაჟას 900-იანი წლების პროზის ერთგვარი მეკვლე გამოდგა მოთხოვბა „ვერხვი“. ეს იყო 1900 წელს პირველი პროზაული თხზულების პუბლიკაცია (იხ. ქ. „ჯეჯილი“, 1900 წ. №2 გვ. 29.34).

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ინტერესთა ერთ-ერთ თემატურ რკალად მოიაზრება ის მოთხოვბი, რომლებშიც ბუნების წარმონაქმნთა ასახვას მინიჭებული აქვს თავისთავადი ღირებულება”... სიბრალულის, სიყვარულის, მარტოობის, ძლიერების, გაუტეხლობის, სიკეთის, ბოროტების, სიწმინდის, სიმდაბლის, იმედის და დიდი სევდის განცდებია გადმოშლილი ამ მოთხოვბებში. აქ თითქოს ერთსა და იმავე თემათა ახალ-ახალ ვარიაციებს ქმნის ვაჟა, მარად მოუბეზრებელს და მარად მშვენიერს“ (27,411-412).

„ვერხვი“ ისეთ ნაწარმოებთა წყებაშია ჩართული, როგორნიც არიან: „ია“, მთის წყარო“, კლდე მტირალი“, ქუჩი“, ფეხვები“, მთანი მაღალნი“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ქოლი“, „ნაპრალნი“, „უსურვაზის დასჯა“, „ერთი უყურეთ ტყესა-და“ და სხვა.

მარტოსულის მწარე ფიქრითაა გაბრუებული ვაჟას ვერხვი. მძიმეა მისი ხვედრი, მაგრამ მარტოსულობა არ ეთქმის 6. ბარათაშვილის „ჩინარსა“ და გიორგი ლეონიძის „ოლეს“ შუა მდგომს. თუ ჩინარის ფეხვებს მტკვრის ტალღები ეფერებიან, ოლეს კილიახვისა, ვერხვი, ჩანს, არაგვისპირელი უნდა იყოს. სამივე მყარ კლდეზე დგას: „განმარტოებულს ფრიალის კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი, მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი „ჩინარი“, 1844 წ.) ვერხვი „მარტოდ-მარტოკა იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლო-მახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო“ (ვაჟა-ფშაველა „ვერხვი“, 1900 წ.) და „შენ ლიხვის კლდეზე დგახარ, ძველი მოსახვამით, - ოლე, ოლე, მარტოხეო, დღისითა და დამით“ (გიორგი ლეონიძე „ოლე“, 1931 წ.)

ამ ფონზე ვაჟას „ვერხვიც“ მრავალი ასპექტით ინარჩუნებს საყურადღებო სახისმეტყველებას.

ვერხვი სახეა იმ კაცისა, ვინც მთელი თავისი არსებით დაეძებს თავის ფუნქციას ცხოვრებაში, ვისაც გულწრფელად სტკიგა სხვისი ტკივილი, ვინც გულწრფელად ცდილობს სხვებისთვის დარდთა განქარვებას, ალალგულად სთავაზობს თავსა და სიცოცხლესაც კი მის შორიახლოს მყოფთ; მაგრამ, რაცა ღმერთმა არგუნა ბედად, ვერ გადავიდოდა საღვთო განაჩენს და გულში იბრუნებდა და იკლავდა მარტოობის სევდას.

ფილოსოფიური დატვირთვით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების სახისმეტყველებით, ნაწარმოები, ჩვენი რწმენით, სცილდება საყმაწვილო თემატიკის რეპრტუარს, ის უფრო ფართო-დამრავალპლანიანი თხზულებაა; თუმცა, თავის დიდაქტიკურ-აღმზრდელობით ფუნქციას ოდნავადაც არ კარგავს. ნოველისტური ტემპით მიედინება სიუჟეტი. კომპაქტური მოცულობა, განცდათა გამჭვირვალეობა, სხარტი და დიდებულად სადა მეტყველება, მოვლენათა ლოგიკური და დინამიკური განვითარება „ვერხვს“ სამართლიანად მიუჩენს კუთვნილ ადგილს „ჯეჯილის“ ფურცლებზე.

ფაბულაც ადგილად აღსაქმელია და თვალმისადევნებელია ნორჩი მკითხველისათვის აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ პატარა დოზით მაინც ათენებს დამეს პოეტურობა და ფანტაზია ბავშვის არსებაში, უთუოდ დიდი შთაბეჭდილების მომხდენი უნდა იყოს ვერხვის მძიმე ხვედრი ბალდებზე.

ჩვეულებრივად ძალზე შთამბეჭდავია გარემოს ხატვა ვაჟას მიერ. შტრიხებით კი არაა წარმოდგენილი პანორამა, არამედ დიდებული ფერწერული ტილოა მკითხველის წინ. გარემო ზედმიწევნით გამოხატავს ვერხვის მარტოხეობას, უფრო მეტიც, - მის მარტოსულობას.

ღმერთსაც ემდუროდა ვერხვი, მისი სამდურავი უფრო ფილოსოფიური განსჯა იყო თავისი ხვედრისა - რასა პგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რას ვაკეთებ ამ ფრიალო მთაზე მარტოდმარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?!“ (32,320;).

ერთი პატარა ნიუანსიც ვლინდება ვერხვის ბუნებაში. ის გვაგონებს იმ პატარას, იმ ბავშვს, და ისეთ მოზრდილსაც, რომელიც მთელი არსებით ცდილობს შენს თანაზიარად გახადოს მისთვის სასიხარულო, საინტერესო მოვლენისადმი: „ეი, ძმებო წამიყვანეთ თქვენთან, თუ გწამო დმერთი, ან აქ, ჩემთან, წამოდით, აქ მაღლა იქნებით; აქედან ბევრ რასმე დაინახავთ: აგერ ქალაქი, მრავალი სოფლები, აგერ ტბა და დიდრონი თოვლიანი მთები! მშვენიერ სანახავს პნახავს თქვენი თვალები, მანდ მხოლოდ ჯურდმულს პხედავთ, სხვა არაფერს.

ლირიზმით, დიდი ადამიანური სითბოთია სავსე ხმელი ფოთლის ეპიზოდი, ხომ პატარა, უმნიშვნელო სახე-დეტალია ქარით მოტანილი ხმელი ფოთოლი, მაგრამ რა მეტყველია რა დიდებულად ხსნის ვერხვის დიდბუნებოვნობას, კაცომოყვარეობას, სიკეთეს: „ამ რამდენისამე წლის წინათ ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა ერთი

ხმელი ფოთოლი. და ის იყო, უნდა გავცილებინა ვერხვისათვის, მაგრამ ვერხვი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაიზნიქა, მოჰევია მაგრა ტოტები ხმელ ვერხვის ფოთოლს და მაგრა ჩაიკრა გულში, დღესაც ინახავს მას და გველის თვალივით უფრთხილდება... დღეს კი ერთადერთი ხმელი ფოთოლია იმის ნუგეში, იმას უალერსება, იხუტებს გულში, ჰლოცნის, ესაუბრება, მაგრამ საბრალო ფოთოლი პასუხს ვერ აძლევს“ (32,320 – 321).

მაგრამ როგორც თვით ვაჟა ბრძანებს - „ბუნება მბრძანებელია“, სიკეთესთან ერთად ბევრს ავსაც სჩადის. ბევრჯერ დასტეხია ვერხვს თავზე რისხვა ბუნებისა. კინოკადრების სპეცეფექტივით შთამბეჭდავია მყისიერი „გაბრაზების“ კადრები შემდეგ აბზაცში: „როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, დელგმა იყო, ჭაქა-ჭაქილი ისეთი, რომ კაცს ეგონებოდა, ჭაჭანა იქცავო. და თვით ვერხვიც ელგა-მეხის ნაპერწკალებში იყო გახვეული“ - ამას ფერწერით, ყალმით, ვერასოდეს დახატავს კაცის ხელი, ეს შხოლოდ დღევანდელი კინოეფექტით მიიღწევა (ხაზგასმა ჩემია ჟ.კ.).

არც ასეთ დელგმას ეპუება ვერხვი, სათავისოდ გამოყენებაც სურს, ეგებ მან მაინც შეძლოს მისი ნატვრის აღსრულება: იგი „ემუდარებოდა საშინელ ბუნების მოვლენას: „ამომფხვერი აქედან და გადამაგდე იმ ჩემ მმებთან, ტყეში, დევ, იქ მოვკვდე, იქ დავლპე, დავმიწდე იმათ კალთაზე; თუ ცრემლს არ მაღირსებენ, ქოქოლას ხომ დამაყრიან და დამწყევლიანო“. ამაზე დიდი ადამიანთმოყვარეობა, მოყვასთან ყოფნის სურვილი იშვიათად თუ გამოხატულა მხატვრულ ლიტერატურაში. თუმცა როგორც მთხოვობელი გვეუბნება: „არცარა იმ თხოვნიდან გამოვიდა: ვერხვი იქვე ადგილობრივ იდგა, მეხისაგან ტანზე მრავალგან დაზიანებული“ (იქვე).

მეორე თავში კიდევ ერთხელ დასტურდება ვერხვის კეთილკაცობა. როგორც მთხოვობელი გადმოგვცემს: „ვერხვს ერთი დარდი აქეს კიდევ, რომლისთვისაც თავი ვერ დაუხეწვია ვერც ზამთარში, ვერც ზაფხულში“. მწკრივად მდგომი ვერხვები, რომელთა გულისთვისაც გულმხურვალედ ლოცულობდა, იმ ზამთარში დიდ ზვავს გადმოეთელა, სულ გაენადგურებინა საშინელ სურათს დასცექოდა ზემოდან ვერხვი დაღუპული მოძმეუბისას: „ეს სურათი რომ პნახა, ვერხვს გული მოუკვდა, დღესაც იმასვე ვაებს და პგოდებს: „... საბრალნო!.. ჩემები არან... აქ რომ ყოფილიყნენ, ხომ არ დაემართებოდათ ებ უბედურება?! ნეტავი, მეც იმათთან მაინც კვოფილიყვავი, რომ მათთან ერთად დამელია მეც სულით“ (იქვე).

თხზულების მესამე თავში ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი, აქ აღწერილია, თუ როგორ უყვარდა ვერხვს ყვავილები, როგორ უკლავდა გულს მათი დღემოკლე

ცხოვრება, როგორ დაპბუტბუტებდა მათ თავზე და როგორ ლოცულობდა მათთვის საგულისხმოა მისი განცდა: „მწყემსები თავის სამწყემსოთი მის ჩრდილის ქაშ ისვენებდნენ. ამის გამო ვერ ასწრებდა ვერხვი შეესწავლებინა ყვავილებისათვის თავისი ენა და ესაუბრა მათთან, თუმცა თვითონ კი ესმოდა მათი საუბარი“...

მოთხრობა 1900 წლის დასაწყისშია გამოქვეყნებული, იგულისხმება, რომ ავტორი მასზე 1890 წლების ბოლოს ან 1900 წლის დასაწყისში იმუშავებდა. ლოდების ამსაუბრებელი და ქუჩის გამთამამებელი შემოქმედის მხატვრულ სამყაროში შეინიშნება ერთგვარი იმპულსი იდეისა. კერძოდ, ვერხვი ცდილობს შეასწავლოს ყვავილებს თავისი ენა და გაესაუბროს მათ. ყვავილთა ენის ცოდნამ, ამის თაობაზე დაფიქრებამ და დიდ შემოქმედებით ტილოდ რეალიზაციამ შეაქმნევინა მგოსანს „გველის მჭამელის“ ერთი გარკვეული პასაჟი.

თანაგრძნობის გამომწვევია ვერხვის აღსასრული. მან თვით სიკვდილში ჰპოვა მადლი, რომელსაც მიელტვოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ნაადრევმა ზამთარმა შეადონა მწყემსები, შეშის შოვნა გაუძნელდათ და დიდი ყოფილის შემდეგ მიადგნენ სიცხეში მათ მაჩრდილობელ ვერხვს, მოჭრეს იგი. ქოხში დიდი ცეცხლი გააჩაღეს: „შეშად ვერხვი ენთო, გარშემო მწყემსები უსხდნენ, დიდი და პატარა, მკლავტიტველები, ფეხშიშველი ბალდები იხუხებოდნენ ცეცხლის აღზე, აგრეთვე მოხუცნი, და ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმად: „იჸ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთმაო!“

მრავლისმთქმელია ავტორის ბოლო სიტყვები: „ასე გათავდა ვერხვის სიცოცხლე, მოესწრო იგი მადლის ქმნას, მხოლოდ თვითონ ვეღარა გრძნობდა საბრალო, თუ მადლსა შვრებოდა“ (32,233).

რისი თქმა სურდა ამ ნაწარმოებით ავტორს, რატომ აირჩია მთავარ ადრესატად ბავშვები, რას შთააგონებს მათ, რაზე დააფიქრებს მათს ნორჩ გონებას? ამ კითხვებზე პასუხს ისევ გენიოსი მწერლის ესთეტიკური ხასიათის ნაწერებში ვპოვებთ.

მწერლის მიერ მიგნება, მისვლა მარტოხესთან აღგვიძრავს იმის გაგების სურვილს, თუ როგორ ადამიანს შეიძლება გვაგონებდეს ვერხვი, დიდი ბუნების ეს პაწაწინა გამოგლინება. დაბეჯითებით გვმოძღვრავს ავტორი: „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია: ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდა ლექსებს, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეზია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ

მოიპოვებოდეს.“ იქვე დასკვნის სახით ბრძანებს პოეტი: „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველიაო ბუნებისა“. ამ თხზულების წაკითხვის შემდეგ კი ჭეშმარიტ შეფასებამდე მიგვიყვანს წამკითველთ ეს პატარა წევრი უენაირო ბუნებისა, რომელიც სრულად გამომხატველია ჩვენი, ადამიანების, ცხოვრებისა: დაიფერფლა კეთილის მსურველი კარგი გული ვერხვისა და მადლით აღგვავსებს ყველას მისი სულის სილამაზე. ანალიზი ამ მშვენიერი საბავშვო მოთხოვობისა შეიძლება დავასრულო ვაჟასავე სიტყვებით:

მრწამს, ფეფრლი კარგის გულისა

ჭარმ რომ გაფანტოს ხმელადა,

თითოში მაინც ენთება

ტიალ-სურვილი ცხელადა.

ავის მჩატრავად, კეთილის

მუდამ იქნება მცველადა:

ბერავის, გაჭირვებულის

მომხმარეთ, მეშველად მხსნელადა.

ჭარგ გულს არა ჰკლავს ბუნება,

თან დააჭვს ძველის-ძველადა“ (მრწამს, მარად
მიწამებია“)

პროფესორ გუჩა კვარაცხელიას აღნიშნული სტატია კიდევ ერთი მტკიცებაა იმისა, რომ „ვაჟას პოეტური ენა, რომლის თაობაზე მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოთქმულა, მხატვრული აზროვნების ისეთ ნიმუშებს წარმოგვიდგენს, რომლებიც ვერ თავსდებიან ვერავითარი ესთეტიკური „კანონების ფარგლებში“(45,67).

ამ პატარა თხზულებამ გვიჩვენა მოულოდნელობის ემოციური ზემოქმედება არა მარტო მკითხველებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უენაირო ბუნებაზე: ამის თაობაზე მიუთითებს სულხან ქორდანია, როცა წერს: „ვაჟას „...ენობრივ ხატებში მოულოდნელობისა და საგნების ესთეტიკური ღირებულების კრიტერიუმები ისეა შეზავებული, რომ თითქმის ნებისმიერი პოეტური ხატი მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს. მისი ხატების ყველაზე ხშირი და მშვენიერი ელემენტია სამშობლოს ბუნება, რომლის სილამაზით ტკბებიან გაპიროვნებული არაცოცხალი საგნებიც კი“(71, 70-71). ამის გარკვეული მაგალითები განხილულ ნაწარმოებშიც მოგვეპოვება.

როდესაც ყურადღებას გამახვილებთ გაპიროვნებაზე უენპირო ბუნების პერსოფიცინირებაზე, ბუნებრივია, ვაჟა მათ „გაადამიანურებაზე” აკეთებს აქცენტს და ამდენად, ამ დროსაც მისი პოეტური თვალთა ხედვის არეში მუდამ ადამიანია თავისი რთული ცხოვრებით.

ჩანს! დიდ პოეტს ყოველთვის აწუხებდა და აფიქრებდა ბედი, ცხოვრება ობლისა. ამასთან დაკავშირებით ყველა ნაწარმოები აღსავსეა მათადმი ავტორის თანაგრძნობით; არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი იქნება ის (სული ობლისა, ეთერი), თუ ფრინველი (როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ), ან ცხოველი(შვლის ნუკრის ნაამბობი, მელია-სერეფენია...). გარდა თემის, იდეის ტიპოლოგიურობისა, ფაბულამ გამოიწვია ერთი სტილისტური ხერხიც მის შემოქმედებაში, როგორიცაა თვითგანმეორება (60,354); გავიხსენოთ „შვლის ნუკრის ნაამბობის საწყისი სიტყვები: „პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი (32,13) და ასევე საწყისი ფრაზების დეტალები თხზულებიდან „მელია-სერეფენია”: „პატარა დაობლდა. მაგრამ არც ისე პატარა იყო, საზრდოს მოპოვება არ შესძლებოდა”(32,511). ამ ნაწარმოებთა შორის კი იდგა მეოთხედ საუკუნეზე მეტი.

თავის დროზე პროფ. გრ. კიკნაძემ აღნიშნა: „ვაჟა-ფშაველა სულის პოეტიაო”, ეს ითქვა იქ, სადაც იგი განიხილავდა ვაჟა-ფშაველას ხუთ პოემას, კერძოდ პოემა „ეთერსაც”(9,149). მართლაც, თვით პოეტიც ხომ ბრძანებდა:

ნეტავი იმას, ვინაცა
სულით ამაღლდა, გადიდდა,
დათრგუნა გრძნობა დაბალი,
ცის კიდურამდე ავიდა”

(სული ობლისა, 1903წ. 33,217)

ცოტა ქვემოთ კი ავტორი ჩაუფიქრებია ობლის სულს, მის ბედს და კითხულობს:

მიწა ვართ, მაინც მიწა ვართ.
ბევრი აიღეთ, დაიღეთ
მიწობას ვერ ავიცილებთ,
ათასჯერ ქრთამიც გაიღეთ!
სული მადარდებს მე, სული,
იმისი ყოფნა, თვისება,-
რა იქნა სული ობლისა,
წყეულებს დარჩათ იქნება?!
(იქვე,219,) 1903წ.)

თუ ამ პოემაში ავტორი ეხება სულის საკითხს, ობოლი გოგონას სიკვდილის შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს მისი სულის მოძრაობას, და გამოხატავს ჩვეულ თანაგრძნობა-თანადგომას ობლობის მიმართ, ობლის ცხოვრების აუტანლობა სხვაგანაც დიდი სითბოთი და დაუკიტყარი ფერებით აქვს დახატული მას, გავიხსენოთ თუნდაც ეთერის სიტყვები:

ვაჟმე, რა ძნელი ყოფნაა
ყოფნა, სიცოცხლე ობლისა!
სრულ წყევა-კრულვა ჩემ თავსა,
არსად ალერსი მშობლისა...
რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა
დალახვრულს შავის დღისაგან,
წელ-ბედ დალეულს სოფელში,
თავდანებებულს დვთისაგან...

(ეთერი, 1890, 33,45)

როგორც ვხედავთ, ობოლი, ობლობა, ტიპოლოგიურ სახეს დებულობს ვაჟას ეპიკურ მემკვიდრეობაში და მისი შემოქმედებითი ინტერესების გარკვეულ ასპექტადაა ჩამოყალიბებული. ეს ერთნაირადაა მოცემული როგორც XIX, ისე XX საუკუნეში მივიჩნევთ, რომ ეს საკითხი მოიცავს თვითგანმეორების შემთხვევებსაც. მითუმეტეს, რომ „თვითგანმეორების შემთხვევაში ხელოვანი სრულიად შეგნებულად, ხოლო უფრო ხშირად გაუცნობიერებლად უბრუნდება ადრე უკვე მის მიერ დამუშავებულ თემას, სურათს, განსახიერების გარკვეულ საშუალებებს, გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს”(60,354).

ვაჟასმცოდნეობაში დეტალურად არის შესწავლილი და გაშუქებული თვითგანმეორების ბრწყინვალე ნიმუში „გოგოთურ და აფშინას” და „გველისჭამელის” მიხედვით. მაგალითად, პროფ. ლადო მინაშვილი „ვაჟა-ფშაველას ხუთ პოემაში”(1975წ.) აღნიშნავს: „ვაჟა-ფშაველამ 1887 წელს შექმნილ „გოგოთურ და აფშინაში” სხვა საკითხებთან ერთად განასახიერა საკითხი კაი ყმის მაღალეთიკურ იდეალებთან ვიწრო ოჯახური, კერძოდ ცოლის პრაქტიკული ინტერესების შეუთავსებლობისა. ეს თემა საგანგებო დაკვირვების საგნადაა ქცეული, მაღალ პოეტურ ფორმაშია წარმოდგენილი პოემა „გველის-მჭამელში”. ამ პოემებში არა მარტო მოტივები დაუახლოვდა ერთმანეთს, არამედ ცალკეული სიტუაციებიც კი”(60,355). ავტორს უკვე საილუსტრაციოდ მოაქვს გოგოთურისა და მინდიას ცოლების პრეტენზიები ქმრების მიმართ და შესაბამისად მათი მეუღლეების ბრაზმორეული პასუხები. გასათვალისწინებელია, რომ ამ პოემათა შექმნის თარიღებს შორის თოთხმეტი წელი დგას.

გარდა ზენოადნიშნული საკითხებისა, ვაჟას ეპოსზე საუბრისას წინ წამოიწევს აგრეთვე სხვა უამრავი საკითხიც ტიპოლოგიურობისა. ესენია: მეტაფიზიკური, რელიგიურ-მისტიკური, მითოლოგიური, საყოფაცხოვრებო, ზღაპრულ-ლეგენდური, ცხოველთა ეპოსი, ლირო-ეპიკურობის სტრუქტურები და ა.შ.

თუ ეთერის („ეთერი”), სოფიოს („სული ობლისა”), შვლის ნუკრის, მელია სერეფენიას ყოფა გაუსაძლისია მათი პატარა ასაკიდანვე, თუ დათვი (ზღაპარი „დათვი”), გოჩი ან მუცელა მძიმე ცოდვების მსხვერპლის ხდებიან, თუ აღაზამ, ალუდამ, ჯოყოლამ, თავიაანთი ფერისცვალობით შეარყიქს ზნეობრივად მრავალსაუკუნოვანი ჩაკირული მკაცრი ადათ-წესები, ტრადიციები, თუ ბერი ლუხუმი, ლელა, კვირია, ივანე კოტორაშვილი, გიგლია, გოგოთური ან ძაღლიკა ხიმიკაური დირსებისა და გმირობის, მამულიშვილობის შარავანდედით სხივმოსილნი არიან, თუ ახუნდსა და ბესლანს, უზნეობისა და მოღალატის ლაფით სახელშერცხვენილებს ვხედავთ, თუ სანათას, მამიდა ხოშიას, ქიჩირს ასულდგმულებთ ქვეყნის, ოჯახის უზნეობაზე, მტრებზე, გამარჯვებისა და შურისძიების სურვილი და ქმედება და მათი განსახოვნებით იგავმიუწვდომელია ვაჟა-ფშაველა, არანაკლებ გამაოგნებელია ამ ბუმბერაზი შემოქმედის სითბო და სინაზე „ჯეჯილისა” და „ნაკადულის” ნორჩი მკითხველების მიმართ და როგორი ღვთისნიერია იგი უფლისა მიმართ ადვლენილ ვედრებაში: „ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას!”, ან რა დიდი თანაგრძნობა გამოსჭვივის ბავშვებისადმი მოთხოვობიდან „როგორ გაჩნდნენ ბუგბი ქვეყანაზედ”, პოემიდან „ანნა-ბულბული”, ლირიკული ლექსიდან „ობლების სიმღერა”...

როგორც ცნობილია, პროფ. გრ. კიკნაძემ სხვადასხვა თემა გამოყო ვაჟას შემოქმედებაში. იმ ჩამონათვალში მეცნიერი ობლობის საკითხს ბრწყინვალედ განიხილავს „შვლის ნუკრის ნაამბობის” მიხედვით. საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველა ობლობის თემას ხშირად მიმართავს როგორც პოეზიაში, ისე პროზაში და ამ ასპექტითაც ნათლად ვლინდება ტიპოლოგიურობა. (იხ. „შვლის ნუკრის ნაამბობი”, „ანნა-ბულბული”, „ეთერი”, „სული ობლისა”, „როგორ გაჩნდნენ ბუგბი ქვეყანაზედ”, „მელია სერეფენია” და სხვა. ლირიკიდან კი საგულისხმოა „ობლების სიმღერა”.

თუ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა ფაბულებს, იდეურ ჩანაფიქრს, სიუჟეტურ გარდაწყვეტას გადავაცლით შრეებს, პლასტებს, ეს ბევრგან მიგვიყვანს თვითჩასხვის, ზოგან თვითგამეორების ფაქტებთან. აღნიშნულის დასასაბუთებლად ჯერ უნდა დავიდეთ უშუალოდ თვით ავტორის შემოქმედებით სამყაროში და აქედან მოვახდინოთ გასვლა გლობალურ სივრცეში.

თქმულია, რომ თვითჩასახვის პროცესი თავისთავად მოიცავს სესხების ფაქტებსაც. აქედან ჩვენს ამოცანად რჩება გარკვევა იმისა, თუ რა თემა, რა იდეა, რა მხატვრული აქსესუარები, „ისესხა” მწერალმა ჯერ უშუალოდ თავის შემოქმედებით სამყაროში და მერე გაირკვეს, თუ სად მოიძევება კიდევ ანალოგიები გარეთ, სხვაგან მსოფლიო არეალში.

ჩვენი ფიქრით, სესხების თეორიის ერთგვარ მსუბუქ გამოვლინებად მიგვაჩნია თვითგანმეორება, როგორც შემოქმედებითი პროცესის მახასიათებელი ფაქტორი, როგორც ფრიად გასათვალისწინებელი მოვლენა მწერლის მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების ისტორიის, შემოქმედებითი ინტერესების კვლევის დროს.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ თვალის გადევნება ობლობის თემის „სესხებაზე” უშუალოდ საკუთარი „რესურსებიდან” ვაჟას მიერ.

ამ დროს საიმედო გზამკვლევია პროფ. გრ. კიკნაძის ნაშრომები „ვაჟას ფენომენი”(48, 5-27), „ვაჟა-ფშაველას პროზის სტილი”(აქვე, 67-90), „ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი”(აქვე,91-143), „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა” (აქვე,144-183) და სხვა.

დავიწყოთ იმ საკითხის დასმით, თუ ვაჟა-ფშაველა გამეორებათა რა სტილისტიკური ხერხის გამოყენებით და როგორ აღწევს ჩვენში „სტილისტიკური ერთიანობის შთაბეჭდილების განმტკიცებას”. მკვლევარს თხზულების სტილისტიკური ერთიანობის საჩვენებლივ განხილული აქვს მრავალი ნიუანსი. მაგალითად, აღნიშნულია, რომ „...სტილისტური ერთიანობის საჩვენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი გამოთქმების აღნუსხვას, რომლებიც პირდაპირ გამოხატავენ და უპასუხებენ ამ ნაწარმოების თემასა და იდეას; სრულიად უქველია, რომ სტილის მთლიანობის ყველაზე უფრო თვალნათლივ მაგალითად ის მომენტები ჩაითვლება, რომლებიც ამა თუ იმ სახით მეორდებიან. ე.ი. სტილის ერთიანობას სწორედ გამეორების სახით მოცემული კავშირები ამჟღავნებენ.

როდესაც ამ თვალსაზრისით ვაკვირდებით „შვლის ნუკრის ნაამბობს”, აშკარა ხდება ისეთ გამეორებათა არსებობის ფაქტი რომლებიც მიუთითებენ თხზულებაში „ამ გამოთქმისა და მასში ნაგულისხმევი შინაარსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ნაწარმოების დედააზრისათვის”(48,87).

ვფიქრობთ, აქ მინიშნებული გამეორება განსხვავდება თვითგანმეორებისაგან, რადგან თხზულების სტილისტური ერთიანობის შესაქმნელად გამეორება ნაწარმოების ტექსტის მაკონსტრუირებელი საშუალებაა, თვითგანმეორება კი სრულიად განსხვავებული ფუნქციისა და შინაარსისაა.

ამის საილუსტრაციოდ პირობითად უნდა მოხდეს ერთად დაჯგუფება სხვადასხვა დროს შექმნილი ნაწარმოებებისა. ბუნებრივია, საწყისი, სათაო თხზულება იქნება „შვლის ნუკრის ნაამბობი”.

განწყობილების შესაქმნელად გამეორებები სტილისტურ ფუნქციას ასრულებენ „შვლის ნუკრის ნაამბობაში და ინტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის ამოცანებს ემსახურებიან (გრ.კიკნაძე). სწორედ პირველი პირით გადმოცემა განცდებისა სხვა ემოციური მუხტის შემომტანია ნაწარმოებაში, რაც პროფ. გრიგოლ კიკნაძეს ამ ნაწარმოების „ლირიკულობის მთავარ განმსაზღვრელ მომენტად” მიაჩნია. ნუკრის გოდებაში უკვე თავიდანვე მთელი არსებით „იხატება” არსი ობლობისა.

ქრესტომათიულ საყრდენად ჩვენც მივიჩნიოთ უშუალოდ შვლის ნუკრის მიერ მკითხველისათვის გაზიარებული თავისი მწარე განცდები და მერე აქედან გადავინაცვლოთ ვაჟას მიერ შემდგომ წლებში დაწერილ თხზულებათა ანალოგიური შინაარსის მქონე პასაუჭისაკენ:

„პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მინამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვკვანდი... ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს ადარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმით ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!”(32,13).

ეს შეიძლება მივიჩნიოთ დიდებულ „უვერტიურად”, რომელშიც მოკლედ, ემოციურადაა გადმოცემული ლაიტმოტივი მთელი თხზულების იდეური ჩანაფიქრისა. ობლობის ამსახველი სიტუაციის, გარემოს, იდეის თვითგანმეორებად აღიქმება ლირიკული ლექსი „ობლების სიმღერა”(დეკემბერი, 1888წ.), რომელიც ქრონოლოგიურად მოსდევს „შვლის ნუკრის ნაამბობს”.

თხზულების ქანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ემოციურობის, ობლებისადმი თანაგრძნობის გამომწვევია ობოლთა ლირიკულ აღსარებაში განსახოვნებული განცდები. მათს „ნაამბობაში”, გარდა თემატიკისა და იდეის თვითგამეორებისა, თვალში საცემია მკითხველთან კონტაქტის მომენტი, ინტიმურობის ამსახველი გამეორების ფაქტორი.

„შვლის ნუკრის ნაამბობის” ერთიანი სტილის მოკლე ანალოგად მივიჩნევთ „ობლების სიმღერას”. ეს კი ასეთ სურათს იძლევა: „პირველი პირით გადმოცემა თავიაანთი ყოფისა, მსგავსი განცდები, გამოწვეული აუტანელი ცხოვრებით, ხვედრით. ის, რაც გენიალურად შეძლო ვაჟა-ფშაველამ „უენპირო ბუნების შვილის” ამეტყველება-ასაუბრებით იმგვარად, რომ თავად ერთი ფრაზითაც კი არ ჩარეცლა ნუკრის მეტყველებაში, ანალოგიური სტილით ხასიათდება მითითებული ლირიკული ლექსი; ნაწარმოებში გამორიცხულია ლირიკული უანრისთვის დამახასიათებელი უშუალოდ აგტორის განცდების გადმოცემა. ამ დროს გარკვეული სიუჟეტის მქონეცაა ეს ლექსი. ის, რაც ნუკრმა გადმოგვცა მოთხოვნის რამდენიმე თავში, თითქმის მთელი თავიანთი მძიმე ცხოვრებაა განსახოვნებული ორმოც-სტრიქონიან ლექსში-„ობლების სიმღერა”(30,132).

ჩვენი ფიქრით, მძიმე სოციალურ გარემოზე, დროის ფაქტორზე მაღლა დგას ლექსის იდეური ჩანაფიქრი-ობლობა, ობლის ძირმწარე ცხოვრება ერთნაირად მძიმე და აუტანელი იყო, არის და იქნება ნებისმიერ ფორმაციაში, სახელმწიფოებრივ წყობაში. „ობლების სიმღერაში” სოციალურ სიდუხჭირეს, მატერიალურ მძიმე მდგომარეობას და საზოგადოების ავდედინაცვლობას პატარა ობლების მიმართ პოეტმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა სტრიქონთა შორის, ქვეტექსტურად ისე, რომ თვით მას ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, ობლების ბავშვურ ჩივილშია ყველაფერი ჩაქსოვილი. მის გადმოსაცემად მთლიანი ლექსის გადმოწერა მოგვიწევდა.

„შვლის ნუკრის ნაამბობიდან” რამდენიმე დეტალზე მაინც მივუთითებთ, როგორც თვითგამეორების ნიმუშზე. მაგალითად, ეს ჩანს კომპოზიციურ მოდელშიც და მოტივაციაშიც. ტიპოლოგიურად მივიჩნევთ დროის, გარემოს, პერსონაჟთა განცდა-განწყობილების ფაქტორებს. შედარებამ ცხადყო სახისმეტყველების ლოგიკური განვითარება თითოეულ თხზულებაში დამოუკიდებლად:

„შვლის ნუკრის ნაამბობი”

1. პაწაწა ვარ ობოლი ბედმა

დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი.

1.,ობლების სიმღერა”

მშიერ-ტიტველნი, ბეჩავნი

ნიადაგ აგიბირდებით;

უმწეო-უპატრონონი

ნურავის გაგიკვირდებით.

2.უმწეო უპატრონონი

ნურავის გაგიკვირდებით!

ფეხნი გვქონ ეკლით ნაშაშრნი,

ომები გაგვბმია ბირკებით.

2.გზადაკარგული დავდივარ.აი

დახედეთ ჩემს სისხლიან ფეხსა,

ეს წყლის დასალევად რომ ჩავედი

ხევში, მაშინ ვიტკინე.

3. გენაცვალე ტყეო! შენ ბევრს მშველი
თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც
არ იქნებოდა!.. მხოლოდ ერთი კვირა
ვიყავი დედასთან... დედასგან კარგად
ვცხოვრობდი, თავისუფლად
ვსუნთქავდი.

4. ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

5. დავდივარ და შევსტირი ხეებს,
მთასა და კლდეებს; დავსტირი
წყალსა და ბალახს
მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება.
დედაჩემს ვედარა ვხედავ, ვარ
ობოლი და, ვინ იცის, ვინ დაეპატრონება
ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

კაცნი ვართ, თქვენი ჭირიმე,
ნურავის გაგიკვირდებით.

3. მამა ლაშქარში მოგვიკლეს,
დედა ტყვედ წაიყვანესა
წაგვართვეს ლეპის შვილებმა,
დაღისტანს გადიყვანესა...
ბინად გვაქვს ტყე და ველია
საბნად ფოთოლი გვეხურვის,
ლეიბად გვიგავ ლელია.
ნურავის გაუკვირდება,
ძმაო , ობლობა ძნელია!
4. რად გაგვაჩინე, უფალო,
თუ ამ დღეს მოვესწრებოდი.
5. უბედურებამ მოგვასწრო,
როგორაც ნისლმა წეროთა..
არ ვიცით, სადღა წავიდეთ,
ვის არე-მარე ვთელოთა;
ვინ შეგვიბრალებს, ვინ
გვიშველს
ბეჩავთ, ხმელთ ანწლის
ღეროთა?!

თუ ამოწერილი ხუთი მაგალითით შევძელით თვითგანმეორების
დაფიქსირება მთლიან ნაწარმოებებს შორის, უშუალოდ ლექსშიც აღმოჩნდა
სიტყვიერი მასალის თვითგანმეორების ფაქტი. ესაა ფრაზა: „ნურავის
გაგიკვირდებათ.”

„შვლის ნუკრის ნაამბობისა და „ობლების სიმდერის” თავისებური ექო
მოისმის პოემა „ეთერის”(1890წ.) პირველი და მეორე თავებიდან, განსაკუთრებით
ჭალის, ველების აღწერისას და ეთერის ორი მონოლოგიდან:

ა)რა უბედური ჭალაა,
როგორ დიდრონი მთებია,
მაგრამ სოფელი არსად სჩანს
არსად სავალი გზებია...
კაცის ხმით არა ხმიანობს:
ჭალა, ველები, მთანია.
მთათა და ნადირთ ჟრიამულს

ეს მხარე შეუჭამია...
ამ არე მარეს სთელავდნენ
მარტო ნადირნი ტყისაო
და მწყემსი ქალი ,ობოლი,
ყვავილი ედემისაო...
ეტყობა მიწას ლამაზი
ნავალი ეთერისაო („ეთერი”)

ექსტერიერის ამ აღწერაში ნუკრის საცხოვრისის კოლორიტი და სული შეინიშნება.

ბ), „ობლების სიმღერის” ლირიკულ პერსონაჟთა გოდების გამოძახილი, ინტონაცია შეიგრძნობა ეთერის დაჩივლებაში:

„ნეტავ ბულბულად მაქცია,
შენთან ვიფრინო ველადა...
ტიტველი აღარ ვივლიდი,
დაღონებული ყველადა,
და მოვრჩებოდი ამ ბებერს,
ჩემთვის გაჩენილს გველადა(ტ.I)

ეთერის გოდებაში ახალი მოტივი გაჩნდა . ეს არის ფრინველად ქცევის მოტივი.

ბულბულის სევდიანმა გალობამ ბულბულად ქცევა ანატრებინა გოგონას: „ნეტავ ბულბულად მაქცია, შენთან ვიფრინო ველადა...” ფრინველად ქცევის მოტივი მნიშვნელოვან სიუჟეტურ ფუნქციას ასრულებს კიდევ სხვა ეპიკურ თხზულებებშიც. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოჩნდა პოემა „ეთერთან” ქრონილოგიურად ახლო მდგომ პოემაში „ანნა-ბულბული”(1892წ.). ამ ნაწარმოების მიმართ იმის თქმაც შეიძლება, რომ „გარკვეული სახით თვითონ მწერლი გამოდის თავის წინაპრად”, რადგან „...ხშირად მწერალი ადრე განსახიერებულ თემას უბრუნდება. მობრუნების მოტივები ნაირნაირი შეიძლება იყოს” . ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი მსგავს საკითხთა გამოხატვისას ერთგვარად დამსგავსებულ სიტუაციებს აღწერს”(ვლადიმერ მინაშვილი, 60,355).

„ანნა-ბულბულში” ისეთი დიდი მუხტია ლირიზმისა, რომ 1946 წელს ალექსანდრე აბაშელისა და აკაკი შანიძის, 1957 წელს გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოცემულ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა კრებულებში ეს ნაწარმოები შეტანილი აქვთ ლირიკულ ნაწარმოებთა განყოფილებაში (64,65-75), რაც გამოხატავს უშუალოდ შემდგენელ-რედაქტორთა პოზიციას, თვალსაზრისს ამ თხზულების უანრული კუთვნილების განსაზღვრისას. უკრნალ „ჯეჯილში”(1892 წ. №3; გვ.15-22) კი მითითებულია, რომ „ანნა-ბულბული” პოემაა(34,13).

თუმცა თვითგანმეორების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თხზულება ლირიკულია, უპიკურია თუ დრამატული ჟანრისაა, ლექსადაა თქმული თუ პროზად.

დაუბრუნდეთ ფრინველად ქცევის მოტივს. მოტივით, შინაარსით, ლექსიკის გამეორებითაც კი ტიპოლოგიასთან გვაქვს საქმე, რაც აგტორის შემოქმედებით მრწამსზე მიგვითოთებს:

„ეთერი”:

გენაცვლე, ჩიტო,-დუდუნებს,-

ლამაზად ჰემარობ ენასა...

ნეტავ რას ამბობ, ვიცოდე,

ნეტავი გამაგებინა;

შენსავით გული უფალსა

ჩემთვინაც ჩაადებინა!..

ნეტავ ბულბულად მაქცია,-

შენთან ვიფრინო ველადა..

ტიტველი აღარ ვივლიდი,

დაღონებული ყველადა

და მოგრჩებოდი ამ ბებერს

ჩემთვის გაჩენილს გველადა”(1890წ.)

ბულბულად გადაქცევის ნატვრა განმეორდა პოემაში „ანნა-ბულბული”(1892წ.): წყაროსთან გაშეშებული ობოლი ანნა უფალს შესთხოვდა:

„ანნა-ბულბული”:

მუხლმოყრით შესთხოვს უფალსა:

„დმერთო, მაქციე ჩიტადა

ბრძანა: „იქეცი ბულბულად,

გადამარჩინე ობლობას,

შთენილო ოხერ-ტიალად,

თხოვნა მიიდე წმინდადა!”

აუწყე ხალხსა ტკბილი ხმით

თქმულია, ცრემლი ობლისა

შენი ვარამი ხმიანად!”

უფალს უნია სანთლადა,

ობლის შეწყალვა უცვნია

საუკეთესო მადლადა.

დაიფრთხიალა, გაფრინდა,

ხშირს ბარდში, ეკლიანშია

ბულ-შეუდრეკლად ჩაფრინდა”.

(1892წ.)

ფრინველად გადაქცევის ციკლიდან, ბულბულად ქცევის საინტერესო მოტივაცია აღმოჩნდა მოთხოვნის „სვავი”(1896წ.); თუ კლდის თავზე შემომჯდარი სვავის „მონოლოგი” თავისი შინაარსით, გამოხატვის ხერხებითა და საშუალებებით, პერსონაჟის განწყობილებით, სახე-დეტალებით ეხმიანება „მუცელასა” და „გოჩის” იდეურ ფუნქციებს, სამაგიეროდ აქვთ ავტორის ჩანაფიქრის იდეური სიახლით აბსოლუტურად განსხვავებულია ყორნის ბულბულად გადაქცევის მოტივი, ნოველაში გკითხულობთ: „-ყორანავ, ყორანავ!- მიუბრუნდა სვავი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყო კითხვა:-როგორაო? რას

მიამბობდი იმ დღეს ბულბულზე, ლამაზად მღეროდათ? ნეტავი მეც ბულბულად მაქციაო?! უჭკუოვ, უტვინოვ!”

—ჰო, იმასვე გიამბობ, რაც მიამბია შენთვის: მისი მდერა არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში და არ დაიჯერებ, მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მირჩევნია”.

თუ ანნა ბულბულად იქცა, ეთერი და ყორანი კი ბულბულად გადაქცევას ნატრობენ და მათი ნატვრა მხოლოდ ოცნებად რჩება, სხვაგან, მართალია, ბულბულად ქცევის მოტივი აღარ ჩანს, მაგრამ სახეზეა სხვა ფრინველებად გადაქცევის თვითგამეორების მოტივი.

ეთერისა და ანნას სვებედს უკავშირდება ორი ობოლი ბავშვის –ვეფხვიასა და მზიას მწარე ბავშვობა. სამსავე ნაწარმოებში ობლების ფრინველად გადაქცევის მოტივი საერთოა-ავმა დედინაცვალმა განაპირობა ეს.

„ავი და ბოროტი დედინაცვლის მიერ ტყეში მზაკვრულად გარეკილი „ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდნენ, ცახცახებდნენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილს მოედოდნენ, საქონელი კი, ოხერი, არსადა ჩანდა. თავის დაცვის ძალ-ღონე არა ჰქონდათ.

„ოჳ, ღმერთო, ღმერთო!-წარმოსთქვეს ერთად, ერთხმად ერთ დიდ ჭანდრის ფესვებში მიკუნჭულებმა: „ღმერთო, გვაქციე ფრინველებად, რომ მაღლა ხეზე შევაფაროთ თავი, მხეცებმა ვედარაფერი დაგვაკლონ, ადვილად მოვიაროთ ეს არქ-მარე და მაღლა ვიპოვოთ საქონელიო!” სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა”... როცა ვეფხვიამ და მზიამ ფრინველობა ინატრეს, „ამინმა” ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუებად. ერთმანეთის გამომშვიდობება ვერც კი მოასწრეს, ერთი ერთ მხარეს გაფრინდა, მეორე-მეორეს და შეუდგნენ თავშესაფრის ძებნას”(1909წ.).

ამავე ნაწარმოების ფაბულის მიხედვით, როცა ობლების მამა კლდედ გადაიქცევა, ხოლო „ვეფხვის ქვლების და ლეშის ნაღვენთისა ამოვიდა დეკა ქუჩად, დაყუნთებულ ვეფხვის სახედ”(96,499), გამეორებასთან, ან თვითგანმეორებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ეს ორივე მომენტი თხზულების კომპოზიციაში სხვადასხვა მოტივის ლოგიკურ ურთიერთკავშირშია და მას კომპოზიციურ გამართულობას ანიჭებს. აქ მოტივაციაა თვითგანმეორებადი.

მიზანდასახულების სიახლით წინა ნაწარმოებისაგან სრულიად განსხვავებულია, ჩვენი რწმენით, ლიტერატურული ზღაპარი „შეყვარებული”(1914წ. 29,157); უპასუხო სიყვარულის ტრაგიზმმა განაპირობა მონადირის გადაქცევა ჯერ არწივად, ბოლოს კი-ცირცელად. გვიქრობთ, სხვად ქცევის მოტივის თვითგანმეორებით ეს თხზულება შეიძლება მოვიაზროთ ზემოგანხილულ ნაწარმოებთა ციკლში, მიუხედავად ამბის, ფაბულის განსხვავებულობისა.

უზომოდ შეუგარებული, ძალზე მიზანმიმართულიც აღმოჩნდა. მიზნად დაისახა გრძნეული შეუგარებულის ნახვა, მასთან შეხვედრა და ოპ ზომას არ მიმართა, ბევრჯერ მოეცარა ხელი, ბოლოს შეხვდა „ერთ უდრან ტყეში, უდაბურ ადგილას” სასწაულმოქმედ მოხუცს, რომელსაც სთხოვა-არწივად მაქციერ. აუსრულდა სურვილი და უმალ მიფრინდა იმ კლდის ქიმთან, სადაც გაუჩინარდა მისი სანატრელი არსება, დანათლებული ფოლადის ნისკარტი და კლანჭები იმ კლდის გამონგრევას შეაცვითა, სადაც შევიდა ის ულამაზესი არსება და მაინც ვერაფერს გახდა. გაწბილებულმა ისევ მიაკითხა იმ კეთილისმყოფელ მოხუცს, მიუხედავად იმისა, რომ არწივ-მონადირეს კლდის სიღრმიდან საამო ხმით გამოელაპარაკა ის ასული-„აქა ვარ, მაგრამ არა მაქვს ნება გამოსვლისა, არც ამაზე მეტის თქმისა, რასაც გეუბნებიო”(71,164). გადიოდა წლები მაგრამ ქალი ხმას აღარ სცემდა.

გრძნეულმა მოხუცმა შეიცოდა არწივი და, მისივე თხოვნის თანახმად, აქცია ცირცელად, კლდის ხედ. ოპ იყო იმის მიზანი? ის, რომ დანერგილიყო იმ კლდის თავზე, რათა, როგორც მან უთხრა მოხუცს: „ჩემს ფეხვებს პქონდეს ისეთი თვისება, ვერაფერი ვერ იჭერდეს, ვერ აბრკოლებდეს მათ ზრდას, ხარებას. გაიზარდოს ჩემი ფეხვები, რომ ჩასწვდეს იმ ჩემის სატრფოს სადგურს, შემოერტყას გარშემო... მონადირის ნატვრა ასრულდა: კლდის თავზე, მის მიერ ამორჩეულ ადგილას, მშვენიერი ცირცელი ამოვიდა... ფეხვებმა გზა გაიკვლიეს ქალის სადგურისაკე... ისინიც ექსოვებიან ოქროს ძაფივით ლოდების წყებას... ქალიც გრძნობს ამას და სდუმს, ისიც გულისფანცქალით მოელის იმ წუთს, როცა ცირცელის ფეხვები შეაჩენენ ცხვირებს აქეთ-იქით და შეეხებიან:

„გამარჯვება შენი, ქალო ლამაზო, ასულო კლდისაო!...(33,167). გარკვეულწილად თვითგანმეორებად მივიჩნევთ მონადირის ნატვრაში ასეთ ფრაზას: „მონადირე მზად იყო ეშმაკისათვისაც კი სული მიეცა, ოღონდ თავისი წადილი აესრულებინა, მიზნისთვის მიეღწია. გავისხენოთ შერესა და ბებრის დიალოგი პოემიდან „ეთერი”. აქ საქმე გვაქვს სიუჟეტური დეტალის განმეორებასთან, უფრო სწორედ სიუჟეტურ თვითგანმეორებასთან. რაც თავისუფლად მოიაზრება სტილურ ფაქტორთა თვითგანმეორების ციკლურ მოვლენად.

ჭუშმარიტებაა, რომ სადღეისოდ „ლიტერატურული ნაწარმოების უმაღლეს კრიტერიუმს-როგორც ჩვენს მიერ ზემოთგანხილული ნაწარმოებებით დაგრწმუნდებით-ემოციისა და ინტელექტუალის ინტეგრაცია წარმოადგენს (72,115). მკვლევრები ამოდიან ელიოტის თეორიული კოცეფციებიდან.

ვფიქრობთ, ანალოგიური მიდგომა მხატვრული ტექსტისადმი უცხო არ იყო და უცხო არ არის ქართული კრიტიკული აზროვნებისათვისაც. მართალია, ეს ყოველივე ჩვენთან გამოკვეთილ მიმდინარეობებად ან სკოლებად არ გაფორმებულა, მაგრამ, გარკვეული ასპექტით ძველი ქართული ესთეტიკური კონცეფციებისათვის, აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია „ემოციისა და ინტელექტის“ თავისებური ინტეგრირება, რასაც არასდროს არ დაუკარგავს თავისი სახე.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ პროფ. გრ. კიკნაძის აზრს, გამოთქმულს ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემის შეფასებისას. იგი წერს:

„ვაჟა-ფშაველას პოემებში ქართულმა კრიტიკამ, ლიტერატურის ისტორიამ და ყოველმა მკითხველმა განსაკუთრებული მნიშვნელობის სოციალური და მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური საკითხები და აზრი დაინახა. ამით ვაჟა ერთბაშად გამოირჩა სხვა ქართველი მწერლებისაგან და ქართულ-ლიტერატურულ კრიტიკული მსჯელობაც შინაარსეულად გაამდიდრა: ვაჟას გაცნობამ უბიძგა კრიტიკოსებს, რომ მისი მხატვრული შემოქმედება წარმართობის, ანიმისტობის, ანთროპორფისტობის და პანთეისტობის თვალთახედვით განეხილათ. ლიტერატურულ ასპექტში სრულიად ნათელი გახდა ვაჟას თავისებურება, რასაც ერთხანს სიმბოლისტად მისი მიწნევაც კი განაპირობა.

დაბოლოს, ვაჟა-ფშაველას ხატოვანმა მეტყველებამ, მისი პოეტური ენის არაჩვეულებრიობამ, საერთოდ კი-სამყაროს ხილვის აქამდე არნახულმა სახეობამ-ვაჟა გენიალურ ხელოვანთა რიცხვს მიაკუთვნა და, მისი შემოქმედების მეცნიერული ანალიზი და კრიტიკული შეფასება, როგორც მოსალოდნელი იყო, გაძნელდა.(48,15).

სწორედ „ემოციისაა და ინტელექტის ინტეგრაციის“ სულისკვეთებას ვამჩნევთ მკვლევარის ამ განცხადებაშიც: „ვაჟა-ფშაველა დიდი ხელოვანია და ამიტომ კვლევა-ძიების რომელიმე ერთ დონეზე ნამდვილად დაუძლეველია იგი. თვითონ ვაჟა ადვილად თხზავდა, ჩვენ კი ძნელად გასარკვევი თხზულებები დაგვიტოვა, რაცაა მისი პოეტური სიცოცხლის უკვდავების პირობა“(48, 6).

პროფ. გრ. კიკნაძე ხაზგასმით მიუთითებს: „ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება შეიძლება განიხილოს და შეფასდეს ერთიმეორესთან გადაჯაჭვული სამი რიგი ფაქტორების მიხედვით: როგორც ეთნოგრაფიული ფაქტი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფაქტი და როგორც ლიტერატურულ-მხატვრული ფაქტი: განსაკუთრებით საჭიროებს ამგვარ მიდგომას მისი პოემები“(48,10). აქ მოხმობილ ფაქტებზე საგანგებოდ არ გავამახვილებთ ჩვენ ურადღებას, რადგან ვაჟასმცოდნება ამ თვალსაზრისით ზღვა მასალას შეიცავს.

ტრადიციული ვაჟასმცოდნეობითი მიღწევების კვალდაკვალ, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მოვიმარჯვოთ კვლევის თანამედროვე მეთოდები, კერძოდ „ჰერმენევტიკა, ანუ ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის თეორია და პრაქტიკა, რომელიც მოიაზრება როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ახსნისა და განმარტების უნივერსალური მეთოდი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია, ანუ ტექსტის გამნარტება მისი აფსოლიტური მხატვრული ფასეულობების კონტექსტში” (121,102).

თავის ცნობილ წერილში „ჩემი პოემების შესახებ” ვაჟა აღნიშნავდა: „პოეტმა თუ ყოველივე თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭკვათა-მყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს. ეს ჭეშმარიტება დღესავით, მზესავით აშკარაა”(34,341)

აქვე გვსურს დავუყრდნოთ ისევ ვაჟას სხვა თეორიულ სტატიას „ფიქრები”, რომელშიც იგი აღნიშნავს: „თუ გინდა ორიგინალური მწერალი დაგიძახონ-უთქვამს ბერნეს-სწერე ისე, რასაც პფიქრობ, ისე, როგორც პფიქრობდე, როგორც შენს სულსა და გულს უნდოდეს, მოსწონდეს”(22,342)

თუ კრიტიკული თვალით გადავხედავთ მისი პოეტური ეპოსის მემკვიდრეობას, შექმნილს XXსაუკუნის დასაწყისიდან, ნათლად დავრწმუნდებით, რომ დიდ პოეტის ყველა თემა, სიუჟეტი, ფაბულა თავისებურად ბრწყინვალედ გადაუმუშავებია და შეუქმნია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მის სულსა და გულს უნდოდა და მოსწონდა.

ეს ნათლად გამოვლინდა არა მარტო XIX საუკუნეში შექმნილ ნაწარმოებებში, არამედ 1900 წლით დათარიღებულ პირველსავე პოემაში „ნანგრევთა შორის”(მონადირის ნაამბობი)“-დაიბეჭდა „ივერიაში. 1900წლის №141.

არც თუ დიდი მოცულობის პოემის ფაბულა აგებულია ლეგენდურ-ალეგორიულისა და მითოსური ხილვის შერწყმით. მითოსური ხილვა დაკავშირებულია ლეგენდურ ალეგორიულობასთან. ავტორმა პოეტური ხედვის არეში მოაქცია ფანტაზიით გაცოცხლებული ძველი დროის ქალაქი ცხოვნეთი, მასთან დაკავშირებული მოვლენები, რომელთა ანალოგები მრავლადაა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოში. სწორედ ამის გამო ლებულობს ფაბულა ალეგორიულ შეფერილობას, რაც მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული ხილვისა თუ პოეტური ხედვის მხატვრული ფუნქციები მოცემულ ნაწარმოებში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ხელწერისათვის დამახასიათებელია პოემაში ასახული დროის ნამყო დროში გადატანა. ხშირად სათაურის შემდეგ არის

ხოლმე ამაზე მითითებული, ზოგან კი ეს ამოიკითხება უშუალოდ ტექსტში . ასეა ეს განსახილველ პოემაში „ნანგრევთა შორის“.

თუ შინაარსობრივად გავშიფრავთ სათაურს, აქ სიტყვაში „ნანგრევთა შორის“ უპერ მინიშნება იგრძნობა განვლილი დროის შესახებ. მთხოვობელი აქ ავტორი კი არა, არამედ მონადირე (პოეტს მისთვის სახელი არ მიუცია).

ერთ უცნაური კომპოზიციური სვლა იპყრობს ყურადღებას. პოემაში 208 ტაქტიან ნაწარმოებში მხოლოდ 2 ტაქტია მოქცეული ავტორისეული რემარკა: „თვით ნანგრევების ამბავი სთქვა თანდილაანთ ხუტამა:“(31,163)

პოემის პირველი თავი მთლიანად და მეორე თავის 28 ტაქტი წარმოადგენს მონადირის ნაამბობს, ხოლო მეორე თავის დანარჩენი 18 ტაქტი და მესამე თავი მთლიანად ეთმობა მეორე მთხოვბელს –თანდილაანთ ხუტას.

1900წელს დაწერილი ეს პოემა განსაკუთრებული კომპოზიციით არ გამოირჩევა. აქ არ არის პეიზაჟური ფონით დაწყება, რომელშიც ხშირად ჩაქსოვილია ხოლმე მომავალი კოლიზიები, პოეტს არც დამხმარე ვინმე, ანუ ამბის მომტანი, დასჭირვებია ფაბულის გასაშლელად, არც „რეპორტაჟის“ მსგავსი დასაწყისი აქვს გამოყენებული განსახილველ პოემაში. ამბის გადმოცემა, თხოვობა სპონტანურად, გარეგანი გავლენის გარეშე, იწყება.

მთხოვბელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მონადირეა. საუბრის კილო, ინტონაცია გვაგრძნობინებს იქვე მსმენლის არსებობას, თუმცა არავითარი სიტყვიერი მინიშნება არც მთხოვბელის, არც ავტორის მიერ არაა მოცემული:

მთას ვინადირე, დაგბრუნდი,
მთის ძირს მივდევდი ჭალასა,
მეჩქარებოდა შინ მისვლა ,
მუხლებს ვატანდი ძალასა(31,161)

რამდენიმე სიტყვით, ორიოდე შტრიხით დაიხატება ექსტერიერი, გარემო, სადაც გაიშლება ფაბულის დასაწყისი:

პირია გაზაფხულისა:
ჩირთიც ახალი, მწვანეცა;
შიშს რა გაავლევს ჩემს გულში,
დღეც ტყეში ვცხოვრობ, დამეცა(იქვე)

როგორც ჩვეულებრივ ხდება, სივრცე დროის ფაქტორის გარეშე არ მოიაზრება და ავტორი მაშინვე გვთავაზობს შავ ფონს, სასურათე ტილოს „მიწად“ რომ გამოდგება, ანუ დამეს. ძირითადი ამბის გასაშლელად სწორედ დამე ჩააყენებს მთხოვბელს, ანუ მონადირეს, ისეთ გარემოში, რომელშიც მკითხველი თვალს მიადევნებს ტექსტში გაშლილ მითოსურ ხილვებს.

უნდა ითქვას, რომ მონადირის ნაამბობი მისტიკურ საბურველშია გახვეული; საბურველში, რასაც გაუოცებია გამოცდილი მონადირე:

უხილავ არსებათა გადალაპარაკებისას ამოტივტივდა სახელი დვთით
შერისხული ქართველი კაცისა, ელიოზისა:

ბალდებს გვიჭრიან თავებსა,
რა უპატრონოდ ვწყდებითა!—
ღმერთი გრისხავდეს, ელიოზ,
რომ უმწეონი ვრჩებითა!“

გარკვეული დროის განმავლობაში არ წყდება მათი ჩივილი. ბუნებრივია შიშით მონადირის შეპყრობაც:

შიშმა შამიპყრო მაშინ კი,
გსოქვი: „დავიხელთო იქნება,
რა მომელანდა, რა არი;
საით რა მომევლინება?“
ვლოცულობ, ვიწერ პირჯვარსა,
მივალ, არ ვიხევ უკანა.
ან სად გავიქცე, რომ შფოთი
არ ცხრება, ისმის ყველგანა“ (იქვე, გვ. 162)

პოეტის მიერ დახატული ექსტერიერი და იქ მყისიერად წარმოქმნილი განცდები მშვენიერ მასალას აძლევენ ფსიქოლოგებს. იქ რაც დატრიალდა, მხოლოდ დაკვირვებული ფსიქოლოგი თუ გააშუქებს და შეაფასებს. მათ გარკვეულ დახმარებას თვით დაკვირვების ობიექტი, მონადირეც გაუწევს:

პირველად დაგაფიქსიროთ გარემო, საგანთა განფენა მიდამოში, სადაც დამით მოდის მონადირე:

თუმცა კი კაცი ჭაჭადა
არ მინახია სწორედა,—

არც სულიერი სხვა რამა...
 ნანგრევები დგა ყორედა...
 საკვირვლად საკვირველება
 ამ ნანგრევთ შაუნახია.
 ნეტავი მაშინ მენახოს
 კაცის ერთისა სახია.(31,162)

მეორე: გავითვალისწინოთ , თუ რა რეაქცია მოჰყვა ამას, ანუ რა
 შფოთიანობა დაეუფლა მონადირეს, რა ემოციურ სტრესში ჩავარდა იგი:

ბოლოს სამ კვნესა გაისმა,
 გლოვის წკარუნი ზარისა,
 და დიდი ოხვრა ამოხდა
 დაბლაით მიწა—მყარისა.
 შავშინებულვარ ძალიან,
 ვეღარა ვძრავდი ბაგესა.
 გულში ვლოცულობ, ვევედრი
 ამ არე—მარის გამგესა.
 შავთხოვდი: ჭკვიდამ ნუ შამშლის,
 ნუ გამიმწარებს ყოფასა,
 ნუ დაანანებს დედა—ჩემს
 ბედკრულის შვილის შობასა.“(იქვე)

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეგვიძლია
 აღვნიშნოთ, რომ მონადირის სტრესი ემოციურია და გამოწვეული პიროვნების
 შემფოთებით. მისი ეს სტრესი, შფოთიანობა გამოწვეულია „....არა რეალურად
 მოცემული სახიფათო სიტუაციით, არამედ ეს არის მისი როგორც მოსალოდნელის,
 წარმოსახვა და ამდენად მოლოდინი ამ შესაძლო ხიფათისა“(63,545).

აღსანიშნავია, რომ მონადირეში სტრესის აღმოცენება განპირობებულია
 არა მხოლოდ ობიექტური პირობებით (აქ: დამე, სასაფლაო, ნაყარი ლოდები, ყორნები,
 ნანგრევები), არამედ ექსტერიერის „გაშინაარსებით“ (აქ: გარემო, ატმოსფერო
 დამუხტულია ისტორიული რეალიების წარმოსახვით შექმნილი ვითარებით: ომის
 ყიჟინი, საომარი მოქმედების ფრაგმენტები, ნაციხარ—ნასიმაგრალის ნანგრევები, მისი

ტოპონიმი „დიაკვნის გვერდის ციხე“ და ამ ნანგრევების ისტორიასთან დაკავშირებული მოღალატე ქართველის—ელიოზის—სახელის წამოტივტივება მეხსიერებაში).

პოემის მეორე თავის დასაწყისში გრძელდება პირველ თავში დატრიალებული განცდებით გამოწვეული შთაბეჭდილებები. ავტორი გამოცდილი ფსიქოლოგის უტყუარი ალლოთი შეაფასებს მონადირის მიერ თანმოყოლილ სტრუქტურულ განცდებს.

საგულისხმოა, რომ ახლობლები არ ეთანხმებიან მას და გამოწვეულ სტრუქტურულ განცდებს დევებს კი არა, უფრო რეალურ მოვლენებს უკავშირებენ. ადმოჩნდა, „რომ ყველას ეს ემართება დამით ამ ადგილს მავალსა“ და „ყველასაც მოეჩვენება სახე გრგვინვის და ომისა (31, 162)

ამის შემდეგ სუბიექტური მოტივაცია სტრუქტობისა თანდათანობით გადაინაცვლებს ობიექტურისტურ-პოეტურ ხედვად. ლოგიკურად ეს დაუკავშირდა ფაბულაში ახალი პერსონაჟის, თანდილაანთ ხუტას, შემოყვანას: „თვით ნანგრევების ამბავი სოქვა თანდილაანთ ხუტამა“.

თანდილაანთ ხუტას ნაამბობიდან გარკვეულად ჩანს, რომ მონადირის პიროვნებაში და მის ახლობლებთა შორის არსებულ ხილვათა წარმოსახვამ ხელი შეუწყეს მათ შორის მეხსიერების გამოღვიძება—გააქტიურებას. ამან კი გარდასახვის ობიექტად ქცეული ამბავი აქცია რეალისტურობად, ისტორიული პერიპეტიების გამოცოცხლებად.

პოემის პერსონაჟი, ხუტა, არწმუნებს მსმენელებს, რომ ნანგრევთა შორის ატებილ ხმაურს მისთვის ხელი არაფერში არ შეუშლია, რომ „არც ვინ შაცვლილა ჭკვიდამა, არც ვის მაკშლია ცხოვრება, ჯანზედაც კარგად არიან, უკეთესი აქვთ გონება.“

თანდილაანთ ხუტა დარწმუნებულია, რომ „მინამ ქვეყანა არსებობს, ამ ამბებს ჰნახვენ მუდამა,“ რომ: „ნუ იტყვით —ბოროტნი იყვნენ, კეთილნი სულნი არიან“ :

მანდ, დღეს რომ ყორეებს ვხედავთ,—
ციხე-კოშკების ნანგრევთა—
ძველს დროს ქალაქი ყოფილა
მტერ-შეუგალი, მაგარი,
ცხოვნეთად სახელდებული,
სწორედ სამოთხის სადარი(31,163).

ხუმა შეახსენებს მსმენელებს, რომ ჩვენ მხარეს ძველად მრავალი მტერი ჰყოლია. ახლაც ბევრი მტერი გვყავსო და „დრო თუ დაუდგათ, კიდევაც გადმოჟუდებენ ქურებსა, კიდევაც დაგვიქროლებენ, ააშფოთებენ გულებსა.“

ურუმთა, ანუ ოსმალოების, შემოსევის ხანას აცოცხლებს მთხოვობელი.

ხუმას თქმით, მტერი ბოლოს მოსულა იმ ადგილას, „სადაც დღეს გვესმის კიუინა დამით და აბჯრის ჩხარუნი“. დარბეულ ქართველებს პირზე მხოლოდ ერთი მოღალატის, ელიოზის, სახელი ეკერა:

ელიოზ, ღმერთი გრისხავდეს!“ –

ჟველა ერთ–პირად იძახის... (იქვე)

ვკითხულობთ მის დახასიათებას და, შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა მოგვცა ტიპიური მოღალატის სახე ტიპიურად ქცეულ გარემოში. ელიოზიც კლასიკური პერსონაჟია ჩვენს ლიტერატურაში არსებულ მოღალატე პირებს შორის (ვარსკენი, ორი იესე, შადიმანი, სვიმონ მაყაშვილი და ა.შ).

ავტორი პატარა შტრიხით მიგვანიშნებს ერთ ნიუანსზე – „არავინ იცის, რა რჯულის, ჩვენში სით გამორეული.“ მისი მხოლოდ სახელი სცოდნიათ ცხოვნეთელებს – „ეს კი იციან, სულ–კრულსა რომ ელიოზი პრქმევია“.

ბევრი ქართველი მოღალატის ანალოგიური გზა გაუვლია ელიოზს: „თათრები გაულადებავ, ცხოვნეთი დაუქცევია: გზა უსწავლებავ მტრისადა ერთ ბნელს, უკუნეთს დამეში... თითონ დიდობა მიუდავ იმავ თათრების მხარეში.“

თანდილაანთ ხუმა მოკლედ აფასებს მისი დალატით გამოწვეულ „ცოდვა–ბრალის სურათს“. ამ შეფასებისას ერთი მითოლოგიური დეტალი ცოცხლდება მკითხველის თვალში; კერძოდ:

იმ ცოდვა–ბრალის სურათი,

რაც იმ ერთს დამეს მომხდარა,

შაუნახია ჰაერსა,

სცოცხლობს და როდი მომკვდარა!

უურადღება მიიპყრო პირველმა ამ ოთხმა ტაეპმა. აქ უნდა გამოვყოთ სინტაქსურ–გრამატიკული მომენტი. სახეზეა რთული ქვეწყობილი წინადაღება რთული კონსტრუქციისა. მთავარი წინადაღებიდან გვსურს გამოვყოთ ფრაზა – „ცოდვა–ბრალის

სურათი შაუნახია ჰაერსა“, რომელსაც მოსდევს მთხოვობელის კომენტარი: „სცოცხლობს და როდი მომკვდარა და „სამშობლოს ერთგულთ სულები, სპეტაკნი, როგორც ცვილები, თავზე დაპირუვები ცხოვნეთსა, როგორაც დედას შვილები.“

მთავარი წინადაღებიდან გამოვყოთ ფრაზა: „შაუნახია ჰაერსა“. ჰაერის მიერ ინფორმაციის შენახვა კი ინდურ ფილოსოფიაში ცნობილი მოვლენაა. მას „აკაშა“ ეწოდება. ვფიქრობთ, დიდი ვაჟა მისდაუნებურად, თავისი გენიალური გონის წყალობით, შექმიანებია ინდურ ფილოსოფიაში, ინდურ მეტაფიზიკაში გავრცელებულ მოვლენას და მოგვცა მისი ქართული, მხატვრული ინტერპრეტაცია.

მაგალითად, ვ. ნუგატოვის მიერ შედგენილ „ტანტრის ენციკლოპედიაში“, რომელშიც აქცენტები ექსტაზის ალქიმიაზეა გადატანილი, ვკითხულობთ: „ინდურ ფილოსოფიაში აკაშა არის: ეთერი, ანუ ნივთიერების ვიბრაციული მდგომარეობა, აკაშას თვლიან ყველაფრის საყოველთაო სათავსოდ,-რა იყო, რა არის და რა იქნება... ზოგჯერ აკაშას უწოდებენ „ფაქიზ, ნატიფ ეთერს“. (ელიფას ლევი), ან „ასტრალურ შუქს“ (ალისტერ კროული) თუმცა მათი აღმოჩნა მიეწერება პითაგორას“.

ვაჟას პოემაშიც ანალოგიური თვისებაა დაფიქსირებული ჰაერისა, რომელსაც შემოუნახავს ინფორმაცია მომხდარზე. ამავე დროს ჰაერს, მოკამკამე ეთერს, ბერძნულ მითოლოგიაში ყველაზე ზედა და წმინდა, გამჭვირვალე ფენას, უნარი ჰქონია შემოენახა ინფორმაცია მიმდინარე ამბებზე და ეწინასწარმეტყველა სამომავლო ვითარებაც; ანალოგიურია სიტუაცია ნაწარმოებში:

ვპოვებთ ამ ქვეყანაზედა

იმათ კეთილის-მყოფელსა?

თავის სამშობლოს გამცემზე

ვისმე კეთილის მთხოვობელსა(31,163).

ვაჟას მიერ ფაქტებში ინტუიციურმა წვდომამ ინდურ თუ ბერძნულ მითოლოგიურ გარემოს ორგანულად დააკავშირა ფშაურ და ხევსურულ მითოლოგიურ ჰანთეონში არსებული ფენომენები: მოძახურები//მაძახურები:

ცხოვნეთის მოძახურები

ამაშფოთარის ხმებითა

ჩვენ გონებაში გვაგდებენ,

რადგან ხშირადა ვსცდებითა (31,164)

მაძახურა ფშავებენისურული ცრურწმენით, უჩინარი მავნე სულია, რომელშიც სოფელში დამით ჩამოივლის და მძინარე ოჯახს საკომიდან (საკვამლედან-ჟ.პ) ჩასძახებს(87,351); ცოტა ქვემოთ ვხვდებით დამატებით განმარტებას-„მოძახურა(ფშ.) ხალხის წარმოდგენით, რაღაც არსებაა (87 გვ.386).

ჩვენს მიერ ხაზგასმული ტაეპებიდან ნათლად გამოჩნდა, თუ ვაჟამ წარმართული, მითიური, როგორ მოაქცია ქრისტიანული რწმენის საფარველში.

ეს ფაქტორი დამახასიათებელი ასპექტია მისი შემოქმედებითი ისტორიისათვის.

სამართლიანადაა უარყოფილი ნიჰილისტური თვალსაზრისი 900-იანი წლებიდან ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ენერგიის მოდუნების თაობაზე. თუ თვალს გადავავლებთ 900-910-იანი წლების შემოქმედებით პროდუქციას, დაგრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში , რომ ვაჟას შემოქმედებისათვის მის პირად ცხოვრებას, ყოფით სიმძიმეს, საზოგადოებაში მომხდარ კატაკლიზმებს ნირი ოდნავადაც არ შეუცვლია. პირიქით, საკმაოდაა გაფართოებული მისი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. ამაში ვგულისხმობთ მისი მოქალაქეობრიობის გააქტიურებას, პოლემიკურ ტონს, მხატვრულ შემოქმედებაში ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, უმაღლეს მხატვრულ-ესთეტიკურ დონეს, შემოქმედებით ნაყოფიერებას.

თუ ვიმსჯელებთ ჯერ კიდევ 1900წლის თაობაზე პოეტური ეპოსის მიხედვით, უკვე ამ პერიოდში გამოქვეყნებული ორი პოემა ნათლად ადასტურებს ავტორის შემოქმედებით ინტენსიურობას თემატიკის დამუშავების თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ ქრონოლოგიურად ახლოს დგას მათთან „გველის-მჭამელზე“ მუშაობის პროცესი.

რამდენადაც განსხვავებულია იდეურ-თემატური დატვირთვა პოემისა „ნანგრევთა შორის“, აბსოლუტურად სხვა სამყაროში გადავყევართ პოეტს პოემაში „ბრძენი ვირი (ძველის-ძველი ამბავი)“.

„ძველის-ძველ ამბავში“ ფაქტიურად არაკი ქცეულა ზღაპარ-პოემად. „არაკი“ ტერმინოლოგიურად ზუსტად გამოხატავს ფაბულაში განვითარებულ მოვლენებს (მხედველობაში კლებულობთ „არაკის“ ილია ჭავჭავაძისეულ განმარტებას).

ალეგორიულად ბევრ რამეზე მიგვანიშნებს ნაწარმოები. ბევრი საგულისხმო რამ წინასწარმეტყველურიც აღმოჩნდა ფაბულაში.

უკვე სათაურიცაა მომგვრელი ღიმილისა. ეს ვირი ნამდვილად არ იგულისხმება სულხან-საბას სედრაქისეულ ვირად. აქ ვაჟამ ირონიით შეფერა თავისი თხზულების

მთავარი პერსონაჟი. პრობლემა კი მაშინვე რომ აქტუალურად იყო მიჩნეული, დასტურდება იმით, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნდა.

ასეთი მარტივი, გამჭვირვალე სიუჟეტის მქონე თხზულების პუბლიკაცია „ივერიაში“ იმაზეც მიგვითითებს, რომ „ივერია“ გულისხმიერად ეკიდებოდა ყმაწვილთა რეპერტუარში შეტანილ ნაწარმოებებსაც. მიგვაჩნია, რომ „ბრძენი ვირი“ უთუოდ დაიმკვიდრებდა სათანადო ადგილს ვაჟას საყმაწვილო ნაწარმოებთა შორის. სწორედ მიგვითითებენ, რომ ბრწყინვალე „საბაგშვი ქმნილებათა“ ავტორია ვაჟა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ ყმაწვილთათვის საკითხავ მასალად ჰქონდეს მას ჩაფიქრებული. მწერლის მხატვრულ მოთხოვნილებათა გამოხატულებად არიან ჩათვლილნი ისინი, რამეთუ ჭეშმარიტი „საბაგშვი ქმნილება“ ყოველთვის მომხიბვლელი და ზნეობრივია მოზრდილთათვისაც“—ლ.ტოლსტოი“(49,445).

ამბავს მთხოვობელი გადმოგცემს. დიდი როლი აკისრია მას სიუჟეტის მდინარებაში. იგი თავშივე იძლევა ვირის დახასიათებას:

ვირი რამ, ერთი ჩოჩორი,
დიდყურა, უგზოდ მყვირალა,
არ ვიცი, სით, როგორ მოხდა,
ასე რამ გაამძინვარა:
ყროფინით მთა—ბარს აქცევდა:
„ჩემთან მოგროვდით ყველაო,
საცა რამ ცხოველები ხართ,
თუ გინდათ თავის შველაო!“(31,165).

ამას მოხდეს ცხოველთა რეაქციის მშვენიერი აღწერა. დიდებულადაა დაჭერილი სიტყვას აყოლილი ბრძოს ფსიქოლოგია. შიშითა და წრწოლით გულათახთახებულნი—

დაიძრნენ ტყიდამ ნადირნი
ვირის მქუხარე ხმაზედა,
არ დარჩენილა არც ერთი
არც მინდვრად, არცა მთაზედა,
უნდა იახლონ დიდყურას,
სცნან, მხეცო იბარებს რაზედა... (იქვე).

მათს მარაქაში არ გარეულან ლომი, ვეფხვი, დათვი და მგელი.

კარგად არის მოცემული ვირის დახასიათება სიტყვის დაწყებამდე:

ვირი გორაზედ შემდგარა,

იცქირებოდა გმირულად,

თუმცა-კი ქცევა და სიტყვა

მას მოსდიოდა ვირულად.

ნადირო ხრო იმის წინაშე

სდგას მოწიწებით, მწირულად (იქვე, 166).

სიტყვა ვირისა ფარისევლურია, ტრაბახია: მას თურმე „გულს უქლავს“ ცხოველთა ტანჯვა და კვნესა, რომ ზეცამ გამოგზავნა იგი მათ ბატონად და პატრონად, რომ „დღეიდან უნდა იხაროს, ვინც აქამომდე ეწამა“.

ამას იგი მოაყოლებს ტრაბახით გაუდენთილ სიცრუეს: თურმე დიდი სასჯელი მოელით მისგან „ვეფხვსა, ლომსა და მგელსათ“. აქ მოუსვლელობისათვის.

მას შიშით ვერ შეხედავენ „ვეფხვი, მგელი და დათუნა“.

„მხეცები გაოცებულნი წამოყაფანდნენ ვიშითა“:

უფრო თაგზარი დაეცათ,

შიშით ეკვროდნენ მაწასა,

რაკი ლომ-ვეფხვსაცა სწიხლავს,

ხმას ვიდა გასცემს იმასა. (იქვე).

შედეგი გამოიღო ვირის ყროფინმა, მისმა ხმამაღალობამ. იუმორისტულია მთხოვობელის კომენტარი ბრბოს ფსიქოლოგიის შესახებ:

„მხეცთა კვალადა სთქვეს: „არ სტყუის,

ჯერ ხმა როგორი ჰქონია,

აბა თუ ვისმე მისთანა

ტყვებში გაგვიგონია?!“

ყურებიც რამოდენა აქვს,

დიდი ექნება გონია.

ბატონად ამოვირჩიოთ

ძალიან მოსაწონია....

გროტესკის სიმაღლემდე ადის ამ პასაჟის საფინალო სიტყვები:

ერთბაშად დაიყრანტალეს,

გაიძახოდნენ ვაშასა!

ვინ მისცემს ასეთს დიდებას
თავისს საყმოში ფაშასა!(31,166).

თხზულების III თავში ლოგიკურად ვითარდება მოვლენები. მგელი მშიერი დაეხეტებოდა ტყეში. მივიდა ხმაურის ადგილზე და თავისი ყურით მოისმინა, რაც იქა ხდებოდა. უმალ შეაფასა სიტუაცია და „ორატორ“ ვირს „მიეტია მტრულადა“.

ავყია, უტვინო ვირის უბედურებით, მგლის გარდა, მელიაც მოელოდა ვირის ლეშით გაძლომას.

IV თავში გადმოცემულია ამ ვირის მიმართ დამოკიდებულება მისივე მოძმებისა, ვირებისა. მათ არ შეიცხადეს ვირის დაღუპვა, პირიქით, ბევრიც კი იცინეს. ამის გამო მთხოვბელი პირდაპირ მიმართავს მკითხველს, მსმენელს:

ეს სამგლე ვირი ვირებშიც
თურმე თავობას ჰბედავდა(იქვე).

პატრონისგან გაზულუქებული ვირი თავს გავიდა, გაატიალა ბაღჩა–ბოსტანი. ვირის „მგოსნობა“ არ იქმარა მთხოვბელმა და ეს ვირი შეადარა „საბჭოს ხმოსნებს“; ანუ ისეთ ადამიანებს, რომლებიც უსაფუძვლოდ იჩემებდნენ ბრძენის სახელს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს: „ვაჟა–ფშაველა შეუბორკავი ფანტაზიისა და დიდი წარმომსახველობითი შესაძლებლობებით აღსავსე ხელოვანი იყო, რომელიც სწორედ ყველაზე მაღლა აყენებდა სათნოებით და სიფაქიზით სავსე გულს, და გული კი, –როგორც ამბობენ, ბავშვებს ეკუთვნის, მაგრამ „დანახვა გულის მოძრაობისა ხომ დიდსაც სწყურია“(გრიგოლ კიკნაძე); ამიტომაც ერთნაირად მომხიბვლელია ვაჟას საბავშვო ნაწარმოებები როგორც ყმაწვილთათვის, ასევე ასაკოვანი ადამიანებისათვისაც“(49,447).

ამრიგად, მსგავსი სიუჟეტისა და ფაბულის მქონე ნაწარმოებები ნათლად მიგვანიშნებენ დიდი პოეტის შემოქმედებითი ინტერესების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე.

თუ დავესესხებით ცნობილი მოღვაწეს აკაკი პაპავას ვაჟა–ფშაველას პროზის შესახებ: მისი რწმენით, ვაჟას მშვენიერი მოთხოვბები თუკი ვინმეს ერთხელ წაუკითხავს, იგი იქ აღმოაჩენსო „...მზიურ ხალისიანობას, უსაზღვრო სიყვარულს ყოველ არსისადმი, ჰაერს, გაშლილობას, ერთგვარ რელიგიურ სათნოებას, რასაც „უგჭველია თვითონ განიცდიდაო“(67, 257–258).

ვაჟას პროზიდან, განსაკუთრებით საბავშვო რეპერტუარში დამკვიდრებული თხზულებებიდან, თავისებურ ციკლურ რკალს ქმნიან „ისეთები, რომელთა ფაბულებიც აგებულია „ნაამბობზე“, „ამბავზე“. ეს ქვესათაურები უფრო მიმზიდველნი არიან მკითხველისათვის, განაწყობს მას მსმენლადაც და მკითხველადაც. ეს მომენტი ბრწყინვალედ აქვს გაანალიზებული პროფ. გრ. კიკნაძეს სტატიაში „ვაჟა-ფშაველას პროზის სტილი“.

მკვლევარმა დეტალურად განიხილა ვაჟას პროზის სტილი „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ დაყრდნობით. იგი დასკვნის სახით აღნიშნავს: „ნაამბობს დამაჯერებლობა ვაჟამ იმით მოუპოვა, რომ ცოცხალი მხედველობითი ხატები შექმნა, თვალსაჩინოებას მიაღწია და საკუთარ მსჯელობათაგან თავი შეიკავა... გამოთქმათა გამეორებით, სიტყვათა და მათი ფორმების მიმსგავსებით, ფრაზათა განლაგებით ის შესძლო, რომ... ნაწარმოების სტილისტური ერთიანობის მკაფიო შთაბეჭდილება შეჰქმნა“(49,90). რა ვითარებაა ამ მხრივ ვაჟას მოთხოვნაში „ახალი წელი ფშავში(ბეჟანას ნაამბობი)“, რომელიც დაიბეჭდა „ნაკადულში“(1909წ.).

ვერ ვიტყვით, რომ ამ მოთხოვნაში „სტილი ხატოვანია(გრ. კიკნაძე). კილო თხობითია, მსჯელობა—დინჯია, დრო აღწერილი ამბისა წინარე წარსულია. დროის სარჩული წინასაახალწლოა, მოქმედების ადგილი—ფშავი.

თხზულების პირველივე ფრაზა გარკვეულწილად მოტივირებულია, აქცენტი სოციალურ საკითხზეა აღებული: „ძალიან დარიბად ვცხოვრობდი, ხელმოკლედ, საწყლად. განა არ იცით, სიღარიბე როგორიც არის?(32,455). უმწეო ბეჟანას სიმდიდრედ თავისი ორი შვილი—ექვსი წლის გოგონა, ოთხი წლის ბიჭი და ცოლი მიაჩნდა.

მოთხოვნას პირველ აბზაცში ყურადღება მიიქცია ერთმა სიტყვამ, როგორც „პერიფერიულმა სინტაქსურმა ერთეულმა“(26,109). „მართლა, ესეც ხომ სიმდიდრეა: ორი შვილი მყვანდა—ქალი და ვაჟი; ქალი ექვსი წლისა, ბიჭი ოთხისა და ცოლი“. ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვას („მართლა“) ბეჟანას მეტყველებაში ემოციურ—ექსპრესიული ფუნქცია გააჩნია. ამ შემთხვევაში აღნიშნული სიტყვა (ან მისი მსგავსი სიტყვები სხვა შემთხვევაში—უ.კ.) „ჩვეულებრივ გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას გამოთქმული აზრისადმი. ამ ფუნქციას მეტყველებაში ასრულებენ შორისდებულები... მოდალური სიტყვები... და ნაწილაკები“(26,114). ტრადიციულად, გრამატიკაში ამგვარი კონსტრუქცია განკერძოებაზე მიუთითებს. აქ კი, კონკრეტულად, განკერძოების ის შემთხვევა, რომელსაც ჩართულს უწოდებენ. მოცემულ მეტატექსტში ჩართული—

„მართლა“ ეხება არა რომელიმე ერთ წევრს წინადადებისას, არამედ ინტონაციურად იგი მთელ ფრაზას ფარავს(46,304) ამ სიტყვის მეოხებით ბეჭანი უშუალო კავშირს ამყარებს მკითხველთან, ზრდის ინტიმური ურთიერთობის დოზას, თავის ნათქვამს სძენს დამაჯერებლობას, გულ-გახსნილობას. ამ ერთმა სიტყვამ ხაზი ორ გარემოებაზე გაუსვა: 1)ირონია სოციალური „სიმდიდრის“ მიმართ: „ერთი ფური, ერთი სარი, სამი დედალი, ერთი მამალი“ და 2)სითბო-სიყვარული მართლა აუწყავ სიმდიდრეზე –ცოლ–შვილი.

როგორც სათანადო ლიტერატურაშია მითითებული, მსგავს შემთხვევაში ესეთი ერთი სიტყვა სტრუქტურულად დაუნაწევრებელია და წინადადების ეკვივალენტურია (აპ.დავითიანი).

მოცემული მოთხრობის ანალიზის დროს გამოიკვეთა გარკვეული მიმართება ნაწარმოების ქრონოგრაფისადმი, დრო-სიგრცის ფენომენისადმი. კერძოდ, –სამეცნიერო წყაროებში მითითებულია, რომ „ხელოვნებისადმი არსებითია მიმართება ოთხი დროისა: მარადიულობისა, ემპირიული დროისა, ეგზისტენციალური დროისა და სიუჟეტის დროისა. ხელოვნებაში და შესაბამისად თანამედროვე თეორიებში, სიუჟეტური დროა სახე და სატი მარადიულობისა. მხატვრულ ნაწარმოებს თავისი სინამდვილე აქვს და თავისი დრო, ანუ სიუჟეტური დრო. სიუჟეტური დრო არის ემპირიული დროის საზრისის ძებნა მხატვრულ ნაწარმოებებში... სიუჟეტურ დროს ორგვარი მიმართება აქვს ემპირიულ დროსთან და მეორეა ნაწარმოების წაკითხვის დრო. ასე ვთქვათ, შიდა-სიუჟეტური დრო(81,27).

მოთხრობის პირველსავე ფრაზაში ჩადებული შინაარსი, სოციალური მოტივაციის გარდა, საყურადღებოა დრო-ჟამის თვალსაზრისითაც. ნათლად გამოიკვეთა ემპირიული და სიუჟეტური დროები.

ამბავი იწყება სიუჟეტურ დროში. ბეჭანი იხსენებს ერთი წლის წინანდელ ახალწლის ამბავს: „ძალიან დარიბად ვცხოვრობდი, ხელმოკლედ, საწყლად“. სოციალურ ყოფას ბეჭანი რიტორიკული შეკითხვით ამუქებს და თავისი განცდების მიზიდულობის ველში მიიზიდავს მკითხველს–„განა არ იცით, სიდარიბე როგორც არის?“

ენაწყლიანი მთხრობელი გამოდგა ბეჭანი. მონოლოგიურია ამბის გადმოცემა. ბეჭანი ცდილობს, ყველაფერი გაანდოს გირტუალურ მოსაუბრებს.

ჩვენს წინაა ძირძველი, ნადდი ფშაველი კაცი: მიწის მუშა და ხითხუროიც. მისი ქერი სამ თვეს ყოფნიდა ოჯახს, დანარჩენ ცხრა თვეს კი სულ ყიდულობდა. ფულს შოვნა უნდოდა. „ფული—კი როგორც თავად ბეჭანი ამბობს,—ჩემი მკლავები იყო ცული, სატეხი, საჭრეთელი და ხოწი. ვხვეწდი ხონჩებს, ხის ჯამებს, თეფშებს, ბაკნებს. ვატარებდი სოფლიდან—სოფლად და ვცვლიდი პურზე. ფასი ხის ავეჯისა განიხრული იყო, ფულზე არც კი ვყიდდი, ჩემს ბალღებს პური ერჩივნა ფულსა: ჯამი თუ ხონჩა რამდენ პურსაც ჩაიტევდა, იმის ფასი ის იყო“. და კვებავდა ცოლ—შვილს, „როგორც ჩიტი თავის ბარტყებს“.

მიუხედავად ეკონომიური სიდუხჭირისა, მამა მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს და ამას ასე განუმატრაგს თანამოსაუბრეს: სადღეგრძელოში „შევთხოვე ღმერთს, რომ დამდეგი, მომავალი წელი მაინც ბედნიერი ქმნილიყო ჩვენთვის. ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს: თუმცა ჩამოგლეჯილ—ჩამოწეწილი ცოლ—შვილი დამიხვდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ცოცხლები არიან, ვამბობდი“.

დიდი მწერალი ადამიანის სულის ღრმად მწვდომი პიროვნებაა, იცის ადამიანი და მიანიშნებს კიდეც იმაზე, თუ რა ცოტა რამ კმარა ადამიანის გასახარებლად. ბეჭანის შემთხვევაში ეს იყო შემოტანილი ძღვენი—თაფლი და ნანადირევი, და ძროხის მიერ ხბოს მოგება.

ამის შემდეგ უფრო დეტალურად იშიფრება სიუჟეტური დრო, იტვირთება ეთნოგრაფიული დეტალებით: მოიძებნა ჭვარტლიანი ფანდური, დილით ადრე დაიკეპა სახინკლე ხორცი, ევამ (ბეჭანის ცოლმა) მოამზადა თაფლ—ერბო მექვლისათვის, დილით სახლის კარზე რაღაც დახმაურდა, ეს კი მექვლის მოსვლის ნიშანი იყო, ასე შეატყობინა მექვლემ მოსვლა, როგორც ბეჭანი განუმარტავს მსმენელს თუ მკითხველს: „დაძახება ახალ წელიწადს კარგი არ არისო“.

მექვლის, რამაზის, მოსვლისთანავე შეერწყმის ერთმანეთს სიუჟეტური და ემპირიული დროები.

აქ ყურადღებას იპყრობს ბეჭანის შემდეგი სიტყვები: „ეს ახალი წელი ჩემთვის სხვაფრივ, სხვა მხრივ არის ღირსსახსოვარი“. ბეჭანის პიროვნებაში მოჭარბებულია ემოციურობა, თვითკრიტიკულია მის ფიქრთა შინაარსი. ამას კი ბეჭანმა იმით მიაღწია, რომ „წარსულს იგი აწმყოს ფონზე აშუქებს, ურთიერთმომდევნო ფრაზებში გვაწვდის და ამით წარსულის ისეთივე აქტუალურ განცდას ახერხებს, როგორადაც აწმყო ვითარება განიცდება“(81,76).

საფინალო აკორდი ამ პატარა მოთხოვბისა შემეცნებით-ადმზრდელობითი სულისკვეთებისაა. ბეჭანმა, ოჯახური ვითარებიდან, ყველაზე მეტად კი თავისი ბალდების დიდი სიხარულიდან გამომდინარე გულში მტკიცედ გადასწყვიტა: „უნდა რაც აქამდე ვიყავ, ერთი ათასად ვიქცე, რომ საწყალი ჩემი ცოლ-შვილი მართლაც ნამდვილი ცხოვრების ღირსი გავხადო, და მართლაც ასე მოვიქეცი. შრომას მოვუმატვ, ნაშოვარიც დაგზოგე, დუქანს აღარ მივეკარე და დღეს, დაილოცოს ღმერთი, ჩემთვის ყველაფერი საკმაო მაქვს... ჩემი ცოლ-შვილი სხვას ადარ შეპნატრის. მადლობელი ვარ იმ ახალი წლისა, ღმერთმა შენც ნუ მოგაკლოს გონებისა და გრძნობის გამხსნელი!..”(32,458)

ბუნებრივია, ბეჭანი ავტორის მიზანდასახულობით, კეთილ ზეგავლენას მოახდენს „ნაკადულის” მკითხველებზე. რამეთუ აქაა პიროვნული დაძლევა დროისა”, პიროვნების „თვითდადგინებისა”(რ.სირაძე). ამას კი ბეჭანმა იმით მიაღწია, რომ შეეწია „გონებისა და გრძნობის გამხსნელი”-უფალი ჩვენი.

ამჟამად განხილვა-დაკვირვების ობიექტად გავიხადეთ ვაჟას პოემა „სისხლის ძიება” (ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან), რომელიც პირველად დაიბჭედა 1897 წელს უკრნალ „კვალში”, №2,3,4,5,6. 15.I-2(35,216-246). ფაქტია, რომ ამ პოემას არ მოჰკლებია მკვლევართა სათანადო ყურადღება. არის მცდელობა მისი კომპლექსური ანალიზისა. ჩვენ კი ამ მშვენიერი თხზულების „აბსოლუტური მხატვრული ფასეულობების კონტექსტიდან” გვსურს შევეხოთ ვაჟას პოემებისათვის დამახასიათებელი სტილური ხასიათის მოვლენის, კერძოდ „სიუჟეტური ჩარჩოებიდან გადახვევებს-ფილოსოფიური განსჯით გატაცებას და მკითხველთა ჩათრევას ეთიკურ-პრობლემათა სიღრმეებში”(35,13). მითუმეტეს, რომ „ამ რიგის გადახვევები... თვალსაჩინო კომპოზიციურ როლსაც კი ასრულებენ”(35,14). ესე იგი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩვენს წინ დგება „მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საკითხი”(44,122). ვაცნობიერებთ, რომ საანალიზო ტექსტის მხოლოდ ამ აქცენტით ინტერპრეტაცია ნაწილია თხზულების კომპლექსური განხილვისა.

„სიუჟეტური ჩარჩოებიდან გადახვევის” თვალსაჩინო მაგალითია მოცემული წიგნში „გაუა-ფშაველას ხუთი პოემა” (35,341-367). სათანადო ილუსტრირებით გაშუქებულია ლირიკული წიაღსგლები, დესკრიფცია, აგტოლოგია, სიუჟეტურ ქარგაში ჩართული სხვათა თქმები, აფორიზმები. ჩვენ კი „სისხლის ძიების” ანალოგიურ ანალიტიკას დაგამატებდით ისეთ მხატვრულ-კომპოზიციურ ხერხე საუბარს, როგორიცაა რეტარდაცია.

გვთავაზობს რა გაუა-ფშაველას ფენომენის ბრწყინვალე დახასიათებას, პროფ. გრ. კიკნაძე მიგვითითებს: „პოეტს ხშირად იმდენად ხიბლავს და იტაცებს ესა თუ ის მოვლენა, რომ წყვეტს ამბის თხრობას, უხვევს მისი განვითარების გზიდან და ამჟამად ხილულული მოვლენის წინაშე ჩერდება. იმდენად დიდი მხატვრული მნიშვნელობა აქვს იმას, რაც ამა თუ იმ მომენტში პოეტის ცნობიერებაში შემოჭრილია, რომ თითქმის ნელდება მისი ინტერესი ამბისადმი, საკუთრივ სიუჟეტისადმი (48,17-18). აქვე მოკლედ აღნიშნავს „სისხლის ძიების“ სიუჟეტში არსებულ გადახვევის რამდენიმე შემთხვევას.

ჩვენი ამოცანიდან გამომდინარე, მივყევით რა თხრობის ტემას, ყურადღება შევაჩერეთ ნარატოლოგიის ისეთ ტიპურ შემთხვევაზე, როგორიცაა „დესკრიპტიული პაუზა“, ანუ როდესაც „თხრობა ჩერდება, ვითარების, პეიზაჟის, ინტერიერის ან საგნის აღწერა იწყება“(121,90).

პაუზა დროთი უნდა იზომებოდეს და პოემაშიც მისი განზომილების მეტნაკლებობა განვსაზღვრეთ თხზულებაში არსებული სიუჟეტიდან გადახვევის ან რეტრადიციის ოთხ ათეულზე მეტი შემთხვევით. მოვახდინეთ რა მათი შინაარსობლივი თუ ფუნქციური კლასიფიკაცია, სამსჯავროდ გამოვიტანეთ მხოლოდ სტილისტიკური ფიგურები, ხოლო მათი რიცხვიდან შევჩერდით რიტორიკულ შეძახილზე. სხვაგან კი საუბარი იქნება აფორიზმულ გამოთქმებზე, ანდაზებზე, წყველის ფორმულაზე, შეგონებაზე, რითაც ასე უხვია პოემა „სისხლის ძიება“.

პოემის პირველ თავში მოცემულია ბუნების სურათი, პეიზაჟი. აქ პეიზაჟი არ ასრულებს დეკორაციის ფუნქციას. ესაა იდუმალი გასაუბრება პოეტისა გარემოსთან. გაპიროვნებისა თუ მეტაფორიზაციის საშუალებით ნათელი ხდება ავტორის მიმართება, დამოკიდებულება „უენპირო“ ბუნებისადმი. დიდი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი მგოსნის დამოკიდებულებაში მთა-ქედების, ცაზე აყვავებული დრუბლების, პირბადეასსნილი მთების, მიყრილ-მოყრილი კლდეებისა თუ სალის კლდის ნაურისადმი, წყაროსადმი.

მეორე თავში უკვე ფიქსირდება მთის ბილიკზე მომავალი მხედარი. სულ რაღაც ორიოდე შტრიხით გამოხატა პოეტმა მხედრის შინაგანი განწყობილება: „მთის ბილიკს მოსდევს მხედარი// აღვირჩახსნილი ცხენითა//აღვიძებს ბალახს მთისასა// ხამუშ-ხამუშის სტვენითა“(31,217).

მხედრის დახასიათებისას ხაზგასმულია მისი თავდაჯერებულობა, თვითემაყოფილება; ჩანს, დიდი მიზნისათვის უკვე მიუღწევია და „გალმოხდილის“ თვალებით დაეძებს ვინმე თანამგრძნობელს და ჩქარობს საკუთარი ბინისაკენ. ჩვეულებრივია თხრობის ტემპი იმ დროსაც, როდესაც მხედარმა „მიდამოს თვალი

გადავლო, //ნახა თავისი სოფელი, // ლხინით აეგსო სულ-გული, იქ ელამაზა ყოველი”. ამ სიტყვების შემდეგ გარკვეული შეყოვნება იგრძნობა თხრობის ტემპში და ჩნდება ისეთი პოეტური გამოთქმა, ისეთი სტილისტიკურ-მხატვრული ფიგურა, როგორიცაა რიტორიკული შეკითხვა:

„განა მარტოკა კაცო გვიყვარს
თავისი მიწა მშობელი?!(31,218)

ამ შეკითხვაში მხოლოდ მთხოვობელის თვალთახედვა ამოვიკითხეთ. თხრობა გამოვიდა პერსონაჟის სიუჟეტური ველიდან. მოცემულ ფიგურაში არც შეგონებაა, არც აფორიზმია და არც ანდაზა. მას არც რეტარდაცია მოუხდენია თხრობის დინამიკაში; უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, ძალზე სუსტია იგი.

ამ შეკითხვაში დაგვაინტერესა ქვემოთ მოცემული არც არც ანდაზა, მას არც რეტარდაცია მოუხდენია თხრობის დინამიკაში; უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, ძალზე სუსტია იგი. „კაცისაგან”, „კაცობისაგან” შორს უნდა იყოს ეს მხედარი. ჩვენი ვარაუდი მომდევნო ფრაზებმაც გაამყარეს. აქ აშკარად იშიფრება მხედრის უარყოფითობა: „არც მოდის უსახელოდა//სისხლის დავლაზე მშრომელი, //სისხლიანი აქვს ხმლის ვადა, //ეგრევ ხანჯრისა ტარიცა”(31,218). მხედარს თავი მართალი ჰგონია, ვალმოხდილია, „რაცა ჰქმნა-სასახელოა, //ოდნავაც არა რცხვენია”(35,218).

მისი საქციელი არ ჩანს საზოგადოებრივი მასშტაბისა, სათემო ღირებულებისა. მთხოვობელი ჩაგვახედებს საქმის ვითარებაში და იძლევა მამხილებელ შეფასებას. არა რცხვენოდა მხედარს იმიტომ, რომ ტახტზე დაკიდებული მარჯვენის საფასურად „უნდა საჩუქრად მიიღოს ხმალი, ფული და ცხენია” (24,218). თუ ისევ ვაჟას დავესეხებით, მხედარს ვაჟკაცობა ფულზე გაუყიდია .

სიმპტომატურად გვეჩვენება ისიც, რომ ამ მხედრის სახელს მთხოვობელი მხოლოდ მესამე თავის მიწურულში გვთავაზობს-დემურია მისი სახელი.

ამავე თავში ვეცნობით ერთიმორისაგან განსხვავებულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ მთავარ პერსონაჟს-ასლან-ბეგსა და ქიჩირბეს. სპეციალურ ნაშრომში ნათქვამია: „...ავტორმა ადგილი უნდა დაუთმოს პერსონაჟებს”(121,190). ჰენრი ჯეიმსის ეს მოსაზრება, ფაქტიურად ხომ არისტოტელეს განცხადების ანალოგიაა, როდესაც იგი ჰომეროსის, როგორც ავტორის, შესახებ საუბრობდა. ვაჟა-ფშაველა თავისებურად ამჟღავნებს თავის მიმართებას მოვლენებისადმი. მესამე თავში „თავიდანვე თხრობის ცენტრში აყენებს თავის თავს და შინაგან თვალთახედვასაც ამჟღავნებს ამით”(121,190).

პერსონაჟის (ასლან-ბეგის) წარდგინებისთანავე აჩქარებს თხრობის ტემპს და სვამს განმაზოგადებელი ფუნქციის მატარებელ რიტორიკულ შეკითხვას:

2) რად არი გაუმაძღარი

ნეტავ ბუნება ზოგისა?!(31,218)

ეს შეკითვა უშუალოდ მოჰყვა ასლანის დახასიათებას, აღინიშნა ასლანის სიხარბე, გულბოროტება, ამპარტავნობა-ამბიციურობა, ზღაპრული სიმდიდრე მისი. „ბევრი აიკლო სახლ-კარით, // ბევრი ატირა ვიშითა”. ოდნავ წინ კი სხვათაშორის თქვა-„იტყვიან, ვითომ ასლანმა// გასცა სამშობლო თავისა”(24,218).

ამგვარი კომპაქტური დახასიათება ასლანისა მშვენიერი ფონია მასთან დაპირისპირებული პერსონაჟის ქიჩირბეს სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

მთხოობელი ორიოდე შეტყინებით პქმნის ქიჩირის ზნეობრივ სახეს-„ერთი ქიჩირბე არ პმონებს, // განთქმული ვეფხვის ჯიშითა”(31,219). ქიჩირბე არა მარტო სწორუპოვარი მებრძოლია, ხერხიანია, არამედ იმავდროულად „დადის და ყველას არიგებს // სიტყვით ძმურით და მტკიცითა”. მისი სიტყვები გამოირჩევა გონიერებით, აწონ-დაწონილია; მიმართვა მდიდარია იმგვარი სიბრძნით, რაც მოეთხოვება მისი მდგომარეობის პიროვნებას. ათგაეპიან მონაკვეთში ამოვიკითხავთ აფორიზმულ გამოთქმასაც და ორ რიტორიკულ შეკითხვას.

ჯერ გვხვდება რიტორიკული შეკითხვა მონაკვეთის დასაწყისში:

3), რად პმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,

უდელს რად იდგამთ კისრადა,

სხვისა ნაყმევი, ნალახი

გამოადგება ვის რადა?!(31,219)

ამ კონკრეტულ შემთხვევაში რიტორიკული შეკითხვა არ წარმოადგენს სიუჟეტური ჩარჩოდან გადახვევას. იგი ჩართულია პერსონაჟის მონოლოგში და დინამიურიცაა და სიმძაფრის შემომტანიცაა იმავე დროს. ამ სინტაქსურ ფიგურას უშუალოდ მოსდევს აფორიზმული გამონათქვამი. იგი აფორიზმებში აქვს მოქცეული გელა საითიძესაც (75,49).

„უბატონობა რით არ სჯობ,

ნეტავ, ბატონის ყოლასა?

რით არ სჯობია რაინდი

ღამის სალადობ ცოლასა?

ომში მოკლული ვაჟაცი

მეჩეთში მყვირალს მოლასა?”(31,219)

როდესაც ამ აფორიზმულ გამოთქმაზე შევაჩერეთ ყურადღება, თქმიდან არ გადაგვიხვევია, რადგან აფორიზმებისათვის დამახასიათებელი

გონიერება პერსონაჟმა ფაქტიურად რიტორიკული შეკითხვის სემანტიკურ ველში მოაქცია.

პოემის IV თავი იწყება ჩერქეზთა მხარის თბილი დახასიათებით. გამოვლენილია ავტორის პოზიცია იმ გეოგრაფიული გარემოსადმი, რომელშიც მოუწევთ გმირებს მოქმედება. აქ კიდევ ერთხელ მეღავნდება ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივი ხედვა-სხვა კუთხეებისადმი და მათი შვილებისადმი სიმპათიური დამოკიდებულება. ჩანს, ჩერქეზთა ქვეყანაც, საქართველოს მსგავსად, მძიმე პრობლემის წინაშე დაუყენებია მტერს, პოემის მიხედვით, ჩერქეზთა ქვეყანაც ლეთისგან ნაკურთხია უკვდავებითა, ისიც ქორ-შევარდენთა ბუდეა და, რაც მთავარია,-„ბევრი გაზარდა ვაჟკაცი//თავის წყლულების საპოხლად// თავისა სადიდებელად// მტრისა გულ-მკერდის საპობლად”(35,220) და აქვე ჩაილაპარაკებს სხვათაშორისად:

5) ნეტავ ვინ დასძრავს ბაგესა

არწივთა ბუდის საგმობლად?!(31,220)

მყისიერია შეყოვნება მთხოობელისა ამ რიტორიკული შეკითხვის დასმისას. როგორც წესია, უკვე შეკითხვაშივეა პასუხი გაცემული და კომენტარები ზედმეტია. ვფიქრობთ, შეიგრძნობა საერთო დინებიდან თხრობის რიტმის ამოვარდნა, ერთი ტონალობიდან განსხვავებულზე გადასვლა.

შემდგომ სინტაქსურ ფიგურამდე პოემაში ვიხილავთ ანდაზურ თქმას, აფორიზმებს, წყევლას, ანდაზას. თხზულების VI თავში გვხვდება შემდეგი სახის პოეზური გამოთქმა, რომელიც გაწილებულ, აფორიაქტულ ქიჩირს ეკუთვნის:

6) მიდის ტყვ-ტყვ და მიუბნობს:

-წადი, კაცს ენდე სოფლადა,

შენს მოსაკლავად ის მოდის,

ვინც გიცხობს კარგის მყოფლადა(31,229)

როგორც ვხედავთ, ქიჩირის სიტყვებში პოეზური გამოთქმა „შიშველი აზრ-ფორმულის სახითაა” წარმოდგენილი და ეს „„გამოთქმა ეწ. მედიტაციის ხასიათს იძენს”(44,76). ნათქვამი პერსონაჟისა გარკვეულ სტილურ ნიშანსაც ატარებს. კურძოდ, მისი აზრი თითქმის კატეგორიული ფორმითაა გადმოცემული (21,76). თუმცა, იმავდროულად გულნატკენი, გაწილებული კაცის მწარე განწყობილებითაა შეზავებული. მოცემულ პასაჟში სწორედ ეს მომენტი მიგვაჩნია წამყვან ფაქტორად.

„სისხლის ძიების” მეთერთმეტე თავი მთლიანად მთხოობელს (ავტორს) დაუკავებია. აქ ის ვითარებაა, რომ მთხოობელის (ავტორის) თხრობის ფუნქცია გარკვეულწილად განმარტების ფუნქციას იძენს, რომელშიც მინიშნებულია

განსჯის, ინტერპრეტაციის ასევე ტემპორალობის იდეები'(121,179). აქ მთავარი დატვირთვა მოდის XI თავის საფინალო აკორდზე: ასლანმა „სიფლიდეს მიშმართა” და ამ გზით გადაწყვიტა ქიჩირის ხელში ჩაგდება. ეს გზა კი მიუღებელი აღმოჩნდა მთხოვნელისათვის და მკაცრად განსჯის უღირს პიროვნებას. ბოლოს რასაც იტყვის იგი, ნათელი ნიმუშია სიუჟეტური ჩარჩოდან გადახვევისა. დიდია განზოგადების ხარისხი და მკითხველთან მჭიდრო კონტაქტს რიტორიკული შეკითხვით ამჟარებს, რომელიც ანდაზური გამოთქმითაცაა ფონირებული:

7) ენაზე მჭრელი არა არს,-
ძველებსაც უთქვამს სწორედა,
ვაჲ, კაცნო, ბევრჯელ ბრმანი ხართ,
სშირად ქვას უენ-პიროსა
ქვეყნის შემქმნელად პგონებთა!(31,285)

დაბოლოს სულ ორიოდე პასაჟში გამოჩნდება ქიჩირის დედა. მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოეტურმა გენიამ ასევე ორიოდე შტრიხით გამოქერწა დედის კოლორიტული სახე. ჭეშმარიტებას ამბობენ, რომ დიდი ვაჟა უაღრესად რაინდია, კეთილშობილურია მანდილოსნის მიმართ (თუ მას არ მივაწერთ მინდიას, გოგოთურის, დემურის სიტყვებს თავთავისი მეუღლების მისამართით თქმულთ და არც უნდა მივაწეროთ): იქნება ეს სანათა, სხლოვანში ატირებული მოხუცი, ადაზა, ლელა, ეთერი თუ სხვა. მათ რიგებში უნდა მოვიხსენიოთ ქიჩირის დედაც.

ეს პიროვნება ჩნდება შვილთან საუბრის დროს და ცხოვრებისაგან დაბრძენებული დედაკაცი ჭკუას არიგებს, აფრთხილებს არცთუისე გამოუცდელ ვაჟკაცს.

როგორც ამბის განვითარებიდან ჩანს, ფლიდმა შუაკაცმა დაიყოლია ქიჩირი და მიიწვია „შესარიგებლად” ასლანთან. ქიჩირისთვის მყარი აღმოჩნდა პირობის არგუმენტები-, „ბოლოს იფიქრა-წავიდეს//თუკი ქვეყნას არგებდა”(31,238). ამით მოტყუვდა ქიჩირი, დედამისი კი-არა. მას უკეთ სცოდნია ასლანის ბუნება და სურს გონებაზე მოიყვანოს, გამოარკვიოს თავისი შვილიც, რათა არ ენდოს ასლანს.

მოხუცი ყოველნაირად ცდილობს, შვილს გადააფიქრებინოს ასლანთან წასვლა. პირდაპირია იგი და მშვენიერ არგუმენტებსაც იშველიებს:

-რას ამბობ? როგორ ენდობი,
გონება-გამოშრეტილო!
ბალდი ხარ, ახლაც მოსტყუვდა,
რომ მგელს ეძლევი პირშია.
ვინ მისცემს, სად გაგონილა,

ბიჭო, ბედაურს ვირშია?!
 ზავისა იმან რა იცის,
 გველ-ბაყაყების ბუდემა,
 ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა,
 და ჯოჯოხეთის ზღუდემა?(31,239).

აღელვებული დედის სიტყვებში დისონანსი არ შეაქვს მის მიერ თქმულ ფრაზას-„ვინ მისცემს, სად გაგონილა,// ბიჭო, ბედაურს ვირშია?” სიტყვათა ეს კომპლექსი საინტერესოდ გვეჩვენება იმიტომაც, რომ, ჩვენი რწმენით, აქ ერთდროულად სამი სახის მხატვრულ-სტილისტური ერთეულია შერწყმული: აფორიზმიც, რიტორიკული შეკითხვაცა და მიმართვაც. ვფიქრობთ, აღნიშნული ფრაზა ალბათ შეიძენდა ცალკე აფორიზმის, ცალკე ანდაზისა თუ ცალკე სიტყვის მასალის ფუნქციებსაც.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიების” ტექსტის ინტერპრეტაცია ვეცადეთ მოგვეცა პოეტურ-სინტაქსური ფიგურების ანალიზის საშუალებით. ფურადღება გავამახვილეთ ძირითადად რიტორიკულ შეძახილზე, სათანადოდ გაშუქდა თხზულების იდეურ-თემატიკური მხარე იმ სახის კონტექსტების გათვალისწინებით, რომლებშიც ხსენებული პოეტური ფიგურები მოქცეულნი არიან სხვა სტილურ მოვლენათა სემანტიკურ ველში. თითოეული სინტაქსური ფიგურის ანალიზისას ხაზი გაესვა იქ აკუმულირებულ მოტივაციას, მათში ჩადებულ მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას.

ვაჟა-ფშველა „სისხლის ძიებაში”, ჩერქეზების, არაქრისტიანი ტომის შვილთა ცხოვრებას აღწერს. მისი რწმენიდან გამომდინარე, მისთვის ეროვნებას, რჯულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, როდესაც აქცენტი ზნეობაზეა გადატნილი. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „წუთისოფელი ვაჟას შემოქმედებაში სინათლისა და სიბრელის, სიკეთისა და ბოროტების, სილამაზისა და სიმახინჯის, სიკვდილისა და სიცოცხლის ჭიდილია”(101,262). ამ თვალთახედვის არეალში უნდა გავიაზროთ ამ პოემის სათაურის შინაარსიც.

სათანადო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „შურისძიება (აქ სისხლის ძიება-უკ.) არის მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირებისათვის ან ზიანისათვის სამაგიეროს გადახდა...“

...შურისძიების გრძნობა თავისი წარმოშობით ინსტიქტთა სფეროს განეკუთვნება და რისხვის გამომხატველ გრძნობათა კლასში ჩაირთვის, ხოლო შემდგომ, მისი განვითარების მანძილზე, როდესაც მასში გონების აქტივობაც ერევა, ის მიჩნეულია სამართლიანობის გრძნობის გამოვლინებად. ბოლოს ის

სოციალურ მნიშვნელობას იძენს, განიცდება როგორც მოვალეობა კოლექტივის წინაშე და ამდენად ზნეობრივი ნორმის სახეს იღებს”(11,178-179).

ნათელია, რომ აქ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან თითქმის ყველა კომპონენტი შეეფარდება პოემაში განვითარებულ მოვლენებს. როგორც ზემოთ გვაქვს მითითებული, თხზულების ტექსტის ინტერპრეტაციაში, გარდა რიტორიკული გამოთქმებისა, დამატებით დიდ როლს თამაშობს სხვა ისეთი სტილისტიკური ფაქტორები, მხატვრული გამოსახვის ის ხერხები და საშუალებები, რომლებიც დატვირთულია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, დიდაქტიკური, საყოფაცხოვრებო თუ წმინდა ზნეობრივი ტენდენციებით; თითოეული მათგანი ხომ ზედმიწევნით და სრულად ასაბუთებს როგორც თხზულების მოტივაციას, ისე მოქმედ პირთა მსოფლშეგრძნებას, მათ ფსიქოლოგიას, ანუ რომელთა საქმეების მოტივირებაც დეტალურადაა გაშიფრული სიუჟეტურ პასაჟებში.

ქვემოთ გთავაზობთ პოემის ძირითად სიუჟეტურ ქარგაში თუ მის ჩარჩოებს მიღმა ჩანართებში, გადახვევებში, ლირიკულ წიაღსვლებში არსებულ ჩვენი შეხედულებით პოეტურ და ბრძნულ გამონათქვამად მიჩნეულ ნიმუშებს.

ბ-ნ გელა სითიძის მიერ თავის დროზე (1961წ.) პოემა „სისხლის ძიებიდან” გამოკრებილია ოცი აფორიზმი. დამატებით მოვიძიეთ: ექვსი აფორიზმი და სამი აფორიზმული თქმა, ორი ანდაზა, ორი ანდაზური თქმა, ერთი წყევლა, ერთი სიტყვის მასალა, ოთხი შეგონება.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები ოდენ გამოიკრიბა ტექსტიდან და მათი ფუნქცია-დანიშნულებაზე, სემანტიკურ მხარეზე მსჯელობა სამერმისოდ გადავდეთ.

ბრძნულ და პოეტურ თქმათა კლასიფიკაციის სრული სურათი ასე წარმოგვიდგენია:

I. აფორიზმები

1. მთხოვობელი:

მტრობა, ტრფობა და სიძულე
ერთურთს უგმობენ სახეთა.

(31,144)

2. მთხოვობელი:

გაფხავებული მახვილი
მოსაქნევია დონედა

(31,144)

3. ქიჩირი:

ეს წვეულება მტკიცედ გვაქვს

წმინდად შენახვა კერისა,
პირობის დაურღვევლობა,
ძმად შინ შენახვა მტერისა.

(31,147)

4. ასლანი:

მტრობისთვის მტრობა უზომო
წესია ჩვენი მიწისა.

(31,147)

5. მთხობელი:

გმირების მოყვარულია
თვალი და გული ერისა.

(31,147)

6. მთხობელი:

ცეცხლი ცეცხლს დასწვავს, რა უშავს,
გარს შემორტყმული ალებით,
თვით იტანჯება, რომ იწვის,
სხვას კი გაათბობს წვალებით.

7. ქიჩირი:

თავის გაწირვა ადვილად
ვაჟაცო სულის ღონეა. (31,148).

II აფორიზმული გამოთქმები

1. მთხობელი:

ყვავილნი სანთლად ნათობენ,
გმირთ სულებს გაახარებსა. (31, 142)

2. ასლანის მსახური:

დიაცის ფიქრი წყეულ არს,
ვინ შევა იმის პვლევაში? (31,143)

3. ქიჩირი:

სულდგმული დღესაც ვსულდგმულებ
მამა-პაპათა რჯულითა;

ნაგრძნობი ჩემის გულისა
არ მიწონია ფულითა...
ვინ იცის, ვინა ვცხონდებით
და ვინ წავწყდებით სულითა! (31,148)

III ანდაზები

1. მოხრობელი:

გული ეძლევა მხედარსა
მტერთან შეყრისა ნდომითა. (31,140)

2. მოხრობელი:

თავის წამწყმედის წაწყმედა
მისი წესი და რჯულია (31,141)

IV ანდაზური თქმები

1. დემური:

ახლა თითონაც იგემოს
გემო ნალესის ხმალისა:
თუ სხვაზე ძალა კარგია,
ჰა, ესეც სიტყბო ძალისა. (31,138)

2. ქიჩირი:

ვაი, შენ, ფიცის გამტეხო!
შენებრ არ მოვალ ფარულად!
მელა არა ვარ, არც ტურა,
ქათმებს ვეპარო მალულად!(2,141)

V წევლა

1. დემურის ცოლი:

შენი უმსგავსი მარჯვენა
მტერსაც მიეკრას ქაგზედა!(31,138)

VI სიტყვის მასალა:

1. ქიჩირი
როდი მაშინებს სიცოცხლის
სიკვდილად გადაცვალება.(31,144)

2. ქიჩირი:
ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
რომ მომატყუე ზავითა,
ნუ წარყვნი მომმეთ ბუნებას
შხამ-საწამლავით ავითა.(31,146)

3. ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა,
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსო კი
კალთებს აფარებს, ჰშველისა,
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოთ ელისა. (31,148)

4. მოხრობელი:
ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
შიგ ცოდვა-ბრალი დიდია,
ბუნება წარძსაც არ იხრის,
მაინც მშვიდი და მშვიდია. (31,149).

5. ქიჩირის დედა:
ვინ მისცემს, სად გაგონილა,
ბიჭო, ბედაურს ვირშია?!(31,145)

6. ქიჩირი:
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოთ ელისა (31, 148)

VIII. რიტორიკული შეკითხვა

1. ავტორი:
განა მარტოკა კაცო გვიყვარს

თავისი მიწა მშობელი?! (31, 136)

2. ავტორი:

რად არი გაუმაძღარი

ნეტა ბუნება ზოგისა?(31,136)

3. ქიჩირბეჭი:

სხვისა ნაყმევი, ნალახი

გამოადგება ვის რადა?(31,137)

4. ავტორი:

ნეტავ ვინ დასძრავს ბაგესა

არწივთა ბუდის საგმობლად?(31,137)

IX. რიტორიკული შეძახილი

1. ქიჩირი:

წადი, კაცს ენდე სოფლადა,

შენს მოსაკლავად ის მოდის,

ვინც გიცნობს კარგის მყოფადა (31,141)

X. რიტორიკული მიმართვა

1. ავტორი:

ვაჲ, კაცნო, ბევრჯერ ბრმანი ხართ,

ხშირად უღირსთა ჰმონებთა (31,144).

პოემა „მამიდის დანაბარები” ვაჲას მიერ გამოქვეყნდა „ივერიის” 1902 წლის №39-ში. თემისა და იდეის მიხედვით ნაწარმოები უაღრესად ტრადიციულია... აქ თაობიდან თაობაზე გარდასულ გადმოცემებით არის ნასაზრდოები ჩვენი ხალხის პატრიოტული თავდადების დახასიათება, წარსული შეპირისპირებულია აწმყოსთან უკანასკნელის დაკნინების საჩვენებლად (48,146). ჩვენი მხრივ აქვე დავამატებდით, რომ ეს პოემაც „არსებითად მონოთემატურია”(გრ. კიკნაძე).

თხზულების კომპლექსურ ანალიზს დავიწყებთ მისი სათაურის დახასიათებით, რადგან, ტრადიციულად, სათაური ნაწარმოების მნიშვნელოვან კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სათაურის ფუნქციის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. ჩვენი არჩევანი შევაჩერეთ პროფ. ფიქრია

ზანდუკელის ნაშრომზე „ცხოველთა ეპოსის სტრუქტურული საკითხები”, რომელიც ნაწილობრივ ზემოთ მოვიხმეთ: აქ გვაქვს ე.წ. „ორწევრიანი სათაური” და ის ინფორმაციული ხასიათისაა, დიდი დოზით შეიცავს დაინტერესების ფაქტორს (38,92).

ეს პატარა პოემა პეტაჟური უვერტიურის გარეშე იწყება. თუ გავიხსენებთ „ალუდა ქეთელაურს”, „მამიდის დანაბარების” საწყის სტრიქონში მისი ფრაზების ელემენტების თვითგანმეორებაც შეიმჩნევა: „ალუდა-ქეთელაურში”-ბისოს მოვიდა ამბავი” და „მამიდის დანაბარებში”-„ალუდს მოუდის ამბავი”. ეს მომენტი ხომ პოეტის ერთ-ერთი სტილურ-კომპოზიციური ხელწერის ნიმუშია. მართალია, სათაურის ქვეშ ავტორის მიერ მითითებული არ არის მისი ფაბულის ჟანრული კუთვნილება, მაგრამ პოემის პირველივე სტრიქონი მიუთითებს, რომ ეს არის ლექსად თქმული პატარა ამბავი, ამბის გადმოცემაზე გაშლილ-აგებული სიუჟეტური ხაზით.

იდეური თვალსაზრისით „მამიდის დანაბარები” მოიაზრება საყოფაცხოვრებო-პატრიოტულ ნაწარმოებთა ციკლში. მონოთემატურია თხზულება იმიტომ, რომ ფაბულაში მოცემულია ერთი კონკრეტული თემა-აღსრულდეს მოხუცი ქართველი დედაკაცის, ხოშიას დანაბარები-

„არ დარჩე უკაცრავადა,
სირცხვილი ჩაგბარებია;
ცოცხალსა აუგიანსა
გულს მიწამც დაგფარებია.
ამას გიბარებ... იმედი
შენზე-და დამმყარებია!”

მამიდა ხოშია მმისწულ ალუდას შურისგებას სთხოვდა-მოსისხლე უნდა მოვკლა და მათი ოჯახის წევრის ზურიას სისხლი უნდა აეღო. აღმზრდელობითობის, ზნეობის თვალსაზრისით მოხუცს ჭაბუკი შურისგებაზე არ უნდა წაექმნებინა, მაგრამ იმდროინდელი ტრადიციის მიხედვით შურისგება აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მითუმეტეს, რომ სასულიერო ძეგლებიდან გვებულობთ: „მიუც მახვილი ხელსა მისსა შურის-საგებლად უცხოთესლთა”0. მივდით. 9.2).

პოემაში ორი მთავარი (მამიდა ხოშია, მისი მმისწული ალუდა) და ერთი ეპიზოდური (ბებო) პერსონაჟია. ადაადგილება დროსა და სივრცეში, მართალია, უპირატესად ალუდას უწევს, მაგრამ მთავარი მოქმედი პირი მაინც მამიდა ხოშიაა. ასეთი განვითარება სიუჟეტისა „ვეფხისტყაოსანს” გვაგონებს

(გავიხსენოთ ტარიელისა და ავთანდილის ტანდემი). ამ თხზულების იდეა აკუმულირებელია ხოშიას პიროვნებაში და მისგან კი- ალუდას ქმედებაში.

„მამიდის დანაბარებში” პოემა „სისხლის ძიებასთან” ტიპოლოგიურობის ნიუანსები შეინიშნება მხოლოდ შურისძიების, სისხლისძიების, როგორც აქტის, ასპექტით. თუმცა, მოტივაციურად ქიჩირბეისა („სისხლისძიება”) და ალუდას („მამიდის დანაბარები”) მიერ ჩატარებული აქტები თავისი მიზანსწრაფვით აბსოლუტურად განსხვავებულნი არიან. ეს პოემები ერთიმეორისაგან სხვაობენ მონოთემატურობის („მამიდის დანაბარები”) და პოლითემატურობის („სისხლის ძიება”) მიხედვითაც.

ფაბულის მოცულობაზეც აისახა ეს, ამან კი თავისი გავლენა იქონია თითოეულ ტექსტში რიტორიკულ-ფიგურალური გამოთქმების მხატვრულ-სტილისტიკურ ფუნქციათა როლზე და სიუჟეტის დინამიკურ განვითარებაზე. „მამიდის დანაბარებში” ვაჟასმცოდნეობითი მიღწევების კვალდაკვალ, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გაანალიზდა ტექსტში მოცემული რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული შემახილი, რეტარდაცია.

სულ პოემაში დავაფიქსირეთ აფორიზმის, აფორიზმული გამოთქმების, ანდაზის, ანდაზური თქმების, წყევლის, სიტყვის მასალის, შეგონების, რიტორიკული შეკითხვის, რიტორიკული მიმართვის, რიტორიკული შემახილის 28 საილუსტრაციო პასაჟი.

„შურისმგებლობის ტიპოლოგიურობაში გვიბიძგა „მამიდის დანაბარებშიც” მოგვეცა კლასიფიკაცია ტექსტში არსებული რიტორიკულ-ფიგურალურ გამოთქმათა, სიტყვის მასალისა და ა.შ.

I. აფორიზმები

1. მამიდა ხოშია:

„ცოცხალსა აუგიანსა

გულს მიწაც დაგფარებია”(75,184. გ.ს. №331)

2. ავტორი:

„კარგია თავშესაფარი

დელგმა-ავდარში, წვიმაში”(75,185)

3. ავტორი

„ზოგნი რო ვტირით თავის ბედს,

სხვანი დადიან ცინებით”(75,185).

4. ავტორი:

„რა უყოთ, იმას ესე ჰშვენს,
უნდა იჩხავლოს კატამა.
უნდა მშიერი გააძლოს
წურვილიანმა ქადამა!”(75,185. გ.ს. №220)

5. ავტორი:

„ესისხლოდ რა ქნას ბეზავმა
სისხლის-ძიების მადამა?”(75,185, გ.ს. №289)

6. მამიდა ხოშია:

„ფოლადი უნდა ვაჟპაცი
არ უნდა იყოს ბოშია”(75,185, გ.ს. №297)

7. მამიდა ხოშია:

„საამურია სასინჯად
ვაჟპაცი მტრისა რბევაში”(75,186, გ.ს.№255)

II. სინტაქსური ფიგურები

ა) რიტორიკული შეკითხვები

1. ბებო:

„მოდი და გულზე არ შასვას
ამ სიტყვამ გასასენავმა?!”(75,184)

2. ბებო:

„როდი გაუძღვო სულ-გული
ამდენმა სისხლის დენამა?!”(75,184)

3. ბებო:

„ეგეც რომ მტერსა შევაძლათ
ვინ-და დაგვრჩება ბინაში?!”(75,184)

ბ)მიმართვა

1. ალუდა:

„ტანზე ჩაიცვი სალხინო,

აღარ მეჩვენო შავითა!?”(75,185)

III. შეგონება

1. ავტორი:

„ხევში მოქოთობს მდინარე,
ჯავრობს და წყრება რადამა,
იქნებ იმასაც ჩოდეს
რისთვისა სცოდა ადამმა.(75,185)

IV. ფიცის სიტყვები

1. მამიდა ხოშია:

„თუ რაც აგითქვი, გადავთქვა,
წყელი კიყო დვითსგანა.”(75,186).

V.ანდაზა

1. ალუდა:

„ადვილ ყოფილა, თუ ჯავრი
კაცს მაჲბჯენია ყელშია,
მტრის მოკვლა, ჩემო მამიდავ!(75,186)

VI. რეტრადიცია

1. ავტორი:

მგონია, ასგან დაკოდეს
ვაჟკაცის გული მზერითა (75,186)

VII. სიტყვის მასალა

1. ავტორი:

არაფერი სწყინს პუნებას,
შეუმოსია დიდობა.
უხდება მთათა მაღალთა
გარემოს თვისსა ბინდობა,-
აზრით და ფიქრით ცად ასვლა,
განგებისათვის მინდობა(75,185)

2. ავტორი:

აქოვდა სანოგაგითა
სუფრა, სტუმრის წინ მორთმული.(75,186)

3. მამიდა ხოშია:

არ მინდა ჭუჭყი ეკიდოს
ჩემს გულს, ან შენსა ბარგადა.(75,186)

4. მამიდა ხოშია:

რაკი მტრის ჯაგრი იყარებ,
რაკი არ დარჩი მტრის ქვეშა,
უნდა დავიწვა შენთვისა,
როგორაც საკირის შეშა.(75,186).

5. ავტორი:

დარბაზის დედა-ბოძებს სძრავს
დიდი ფანდური ჟღერითა...
თითქოს მჭედელი პეტრავდეს
გრდემლზე ცივს რკინას კვერითა. (75,186).

VIII. ზღაპრის ფინალის ტრანსფორმირებული ფორმულა

1. ავტორი:

მთას აქათ ისმის ცელქობა,
ტაშის ხმა, როკვა, ბიბინი,
მთას იქით შავ-ბნელობაა,
უმასპინძლდება ქვითინი.(75,186)

არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი დაჯგუფება-კლასიფიკაცია პოეტური სიტყვა-თქმებისა როგორც „სისხლის ძიებაში”, ისე „მამიდის დანაბარებში” ხშირად სუბიექტურია და რიგ შემთხვევაში იქნებ სადაოც იყოს, მაგრამ რაცა გვჯერა, როგორცა გვწამს, ისე წარმოვადგინეთ.

მოხმობილ მაგალითებზე თვალის ერთი გადავლებაც კი ცხადყოფს, რომ ყველა მათგანში ცხადად ჩანს ავტორის ზნეობრივი მრწამსი, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, პოეტური კრედო. ამის თაობაზე მართებულად მიუთითებენ: „ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებულ შემოქმედებით ინტერესს იჩენს ეთიკურად ლირებული პრობლემებისადმი. ამ შემთხვევაში ვაჟას პოეტური იდეალები სათავეს იღებს

ჩვენი ხალხის განცდაში ტრადიციულად დამკვიდრებული ზნეობრივად გამძლე წარმოდგენებიდან”(54,216).

„მამიდის დანაბარებში” ბებო სახეა ცხოვრებისაგან ნატანჯი, მრავალჭირგადანახადი შაგაბიანი დიდებისა, გასაგებია მისი შიში შვილიშვილის მოსალოდნელი ხიფათის მიმართ. გამწარებული დედა, რომელსაც მრავალი შვილი დაპლუპვია მტრებთან ბრძოლისას, ახლა ახირებად თვლის თავისი ქალიშვილის მიერ ალუდას წაქეზებას შურისძიებისათვის:

„შვილები ამამიწყვიტა	ეს ერთი ბალლი-და დაგვრჩა,
მის გესლიანმა ენამა;	მაგასც აგდებს ხიფათში:
როდი გაუძღვო სულ-გული	ეგეც რომ მტრესა შევაკლათ,
ამდენმა სისხლის დენამა?!	ვინ-და დაგვრჩება ბინაში?!”(31,184)
მაგრამ მამიდა ხოშია სანათას („ბახტრიონი”)	ხასიათის გამოდგა.

თუ სანათას და კვირიას დიალოგს თემის გაშლის მრავალი განშტოება მოჰყვა, მამიდის სურვილის აღსრულება მონოთემატურობაში იკეტება. ამ ფრაგმენტში იდეის თვითგანმეორების მომენტი შეიმჩნევა: სანათა-მამიდა ხოშია, ანუ სანათა: „გულიდამ ეკლის სალტასა მაშინის მოვიფონებდი”- „ამას გიბარებ... იმედი შენზე-და დამმყარებია!“-მამიდა ხოშია.

მმისშვილმა უვნებლად შეძლო მამიდის დანაბარების აღსრულება და, გადასცემს რა ზურიას მკვლელის თავსა და მოჭრილ მკლავს, ეტყვის-„ტანზე ჩაიცვი სალხინო, აღარ მეჩვენო შავითა“. სანათას წინასწარი პირობის თითქოს აღსრულება ჩანს ალუდას სიტყვებში (სანათა: „იმავ დღეს, შვილო, დედილამ, ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“) ეს პატარა შტრიხი დეტალის განმეორების ნიმუშად მიგვაჩნია: „ტანზე ჩაიცვი სალხინო, აღარ მეჩვენო შავითა“.

როგორც ცხობილი ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი წერდა: „მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე იგი ყველაზე დიდი ეპიკური აზრის პოეტია მთელ მსოფლიოში. ვაჟა-ფშაველამ პოეზიაში ქართველი ხალხის ეპიკური გენია ყველაზე სრულყოფილად გამოავლინა და დასავლეთის დეკადენტური პოეტური კულტურის გარემოცვის ხანაში პოეზია კლასიკურობისაკენ მოაბრუნა“(103,432). ამის დადასტურებაა „გველის მჭამელიც“, „ძაღლიკა-ხიმი კაურიც“, „სული ობლისაც“ და დანარჩენი პოემებიც.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პროფ. გრიგოლ კიკაძემ, როგორც ვიცით, ცალკე გამოყო „ცოლის მოტივი“ და ვაჟასმცოდნეობაში ფართოდ გაიშალა კვლევა ამ საკითხზე. მკვლევართათვის ქრესტომათიულ სახელმძღვანელოდ იქცა ამ ასპექტით „გოგოთურ და აფშინასა“ და „გველის-მჭამელის“ შედარებითი ანალიზი (იხ. სათანადო ლიტერატურა).

მართლაც, ორი დიდი პიროვნების-გოგოთურისა და მინდიას-ცოლთა ბრწყინვალე მხატვრული სახეები მკითხველთ ხიბლავენ, როგორც შვილების, ოჯახების ინტერესთა დამცველები; მიუხედავად იმისა, რომ რაღაცა დოზით „მკაცრად” უწევთ თავიანთი ქმრებისათვის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პრეტენზიების წაყენება; ვნეხეთ, რა უარყოფით რეაქციას ამჟღავნებენ გოგოთურიცა და მინდიაც ამაზე. ვფიქრობთ, დიდმა პოეტმა საფიქრალი დაგვიტოვა. ჩვენი რწმენით, არც ერთ მხარეს არ გაემტყუნება თავისი პოზიციების დაცვა. ამით ქართული ოჯახის ზნეობრივ სიწმინდეს ოდნავაც არ მისდგომია ჩრდილი.

თუმცა.. ვაჟას მიერ 1908 წელს დაწერილი და 1916 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში” გამოქვეყნდა პოემა-„ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი. თქმული თანდილა არაგველისა”. ვაჟასმცოდნეობაში სამართლიანად უყენებენ პრეტენზიას ამ თხზულების მხატვრულ დონეს, მაგრამ თემატიკითა და იდეით იქ ბევრი საგანგაშო მოვლენაა განსახოვნებული-აქაც ცოლის მოტივი, ოჯახის პრობლემაა წინ წამოწეული, მაგრამ „გოგოთურ და აფშინასაგან” და „გველის-მჭამელისაგან” აბსოლუტურად განსხვავებული.

პოემის სათაურიც მიგვითითებს, რომ ფაბულა სათავგადასავლო ხასიათის იქნება. სიუჟეტური ხაზი და მთელი ნაწარმოების მოვლენები პირველი პირითაა გადმოცემული, სიმწრით ნათქვამი ავტობიოგრაფიაა ფაქტიურად.

პოემის I და II თავები თავისებური პროლოგია ფაბულისა და როგორც პროლოგს მოეთხოვება, კომპაქტურადაა ჩამოყალიბებული ძირითადი იდეის არსი.

თანდილას ნაამბობში, ფაქტიურად, იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფერო იხატება. კერძოდ, დასაწყისშივე მითითებულია, თუ როგორაა ქალის ზნეობრივი დეგრადირება. მართალია, ეს იშვიათობად უნდა მოვიაზროთ, მაგრამ დაცემის სიმპტომების გაჩენა უკვე ხიფათის მომასწავებელია და პოეტიც „ჩვენს ცუდს არ მაღავს”(ილია).

ხელმოცარული პიროვნებაა თანდილა არაგველი. მიზეზი მისი უბედურებისა მისივე ცოლი გამხდარა და სვე-ბედ გამწარებული საჯაროდ მოთქვამს: „მაინც გუცდები, მოგითხოვთ ჩემი ამბავი სრულია, სიტყბო ქცეული შხამადა, სიამე დაკარგულია”(31,238).

დიაცისადმი საყვედურის გამოხატვის ნაცნობი მოტივი ჩანს მიტოს პერსონაჟის მიერ თქმულ განმაზოგადებელ სიტვაში (გავიხსენოთ მინდია, გოგოთური):

ნუ მიენდობი დიაცსა,

მის ერთგულების ფიცილსა,

დაგიგებს ეკლის ლოგინსა,

ეკლის დაგხურავს საბანსა,

ნურც ხვევნა-კოცნას,-ცრუვია,
ნურც იმის სიცილ-კისკისსა:
შენ რომ გიცინის, იმავ დროს
სხვასაც დაუწყებს დიმილსა.

რომ არ გეგონოს, ერთს წამში
შექმნის საზღაპრო ამბავსა.
დაგაწყევლინებს დედის მკერდს,
თავის ბედს, თავის აკვანსა

(31,239).

შემდეგ თანდილა დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ როგორ, რა
თავგადასავლის შედეგად დაოჯახდა მიტო და რა მწარედ იქნა მოტყუებული,
იმედგაცრუებული.

მისი მოთქმა-გოდება არ არის მონოტონური, აქა-იქ იუმორსაც არ გაურბის
იგი თავისი თავგადასვლის აღწერისას. რაც მოიმკო ვნებას აყოლილმა,
გონებადაბინდულმა, მალევე გაცხადდება, მაგრამ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდება
ყველაფერი-,,იმ დროსა ტკბილი, დღეს შხამით მთელს საქართველოს გადასწვდა.
თქვენს მტერს და ავის მენდომეს, რაც მე თავს ბედი გადამხდა... დღეს იმ
თვალების სიტუაციე შხამისას მაწვდის ფიალას”(31,242).

კატო უკვე ტიპია, რომელითაც სოფლის ზეობრივ სურათს გვიხატავს
მთხობელი, რაც უნდა აღვიქვათ საგანგაშო სიგნალად. უმანკოებადაკარგული
ქალი შეაჩეჩეს თავმომწონე კაცს, მაგრამ ქალის გაქლესილმა ენამ, ცბიერმა
ცრემლებმა და ალერსმა თავისი გაიტანა და ბედს შერიგებული იტყვის: „როგორც
ცოდვილი ხატის წინ, ფეხთ-ქვეშ ვეგები ფლასადა”(31,245).

ტიპიურია ის გარემო, ატმოსფერო, რაც შექმნა კატომ. ესაა უზნეობის,
ძველი ტრადიციების რდვევის რეალისტური სურათი. ტიპიურია მოტყუებული
ქმრის სახეც. თვითონ მიტუა ირონიით გადმოგვცემს თავისი, ანუ გაბრიყვებული
ქმრის უნიათობას:

რა მიჭირს, ცოლი კარგი მყავს,
წმინდაა, როგორც ღვთაება,
თუმც ვეხვეწები შინ იჯდეს...
ძალად საქმეში ჩაება.
თურმე სხვა საქმეს აკეთებს,
მე არა მქონდა გაგება(31,246).

ღალატში გამოჭერილ ცოლს გაეყარა მიტუა, მაგრამ კატოში იძალა
აგრესიულმა პროვინციალიზმმა და შავი დღე დააწია ქმარყოფილს. ეს მომენტი
ჩვეულებრივ აქტად ჩაითვლებოდა, რომ მიტოს უფრო სხვა სახიფათო შეფასება არ
მოეცა მკითხველისათვის. მას არა მხოლოდ პირადი ოჯახის ნგრევა ადარდებს,
არამედ ასეთი ქალის საქციელი ეროვნული უბედურების მომტანიცააო.

„ტიმოშკინ-პურიშევიჩი

ჩემს წმინდან ცოლთან ფასობენ,
ქართველებ, საქართველოზე
ისინი ვერა ბრაზობენ
იმდენს, რამდენსა ეს ნაგსობს
ეს ჩემი ვარდი გულისა
დღეს კი შხამი და ნაღველი
და ამომწვდელი სულისა (31,247).

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველამ სულ სხვა რაკურსით წარმოადგინა ქართული ოჯახის პრობლემა. ის ოჯახი, რომელსაც საფუძვლად დაედება დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა, სიცრუე, ანგარება, ცინიზმი, ლალატი, დასანგრევადაა განწირული. ვაჟას ამ ნაწარმოებზე ამდენს არ შევჩერდებოდით, აქ აღწერილი ამბავი ზოგადი ეროვნული კატასტროფის ტიპიური მოვლენა რომ არ ყოფილიყო იმ დროისთვის. გავიხსენოთ თუნდაც შიო არაგვისპირელის, მოპასანის ნოველები. სწორედ აქ მართლდება, ჩვენი ფიქრით, ცნობილი დებულება-„ტიპიურის ასახვა ტიპიურ გარემოში”. აქ აღარ შევჩერდებით იმ ფაბულების, სიუჟეტური ხაზების დამოწმებაზე, რომლებიც ჭარბადაა მოცემული შიო არაგვისპირელის ნოველებში: „ხითხითებს და ხითხითებს”, „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა”, „ბალდი ყოფილხარ!” და სხვა.

შიო არაგვისპირელის სკეფსისზე სიყვარულის თაობაზე თავის დროზე ხმამაღლა ითქვა ქართულ კრიტიკაში-„ივერიის” წერილები, კიტა აბაშიძე, მიხეილ ზანდუკელი, სერგი ჭილაძა, დიმიტრი ბერნაშვილი და სხვა.

ჩანს, არაგვის ხეობის მკვიდრთ ერთნაირად აწუხებდა ოჯახური სიწმინდის დაცვის პრობლემა, მაგრამ ეს რომ მარტო XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის ათიანი წლებისათვის ყოფილიყო ტიპიური მოვლენა, გასაგები იქნებოდა, მაგრამ ეს ისეთი სიცოცხლისუნარიანი, მცოცავი მანკიერებაა, რომ მსგავსმა ტიპიურმა ამბავმა თავისი ბრწყინვალე ასახვა პპოვა მიხეილ ჯავახიშვილის რომანშიც „თეთრი საყელო”(1926წ.).

გულჩინას („მხრები-და ავიჩეჩე”), ანას („ხითხითებს და ხითხითებს”), ბათოს („ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა გმინავდა”)-(შიო არაგვისპირელი), კატოს („ცოლი ანუ ჩემი თავგადასავალი-(ვაჟა-ფშაველასი) რიგს უერთდება ცუცქიაც (მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელოდან”). მათი სახით საერთო ხასიათის ტიპებთან გვაქვს საქმე.

პროფ. დიმიტრი ბენაშვილი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაზე საუბრისას წერს: „შიო არაგვისპირელის აზრით, სიყვარულისაგან განტვირთული ოჯახური მოვალეობის გრძნობა ადამიანს აჩვევს სიცრუეს, ორპირობას,

ვერაგობას, ეგოიზმს, პატივმოყვარეობას და უოველივე მანკიერ გრძნობას, რომელიც ხრწნის ოჯახს, როგორც ერის სასიცოცხლო უჯრედს. ოჯახის საფუძვლების შერყევა ბუნებრივად იწვევს ეროვნული ცხოვრების მოშლასაც. ეს გარემოება დაედო საფუძვლად შიო არაგვისპირელის სევდიან კილოს”(10,136).

ანალოგიური განწყობილებისაა ვაჟის დამოკიდებულებაც ხსენებულ პოემაში გაშლილი კოლიზიების მიმართ. ეს ტრაგედია მიხეილ ჯავახიშვილმა ორი საგულისხმო სახე-დეტალით დაამძიმა სულ სხვა ფორმაციის დროს, სულ სხვა ვითარებაში. კერძოდ, ცუცქიამ როდესაც დეიდა მაიკოს წერილი წაიკითხა ასეთი რეაქცია გამოამჟღავნა:

-ოჩენ ნადო!-წამოიძახა ცუცქიამ, ის წერილი რომ წაიკითხა, და ინგლისური კაპი ჩამოიფხატა.-პადუმაეშ!

და ქალთა კრებაზე წავიდა. “ ეს საგულისხმო სახე-დეტალებია ინგლისური კაპი და რუსული საუბარი.

ამ ბრწყინვალე სამეულის შემოქმედებითი თანხვედნა სასიკეთო მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიისათვის, განსაკუთრებით ეპოსის განვითარებისათვის. საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ისტორიამ შიო არაგვისპირელის შემოქმედებასაც, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებასაც. მაგრამ გამორჩეულად მაინც ვაჟა-ფშაველაა კანონიერად დაფასებული. ვაჟას ეპოსის არსი გვხურს წარმოვადგინოთ ტიციან ტაბიძის ბრწყინვალე წერილის მიხედვით. დიდი პოეტი ბრძანებდა: „მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ შესძლო მიეცა ქართული მწერლობისათვის ნამდვილი ეპოსი... ქართული ეპოსის საუკეთესო ნაწარმოებებად ჩაითვლებიან ვაჟა-ფშაველას პოემები... ვაჟას ფანტაზია აქ მეტ გასაჭანს ნახულობს, გრძელი რბენით გათამამებული ლექსი უფრო აწყვეტილია და სწრაფი...

სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში პროზას... ვაჟა წერის მანერით რეალისტია. მისი სტილი დახვეწილია, არა აქვს არც ერთი პროვინციული გამოთქმა და მისი წმინდა ქართული კიდევ დიდხანს დარჩება ქართულ მწერლობაში”(83,25-26).

III. თავი- დრამატული ჟანრი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (1910-იანი წლების მიხედვით)

პროფ. აკაკი გაწერელია აღნიშნავდა: „პოეტის (ვაჟასი ჟ.კ) ეპიკური ნაწარმოებების შინაგანი დრამატიზმი, მთელი რიგი ეპიზოდების აგება დრამატული პრინციპის მიხედვით, მძაფრი დიალოგებისა თუ რეპლიკების იშვიათი ოსტატობა (მაგ. ალექსა და მუცალის ურთიერთგადაძახილები პოემაში „ალექსა ქეთელაური“)-საერთოდ მკაფიო სცენურობა ცალკეული პასაჟებისა (მოვიგონოთ დრამატული სცენები „სტუმარ-მასპინძლიდან“ და „სისხლის ძიებიდან“), იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ გვითვალისწინებს პოეტის მისწრაფებას სიუჟეტური დრამატურგიული აგებისადმი. არაა შემთხვევითი, რომ ვაჟას მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე არ განელებია ინტერესი დრამის, როგორც ჟანრისადმი”(21,486).

ამის შესახებ ადრეც მიუთითებდნენ პროფ. გრ. კიკნაძე, პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძე, პროფ. დიმიტრი ბენაშვილი, პროფ. ა.მახარაძე. ამგვარი ტენდენცია ვაჟას მწერლური ხელწერისა გასათვალისწინებელია, რადგან XIX საუკუნეში, განსაკუთრებით 90-იანი წლების ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში „ქართულ დრამაში არ ჩანდა იმ დროს ქართველი კაცი, თავისი ნამდვილი ფიქრებით, განცდებით, მისწრაფებებით და ვნებებით.“ ეს იმდროინდელი საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხად იყო მიჩნეული და მკვლევარი (ა.გაწერელია ჟ.კ) იქვე იშველიებს ილია ჭავჭავაძის აზრს ამის თაობაზე. ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში“ მიუთითებდათ: „დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ, რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტად მჭრელი, მეტისმეტად მხილავი ნიჭი უნდა, მეტისმეტად ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რამ მოჰყინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია, და რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამდენადაც უფრო ახლოს მიუვალთ. ამიტომ დრამის შექმნა, ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდაც ნიჭიერიც, ვერ ჰბედავს ხელი შეჭმართოს“(21,487). ვხელმძღვანელობთ პროფ. გრიგოლ კიკნაძის დებულებით: „ვაჟას შემოქმედებაზე ასე თუ ისე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მისი პიესებიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რამდენადაც ვაჟას დრამატული მემკვიდრეობა მისი ნიჭის მრავალფეროვნების ერთი დამადასტურებელი საბუთთაგანია“(49,248).

ქართული ლიტერატურის კრიტიკაში ძირითადად ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვეთილია” განხილული (გრიგოლ კიქნაძე: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება”, აკაკი გაწერელია: „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV”, დიმიტრი ბენაშვილი: „ვაჟა-ფშაველა. შემოქმედი და მოაზროვნე”, აპოლონ მახარაძე, ვაჟა-ფშაველას დრამატურგიის სწავლებისათვის XI კლასში. ქართული ენისა და ლიტ. სწავლების საკითხები სკოლაში, 1955წ. კრებ.8 და სხვა).

ვაჟა-ფშაველას ყველა „სცენა” და „მოკვეთილი” XIX საუკუნის დროის ფარგლებშია მოქცეული. მხოლოდ „ტყის კომედიაა” შექმნილი XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში. ეს პიესა გამოქვეყნდა ურნალ „ნაკადულში” (მოზრდილთავის), 1911წელი, №3. გვ.5.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „წიგნში... განხილულია საქართველოში დრამის მიერ ნათლად განსაზღვრული პიესის უანრი-კომედია.

მიუთითებენ, რომ არსად არ შეხებია დრამის თეორიულ საკითხს ვაჟა-ფშაველა. თუმცა, იმდროინდელი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება უყურადღებოდ არ ტოვებდა მას, დრამატურგიას. ეს პრობლემა მონოგრაფიულად არის წარმოდგენილი ი.ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და გ.წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევში. გაშუქებულია შეხედულებანი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დრამის სპეციფიკა, დრამატული კონფლიქტისა და ხასიათის ბუნება, დრამის სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებები, კომიკურისა და ტრაგიკულის ესთეტიკური არსი და სხვა(56,2).

ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს დრამის თაობაზე თეორიულ სიღრმეებში წვდომა. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ კომედიის შესახებ, იმასაც მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ნააზრევის გათვალისწინებით.(ციტირებებს მოვახდენთ პროფ. გივი ლომიძის მონოგრაფიიდან).

დიდი ილია მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით შეეხო დრამატულ უანრებს, მათ შორის კომედიას. ილიას შეხედულებით „კომედია ასახავს სინამდვილის, ცხოვრების უარყოფით მხარეებს, რაიმე ცდომილებას, გაუგებრობას, ცუდ ზეგ-ჩვეულებასა და საქციელს”(56,74). კომედიის ნიშან-თვისებათაგან გამოყოფილია სიცილი და პროფ. გ.ლომიძის დასკვნის მიხედვით: „კომედიაში გამოყენებული სიცილი, როგორც უარყოფითის უარყოფის, მანკიერების მხილების, კრიტიკის ფორმა უნდა იყოს, „ბასრ ხმალზე უფრო მჭრელი”, „ცრემლზე მწარე”, და გარკვეული მიზანდასახულობის მქონე და არა უბრალო გასართობი, თვითმიზნური”(56,75). თუ ამ კრიტერიუმებით მიგუდგებით ვაჟას „ტყის კომედიას”, ზემოთქმული პუნქტებიდან ყველაზე უფრო მეტად გარკვეულია მიზანდასახულება

პიესის ავტორისა. მიუთითებენ, რომ „გაუას ნაწარმოებთა გმირების საყოფაცხოვრებო ლოკალი მიკროეთნოგრაფიული ხასიათისა”(102,2).

გაუა-დრამატურგი ამ პატარა პიესაშიც „ქოველგვარი პათეტიკის გარეშე მუხტავს მკითხველს ამაღლებული ზნეობით”(102,289). ეს იმიტომაცაა განსაკუთრებით ხაზგასმული, რომ ნაწარმოები ბავშვებსთვისაა გამიზნული.

ავტორის მიერ პიესის ფორმად შერჩეულია ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ჟანრის კომედია.

ამბის სიმარტივით, მოქმედების დინამიკურობით, ემოციური მუხტით პიესა გარკვეულ ლირიკულ შეფასებას დებულობს. სათანადო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ოჯახურ-საყოფაცხოვრებო” ჟანრის კომედია თავისი ბუნებით უახლოვდებაო ე.წ. ლირიკულ კომედიას. „ამ ჟანრის პიესებში უმთავრესია ქვეტექსტები, რომლითაც პერსონაჟთა რეპლიკები ატარებენ იუმორისტულ ხასიათს”(13,366-367).

როგორც პროფ. გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს: ვაჟას „...მოთხრობები ინტერესს იწვევენ, როგორც თავიანთი სიუჟეტებითა და პერსონაჟებით. ისე განსაკუთრებით, თხრობის მანერითა და ენობრივი დახვეწილობით”(49,237). ეს მკვლევარს ვაჟას საბავშვო პროზის განხილვისას აქვს მითითებული და, ჩვენი რწმენით, სრულიად მიესადაგება პიესას „ტყის კომედია”.

მიუხედავად იმისა, რომ თხზულების პერსონაჟთა „საყოფაცხოვრებო ლოკალი მიკროეთნოგრაფიული ხასიათისაა” და მოსალოდნელი იყო დიალექტური ენობრივი ფორმების შეტანა, ვაჟა ფშაველას არ გადაუხვევია თავისი პროზის სტილისათვის და „...მარტივ და გულდია არსებათა შეგრძნებებისა და წარმოდგენების ერთგვარ „სიმაღლეს” გვიმჟღავნებს და ამიტომ თავისებურადაც ქდერს. ამ ნიადაგზეც არის მიღწეული ვაჟას პროზაში (წინამდებარე განსახილველ პიესაშიც –ჟ.კ) სიტყვის ინტენსიფიკაცია”(49,236).

„ტყის კომედიის” ფაბულაში ვხედავთ იმ ზოგად სულისკვეთებას, რომელიც წარმოდგენილია ვაჟას ადრეულ დრამატულ ნაწარმოებში: „სცენა მთაში” (1889წ.), სცენები (ფშავლების ცხოვრებიდან)-1889წ., „სცენები (სცენა ხევსურეთში). 1889წ. ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა მათი მიკროეთნოგრაფიული ლოკალით, გარდა ამისა, პერსონაჟების ზნეობრივი ქცევის მკვეთრად გამოხატული მოტივებით. ყველა პიესას (სცენას-ჟ.კ) თავისი იდეური დატვირთვა, პრობლემათა სპეციფიკურობა გააჩნია, სხვადასხვა ზნეობრივი ღირებულებითაა ისინი შესაფასებლები.

მათგან მიზანდასახულობით, ავტორისეული მიდგომით აბსოლუტურად განსხვავებული დატვირთვისაა უურნალ „ნაკადულში” გამოქვეყნებული პიესა „ტყის კომედია”.

გიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „სცენებიცა” და ეს პიესაც საკითხავ დრამათა ჟანრობრივ არეალშია გასათვალისწინებელი და არა სცენაზე დასადგმელად (გრ.კიკნაძე). თუმცა, „ტყის კომედია” თავისი დრამატურგიული ნიშნებით, აგებულებით უფრო მეტად პასუხობს სცენის სპეციფიკას; აკი გამიზნულიც ყოფილა თოჯინების თეატრში დასადგმელად გასული საუკუნის 60-იან წლებში (ნათელა ურუშაძე, ვაჟა-ფშაველა ქართულ სცენაზე. 84,286).

გრიგოლ კიკნაძის მონოგრაფიისადმი-„ვაჟა-ფშაველას შემოქმედება” – მიძღვნილ რეცენზიაში პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძე დეტალურად ახასიათებს ავტორისეულ მიღგომას ვაჟა-ფშაველას დრამატული თხზულებებისადმი; კერძოდ, გრ. კიკნაძის მიერ „მოკვეთილისა” და „სტუმარ-მასპინძლის” მოტივთა სიახლოვის ანალიზს და, შემდგომ ამისა, როდესაც მოცემულია დრამატურგიული ტექნიკის მեრივ „მოკვეთილის” დახასიათებაზე, რეცენზენტი აღნიშნავს:

„საინტერესო აქ ის არის, რომ ავტორი, გარდა ვაჟას დრამატურგიის იდეურ-თემატიკური ანალიზისა, მკითხველს აცნობს ვაჟას პიესების სპეციფიკურ მხარეს , გ.ი. უჩვენებს, თუ როგორია მწერლის პიესები დრამატული ხელოვნების თვალსაზრისით, მაშასადამე, ავტორი გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენს ვაჟა, როგორც დრამატურგი”(118,203-204).

პროფ. გრ. კიკნაძე გარკვევით მიუთითებს: „პიესის არქიტექტონიკას რამდენიმე პირობა განსაზღვრავს”, ვეცდებით მივყვეთ მკვლევრის მიერ დახატულ გეზს ამ თვალთახედვით:

1. „მთავარია ავტორის საერთო იდეური კონცეფცია”(49,254);
- 2 მთავარ გმირთა „დრამატული დანაშაულის” წარმოდგენა(გვ.255);
3. მწერლის მიერ გმირთა ნებისყოფის მაქსიმუმის გამოხატვა (იქვე);
4. პიესაში ვნებათა ჭიდილის მკაფიოდ გამოხატულ აზრთა და შეხედულებათა პრძოლის ასახვა (იქვე);
5. რა გზას იყენებს დრამატურგი პიესაში გმირთა დასახასიათებლად: გმირთა დახასიათების თანდათანობითი გაშლის გზას თუ მზა ხასიათების მოწოდების სისტემას(გვ.255-256);
6. „დრამაში მოქმედებისა და ხასიათების განვითარება დიალოგების სისხარტე-გამოკვეთილობაზეა დამოკიდებული”(49,254-256).

შემდგომ ამისა, მკვლევარი დეტალურად წარმოგვიდგენს „მოკვეთილის” შინაგანი არქიტექტონიკის სურათს, იქ მოცემული თითოეული სპეციფიკური ნიშნის განზოგადებით შეიძლება ვაჟას ყველა ორიგინალური თუ ნათარგმნი დრამატული თხზულებების განხილვა-დახასიათება.

რა ვითარებაა ამ ასპექტით „ტყის კომედიაში”?

ბუნებრივია, მასშტაბურობით, პრობლემატიკით, მიზანდასახულობით „ტყის კომედია” არც და ვერც უპასუხებს „მოკვეთილის” შინაგანი არქიტექტონიკის შემთხვევაში დაგენერირდება, რადგან პირი ბავშვთა საკითხავ რეპერტუარისთვისაა გამიზნული, თუმცა, დრამის ლიტერატურულ-თეორიულ აქსესუარებს უდაოდ ატარებს ეს პატარა მოცულობის თხზულება.

მის შესაფასებლად გარკვეულწილად სპეციფიკური მიღებისა საჭირო.

გავიმეორებთ ჭეშმარიტ აზრს, რომ თერგდალეულთა იდეურ-ესთეტიკური მსოფლგაგებიდან გამომდინარე, ვაუას შემოქმედება ობიექტურ ვითარებას გამოხატავს და მისი ყველა თხზულება მისივე შემოქმედებითი ინტერესებისა და პოზიციების გამომხატველია. „ტყის კომედიის” მიხედვით, მისი ავტორი წარმოჩნდება გულისხმიერ აღმზრდელად, პედაგოგად, ბავშვების სასურველ მეგობრად. პიესის იდეური კონცეფცია ერთი ნათელი გამოსხივებაა „მწერლის საერთო კონცეფციისა”.

თხზულებაში მარტივად, სხარტად, საბავშვო ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი სიხალისით მოცემულია, დრამის თეორიის ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, ე.წ. „მთავარ გმირთა „დრამატული დანაშაული”-ქურდბაცაცობა და საკადრისად დასჯა დამნაშავისა.

თხზულების ამოცანა არც ითვალისწინებდა „გმირთა ნებისყოფის მაქსიმუმის გამოხატვას”, მითუმეტეს დაძაბულ მომენტს.

მივყვეთ განსახილველ პიესას და სუსტად, მაგრამ მუქი შტრიხებით ბავშვის ფსიქოლოგიის დასაძლევი მიმოხვრით მოცემულ „ვნებათა ჭიდილის მკაფიოდ გამოხატულ აზრთა” კონფლიქტურ სიტუაციას დავინახავთ.

ამ პიესაში ვაჟა-ფშაველას მიერ გმირთა(პერსონაჟთა) დასახასიათებლად „მზა სათაურების მიწოდების სისტემაა” გამოყენებული.

ყველა კლასიკური პიესის, სპექტაკლის უკვდავება განსაზღვრულ-განპირობებულია დროითა და ეპოქით, ავტორის მსოფლმხედველობით, მხატვრულ-ესთეტიკური დონით, პიესაში მოცემული სცენური აზროვნებით. იქნებ უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ ვაჟას ამ პიესას ვერასდროს დაემუქრება დროისა და ეპოქის ცვლილებები, რადგან ზნეობრივი აღზრდის სპეციფიკა, მანკიურებათა მხილება ყველა დროში და ეპოქაში დგას საზოგადოების ზნეკეთილობის დაცვის კუთილშობილურ სადარაჯოზე.

ავტორმა, როგორც საბავშვო მწერალმა, ნაწარმოები შემოფარგლა ერთი ძირითადი თემით. ეს მკითხველს დაეხმარება ნაწარმოების სწრაფად აღქმაში, აქ გამორიცხულია ე.წ. ქვეთემები. სამაგიეროდ, ნატიფი პოეტურობა უნდა განაპირობებდეს პიესის ხიბლს. ამის შესახებ თეატრმცოდნე ალექსანდრე

შალუტაშვილი წერს: „პოეტურობა ადამიანის საუკეთესო გამოვლინებაა. ის აუცილებლად გვამცნობს შემოქმედის ჰუმანურობას, კაცომოყვარეობას. დაუცველი სილამაზის დაცვა, სუსტი, მიუსაფარი ადამიანისადმი თანაგრძნობა, თანაგრძნობა ხმელი წიფელისადმი, შვლის ნუკრისადმი, რაც ვაჟა-ფშაველამ თავის პროზაულ ნაწარმოებებში გვაგრძნობინა, პოეტურობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს”(99, 18).

პოეტურობის ერთ-ერთი დამახასიათებელი აქსესუარია ალეგორიული აზროვნება, სიმბოლური სახისმეტყველება, მხატვრული გამონაგონი. „ტყის კომედიაშიც” სახეზეა ალეგორიული აზროვნების ნათელი ნიმუში.

როგორც ცნობილია და როგორც დავრწმუნდით, დიდი ვაჟა-ფშაველა უურადღებოდ არ ტოვებს წარმართულ თუ ქრისტიანულ ლკობათა პანთეონს. ადამიანებს, შობიდგან გარდაცვალებამდე თუ საიქიო ცხოვრებით დამთავრებულს: ხე-მცენარეებს, ფესვებიდან დაწყებულს ცამდე აწვდილი კენწეროებით დამთავრებულს (ზრდის ყველა სტადიაში); ფრინველებს, წიპრია ჩიტით დაწყებულს, დაჭრილი თუ ლალად მონავარდე არწივით დამთავრებულს; ცხოველთა სამყაროს, პატარა თაგუნიებით დაწყებულს, დაჭრილი ვეფხვით დამთავრებულს; მითოლოგიურ არსებებსა და მითიურ მოვლენებს; სხვადასხვა სტიქიურ ძალას; ციურ მნათობებს. თუ არა ვცდებით, ფლორისა და ფაუნის ფართო სპექტრი ქართულ პოეზიაში პირველად დიდმა შოთა რუსთაველმა შექმნა, დაამკვიდრა და ამ მტკიცე ბალავარმა განაპირობა „უენპირო ბუნების” ბრწყინვალე სახისმეტყველება შემდგომ ეპოქებშიც.

ყველასგან გამორჩეულად ამ ასპექტით მკვლევართა მიერ სამართლიანადაა მიჩნეული ვაჟა-ფშაველა.

ვაჟასმცოდნეობაში ეს პრობლემა მრავალი ასპექტითაა შესწავლილი, დასაბუთებულია მტკიცე არგუმენტებით, მაგრამ ვფიქრობთ, მეტი პოეტურობით ხასიათდება ამ საკითხის განხილვა უშუალოდ პოეტის მიერ ვაჟას გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის გავლის შემდეგ. მხედველობაში გვაქვს პოეტისა და დრამატურგის ვიქტორ გაბესკირიას წერილი „ფრინველ-ცხოველთა სამყარო და ვაჟა”(18,575-582).

მას ცხოველთა და ფრინველთა სამყარო მიაჩნია რა მწერლის ჰუმანიზმის გამოსავლენ ვრცელ ასპარეზად, წერს: „ამ მხრივ განსაკუთრებული მოვლენაა ვაჟა-ფშაველა. მას, მსგავსად ყველა დიდი მწერლისა, ფაუნის წარმომადგენელთადმი სიყვარული და თანადგომა გამომჟღავნებული აქვს მრავალ ნაწარმოებში(18,575). ბევრი საგულისხმო მაგალითი აქვს დამოწმებული ავტორს ვაჟას შემოქმედებიდან, საინტერესოა მისი მიდგომა თითოეული თხზულებისადმი.

დასკვნით ნაწილში გ-გაბესკირია აცხადებს: „გაუ მხატვრული ლიტერატურისაგან, საერთოდ ხელოვნებისაგან, ხალხის სამსახურს მოითხოვდა, ამის გარეშე არც სწამდა ხელოვნება, ხალხის სულიერ ცხოვრებაში ვაუ დიდ როლს ანიჭებდა ხელოვნებას, ის დიდ ძალად მიაჩნდა ადამიანებზე სასიკეთოდ ზემოქმედებისათვის”(18,582).

ბუნებრივია, ამ ასპექტით ვაუ განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ბავშვთათვის გამიზნულ თხზულებებს და ამ მხრივ როგორც ზემოთ მივანიშნეთ, არც „ტყის კომედია” გამონაკლისი.

პროფ. დიმიტრი ბერაშვილის თქმით: „ვაუ-ფშაველას მეორე პიესა „ტყის კომედია” ფრიად თავისებურსა და ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს... ვაუ-ფშაველამ ამ პიესით შეგვიყვანა ბუნების სამეფოში და გვაჩვენა, თუ როგორ ცხოვრობენ, რა აწუხებთ ბუნების უშუალო შვილებს? პიესას აქვს პრეტენზია ითვლებოდეს მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდის საშუალებად. პიესის მიზანია ახალგაზრდობა განმსჭვალოს ბუნებისადმი სიყვარულით...

„ტყის კომედიის” მორალი ადვილად გასაგები და მისაწვდომია ბავშვებისათვის. ის ასწავლის მათ ქურდობისადმი და ზარმაცობისადმი სიძულვილს, სიმართლისადმი სიყვარულს”. (10,319). მკვლევარმა მოცემულ შეფასებაში, ფაქტიურად, აქცენტი გადაიტანა მხატვრულ განზოგადობაზე, რაც საფუძველი ხდება იმისა, რომ ვიმსჯელოთ მოცემული თხზულების აღმზრდელობით და შემეცნებით ფუნქციაზეც.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან „ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ყოველთვის ფარად ედგა ეროვნული შემოქმედებითი ინტელიგენცია. ქართველი მოღვაწენი ყოველთვის ზუსტად გრძნობდნენ საშიშროების მოახლოებას და თავიანთი მხატვრული შემოქმედებით ცდილობდნენ ერი ეხსნათ ნიპილიზმისა და გადაგვარებისაგან. ყველაზე მძიმე ამ მხრივ მაინც XIXსაუკუნე იყო, როცა ცარისტული რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებდა მკაცრ რუსიფიკატორულ პოლიტიკას”(7,319).

ამ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველ არსენალში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა თეატრალურ ხელოვნებას, დრამატურგიას, სცენას. ამის თაობაზე გკითხულობთ: „ილია გვმოძღვრავს, რომ დიდი განმანათლებლური, აღმზრდელობით-შემეცნებითი ფუნქციის მატარებელია თეატრი. ამასთან იგი სკოლაა, რომელიც ნათელი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, ძლიერად მოქმედებს ადამინის გუნება-განწყობილებაზე, ამაღლებს, სწმენდს აფაქიზებს მის აზრს და გრძნობებს და აქვს ერთი „ძვირფასი თვისება, როგორიც ხალხის წრთვნა და ზრდა”(იხ. ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზ., გვ.172;399).

ქვეტაშით იმაზეცაა მინიშნება, რომ განსაკუთრებულ როლს დიდი იღია მოზარდის ესთეტიკურ აღზრდასაც აკისრებდა დრამატურგიას, სცენას.

როგორც პიესის ფაბულა მიგვანიშნებს, მოტივირება, მიზანდასახულება ავტორისა, ნაწარმოებისა ნათელია. იგი მშვენივრადაა დახასიათებული ვაჟასმცოდნეობაში, ვაჟა-ფშაველას, როგორც დრამატურგის, ორიგინალურობას მისი პიესების სტრუქტურაში ვხედავთ. კერძოდ, ორიგინალურია მისი „სცენების“, „ტყის კომედიის“ რემარკები. ამასთან დაკავშირებით წინ წამოიწევს ავტორის, მთხოვობელის ფუნქციები ნაწარმოებში. ვაჟას ეპოსი ამ ასპექტით დრმა მეცნიერულადაა დამუშავებული (იხ. სათანადო ლიტერატურა-ჟ.ც). დრამატულ თხზულებებში მთხოვობელის, ავტორის, წამყვანის როლი გადადის რემარკაში. როგორც დადგენილია, პიესის კომპოზიციურ მოდელირებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს რემარკა. ანტიკური პერიოდიდან დაწყებული დღევანდელობამდე კაცობრიობამ რემარკის მრავალსახეობა შექმნა. ეს კი რემარკების ფუნქციების, მრავალი ნიუანსით არის განპირობებული.

რემარკის მრავალნაირი ინტერპრეტაციაა ცნობილი. ძირითადად რემარკას ოდითგან ევალებოდა, სხარტად, მოკლედ მოეცა „ახსნა-განმარტება, შენიშვნა, მითითება მოქმედების გაშლის ფონის, დროის, ადგილის, გმირის გარეგნობის, ქცევის, ჩაცმულობის შესახებ. ზოგჯერ მითითება ეხება მოქმედ პირთა ინტონაციას, ჟესტებს, მიმიკას, მათ ასაკს, ხასიათის თავისებურებებს და მისთ (116,258). როგორც ვხედავთ, ფაქტიურად საქმე გვაქვს ავტორის სახესთან, მთხოვობელთან. ამან კი წინ წამოსწია დრამატულ თხზულებათა პერსონაჟებთან ირიბი დამოკიდებულება, ანუ მთხოვობელი არსად არ ჩაერთვება პერსონაჟების მეტყველებაში. რემარკა ძირითადად ინფორმაციის შემცველია თავისი ფუნქციით. თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში მას მნიშვნელოვანი, ახალ-ახალი შინაარსი, დაიშნულება შეუძენია. მიუთითებენ, რომ რემარკის ფორმა განისაზღვრება დრამატული ნაწარმოების ჟანრითა და სტილით.

გვხვდება ე.წ. ბელეტრიზირებული რემარკები (ლ. ანდრევი, ლ.მეტერლინკი, ბ.შოუ), XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის პიესებში გვაქვს გაშლილი, აღწერითი საგნობრივი რემარკები (ჰაუპტმანი, იბსენი, ჩეხოვი, ა.ოსტროვსკი და სხვა); მაგალითად, ბერნარდ შოუს ზოგიერთ პიესაში რემარკას უკავია პიესის თითქმის ერთი მესამედი და ასრულებს არა მითითებებს, მოკლე ინფორმაციებს, არამედ ფაქტიურად წარმოადგენს პიესის ავტორისეულ კომენტარს (იქნა).

მაგალითად, ვაჟა-ფშაველას პიესათა რემარკებიდან პირველი პიესის (ქრონოლოგიური თვალსაზრისით) რემარკა უდაოდ ბელეტირებული სახისაა.

ნაწარმოების სათაურს-„სცენა მთაში” და სათაურის ქვეშ მინაწერს-„ხევსურების ცხოვრებიდან”, მოსდევს ფაქტიურად მინიატურა, ესკიზი, რომელითაც სხარტადაა დახატული ინტერიერიცა და ექსტერიერიც; ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მისი მოხმობა დამადასტურებელ ნიმუშად: „განთიადია. აქა-იქ როჭუებმა დაიწყეს კაკანი. შორიდამ, მთის პირიდამ, მოდის შურთხის სტვენა. ნამი უხვად დაჰყრია ბალახს; დანამულს ბალახზე საამურად ისმის სტვენა ცელისა გაღმა-გამოღმიდამ. მოთიბულის, დამჭკნარის ბალახის სუნი საამოდ მოსდებია იმ არემარეს. ჯერ მთიბლების „გვრინვა”, სიმდერა არ გახშირებულა, ძვლები არ გამობარა, ოფლი არ დაძრულა გულ-მკერდზედ. ბიკამ და მამასწვერამაც გაიღვიძეს, წამოსხდნენ; ეზარებოდათ კი ადგომა, მაგრამ სხვა მთიბლების ცელის „წივილი” აღარ აძინებდათ. შეაცეკერდნენ ერთი-მეორეს, გაიჩმუჩნენ მხრებში”.(33,201). ამას მოსდევს პიესის მოქმედ პირთა დიალოგი მოქმედების დინამიკურად განვითარება. სხვა რემარკები ტრადიციულია, მოკლეა, სხარტია, დაწურულინფორმაციულია.

ეს პიესა ერთმოქმედებიანი და ერთსურათიანი თხზულებაა. მას გარკვეულ კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს საფინალო რემარკა თავისი შინაარსით, პირველი რემარკის უანრულ-სტრუქტურული სახესთან მსგავსებით.

თავად ამბავი ნოველისტური ბუნებისაა. ავტორი თავისი რემარკით ამთავრებს პიესას: მამასწვერას (პიესის გმირი-ჟ.კ) „ეხვეწება ადგილის დედას, ღვთისშვილებს ქუდმოხდილი, რომ გადაარჩინოს დევ-ეშმაკებსა და იძინებს).

პიესის ეპილოგი კი ასეთი შინაარსისაა: „მყუდროება სდგას გარშემო, მხოლოდ ხევი მოსჩქევს, კლდეზედ გადამდინარი ჰყვირის, შფოთავს, ათასგვარ გამოხმობასა ჰბადებს. მთის პირიდამ მთვარემ ამოყო ყური და ბადესავით გადააფინა მთის წვერებს თავისი სხივები. მთვარის სხივი დაადგა მამასწვერასა და აბიკას (პიესის გმირებს-ჟ.კ) და თითქოს ყურებში ჩასჩურჩულებდა, თითქოს ნანას ეუბნებოდა: ნუ გეშინიათ, ნუ ჰკრთით, დევებს მე მოგაშორებთ, დამაშვრალნი ხართ, ტკბილად დაიძინეთ, მე ვარ თქვენი დარაჯი, თქვენი პატრონიო”(იქვე,206).

ამ ამონაწერში ნათლად ჩანს დრამატურგის პოზიცია. იგი ლოგიკურად ამთავრებს ფაბულას, რომლის ფინალითაც საკუთარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს დრამისადმი, მოვლენისადმი. საფინალო აკორდი კი მაუწყებელია ავტორის მსოფლმხედველობისა მითიური და რელიგიური თვალსაზრისით.

იმავე წლით, 1889წლით, თარიღდება მეორე პიესა „სცენები” (ფშავლების ცხოვრებიდამ).

თავისებურია ამ „სცენების” კომპოზიცია. ავტორს იგი ოთხ სცენად ანუ მოქმედებად აქვს დაყოფილი. სპეციფიკურია თითოეული სცენისადმი წამდლვარებული რემარკა. ესენია რემარკა-სათაურები, წამდლვარებული, დართული

თითოეული მოქმედებისადმი. თითოეული რემარკა-სათაურები წამდლვარებული, დართული თითოეული მოქმედებისადმი. თითოეული რემარკა-სათაური რეალიზდება შესაბამისი სიუჟეტით, ფაბულით. მათი განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ინტერესს აღგვიძრავს სათაურების ხასიათი: „სცენა I. ყოჩაღ ხაფანგო!”, „სცენა II. „ვაპტე, ცხვირო!”, „სცენა III. „ხარსაცა და ფურსაც!” და „სცენა IV. გთხოვთ, დამიჭიროთ!”

„თავისი კონსტრუქციით, შინაარსით იმავე 1889წლით დათარიღებული „სცენები” (სცენა ხევსურეთში) ფაქტიურად დრამატული აქსესუარებით შეთხული ორნაწილიანი მოთხოვნაა. მას ყველაზე ნაკლებ მოეთხოვება დრამატული თხზულებების პრეტენზია. რემარკებიც კლასიკური, მოკლე, სხარტი ინფორმაციის მატარებლებია.

რემარკის ბელეტრიზირება თითქმის გამორიცხულია „ტყის კომედიაში”. თუმცა, ავტორი ერთი წუთითაც კი არ ტოვებს პიესას მითითების, მოკლე კომენტარის გარეშე. იგრძნობა, იგი ამით გარკვეულ გზამკვლეობას, დახმარებას უწევს მოზარდებს სიუჟეტის განვითარებაში მათი ჩართვის თვალსაზრისით. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ პატარა პიესაში ავტორი 58-ჯერაა ჩართული ფაბულის გასაშლელად: 29-ჯერ I მოქმედებაში და 29-ჯერ II მოქმედებაში.

საყურადღებოა პიესის სათაური-ტყეში დატრიალებულ ამბავს პირობითად შეიძლება ეწოდოს კომედია, რამეთუ, პიესაში ვერ ვხედავთ გროტესკს, პიპერობოლას, სატირას, კარიკატურას, როგორც კლასიკური კომედიების ძირითად მახასიათებელ ნიშნებს, ვერ ვხედავთ ტიპადქცეულ გამოკვეთილ ხასიათებს.

ლიტერატურის თეორიაში, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, განარჩევენ ერთმანეთისგან გარემოს, ვითარების კომედიას, ხასიათების კომედიისაგან. ჩვენი რწმენით ვაჟას „ტყის კომედია” წარმოადგენს ვითარებისა და XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში გაჩენილ „იდეათა კომედიების” ერთგვარ სინთეზს.

მაშასადამე, აღნიშნული პიესის სათაური ორცნებიანი ფრაზაა: „ტყე მიუთითებს, აზუსტებს მოქმედების ადგილს, ხოლო „კომედია” განსაზღვრას თხზულების უანრობრივ სახესხვაობას.

ქვემოთ მოკლედ, შეძლებისდაგვარად, გავარკვევთ, თუ რამდენადაა ეს პიესა კომედია, რა დოზითაა იქ კომიკური, სატირული თუ „იუმორისტული”(ამ ბოლო ტერმინს ამ ფორმით ხმარობს პროფ. გრ.კიკნაძე-ჭ.კ). ჩამოთვლილ თეორიულ ცნებათა ბრწყინვალე განმარტებები და ანალიზია მოცემული პროფ. გრ. კიკნაძის

მონოგრაფიაში: „ქართული სატირო და იუმორის განვითარების ისტორიისათვის”(50,9).

სატირისა და იუმორის საზოგადოებრივი ფუნქციის შესახებ გკითხულობთ: საზოგადოების ცხოვრებაში არსებულ ჭიდილსა თუ ბრძოლას მკაფიოდ გამოხატავსო სატირული და იუმორისტული ლიტერატურები, რადგან „მოხერხებული და მიგნებული დაცინგა ობიექტის გაცამტვერების, მისი უვარგისობის გამომჟღავნების ნაცადი და უტყუარი საშუალებაა”(50,9). ავტორს მიაჩნია, რომ ამგვარი თხზულებებისათვის „დამახასიათებელია ის, რომ მათში ყველაზე თვალნათლივ და უშუალოდ გვეძლევა ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება განსახილველად აღებული ობიექტისადმი... სატირასა და იუმორში ძალიან ცხადად ჩანს მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია მაშინაც კი, როდესაც იგი გარეგნულად ამა თუ იმ მოვლენის მხოლოდ დაგმობითა და გაკიცხით არის შეშფოთებული და თავის პოზიტიურ მრწამსს პირდაპირ არ ამჟღავნებს”(50,9). ავტორთა ამგვარი მიდგომა უფრო მკვეთრად მოცემულია, ჩვენი რწმენით, ლირიკურ და ეპიკურ თხზულებებისაგან განსხვავებით ავტორი თავის მსოფლმხედველობრივ პოზიციას აშკარად თითქმის ვერ გამოხატავს, რადგან მისი ხვედრითი წონა სიუჟეტში ძალზედ შეზღუდულია, პიესათა თხზვის ტრადიციული კანონები არ აძლევენ მას ამის საშუალებას (ზოგიერთ გამონაკლისზე რემარკასთან დაკავშირებით წინ გვქონდა საუბარი), ანუ ლირიკაში და ეპოსში ავტორი, მთხოვობელი მნიშვნელოვან სიუჟეტურ-კომპოზიციურ კომპონენტს წარმოადგენს, მეტყველების, განსჯა-მსჯელობის, ემოციათგამჟღავნების თვალსაზრისით.

დრამატულ ნაწარმოებში დიდ როლს თამაშობს ავტორის სიმპათიური, ირონიული, იუმორისტული თუ უარყოფითი დამოკიდებულება პერსონაჟების ხატვის, ძერწვის პროცესში მათი ხასიათებისადმი, გარეგნობისადმი, რემარკების ტონებში. რადა თქმა უნდა, კონფლიქტების, კოლიზიების, ვითარების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ ასპექტით „ტყის კომედიაში”?

თუ გავითვალიწინებთ იმას, რომ პიესა დაბეჭდილია უერნალ „ნაკადულში”, რომ მკითხველის ასაკობრივი ზღვარიც ამით შემოფარგლულია, ავტორის ჰუმანიზმი კი ზღვარდაუდებელია, ხოლო მოქმედ პირებად უმწეო, პაწაწა ცხოველებია გამოყვანილი და ფაბულაც პატარა, ხოველისტურ შემთხვევას ეხება,

პიესაში იდეა არც ეწ. „ზოგადსაკაცობრიო“ და არც დიდია, მასშტაბური. მაშინ თამამად უნდა მივაკუთვნოთ „იუმორისტიკულ“ ნაწარმოებთა ჯგუფს.

ვაუას პოზიტიურ მრწამსზე პიესის მიხედვით ზემოთ იყო საუბარი.

ავტორის რა „შეფასებით დამოკიდებულებას“ ამოვიკითხავთ პიესის პერსონაჟებისადმი? ნაწარმოების იდეის მიმართებისადმი მოზარდების, ზოგადად საზოგადოების, მიმართ?

მივყვეთ პიესას.

ამბავი ორ ოჯახს შორის კონფლიქტურ ურთიერთობას გადმოგვცემს. კერძოდ, ერთ ოჯახს, სიმშილაანთ ოჯახს, სონასთვის ერთი ორმო თხილი მოუპარავთ და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩაუგდიათ მეზობელი. პირველი მოქმედების პირველ გამოსვლაში მწარედ მოსთქვამს ნაქურდალის გამო ერთი თაგვი, სონა. მალევე იწყება მისი დიალოგი სხვა მეზობელთან, თებრონესთან.

ყურს ვუგდებთ მათ მსჯელობას, მომხდარის შეფასებას და ჩვენს წარმოდგენაში წაიშლება კვალი დაბურულ ტყესა და ჩვეულებრივ ქართულ დამწუხერებულ ოჯახს შორის. ავტორს ოსტატურად გადავყევართ ადამიანთა შორის ურთიერთობაზე. თაგვთა მეტყველება, მათი განწყობილება, მათ მიერ გამოხატული ეჭვები და ვარაუდები, პიესას გაპიროვნების მხატვრულ-სტილისტურ ფუნქციას სძენს.

ნაწარმოებში ქვეტექსტური გააზრების გარეშე გადმოგვცემენ მოქმედი პირები თავიანთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ამბავს.

ვფიქრობთ, მოზარდის გაღიმებას გამოიწვევს თებრონეს „საგამომძიებლო“ და „კრიმინალური“ ალლო. მოვიყვანთ სრულად ამ ადგილს პიესიდან:

„მეორე თაგვი, (თავს აქეთ-იქით იქნევს), მაშ, მაშ! ჰმ! ჩვენში კი დარჩეს და ერთი რამ უნდა გითხრა. მართალია, ღორსა, დათვსა და მაჩვს დავაბრალე (თხილის ორმოს ათვალიერებს), მაგრამ არა. ეს არც ერთის ბრალი არ უნდა იყოს!“ - აქ ცხოვრებისეული გამოცდილება თებრონეს ფაქტის მართებული შეფასების საშუალებას აძლევს; მართლაც, ლოგიკურია და დამაჯერებელია მისი „კრიმინალისტური“ დასკვნა: „ორმოს ზედ მუხის ფესვი აფარია. ყოჩად, გცოდნია, სად და როგორ გავაკეთოთ ორმო. აგრე უნდა, ღორს ან მაჩვს რომ ამოეთხარა, უშკველად ფესვს ამოგლეჯდნენ და დიდათაც ამოსთხრიდნენ... ეს თაგვის ონია“.

ბუნებრივია, ამის შემდეგ ეჭვის დონეზე დასახელდებოდა ქურდის ვინაობა. თებრონე იქვე დაამატებს: „დაბალ ხმაზე): სიმშილაანთიდან მუდამ დამე ორომტრიალის, ტაშ-ფანდურის და ჭიანურის ხმა ისმის; საიდან? როგორ? (პირველი თაგვი ყურებს ასცემეტს“ (იქვე).

ამის შემდეგ მარტივად, მეზობლურ საუბარში ორ თაგვს შორის იწყება შეკვრა სიუჟეტური ნასკვისა. ეჭვს ხომ დასაბუთება სჭირდება და თანდათანობით

რწმუნდებიან ეჭვის სიმართლეში. თავის ვარაუდს ფაქტებით ამჟარებს თებრონე. იხსენებს ცოტა ხნის წინ თავის შეხვედრას სიმშილასთან (მათი ვარაუდით ქურდთან-უკ); სიმშილასთან ამ ერთ კვირაში შეხვედრა გაიხსენა სონამაც.

სიმშილა თებრონეს თუ ათიოდე თხილსა სთხოვდა სესხად, სონამ გააანალიზა სიმშილას ხეტიალი სონას ორმოს მახლობელ მზვარეში: „... განა არა, ამ ერთ კვირაში, სულ აი, ამ მზვარეში მხვდებოდა, აქ დაეთრეოდა. მეც ხომ ყარაულად არ ვუდგევარ ჩემს ორმოებს, „შაიგულებდა და მემრე ერთ დამეს გადაზიდავდნენ”(33,266).

მათი დიალოგიდან გამოჩნდა თითო შტრიხი თითოეული მათგანის დასახასიათებლად. ანუ როგორ გამოიხატა თითოეულის რეაქცია, დამოკიდებულება ერთსა და იმავე ფაქტზე.

თებრონე ფრთხილობს. ფაქტს, ვარაუდს არ უარყოფს, მაგრამ მაინც ეუბნება სონას: „რა ვიცი, რამ გააგიუა ეგ ხალხი (სიმშილანი თუ იმათ თავს ერთი რამ ამბავი არ არის? ეს დაიხსომე. მე ეჭვით ვლაპარაკობ, ხოლო თავის თვალით არაფერი მინახავს და ყურით რაც მესმის, იმას მოგახსენებ”.(იქვე).

სამაგიეროდ, სჯერა სონას, რომ ქურდი სიმშილაა და სიმართლის დადგენა მტკიცედ გადაუწყვეტია. თუ თებრონეს მსჯელობა წყნარია, დინჯია, დაზარალებული ქვრივის სიტყვები მუქარითაა სავსე და შურისმაძიებლად არის ქცეული სონა: „მაშ დედაკაცი არ ვიქნები, ისეთი დღე არ დავაწიო, თავის გაჩენის საათსა სწყევლიდეს. იქნებ იმას ფიქრობდეს, ქვრივ-ოხერია, ვინა პყავს პატრონი, შამრჩება, არაფერიაო!.. მოიცა, ამ კავებს გავიყრეინებ, , თუ ვერ გაწვნიო...”(იქვე).

სიუქემტური ნასკვი უკვე გვაქვს, ლოგიკური იქნებოდა მათი დიალოგის შეწყვეტაც ამ საკითხზე და ჩინებული მიგნება შემოგვთავაზა ავტორმა თავისი მოკლე რემარკით: (ამ დროს ცაზე ძერა გამოჩნდება და თავს დასტრიალებთ). იმ წუთშივე შეიცვალა სიტუაცია, განელდა საუბრის მუხტი.

პატარა დეტალითაც ნათელი გახდა თითოეულის შინაგანი მდგომარეობა; თებრონე, როგორც დინჯი, არადაზარალებული, უფრო ფხილად აფასებს გარემოს, სწორედ მას შეანიშნინა დრამატურგმა ცაზე ძერა ბრაზითა და შურისძიებით აღგზნებული სონასათვის:

„პირველი თაგვი. სონა, სონა! ჩქარა, თავს ვუშველოთ!

მეორე თაგვი . რაო? რა ამბავია?

პირველი თაგვი. შეიხედე მაღლა, პხედავ, როგორ თვალებს გვაცეცებს ის... ისა?

მეორე თაგვი. (ცაში იცქირება) უჲ, დმერთმა დაგწყევლოს! (ორივენი სოროში მიძვრებიან)”(იქვე, გვ.267).

ამით დაასრულა დრამატურგმა პიესაში „პირველი გამოსვლა).

როგორც ვხედავთ, თემის ერთ-ერთი წევრის მიერ ჩადენილია ზნეობრივი, სოციალური დანაშაული, რომელიც პირობითად შეიძლება განსაზღვროს როგორც ე.წ. „დრამატული დანაშაული” (ამ ტერმინის თაობაზე იხ. პროფ. გიგი ლომიძის მონოგრაფია „კომედიის უანრობრივი თავისებურებების შესახებ”, თბ. 1969წ. გვ. 43-44 და ა.შ). ბუნებრივია, მალევე უნდა გაიხსნას ეს დანაშაული. პიესის პირველი მოქმედების მეორე გამოსვლაში განვითარებული მოვლენები სწორედ აქეთკენაა მიმართული (55,17).

სცენაზე ხალისის შემომტანია ახალი პერსონაჟის შემოსვლა. ესაა ახალგაზრდა ცელქა, სონა თაგვის სიძე. მის გამოჩენისთანავე ავტორი თავისი რემარკით უდაოდ გამოიწვევს მკითხველში დიმილს.

შიშისაგან სოროში ჩაბუდებული თაგვები კარს იქიდან ეხმიანებიან ცელქას. სონას შეკითხვაზე რომელი ხარო, ცელქა უპასუხებს: „სიდედრო, შენ? მე ვარ ცელქა, შენი სიძე. (იტყვის რა ამას, იჭიმება და ულვაშებს ისწორებს)”

როცა სოროდან ხმა აფრთხილებს: „ეხლახან ძერა დალახლახებდა, თავზე არ დაგეცესო”, ცელქას პასუხში პატარა შეტყიშით გამოჩნდა ტრაბახა ახალგაზრდა:

ვფიქრობთ, გადიმებასთან ერთად დააფიქრებს კიდეც მოზარდს ასაკოვანთა და ახალგაზრდის შეხვედრის ფრაგმენტი. დიმილის მომგვრელია ფამილარული ტონი მისალმებისა, ხოლო დამაფიქრებელი და ჭკუის სასწავლებელია დარბაისლური, ქართული ურთიერთობის გამომხატველი მომენტი:

„სონა. მშვიდობა შენს მობრძანებას, სიძევ ბატონო!

თებრონე. მშვიდობა შენთან, ვაჟკაცო ტოლ-უპოვარო!

ცელქა. ღმერთმა მოგსცეთ მშვიდობა, ძვირფასნო მანდილოსანნო”(33,267).

ის იყო, მათი საუბარი მთავარს, ქურდობას, უნდა შეპხებოდა, რომ სცენაზე ხმაურით, აურზაურით შემოდის დათვი, თაგვები სოროში გაინაბებიან, ცელქა მუხის ფესვს ამოეფარება, ტყის სხვა ბინადარნი პანიკაში ჩაცვინულან.

ავტორს სცენაზე აუიოტაჟის გამოსაწვევად შემოჰყავს დათვი. ამაში მთავარ დამნაშავებად კი ხეებზე ჩიტები და მიწაზე თაგვები მიაჩნია: „ნეტავი შემეძლოს, ხელი მიმიწვდებოდეს, სულ გავუშო ეგ გასაწყვეტები! (დათვს თავზე ჩხიკვი დასჩხავის. დათვი ბუზღუნით ტყეში მიიმალება). ალბათ, ჩხიკვის ჩხავილი გაბეზრებული დათვის თავზე პატარების სიცილს უნდა იწვევდეს.

წყველა-კრულვას უთვლიან დამშვიდებული თაგვები დათვს და მიუბრუნდებიან თავიანთ საწუხარ ამბავს. ცელქას, სონასა და თებრონეს საუბრით თანდათან კულმინაციისაკენ მიდის ვითარება. დასკვნა- ნათელია ქურდი-

სიმშილაა. ახლა მოქმედებაა საჭირო და ისინიც სწორ გადაწყვეტილებას ღებულობენ:

„სონა (ცელქას). მაშ ჩემო ძვირფასო სიძევ, როგორ მოვიქცეთ, რას მირჩევ? მე მგონია, ასე აჯობებს, შენ ეხლავე გასწი და, საცა იყოს და არ იყოს, გზირს, მამასახლისს, ნაცვალს შეატყობინე. თითო წამი ძვირფასადა დირს, დააკარ პასუხი თორნეს, ვიდრე ცხელია. ამაღამვე თავს დავესხათ. სახლი გავუჩხრიკოთ, არ შეიძლება, ნიშანი რამ არ ვიპოვოთ.

თებრონე, დიაღ, დიაღ სწორედ მაგრე უნდა მოიქცა, სჯობს მოგვარება საქმისა, არ დაყოვნება ხანისა. წადი ეხლავე, გასწი!...

ცელქა. ივდივარ, მშვიდობით! (გარბის კუდაბზეკილი...)".

ავტორმა ისურვა, რომ I მოქმედება ხმაურით დამთავრებულიყო. მონადირეების გამოჩენით ტყეში მან მიანიშნა მკითხველს, რომ ძერისა და დათვის გარდა ადამიანებიც და ძაღლებიც ყოფილან პატარა თაგვების მტრები-შეშინებული თაგვები სოროში გარბიანო-ვკითხულობთ რემარკაში.

ცაში ძერა. დათვის გამოჩენა. მუხის ფესვი. ჩხიკვი. ტყეში დოროტოზს ხმა: ძაღლების ყეფა. სხვა ბინადარნი ტყისა-თვალდაფერფლილი შვლები, ირმები-ის სასცენო რეკვიზიტებია, რომელიც ქმნის ტყის წარმოდგენას, ტყის იმიტაციას.

კომპაქტურია, ერთსვლიანია მთელი მეორე მოქმედება პიესისა. ამბავი კონკრეტულად სიმშილაანთ ბინაში მიმდინარეობს. მოკლე რემარკითაა დახატული ბინა, კერა.

„ტყის კომედიის” მკვლევარი ნათლად იხილავს პროფ. გრ. კიკნაძის მიერ „პიესის არქიტექტონიკის განმსაზღვრელ” თითქმის ყველა პირობას. კერძოდ, ფარდა ეხდება ეწ. „დრამატულ დანაშაულს” და მოქმედებისა და ხასიათების განვითარება მიმდინარეობს სხარტი დიალოგებით.

ქონოტიპის მიხედვით მეორე მოქმედება ორ მომენტადაა მოცემული. პირველ მონაკვეთში სიმშილაანი სინდისის ქეჯნის გარეშე ილხენენ ნაქურდალი თხილით. ავტორმა რამდენიმე სიტყვით დაახასიათებინა საკუთარი ბუნება მთავარ დამნაშავეს სიმშილას.

ქურდი სიმშილა ცინიკოსიცაა. მეორე მოქმედების პირველივე მონოლოგი ადასტურებს ამას:

„სიმშილა. (წამოიწევს). აბა, ერთი დედაკაცო, „სონასული” მოიტა,

გახშამი გავაჩალიჩოთ.(სონასულს ნაქურდალს თხილს

ეძახდა), ხელადაში დვინო იქნება, ისიც მოიტა, სონა-

ქალი უნდა ვადლეგრძელოთ,-მე და ჩემმა ღმერთმა,

ძალიან თხილი შეუნახია და ის დალოცვილშვილი რომ

არცა კითხულობს?! იქნება იმას თავისი ორმო ისევ
საგსე ჰგონია?... ხა, ხა, ხა! იმედიც კაი საქონელია! როცა
ჰნახავს, საქმე მაშინ არი, მაგრამ მანამდე ჩვენ კიდევ
გავათავებთ. ბლომად არის კიდევ?

კეკელა. (ცოლი) ჯერ კიდევ ბლომად არის. ამ დალოცვილმა
ძალიან ბარაქა გამოიდო... (33,269).

სიმშილას მიერ წარმოთქმული საღლეგრძელო კიდევ უფრო მკვეთრად
უსვამს ხაზს ამ ტიპის უარყოფით ბუნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პურ-ლვინით
სიმდიდრეს თავში ტვინი ამჯობინა და ეს უსურვა ცოლ-შვილს. შეზარხოშებულმა
ჭიანურითა და ტაშ-ფანდურით „მოისურვა” გულის გახალისება.

კერსონაჟის დასახასიათებლად დრამატურგმა გამოიყენა დახასიათების არა
„თანდათანობითი გაშლის გზა”, არამედ „მზა ხასიათების მოწოდების
სისტემა”(გრ.კიკნაძე).

კერიაზე გაჩაღებული ლხინით მოქმედების განვითარებამ კულმინაციას
მიაღწია, რასაც უდაოდ უნდა მოჰყოლოდა კვანძის გახსნა და სასურველი, კეთილი
ფინალი. ასეც მოხდა.

ვაჟა-ფშაველამ არც სიტუაციის გარემოს დასახასიათებლად გამოიყენა
„თანდათანობითი გაშლის გზა”. სცენაზე მყისიერად, ხმაურით დაიწყება
ქრონოტოპის მეორე სტადია. ამას ადასტურებს დრამატურგის რემარკაც: კეკელა
ცეკვავს, საკრავების ხმა და ამ დროს: (თამაშობს. ისმის ხმა გარედან: ოჯახის
პატრონო, ოჯახის პატრონო! საკრავების ხმა შესწყდება. პასუხს აღარ უცდიან და
სიმშილაანთ კერიაზე გამოიჭიმება მამასახლისი თავის იასაულებით, ჩაფრებით,
ცელქა, სონა, თებრონე და სხვანი).

მამასახლისი. აგაშენოსთ ღმერთმა! კაი დროს მოვედით! სიდედრსა
კუვარებივართ. ჩვენ კი არ დაგვპატიჟებთ?! (ყველანი ფეხზე ადგებიან)(33,270).

მოვლენათა განვითარება ბუნებრივად იწვევს მოზარდ მკითხველში
მოლოდინისა და ინტერესის განცდას-რა და როგორ მოხდება?

თანამედროვე ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ყველაფერი
„ოპერატიულად მაღალ დონეზე” ჩატარდა: ბრალდების წაყენება, ბინის ჩხრეკა,
მტკიცებულების ამოღება და დამნაშავის დაპატიმრება. ყველაფერი ეს იმ
დროისათვის და აიმ გარემოსათვის დამახასიათებელ ქმედებაში აისახა.

მკითხველს აუცილებლად დააკმაყოფილებს მორალურად შედეგი. პიესა
სცენაზე რომ გადასულიყო, ბუნებრივი იქნებოდა ყიჟინა, აუიოტაჟი მოზარდი
მაყურებლისა მათ თვალწინ გათამაშებული სცენის გამო. თუმცა, სცენარითაც
დიდებულადაა მიღწეული ეს. ყველაფერი სწრაფად და დიდი შეხლა-შემოხლით

დასრულდა: რემარკა (გზირ-ჩაფრებს მოაქვთ თოკები და ჰკონავენ სათითაოდ, ისმის წრიპინი და წრუწუნი თაგვებისა) და ამ აურზაურში სონა-თაგვი ჩუმად ჩაულაპარაკებს მამასახლისს: „ოი, შენს მარჯვენას კი ვენაცვალე! ემაგრე, ემაგრე! რაც შეიძლება დატანჯვე ეგ გასაწყვეტები, დაწვი დად დადაგვ. ეგ თხილიც შენი ფეშქაში იყოს და სხვასაც მოგართმევ. ოდონდ მაგათ ჯავრს ნუ მაჭმევ”(33,270-271).

ინტერესმოკლებული არ არის მამასახლისის გადალაპარაკება, პასუხი სონას შემოთავაზებაზე:

„მამასახლისი.. (სონას). შენ არხეინად ბრძანდებოდე, ეხლა მე ვიცი, უნდა სამაგალითოდ დავსაჯო, ისე, რომ რა სათქმელია, ცალი თხილიც კი არავის დაეკარგოს ამის შემდეგ. (მხლებლებს) აბა, გასწიოთ, წაიყვანეთ ეგ ტუსაღები, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ”.(იქვე)

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები ვითომ სხვათაშორისაა თქმული პერსონაჟების მიერ, ფაქტიურად და ჩვენი რწმენითაც, ეს სიტყვები შეფარვით გამოხატავენ „ავტორის საერთო იდეურ კონცეფციას”- ამხილოს სოფლის ჩინოვნიკობაცა და სოფლის (აქ იმ ტყის-ჟ.კ) უბირი მოსახლეობაც მექრთამეობაში.

პიესის სიუჟეტი კი ლოგიკური დასასრულისაკენ მიდის.

ფინალი საფიქრალს უტოვებს ნორჩ მკითხველს. შესაფასებლად უტოვებს ავტორი მათ ერთ დეტალს.

გზაში მიმავალმა მამასახლისმა საფრთხე იგრძნო. მხლებლებმაც პანიკურად იყვირეს: „მგლები, მამასახლისო, მგლები! ჩვენთვის გზა შეუკრავთ!” (იქვე) და ყველამ თავს უშველა, „გარბი-გამორბიან, გაიფანტებიან, ხოლო ტუსაღები რჩებიან შეკონილნი ერთ ადგილას”. (იქვე).

წინა რემარკით თქმულია, რომ მელების ხმა თანდათან ახლოვდებაო. რა დასკვნას გამოიტანს მკითხველი?- მელების ლუკმები გახდებიან სიმშილანი თუ რჩებათ ცოცხლად გადარჩენის რაიმე შანსი? დიდი ილიას სიტყვებისა არ იყოს: „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმაო”.

„ტყის კომედია” ახალთაობის ზნეობრივი აღზრდისა და საზოგადოებაში არსებული მანკიერების მხილებასთან ერთად სამაგალითოა ენობრივი თვალსაზრისითაც. თხზულების ენა ძარღვიანი ქართულის ნიმუშია, სტილისტურად გამართულია, მდიდარია მისი ლექსიკა. პერსონაჟთა მეტყველებაში ჩასმული ფრაზეოლოგიზმები ნაწარმოებს სახალისოს ხდის. მოხმობილი აფორიზმები, სენტენციები კი დააფიქრებს მოზარდს და გონებით მოაძებნინებს მათი წარმომავლობის წყაროებს. მართლაც, ეს პატარა პიესა „ტყის კომედია” ქართული ენის, ლექსიკის, სტილისტიკის მშვენიერი საგანძურია, სალაროა.

მიმოვისილოთ რამდენიმე მაგალითი ტექსტიდან. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ თითოეული სენტენცია, აფორიზმი, წყევლა, სიტყვის მასალა ბრწყინვალედაა ჩართული პერსონაჟთა მეტყველებაში, ყველა მათგანი ლოგიკურად გამართლებულია მოცემულ კონტექსტში, ყველა მათგანი შეესაბამება პერსონაჟის განწყობილებას, დიალოგის ატმოსფეროს.

მაგალითად, გაქურდული, გამწარებული სონა-თაგვის პირველივე მონოლოგი დამუხხულია ემოციურადაც, ლექსიკურადაც, რამდენიმე ფრაზაში გამოყენებულია წყევლაც, სიტყვის მასალაც, ფრაზეოლოგიაც:

მისი თქმით, ქურდი შეჩვენებულია, წყეულია, რომელმაც იგი დასვა ცარიელზე ანუ გაძარცვა პირწმინდად. მას მოჰყვება წყევლა-ფრაზეოლოგიაში გადასული: „ეგები ჩემის ცოდვით კბილები დასცივდეს და თვალები დაეთხაროს”. აქვე მხარს უბამს თებრონე-„შხამად შეარგოს!”

სონას სიტყვით: „ვაი იმის ბრალი, ვისაც საკუჭნაოში არაფერი აბადია, ამოსძვრება სიმშილით სული”. ესეც ხომ ცნობილი ფრაზაა, სიტყვის მასალაა სალხში გავრცელებული.

ამის შემდეგ ოდნავ რომ დაცხრება მოსაუბრეთა აღტყინების ტალღა და გადავლენ მომხდარის შეფასებაზე, ვარაუდების, ეჭვის გამოთქმაზე, კონტექსტი უფრო მეტი სიმშვიდის მქონეა და მსჯელობაც უფრო დინჯ სტილში გაგრძელდება. კორექტირებას განიცდის ლექსიკაც.

ორმოს დათვალიერების შემდეგ გამოცდილი თებრონე-თაგვი დაადგენს, რომ ქურდობაში ღორის, მაჩვის ან დათვის ბრალი გამორიცხულია. ეს უფრო თაგვის ნახელავიაო და იქვე შემოაგდებს ცნობად ეჭვს-სიმშილაანთიდან ყოველდამე ტაშ-ფანდურისა და სიმღერის ხმა გამოდის, საიდან და როგორაო?

ამან უკვე სხვა ასპექტით წარმართა დიალოგი. ემოციაზე მეტად გონიერება გამოსჭვივის ჩართული ფრაზებით.

საინტერესოა თებრონეს მონოლოგიდან რამდენიმე ფრაზა:

1. „განა არ იცი, რაც ოფლის პატრონნი ბრძანდებიან”. ე. ი. უქნარები, ზარმაცები, უშრომელნი არიანო (სიმშილაანი-ჟ.კ.).

2. კარდა-კარ მოარული სიმშილა დამათხოვრობდა და თებრონესთანაც მისულა და უთხოვია: „ღონეს გამხადე, ერთი ათიოდე თხილი მასესხეო”, ანუ მიშველე, მომასულიერე, გადამარჩინეო, მისივე სიტყვებია: „თავად სიმშილა ისეთ ბუქნაში ამოდიოდა, რომ ქუიდ ცაში და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა”. მოზარდი უნდა მიხვდეს, რომ სიმშილა გაგიჟებით ცეკვავდაო; ხოლო ანდაზა „ქუდი ცაში და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა”-მეტაფორიზებული პერიფრაზაა ცნობილი ანდაზისა- „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო!”

მოზარდი უნდა მიხვდეს, რომ სიმშილა გაგიჟებით ცეკვავდაო; ხოლო ანდაზა „ქუდი ცაში და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა”-მეტაფორიზებული პერიფრაზაა ცნობილი ანდაზისა- „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო!”

მეტი ემოციურობით გამოირჩევა პირველი გამოსვლის ამ ბოლო დიალოგში სონა-თაგვის კონტექსტი:

1. „მე შენ გითხრა, გასაწყვეტებს უკაცურობა შეაწუხებდათ, ბუზებივით ირევიან; ფრაზა გულისხმობს-ბევრი, აუარებელნი არიანო.

2. „იქნებ იმასა ფიქრობდეს, ქვრივ-ოხერია, ვინა ჰყავს პატრონი, შამრჩება, არაფერიაო!... მოიცა, ამ კავებს გავიყრეინებ, თუ ვერ ვაწვნიო!...” პირველ რიგში, დიმილის მომგვრელია ქვრივის ტრაბახი და კავების გაყრეინება. დიმილის, სიცილის საფუძველს კი ცნობილი ფრაზეოლოგია წარმოადგენს: „ულვაში ნუ მსხმია, კაცი არ ვიყო დედაკაცს ვემსგავსო, სულ უკანასკნელი ვიყო, თუ...”(77,629). უშუალოდ სიტყვა-„ვაწვნიო” განიმარტება როგორც-„თუ” სამაგიერო არ გადავუხეადოო”.

ლექსიკის თვალსაზრისით საინტერესოა პირველი მოქმედების მეორე გამოსვლა, განსაკუთრებით ახალი პერსონაჟის, ცელქას, მეტყველებაში.

როდესაც ცელქა მიხვდება თუ რასა ჩიოდა სიდედრი, იტყვის: „ცოტა რამ სუნი ავიდე საქმისა... ყურებში რაღაც დამაწყდა.”(გვ.267)

„სუნის აღება” ალექსანდრე ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში ასეა განმარტებული: „სუნის აღება-ყნოსვით მიგნება, გაგება(65,436), ხოლო ფრაზა: „ყურებში რაღაც დამაწყდა” ნიშნავს ყურის მოკვრას, გაგონებას (იქვე, გვ.71).

„კავის დაყრევინების” ანალოგიური შინაარსისაა ცელქას სიტყვები: „მთელმა ქვეყანამ იცის. ულვაშს მოვიპარსავ, თუ ჩემი ეჭვი ტყუილი გამოდგება”(გვ.268).

I მოქმედების ფინალში საყურადღებოა სონას მონოლოგში ჩართული ანდაზა: „თითო წამი ძვირფასადა ლირს, დააკარ პური თორნეს, ვიდრე ცხელია”.

აქვე, ამავე სიტუაციაში, თებრონეც აჩქარებს ცელქას და მშვენივრად მიუსადაგებს ვითარებას „ვეფხისტყაოსნის” აფორიზმის პერიფრაზს: „სჯობს მოგვარება საქმისა, არ დაყოვნება ხანისა. წადი, ეხლავე, გასწი!”(65,268).

ლექსიკური თვალსაზრისით პიესის II მოქმედება დაცლილია ასოციაციური გამონათქვამებიდან. მხოლოდ ერთხელ გვხვდება მამასახლისის სიტყვებში ცნობილი ანდაზა: „ხმა დვთისა-ხმა ერისაო,-ტყუილად არ იძახოდა ხალხი, მთელი დუნია”(გვ.270).

დასკვნის სახით მოკლედ აღვნიშნავ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ინტერესებში ანგარიშგასაწევ ფაქტორად რჩება დრამატურგია. ამ სფეროშიც დიდი ვაჟა ინარჩუნებს სწორუპოვრობას. ილიასთან და აკაკისთან ერთად ვაჟამ მყარი საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის ქართულ დრამატულ ხელოვნებას.

თავი. IV-თარგმანი, როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების ერთ-ერთი ასპექტი (1900-1910-იანი წლების მიხედვით)

ვაჟა-ფშაველას მთარგმნელობითი მოღვაწეობის ანალიზი მკვლევართათვის გვერდაუკლელი ამოცანაა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გენიალური პოეტის შემოქმედებითი ინტერესების სრულყოფილად გასაცნობად ეს სფეროც უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან თარგმანიც ვაჟას შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტია. თუმცა, ვიზიარებთ საერთო შეხედულებას, რომ ვაჟა-ფშაველასათვის მთარგმნელობა არ ქცეულა დიდ მოწოდებად, მაგრამ ვინაიდან თარგმანი მას ეროვნული ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა, 1880 წლიდან 1909 წლის ჩათვლით უთარგმნია სხვადასხვა ავტორის თორმეტი დასახელების სხვადასხვა უანრის ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას თითქმის თანაბრად მიუქცევია ყურადღება მთარგმნელობითი საქმიანობისათვის XIX საუკუნეშიც და XX საუკუნის 900-იან წლებშიც.

XIX საუკუნე: 1880წ. „ფერდალის აღზრდა”; „ივერია”; 1881წ. ნაწყვეტია 6. ოსტროვსკისა და 6. სალავიოვის პიესიდან „ბედნიერი დღე”; 1886წ. „ბულბულსაც მოწონება”. „თეატრი”; 1893წ. პეინედამ. „ივერია”; 1896წ. „ქაჯი”. „საქართველოს კალენდარი”.

XX საუკუნე: 1904-05წ.წ. „ორლეანელი ქალი”; 1906წ. გ. პოს „ყორანი”, „მეგობარი”; 1907 წ. „მზითვის ლანგარი”. „ნაკადული”; 1909წ. „საქართველოს ოცნება”. „დროება”; 1909წ. „ქალის მთა”. „ცრემლები”; 1909წ. „სტენკა რაზინი”. ავტოგრაფი (IV, 275-595).

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხუთტომეულის მეოთხე ტომში მითითებულია, რომ ვაჟას უთარგმნია აგრეთვე ლუდვიგ ბერნეს „პარიული წერილები”. მოღწეულიაო მხოლოდ დასაწყისი (33,696).

როგორც ვხედავთ, 900-იან წლებში ოდნავ მეტი აქტიურობით შესდგომია ვაჟა-ფშაველა მთარგმნელობით საქმეს, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ვაჟა-ფშაველაც ლირსეულად აგრძელებს და იცავს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს.

დადგენილია, რომ რუსი ავტორების: ანატოლი კრემლოვის, მიხეილ ლერმონტოვის, ლეონიდ ობოლენცკის, სოლოვიოვის, ოსტროვსკის და ერთი ხალხური ლექსის, რომელიც ეპუთვნის XIX ს. თარგმანის პარალელურად ყველა უცხოელი ავტორის: პაინეს, ედგარ პოს, შილერის, უიდას, ერკმან-შატრიანის

თხზულებები ვაჟას ნათარგმნი აქვს რუსული თარგმანებიდან და რუსული დედნებიდან.

ვაჟა-ფშაველას მთარგმნელობითი სისტემა სხარტად, კომპაქტურად აქვს დახასიათებული მკვლევარ თამაზ ჩხერიძე „წინათქმაში”, რომელიც წინ უძღვის „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის”(1966წ.) IV ბლოკს, რომელშიც გაანალიზებულია ვაჟას მთარგმნელობითი საქმიანობა. იგი აღნიშნავს: „ვაჟას კეთილსინდისიერად გადმოაქვს დედნის სიუჟეტური ქარგა და შინაარსი, მაგრამ იქ, სადაც საქმე ეხება პოეტური ნაწარმოების მთლიანი სტრუქტურისათვის აუცილებელ ასპექტებს (ინტონაცია, ბგერწერა, განწყობილება და სხვა) იგი არ ითვალისწინებს ან უფრო სწორედ, ვერ გრძნობს უცხო ნაწარმოების თავისებურების მთელ სისაუსეს და ამ ასპექტების სრულ ასიმილირებას (მაგალითად „პოლშერიდან”), ხოლო ზოგჯერ ნოველირებას ახდენს”(106, 314).

თავად ცნობილი მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი იქვე განმარტავს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას : „მაგრამ ასე იქცეოდა თითქმის ყველა დიდი შემოქმედი, რომელიც თარგმნისადმი განსაკუთრებულ მიღრეკილებას არ ამჟღვნებდა (რასაც თავისთავად მათი ტემპერამენტის თავისებურება განაპირობებდა), თუნდაც იმ ცხადი მიზეზის გამო, რომ მათი გულისყური და ტიტანური ენერგია დღენიადაგ საკუთარი პოეტური სამყაროს შექმნისაკენ იყო მიმართული. როცა ეს სამყარო უკვე შექმნილია, მათ მხოლოდ მისი მეშვეობით შეუძლიათ განჭვრიტონ, შეიგრძნონ ან გარდასახონ, რაც მათში იმთავითვე არ იყო მოცემული(106, 314).

მოკლედ მიმოვისილავთ იმ პირველ ლექსს, იმ პირველ მოთხრობასა და იმ პირველ პიესას, რათა გავითვალისწინოთ ის მხატვრულ-ესთეტიკური თუ იდეურ-თემატური იმპულსები, რამაც გეზი მისცა ვაჟა-ფშაველას მთარგმნელობით მოღვაწეობას, რამაც გააღვივა მისი შემოქმედებითი ინტერესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი-თარგმანი.

ტექსტოლოგებს, ვაჟას თხზულებათა გამომცემლებს დადგენილი აქვთ, რომ ქრონოლოგიურად ვაჟას პირველად უთარგმნია ფრანგი მწერლების ემილ ერკმანისა და ალექსანდრე შატრიანის ერთობლივი მოთხრობა „ფერდალის აღზრდა”, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ივერიის” 1880 წლის №4. ეს თარგმანი დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას 1961 წლის აკადემიური გამოცემის IV ტომშიც”(98, 318);

1881 წლით თარიღდება ნაწყვეტი რუსი ავტორების ა.ნ. ოსტროვსკისა და 6. სოლოვიოვის ერთობლივი პიესიდან „ბედნიერი დღე”, რომლის ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ვაჟა-ფშაველას ფონდში №192 (33,695);

გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის №24-შია დაბეჭდილია ალექსი ...
„ბულბულსაც მოეწყინება“) თარგმანი პოლშურიდან (33,652).

ვიდრე შემოგვთავაზებდა საფუძვლიან ანალიზს, თუ როგორ უთარგმნია ჭაბუკ ვაჟას მოთხოვბა „ფეოდალის აღზრდა“ ქნ სალომე ყუბანეიშვილმა მოკლე ანოტაციაში განსაზღვრა ფრანგი მწერლების ნაწარმოების მთავარი მოტივი, იდეური სულისკვეთება: „მოთხოვბა „ფეოდალის აღზრდა“ ვაჟამ რუსულიდან თარგმნა. რუსულ ენაზე ეს ნაწარმოები დაიბეჭდა პეტერბურგში, 1876წელს. მასში დახასიათებულია გერმანელი (პრუსიელი ფეოდალები), როგორც საფრანგეთის დაუმინებელი მტრები. ეს მოთხოვბა პატრიოტულ განწყობილებას აღრმავებდა ფრანგ მკითხველებში. შეიძლება ამ პატრიოტული მიზანდასახულობით აიხსნას, თუ რატომ აირჩია სათარგმნელად ვაჟამ ეს მოთხოვბა, ან შესაძლებელია ვაჟას ყურადღება თვით მოთხოვბის ავტორებმა მიიპყრეს. ისინი ხომ უკვე ნაცნობი მწერლები იყვნენ ქართველი მკითხველისათვის. იქნებ თრივე ეს მოტივი აპირობებდა ვაჟას არჩევანს“ (98,318).

შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, თრივე მოტივი, რაზეც მიუთითებს მკვლევარი, ზუსტად განსაზღვრავს მთარგმნელის შემოქმედებით ინტერესებს. აქვე გასათვალისწინებელია მისი ასკიც, მისწრაფებაც ნათარგმნის ხილვისა უ. „ივერიის“ ფურცლებზე.

მრავალმხრივ არის საყურადღებო პროფ. სალომე ყუბანეიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა ამ თარგმანისა:

1. მის მიერაა მიკვლეული მანამდე უცნობი ავტორები მოთხოვბისა. „ესენი არიან ფრანგი მწერლები ემილ ერკმანი (1822-1899) და ალექსანდრე შატრიანი (1826-1890);
2. მითითებული აქვს, თუ პირველად სად და როდის დაიბეჭდა ამ ნაწარმოების რუსული თარგმანი.
3. გამოთქმულია საფეხულიანი არგუმენტი, თუ რატომ აირჩია ვაჟამ ეს მოთხოვბა.
4. მოცემულია მაღალკვალიფიციური ფილოლოგიურ-ლინგვისტური და ტექსტოლოგიური ანალიზი თარგმანისა.
5. ხაზგასმულია ვაჟას უნებლიერ შეცდომები რუსულ ტექსტთან მიმართებაში, გვაძლევს ამ შეცდომათა გამოსწორებულ ვარიანტებს და აღნიშნავს, რომ ვაჟასეული შეცდომები გამეორებულია აკადემიურ გამოცემაშიც.

6. რუსული ტექსტის, პირველნაბეჭდისა და უკანასკნელი გამოცემის ურთიერთშედარების შედეგად დადგენილია მრავალი კორექტურული შეცდომა, რომლებიც გადმოყოლილია აკადემიურ გამოცემაში(98,318-320).

მოკლედ დაგიმოწმებთ სტატიის ავტორის მიერ მითითებულ შენიშვნებს თარგმანის შესახებ. დასმულ შეკითხვაზე, თუ როგორ უთარგმნია ვაჟას ეს მოთხოვბა, პასუხი რამდენიმე პუნქტისაგან შედგება:

1. „ხშირად ვაჟა ამარტივებს ტექსტს და ათავისუფლებს მას ზოგი ცნობისა და დეტალისაგან (მითითებულია კონკრეტული მაგალითი).“
2. „...როდესაც ვაჟა ამჩნევს, რომ ფრაზას რაღაც აკლია, რათა სურათი დამთავრებული გამოვიდეს, ის თვით უმატებს თავის სიტყვას...“
3. რუსული ტექსტის პირდაპირ თარგმანს ვაჟა „ქართულისათვის შესაფერ ხატოვნებას ამჯობინებს“...
4. „განსაკუთრებით კარგი ქართულით და მხატვრულადაა ნათარ-გმნი ის ადგილები, რომლებიც ეთმობა ძველი ციხისა და მისი ბინადრების აღწერას“(98,318-319).

გარდა ამისა, მოთხოვბაში დასმული პრობლემა ახალგაზრდის აღზრდისა, მისი გონიერი, სულიერი და ფიზიკური წრთვნისა მშვენიერი ქართულითაა გადმოცემული.

როგორც სათაური მიგვითითებს, აქცენტი აღებულია ფეოდალის შვილის, ახალგაზრდა აზნაურის აღზრდის პროცესზე, რომელსაც მკაცრად აკონტროლებდა მოხუცი ბარონი ოტო ფონ-მაინდორფი.

ჩვენი დაკვირვებით, ვაჟამ ეს მოთხოვბა სათარგმნელად იმიტომაც აირჩია, რომ მთავარი პერსონაჟი პირველ პირში გვიამბობს, თუ როგორ ასწავლიდა პარტორი მას ძველ აღთქმას, მსაჯულების, მეფეების, წინასწარმეტყველების ისტორიას და, რაც მთავარია, ამის შემდეგ, როგორც იგი ამბობს: „პარტორმა ქრისტეს ისტორია დამაწყებინა, რომელიც ასწავლიდა კაცო თანასწორობას წინაშე დათისა, უწოდებდა ყველას ძმებად და ამცნებდა ხალხს ურთიერთის შეურაცხყოფის პატივებსა, უბრძანებდა მარცხენა ლოყის მიბრუნებასა, როდესაც სცემდენ მარჯვენაზე... ამ მაღალ ზნეობით პრინციპებზე რომ დამიწყო დაპარაკი, ბრანდგორსტი (პარტორი-ჟ.კ) აღტაცებაში მოვიდა, ჩვეულებრივი საუბრის კილო მან მჭერმეტყველურად შესცვალა...”(33,538).

დგას რა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა თერგდალეულთა მხატვრულ-ესთეტიკურ და იდეურ პოზიციებზე, ამ მოთხოვბის თარგმანითაც დაადასტურა დიდმა ვაჟამ, რომ „თარგმანის მნიშვნელობა მართლაც განუსაზღვრელად დიდია... სიტვის ხელოვნება ანუ მწერლობა, მართლაც

საფუძველია მთელი სულიერი კულტურისა. ამასთან, ადამიანები, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, დამოუკიდებლად ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონუმიკური ურთიერთობებისა, თითქოს იღუმალი ძაფებით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. თვით ადამიანის ბუნებაა ასეთი”(115,296).

ჩანს, იდეურმა მხარემ განაპირობა მისი პუბლიკაცია „ივერიაში”, ხოლო თარგმანის ქართულმა ენამ, სტილმა მას მწვანე შუქი აუნთო მკითხველებისაკენ და დღეს ვრწმუნდებით, თუ კონკრეტულად როგორი დახმარება გაუწია ამ თარგმანმა საერთო ეროვნული კულტურის განვითარებას.

ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილი მეორე მოთხრობა „მზითვის ლანგარი” უიდასი („უიდა ფსევდონიმია ინგლისელი მწერლის ლუიზა დე ლა რამასი), რომელიც ბევრს წერდა ბავშვებზე, ცხოველებზე, მათ მეგობრობაზე(98,315).

როგორც ქნი სალომე ყუბანევიშვილი აღნიშნავს: „ვაჟას ინტერესი შეპირობებული იყო ამ მოთხრობის შესრულების თავისებური მანერით, ნაწარმოების საერთო განწყობილებით და საკუთრივ შინაარსით, პატიოსანი და შრომისმოყვარე ოჯახი, ერთგული ძაღლი- პარტორი და მისი მეგობარი-კეთილშობილი და ამაყი ფაელო, არ შეიძლება ვაჟას ქართველი ბავშვებისათვის საინტერესოდ არ მიეჩნია.(იქვე).

ვაჟას ეს ნაწარმოებიც რუსულიდან უთარგმნია. მართალია მისი ქართული პუბლიკაცია 1907წლით თარიღდება, მაგრამ XXსაუკუნის 900-910-იანი წლების პირველი ნაბეჭდი თარგმანია ედგარ პოს „ყორანი”(1906წ.) და ცოტა ქვემოთ მირითად აქცენტს მის ანალიზზე გადავიტანთ.

უანრობრივად პირველი დრამატული თხზულების თარგმნის მცდელობა მკვლევართა მიერ თარიღდება 1881 წლით. ეს არის ნაწყვეტი რუსი დრამატურგებისა ნ. ოსტროვსკისა და ნ.ი. სოლოვიოვის ერთობლივი პიესიდან „ბედნიერი დღე”(33,595).

ნაწყვეტის მიხედვით ძნელია მთლიანი თხზულების ავ-კარგიანობაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი დაინტერესება გამოიწვია მთარგმნელის, ვაჟა-ფშაველას, დამოკიდებულებამ სათარგმნელი მასალისადმი.

თარგმნილია პიესის ორი მოქმედება მთლიანად, ხოლო მესამე მოქმედებაში თარგმანი შეწყვეტილია მეშვიდე გამოსვლის რამდენიმე რეპლიკით ორ პერსონაჟს შორის.

ასლი დაცულია, ხელნაწერთა ინსტიტუტის ვაჟა-ფშაველას ფონდში №192.

ვაჟას თხზულებათა ხუთტომეულის IV ტომის „შენიშვნებსა და ვარიანტებში” ვკითხულობთ: „ცნობილია, რომ დიდი რუსი დრამატურგი ა.ნ. ოსტროვსკი რამდენიმე წლის განმავლობაში თანავტორობდა ნ.ი. სოლოვიოვთან

(1845-1898). ზემოხსენებული პიესა წარმოადგენს მათი ერთად მუშაობის პირველ ნიმუშს. ეს პიესა პირველად 1877წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ოტეჩესტვენიი ზაპისკიში“.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას თარგმანს, როგორც ხელნაწერშიცაა აღნიშნული, შესრულებულია იმავე 1881 წელს. ამიტომ ჩვენ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას ეს პიესა „ოტეჩესტვენიი ზაპისკის“ მიხედვით ეთარგმნა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვაჟას თარგმანი არ წარმოადგენს რუსულის ზუსტ გადმოდებას, აქ შეცვლილია რამდენიმე აღგილი და, რაც უფრო საყურადღებოა, ზოგიერთი პერსონაჟის ნაცვლად შეყვანილია ქართველი მოქმედი პირები, მაგ.: ნიკინის ნაცვლად ვაჟას გამოყვანილი პეტერი უბრალაძე, ხოლო მიხალენკოს ნაცვლად თეიმურაზი”(33, 696).

მოტანილი ინფორმაცია თარგმნის თეორიაში ცნობილ ვითარებაზე მიგვითოთებს. კერძოდ, პროფ. გივი გაჩეჩილაძის განმარტებით: „მხატვრული თარგმანი დედნის ავტორისა და მთარგმნელის ინდივიდუალურ წინააღმდეგობათა დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. თარგმანმა ამ შემთხვევაში შეიძლება მოგვაგონოს პიბრიდი, რომელიც ორგანულად ატარებს თავისი მშობლების თვისებებსა და მსგავსებებს”(19,100).

ნაწყვეტის თარგმნის კიდევ ერთ თავისებურებაზე უნდა შევაჩიროთ ყურადღება. ცნობილი მთარგმნელები, თარგმნის თეორიტიკოსები მიანიშნებენ სათარგმნელი ტექსტის „გაქართულებაზე“.

1987 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტმა ასეთი კითხვა დაუსვა ვახტანგ ჭელიძეს: „რამდენად შეიძლება უცხო ტექსტის გაქართულება?“ ცნობილმა მთარგმნელმა შექსპირისა, დიკენსისა და უაილდის თარგმანთა თავისებურებების განსაზღვრის შემდეგ შემოგვთავაზა დასკვნა: „ეს თავისებურებანი უსათუოდ უნდა გადმოვიდეს ქართულად. სულ სხვა საქმეა, ვინ როგორ მოახერხებს, ვინ როგორ მიუახლოვებს ორიგინალის განწყობილებას, რადგან ზუსტად ადექვატური თარგმანი ალბათ შეუძლებელია, მაგრამ მთავარი პირობა ყოველთვის დაცული უნდა იქნეს-ქართული უნდა იყოს”(115,289).

„ბედნიერი დღე“ ადასტურებს, რომ ვაჟა-ფშაველამ თავისებურად მოინდომა რუსული პიესის გაქართულება. ამას კი თარგმნის თეორიაში და პრაქტიკაში ჰქვია თავისუფალი თარგმანი. მსგავს დამოკიდებულებას სათარგმნელი ნაწარმოებების მიმართ პროფ. გ. გაჩეჩილაძე ხსნის ორიგინალურად: „საყურადღებოა, რომ საერო ხასიათის ნაწარმოებები უმთავრესად მაპმადიანური სამყაროდან არიან შემოსული. როგორც ცნობილია, ეს იყო მტრული სამყარო,

მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია კულტურული ურთიერთობის ამ ფორმისათვის. ეს კია, რომ სწორედ ამავე გარემოებითაა გამოწვეული თარგმნილ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი გაქართულება”(19,21).

დანარჩენ თარგმანებში მსგავსი დამოკიდებულება უცხოური ტექსტების მიმართ გამორიცხულია, ანალოგიურ დამოკიდებულებაზე ვმსჯელობთ, თორემ თავის თარგმანებში ვაჟა ხომ მაქსიმალურად იცავს დედნის რესურსებს და თავისუფლად ერევა ტექსტის ენობრივ სამყაროში მხატვრული თუ ლინგვისტურ-ლექსიკოლოგიური თვალთახედვით. ეხება ეს ლექსებსაც, პოემებსაც, მოთხოვებებსაც, პიესებსაც.

თარგმნის პროცესში ვაჟა-ფშაველა მთელი პასუხისმგებლობით რომ გპურობოდა სამივე გვარს-ლირიკას, ეპოსს, დრამას, ნათელყოფს მის მიერ თარგმნილ ნაწარმოებთა ჩამონათვალიც.

ეპოსის, დრამის თარგმანთა მიმოხილვის შემდეგ გვსურს მოკლედ შევჩერდეთ ჭაბუქობისას მის მიერ მშვენივრად თარგმნილ ლექსზე -„ბულბულსაც მოეწყინება”(თარგმნილი პოლშურიდან), 1886წელი. (33, 275).

სრულიად სხვაგვარად გამოიყურება პოლონური ლექსი თარგმანში გაქართულების შედეგად. კონკრეტულ შემთხვევაში აღარც კია საჭირო დედნის ილუსტრაცია, რადგან პოლონური ლექსის ბუნება, ვერსიფიკაციული მხარე აბსულუტურად განსხვავებულია ქართულისაგან, მითუმეტეს ვაჟას პოეტური ხელწერისაგან.

ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავ დღეებშიც მიიქცია ამ ლექსმა ქართველი მკითხველის ყურადღება. მხედველობაში გვაქვს 1961 წლის 22 ივლისს გაზეთ „თბილისში” გამოქვეყნებული პატარა სტატია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ნიკოლაიშვილისა-„ვაჟასეული თარგმანი პოლონურიდან”(66,2).

სტატიის ავტორისათვის ეს ლექსი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ „მასში სიმბოლურად შესანიშნავად არის მოცემული XIX ს-ში სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მყოფი პოლონელი ხალხის მდგომარეობა, რომ ბულბულს სოფლის ჯავრი ძლიერ უდრიდნის გულს”.(66,2).

პოეტიკის თვალსაზრისით კი ლექსი იმითაა საყურადღებო, რომ გაპიროვნებისა და მეტაფორიზაციის საბურველქვეშ მოჩანს „ტექსტის ხილული და დაფარული შრეები”(ი.რატიანი).

ხილულია ბულბულის განცდები, მისი დამოკიდებულება გარემოსადმი და ლირიკული გმირის დამოკიდებულება ბულბულისადმი. მას კარგად გაუგია ის, რომ:

ბულბულსაც მოეწყინება
 ტირილი მუდამ ვარდზედა-
 წავა, ტყეს მიიმალება,
 ან გადაივლის მთაზედა...
 მესმის, რისთვისაც სოფლადა
 ჯავრი გულს მიღრღნის ძალზედა-
 (33,275)

მკითხველი ლექსისა კი მიადგება დაფარულ შრეს და იწყებს ინტერპეტაციას იმისა, თუ რა არის ანალოგიური ბულბულის განცდებსა და ლირიკული გმირის ქმედებას შორის, ანუ რამ განაპირობა მისი საპროტესტო განწყობილება; როგორც ბულბული გაბეზრდება ვარდზე მუდმივი ტირილით და ამოსუნთქვის მიზნით „წავა ტყეს მიიმალება, ან გადაივლის მთაზედა.“

ის თურმე ლირიკულ გმირსაც გულს უდრღნიდა ჯავრი სოფლადა და, ბულბულის მსგავსად, ისიც გადაწყვეტს, მიატოვოს ჯავრის საბუდარი-საკუთარი სოფელი:

წავალ, იქ გადავარდები,
 სადაც მთანი და კლდენია,
 ნაპრალის თავზე ვამრავლებ
 ცრემლს, რაც აქამდინ მდენია,
 სალმა კლდეებმა მიიღონ
 იქნებ ნაღველი ჩემია.

(იქვე)

დაფარული რეალისტური შრეები დია რომანტიკული საბურველითაა მოცემული ანუ ლექსის ლირიკული გმირი მიაშურებს მთებსა და კლდეებს თავისი სევდიანი ფიქრების გასაქარვებლად-„სალმა კლდეებმა მიიღონ იქნებ ნაღველი ჩემია.“

როგორც ჩანს, ეს ლექსი მშვენიერი სავიზიტო ბარათი გამოდგა ლირიკული ლექსების თარგმნისათვის ვაჟას შემოქმედებაში, ხოლო ზემოთ განხილული თხზულებები-მწერლის შემოქმედებითი ინტერესების ერთი ასპექტისათვის.

მხატვრულ თარგმანს საქართველოში დიდი ხნის ისტორია გააჩნია. როგორც ცნობილი მკვლევარი, პროფ. გიგი გაჩერჩილაძე აღნიშნავდა: „საქართველოს ისტორიული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებთან... ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე უხდებოდა უთანასწორო ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ... არასოდეს დარჩენილა საკუთარი

თავის ამარა, სხვა ხალხებთან რაიმე ურთიერთობის გარეშე და ეს მდგომარეობა შესაბამის დაღს ასვამდა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიას...

... ქართველი ისტორიულად მიეჩვია თავის გენერაციით სხვა ენისა და კულტურის არსებობას, ამას არ შეულახავს მისი (ანუ საკუთარი, ქართული-უ.) დედაენისა და კულტურის უაღრესად ეროვნული ხასიათი... შემოჭრილ მეზობელ ხალხებთან და მათ კულტურასთან ურთიერთობაშიც ამჟღაპნებდა თავისებურ ინტერნაციონალიზმს და სულგრძელობას და ამ ნიადაგზე ერთგვარად ამდიდრებდა კიდეც საკუთარ კულტურას...

... ასეთი ურთიერთობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება. შუა საუკუნეების ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა უძველესი თარგმანები, ახლო აღმოსავლეთის ენებიდან შესრულებული, ამ ურთიერთობის პირველი საბუთია”...18,7, 6-7).

ჩვენი საკვლევი თემის ამოცანა მიგვითითებს, რომ „მთარგმნელობითი ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან სრულიად სხვადასხვაგვარია”. პროფ. გ. გაჩეჩილაძე აქვე იმოწმებს აკად. კორნელი კველიძის მოსაზრებას „უცხო თხზულების თარგმნა საქართველოში ყოფილა „არა მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა.” ამიტომაც საქართველოში იმთავითვე ფესვი გაუდგამს თავისუფალი თარგმნის ტრადიციას. ქართველები იშვიათად მიმართავდნენ დედნის სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოღებას. პირიქით, მათ თარგმანებში შექმნდათ ეროვნული სული და შეგნება, სახეები და კოლორიტი, თვით გვიგრაფიული სახელები და ტერმინებიც კი”.(18,10).

სწორედ ამგვარი ურთიერთობის, დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებას ვხედავთ ვაჟა-ფშაველას მიერ შესრულებულ ედგარ ალან პოს „ყორანის” თარგმანშიც. ოუ თვალს გადავავლებო მსოფლიოში ცნობილ მწერალთაშემოქმედებას, დავრწმუნდებით, რომ ამ მხრივ თავისებური „ხარკი აქვს გადებული” მთარგმნელობისათვის დიდ ვაჟასაც. მას უთარგმნია თორმეტი თხზულება სხვადასხვა ეროვნების მწერლებისა.(იხ. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულის VIIგ, თბილისი, 1964წ.).

ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა რაკურსით მრავალჯერ წამიოჭრა და ცალკეულ შემთხვევაში შესწავლის საგნადაც იქცა ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან, კლასიკურ მწერლობასა თუ უცხოურ ლიტერატურულ სამყაროსთან გენიალური პოეტის მიმართების პრობლემა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები უმეტესწილად შთაბეჭდილებებზეა აგებული და არ მიუღია ინტერტექსტუალური

განხილვის ფორმა. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეთა ხედვით (რ.ბარტი, ი.კრისტევა, ქ.დერიძა, მ.ბახტინი და სხვა)(სჯანი, III, ,234-237) , რამდენადაც ინტერტექსტუალობა შეესაბამება უახლეს მსოფლიოს სულიერი ინტეგრაციისკენ აშკარა ან ფარულ ლტოლვას, ის გულისხმობს, როგორც თავის თავთან, ასევე წინამორბედ და თანამედროვე კულტურულ-ლიტერატურულ სივრცესთან ერთგვარ „დიალოგს“. ეს „დიალოგი“ კი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ამ თვალსაზრისით კურადღებას იქცევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სისტემური ხასიათის ე.წ. „მუდმივ“ პოეტურ ხატად ქცეული „ყორნის“ სახე. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა ჩვენი დახასიათების ობიექტად შერჩეული გენიალური მწერლის შემოქმედებითი სიმწიფის ფაზაში 900-იან წლებში (1905) შექმნილი მოთხოვნა „ყორნის“ ტრანსფორმირების პროცესზე დაკვირვება და როგორც ვაჟას ნაწარმოებთა, ასევე ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ ნიმუშებთან ინტერტექსტუალური მიმართების ჩვენება.

ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლების შემოქმედებით ინტერესთა გასათვალისწინებლად უაღრესად საინტერესოა არა მხოლოდ მოტივთა და პრობლემათა არამედ კონკრეტულ მხატვრულ ხატთა სისტემის თვალსაზრისით ცალკეულ თხზულებათა, ტიპოლოგიური და ინტერტექსტუალური მიმართებების რკვევა.

მოცემულ შემთხვევაში ვაჟასეული სახე-ხასიათთა მდიდარი პალიტრიდან გამოვყავით ყორნის სახისმეტყველება, მისი სიმბოლური დატვირთვა პოეზიაში და პროზაშიც. მითუმეტეს, რომ ეს სახე გარკვეული ასპექტით უკავშირდება ედგარ ალან პოს „ყორნის“ თარგმანის ფაქტსაც

საგულისხმოა ვაჟა-ფშაველას დაინტერესება ე.პოს ამ პოემით. ქართულ სინამდვილეში შემთხვევითი ხასიათის ამბავი არა ყოფილა, მისი შემოქმედება ჩვენში ადრიდანვე სცნობიათ. ქართულად მისი მოთხოვნა „შავი ჭირის მასკა“ ჯერ კიდევ 1886 წელს გამოქვეყნებულა (ირ. ევდოშვილის თარგმანი). ვაჟა ფშაველას შემდეგ არაერთხელ ითარგმნა ეს ნაწარმოები-„ყორნი“ (იხ. ა.შანშიაშვილის, ჟ. „ფასკუნჯი“, „1909წელი, №4; პ.ჭიჭინაძე, ჟ. „კავკასიონი“, 1942წელი, №1-2; ფ. ბერიძისა, ჟ. „მნათობი“, 1962 წელი, №8; გ.ნაკაშიძისა, ჟ. „საუნჯე“, 1980წელი, №6... (93,116).

ვფიქრობთ კაეშნითა და უიმედობით გამსჭვალული თხზულებით ვაჟა-ფშაველას დაინტერესება, ჩანს იმდროინდელმა ცხოვრებამ განაპირობა; ვგულისხმობ იმას, რომ „900-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში თავისი შინაარსით მეტად მდიდარი, და ამავე დროს რთული იყო...

რეალისტური ნაკადის პარალელურად საკმაოდ ძლიერია დეკადენტური ტენდენციებიც... მან უარყო სოციალური პრობლემატიკა და შემოქმედების ცენტრში დააყენა ინდივიდუალიზმი, გულგატეხილობა, უიმედობა და უკიდურესი სეგდა. თვითმკურობელობა სასტიკად უსწორდებოდა საქართველოს; მან (საქართველომ-შპ.) უდაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო გადასახლებულთა, ჩამოხრმობილთა და წამებით მოკლულთა სახით...

905-07 წ.წ. რევოლუციაში ქართველმა მწერლებმა დაინახეს ეროვნული და სოციალური თავისუფლების თავიანთი იდეალები, მისმა დამარცხებამ და რეაქციის გაბატონებამ კი გარკვეული პესიმიზმი და იმედგაცრუება გამოიწვია. ლიტერატურაში ფართო გზა გაეხსნა დეკადენტურ სკოლებს, უკიდურესი პესიმიზმის ქადაგებას (108,240-242).

ედგარ პოს „ყორნის“ მოტივაცია ვაჟა-ფშაველასათვის გარკვეულწილად მისაღები აღმოჩნდა იმ ასპექტით, რომ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულნი ადარასოდეს აღდგებიან.

ეპოს „ლექსში „ყორანი“ კაეშნისა და უიმედობის განწყობილება, ცხოვრების შიშის გრძნობა უკიდურესობამდეა მისული. ავტედითი სახე შავი ყორნისა, რომელსაც სახელად აქვს შერქმეული „არასოდეს“ ადამიანისაგან განუყრელი გარდაუვალი ბედის სიმბოლოა.“(28,280).

ედგარ პოს ვრცელ ლირიკულ აღსარებაში ემოციურადაა გადმოცემული ლირიკული გმირის მწვავე განცდები ძვირფასი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულნი. მთელი ლექსის განმავლობაში აშკარაა, რომ მკვდრის აჩრდილთან იგი არ ხუმრობს, მისი მოგონებით ცხოვრობს, მასზე ფიქრი აძლევს ცხოვრების მიზანს, არც ბუხრის ალი, არც წიგნები იმ ყიამათ ზამთარში „ვერა სწამლობენ გულის ნაღველსა. ლენორავ! სად ხარ? ადარ მომხედავ? სად არს შენი თვალთა მადლი ნეტარი?!“ მაგრამ რეალობა, მისი შინაგანი ინტუიცია ბედისწერასავით შეახსენებს: „ადარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“ ამას ჩასხახის სახლში შემოჭრილი ქარი; შიშია ირგვლივ გამეფებული, „არსად სინათლე, არსაიდან ხმა. მოჩვენებითა აღტყინდა ხროვა. წარსულ, დაკარგულ ბედნიერ წამზე დაუსრულები მოთქმა და გლოვა. მას ვერ მიხვდება ხალხისა გროვა.“ გმირს უკვე ციდანაც ჩამოესმის „ადარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“ (33,279)

ბობოქრობს კარში სტიქია. ამ დროს ვიღაც უკაცენებს ფანჯარაზე-ამბის მთხოვნელი განაგრძობს: „ავდეგ, გავაღე მყისვე ფანჯარა, ბნელმა ოთახი სრულად დაფარა. როგორაც კუპრი და უკუნეთი, შინ შემოიჭრა ფრინველი ერთი. ფრაშუნობს სახლში, როგორც ბორანი, ის იყო დიდი შავი ყორანი. მრისხანე არის, ვით ჯოჯოხეთი, მას არ ელოცა არასდროს ღმერთი.“

ყორანის მქის ყრანტალშიც, ცივ გამოხედვაშიც, ადამიანურ ენაზე ალაპარაკებაშიც გაისმის მხოლოდ „აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!”, „არ შეიძლება აღდგომა მკვდრისა!”, „აღდგომა მკვდრისა წესი არ არის!”, „სად გაგონილა აღდგომა მკვდრისა?!?” ამის შემდეგ მოთმინებადაკარგული და იმედგაცრუებული ლირიკული გმირი მკაცრად შესძახებს ყორანს: „ასჯერ წყეული იყავ დვთისგანა, საუკუნოდა გაყრას გვიქადის ეგ შენი ენა-ჭირსა ჭირთანა! მაშ უნდა დავრჩე იქაც ობლადა, ვერ დავისვენო ვერავისთანა?! მძულს დალვრემილი მე შენი სახე და დვარძლიანი ბოროტი ენა. წადი, გამშორდი, შემზარავი ხმა ჩასწყდეს, არ მწადის შენის ხმის სმენა... გამშორდი! ფიფქიც კი არ დასტოვოვო თოვლისა, ნიშნად შენს აქ ყოფნისა”; ყორანი „კვლავ ისევ იმას ყრანტალებს: „მკვდარი ამდგარა სად და როდისა?!?” როდი გაფრინდა, იქვე ზის წყნარად წარბშეუხრელად, ბოროტი შავად.”

კვიქრობთ, ედგარ პოს აფიქრებს ლირიკული გმირის „გამუდმებული კვნესა დიადი”, რომ „სულში არ მოსჩანს სინათლის ცვარი”, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვამ განსჯის, დვთისმოსაობის უნარიც დააკარგვინა მას, ხოლო სიმბოლური სახე შავი ყორნისა „შავბნელად ჰმოსავს, სახლშია რაცა. დამაწვა ტანზე, გრძნობა-გონებას ჩემსას მძლავრადა ბრჯდალები სტაცა”.

ყორანი თუ ნაწარმოებში ავბედითობის სიმბოლოა, მწერლისათვის წარმოადგენს მისი მსოფლშეგრძნების ერთ პატარა შტრიხს, უიმედობის რომანტიკული განცდის მაჩვენებელს.

მხატვრულ სახეთა სისტემის თვალსაზრისით ყორანი, ზოგადად როგორც სიმბოლო ან ალეგორია, საკმაოდ „ხანდაზმული” და პოპულარული სახეა. ამის თაობაზე ჯონ ფოლის მიერ შედგენილ „ნიშნებისა და სიმბოლოების ენციკლოპედიაში” ვკითხულობთ: „თავისი შეფერილობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ მას მიაწერენ მკვდრისადმი თვალების ამოკორტნის ჩვევას, ყორანი მიჩნეულია სატანისა და ცოდვის სიმბოლოდ; იგი მაცნეა უბედურებისა”(85,299).

საინტერესოა აგრეთვე ყორნის სახისმეყველება მსოფლიო მხატვრულ თუ რელიგიურ ლიტერატურაში. ძველებრაული ლეგენდის მიხედვით, მისი სახელი უკავშირდება ხოესა და მის კიდობანს; ბერძნული მითოლოგის მიხედვით კი იგი ასოცირდება აპოლონის სახელთან; მომავლის წინასწარმეტყველთან; სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს ყორნის სახეს იაპონიის ქვეყნებში, ინგლისში. შემდეგ მითითებულია: „სასულიერო ხელოვნებაში ეს ფრინველი სიმბოლოა იმედიანობისა: ილია წინასწარმეტყველი ზოგჯერ გამოხატულია ყორნის სახით, რომელიც ღმერთის ბრძანებით იქსო ქრისტეს საკვებს უზიდავდა უდაბნოში”.(85,299)

ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული სახისმეტყველებაა. ყორანი პოპულარული პერსონაჟია ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში თუ სასულიერო და საერო ლიტერატურაში.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მსოფლიო სასულიერო ხელოვნებაში ყორანი იმედიანობის სიმბოლოც ყოფილა. ამგვარი მიღვომა შორეულ დროს უკავშირდება. იგი ქრისტიანობამდევლ პერიოდს მოიცავს. შემდეგ მითს ყორნის შესახებ განუცდია ფოლკლორული ტრანსფორმაცია და ასტრალური ლვთაების გაგებიდან ტრადიციულ სისხლისმსმელ ფრინველად წარმოსდგა უკვე კლასიკურ მწერლობაშიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ვაჟას მსვენიერი ნოველა „სვავი”.(32,293).

უნდა აღინიშნოს რომ ვაჟამ ნოველა „სვავი” დაწერა 1895 წელს, ე.ო. ედგარ პოს „ყორანის” თარგმნამდე თერთმეტი წლით ადრე.

სტატისტიკურად ვეცადეთ დაგვეძგინა, რა ვითარება იყო ამ ასპექტით ვაჟა-ფშაველას პოეზიაში..

ვაჟას ლირიკაში ყორანი გამოჩნდა 1885 წელს-„მთას იქით მთვარე ამოდის”(სიმღერა). ამ დროიდან მოყოლებული ყორანი ხან ცალკე, ხან ყვავთან, სვავთან ერთადაა წარმოდგენილი. ამგვარი ლექსების პუბლიკაცია თითქმის ყველა იმდროინდელი ქურნალ-გაზეთებში გვხვდება.

გავიხსენოთ ერთ-ერთი პოპულარული ლექსი „არწივი”, რომელშიც ყორანი, ყვავთან ერთად, საქართველოს მტრადაა მიჩნეული და ამით იგი ტრადიციული სახე ხდება ქვეყნის მტრისა:

„არწივი ვნახე დაჭრილი,
ვავ-ყორნებს ეომებოდა”.

მოცემულ მონაკვეთში ამ პროცესის ე.წ. „წყალგამყოფად” მივიჩნევთ 1906 წელს, მანამდე ყორანი, როგორც ლექსის ობიექტი ფიქსირდება ლირიკაში 9-ჯერ. ედგარ პოს „ყორანის” თარგმნის შემდეგაც ასევე 9-ჯერ. ყორნის პოეტური სახე გარკვეულ ადგილს იჭერს ვაჟას პოემებშიც.

ვაჟას მთარგმნელობით მოღვაწეობას ქართველ მეცნიერთა სათანადო ინტერესი გამოუწვევია: მ. შამანაური, ვაჟა შილერის მთარგმნელი, „ლიტერატურული ძიებანი”, ტ.XIII, 1960წელი; ზ. კიკნაძე, „ორლეანელი ქალის (ვაჟასეული თარგმანის გამო), „ახალგაზრდა კომუნისტი”, 1961წლის 18 ივლისი; ზ. აბზიანიძე, ედგარ პოს თარგმნა (ვაჟა ფშაველას მიერ და „ამირანის ხმალი”, „თბილისი”, 1961 წლის 27 ივლისი; ვ. გაბესკირია „ფრინველ-ცხოველთა სამყარო და ვაჟა”, „ქართველი მწერლები ვაჟა ფშაველას შესახებ”, თსუ 2003წელი (ვაჟა ფშაველას კაბინეტი) და ა.შ.

XIX საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში ერთ-ერთ თავის ესეში ედგარ პო წერდა: „ამბობენ, ლექსის ღრმა კრიტიკული ანალიზი იმასაც შეუძლია, ვინც პოეტი არ არისო. მე და შენ (ადრესატში ეპოს ერთ-ერთ გამომცემელს ელამ ბლისს ვარაუდობენ მკვლევარნი-ჟ.კ.) პოეზიას სხვადასხვაგვარად ვუყურებთ და ვფიქრობთ, ეს აზრი მცდარია-რაც ნაკლებ პოეტურია კრიტიკოსი, მით უფრო ზედაპირულია ანალიზი და პირიქით. (30, 543)

ვეცნობით ედგარ პოს ესეებს: „პოეტებსა და პოეზიაზე” და „კომპოზიციის ფილოსოფია” და ვაცნობიერებთ ზემოხსენებულ მოსაზრებათა ჭეშმარიტებას. ამ სტატიების მიხედვით ედგარ პო მართლაც „დიდებული კრიტიკოსია”. ყურადღებას ვამახვილებთ უპირატესად პოს წერილზე-„კომპოზიციის ფილოსოფია”(30,204-218), რომელშიც ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი ავტორისეული ინტერპრეტაცია, განმარტებები ლექსის თხზვის პროცესისა, ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიისა, „ყორნის” კომპოზიციის ჩამოყალიბებისა, მთლიანი თხზულების კონსტრუირებისა.

აღნიშნულ ესეში ედგარ ალან პო კომპლექსურად განიხილავს შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკას, ამასთან მიმართებას ნაწარმოების და თხზულებაში ასახული საგნებისა და მოვლენების ფსიქოლოგიას.

შემოქმედებითი პროცესის თითქმის ყველა ნიუანსია დაჭერილი და განმარტებული მის მიერ: ნაწარმოების შექმნის განზრახვიდან დაწყებული ორი დამაგვირგვინებელი სტროფის დამატებით დამთავრებული. გაჭირდება უკეთესი გზამკლევის მონახვა ვაჟა-ფშაველას თარგმნის განსახილველად, უფრო სწორედ, თვით ნაწარმოების არსის გასარკვევად; მითუმეტეს, რომ თავად ედგარ პო ამბობს სრულიად გახსნილად „...დასამალი არაფერი მაქვს და მზად ვარ ყოველთვის ძალდაუტანებლად აღვადგინო ჩემი ნებისმიერი ნაწარმოების წერის პროცესი; და რადგარ ჩემი სასურველი ანალიზისა თუ რეკონსტრუქციის დირებულება სრულებით არ არის დამოკიდებული გასაანალიზებელი საგნის რეალურსა თუ წარმოსახვით ბუნებაზე, მე არაფრით არ დავარღვევ მოქმედების განვითარების კანონს, რითაც აგებულია ჩემი ყოველი თხზულება” (30, 206-207). ამ ბოლო ფრაზას მოსდევს საგულისხმო ნათქვამი: „ვირჩევ ყორანს, როგორც საყოველთაოდ ცნობილს”(იქვე).

„ყორნის” საყოველთაოდ ცნობა-აღიარების პირობად ავტორს ის მიაჩნდა, რომ „მის კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური-და რომ ეს თხზულება მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული(30, 207).

ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დაცული ყოფილიყო „ლექსის სიდიადე”, „ყოფილიყო ყველასთვის გასაგები”, „სიცხადით” მიეღწია „ჭეშმარიტებისათვის”,

გარკვეული ინტონაცია მიენიჭებინა ნათქვამისათვის, „შეებურა”, დაეფარა მშვენიერება, ინტონაცია ყოფილიყო სევდიანი, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მიაგნო რეფრენს, ამით მან მრავალფეროვნებასაც მიმართა: „გადავწყვიტე, რომანისებური მუდმივობის შთაბეჭდილება აღმეძრა რეფრენის გამოყენების ცვალებადობით-თვით რეფრენი, უმრავლეს შემთხვევაში, შეუცვლელი დარჩებოდა... რეფრენი სხარტი უნდა ყოფილიყო, რათა მის უეცარ ცვალებადობას სხვადასხვაგვარი სიგრძის ფრაზაში დაუძლეველი სირთულე არ წარმოეშვა... უმჯობესი იქნებოდა რეფრენად ერთ სიტყვას თუ გამოვიყენებდი... ასე გამოჩნდა იდეა ყორნისა-ავის მომასწავებელი ფრინველისა-მონოტონურად რომ იმეორებს ერთ სიტყვას, ყოველი სტროფის დასასრულს... (30, 210-211).

როდესაც ხელთა გვაქვს ედგარ პოს მიერ მოცემული გასაღები ნაწარმოების კომპოზიციური მოდელირებისა, ლექსის თხზვის შემოქმედებითი პროცესისა, ბუნებრივია, შედარებით გაგვიადვილებს თარგმანის ანალიზის პროცესს; სწორი ანალიზის გარანტიას იძლევა თარგმნის წყაროს დადგენაც (ობოლენსკი-ვაჟა-ფშაველა).

დეტალური და კვალიფიციური კვლევა ჩაუტარებია ქ-ნ ნანი წერეთელს. მართებულია მის მიერ მიღებული დასკვნა: „მას შემდეგ, რაც გამოირკვა, თუ საიდან მომდინარეობს ვაჟა-ფშაველას თარგმანი, გაადვილდა იმის წარმოდგენაც, თუ სად რა მიზეზის გამო იზღუდებოდა მთარგმნელი, ანდა, პირიქით, რომელი ადგილები აძლევდა მას პოეტურ თავისუფლებას (30,324).

ამჟამად ორიოდე დეტალს შევეხებით ქ-ნ ნანი წერეთელის სტატიიდან. იგი აქვე მიუთითებს: „ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ყურადღება მიიქცია ასეთმა ფრაზამ: „ის იყო დიდი შავი ყორანი. მრისხანე არის ვით ჯოჯოხეთი, მას არ ელოცა არასდროს ღმერთი”(მე-7). პირველი ნაწილი ამ სტრიქონისა წარმოადგენს ობოლენსკის ტექსტის ზუსტ თარგმანს, მაგრამ მეორე ნაწილს (მას არ ელოცა არასდროს ღმერთი”) შესატყვისი არც ობოლენსკისთან მოიპოვება. მთლიანად კი ეს სტრიქონი განსხვავებულია ორიგინალისაგან, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „შემოფრინდა შორეულ დღეთაგან (მოვლენილი) მედიდური ყორანი”(98, 324-325).

შემდეგ ვკითხულობთ: „ორიგინალის ამ სტროფში ჯოჯოხეთზე და ყორნის ურჯულოებაზე ლაპარაკი არაა. მთარგმნელთა უმეტესობას ამ ადგილის თარგმნისას ხაზი აქვს გასმული ყორნის მედიდურობას, ანდა მის სიბერეს (30,325).

... ვაჟა ძირითადად ზუსტად მიჰყება რუსულ დედანს (ობოლენსკისეულ თარგმანს-ჟ.კ.). ქართულად „ყორნის” ზოგი ადგილი ორიგინალური ლექსის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი სტრიქონები: „თუმც არ

გასხია ტანზე აბჯარი, მაგრამ გეტუობა, ძველი გაქვს გვარი”, „და აბრეშუმის ფარდის შრიალი კვლავ მიათკეცებს ტანჯვას ტიალი”, „ნუთუ უფალო, შენ მომიგლინე ციურნი ძალნი, რომ დავიყუჩო გულის ტკივილი, განკურნო ცრემლით დამწვარნი თვალნი?” და სხვა (1,325). ჩვენ ვეთანხმებით სტატიის ავტორს ამ თვალსაზრისითაც.

ზემოთ მითითებულ ავტორთა თარგმანები მართლაც გამოირჩევა ნაირგვარი ეპითეტებით ყორნის დახასიათებისას, მაგრამ ვაჟასეული მოქნეული ფრაზა უფრო პოეტურად და დამაჯერებლად ედერს:

„ავდებ, გავაღე მყისვე ფანჯარა,
ნელმა ოთახი სრულად დაფარა,
როგორაც კუპრი და უკუნეთი,
შინ შემოიჭრა ფრინველი ერთი”.

(30,280)

ერთ დეტალზეც გავამახვილებდით ჩვენს ყურადღებას, კერძოდ საკითხი ეხება რეფრენს. ზემოთ დავიმოწმე ე.პო ამის თაობაზე. იგი ცდილობდა რეფრენის ერთი სიტყვით გამოხატვას და მან ეს ბრწყინვალედ შეძლო. განხილულ თარგმანებში კი მისი მოთხოვნა ვერც ერთ მთარგმნელს ვერ აუსრულებია.

ამ თარგმანის პუბლიკაციიდან გაივლის წელიწადზე ცოტა მეტი დრო და გაზეთ „ისრის“ 1907 წლის 23 დეკემბრის ფურცლებზე ქვეყნდება ვაჟას ლექსი „გული ამგლიჯა შავმა ყორანმა“.

ვაჟას ყორანიც მქისი ხმიანია; ვაჟკაცისათვის გული ამოუღია და „სწიწკნის იქვე მარჯვესა“, აქ „მოდის და მოდის შავი ნისლები, წინ მოუძღვება, მოზუის ქარი... მითამაშებენ თვალწინ ჭინკები, გადაუდვიათ მხარზედა მხარი: „ძალიანა გწყინს?!“-მეუბნებიან, „უარესს პნახავ, ეგ ცოტა არი! და კვლავ ლირიკული გმირის ვედრება უფლისადმი: „სააქაოსგან უარყოფილსა საიქიოსი გამიღე კარი, ღმერთო, რომ ტანჯვას ჩემსას უსაზღვროს ვერა პხედავდეს ჩემივე თვალი“ და კვლავ იმედი გულისა, შფოთი სულისა, სჯერა, რომ ზეცაც დასცინის, სამაგიეროდ-

„მოდის და მოდის შავი ნისლები,
როგორაც კუპრი, როგორაც ფისი,
პირი მევსება შლამით და მურით,
ყორნისაც მესმის ხმა ისევ მქისი“^{30, 254)}

ერთნაირი სულისკვეთებით მოჩანან ამერიკელი და ქართველი პოეტების დახატული ყორნების მქისნი ჩხავილნი. თუ ედგარ პოს ყორანი ნაფიც მსაჯულივით ჩამომჯდარა ოთახში პალადის ძეგლზე და გულცივად გამოაქვს

განაჩენი თანამოსაუბრისათვის, ვაჟას ყორანი, მიუხედავად თავისი ბუნებისა, ყორნობისა-უფრო „ადამიანურია”, რადგან თავად მისთვისაც ჩაუვლია კლანჭი ცხოვრებას და მასაც დაუფლებია სევდა და ტანჯულადაც გამოიყერება:

„ტანჯულს თვით ესმის თავისი ტანჯვა,

მას ვერ მისწვდება გრძნობები სხვისი”(30,254)

აქვე უნდა შევეხოთ პროფ. ზაზა აბზიანიძის სტატიას: „ედგარ პოს თარგმნა და „ამირანის ხმალი”-(გაზეთი „თბილისი” 27.VIII. 1961, გვ.3.) (2,3).

მახვილგონივრული მიგნებაა ედგარ პოს „ყორანთან” ვაჟას ნოველის შედარება. მკვლევარი აცხადებს, რომ: თარგმანი ახლოა დედანთან”. ვფიქრობთ, ედგარ პოს პოემა „ყორანის” გარკვეულ გამოძახილს ვხედავთ ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხოვნაში „ამირანის ხმალი”.

„გარეთ ქარი პქროდა,-ვკითხულობთ ამ მოთხოვნაში,-დმუოდა საზარლად და ნამქერს ანიავებდა, დედამიწას ჰგვიდა, თითქოს წმენდდა ქვეყანას ცოდვათაგან.

-ყრანტ, ყრა...ა...ანტ- მოეხმა. ო, როგორ მეჯავრება ეს ხმა, როგორა მძულს, ენიო ვერ გეტყვით. მერე იმ უკუნეთს დამეში... საშინელებაა... საშინელებაზე მეტია..

-დედავ, ყორანი... საიდან გაჩნდა ეგ წყეული. მერე რა დროს და!

-სწორედ ყორანია... საკვირველია, ღმერთმანი, რას ჩაგვაცივდა ეგ წყეული,- სოქვა დედაჩემმა.

-არ ვიცი, მეც მიკვირს და... სიტყვას ვიდრე ვიტყოდი, ჩვენს დარბაზში შემოაფლაშუნა მხრები... ჩამომჯდარა არხეინად კიდობანზე, დაიმწყაზრა მხრები... დაგვაცქერდა, წამოიძაბა კისერი და დედა-შვილს ორივეს მხარზე დაგვაყრანტალა”(2,3).

ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხოვნაში ედგარ პოს პოემა „ყორანის” გარკვეული გამოძახილის საილუსტრაციოდ სტატიის ავტორის მიერ საგანგებოდ მითითებულია, რომ „ვაჟას მოთხოვნის ამ პასაჟში გარკვევით არის აღბეჭდილი ედგარ პოს პოემის სათანადო პასაჟი: უკუნეთ დამეში ოთახში ყორნის შემოჭრა, მისი მოკალათება მაღალ თაროზე და საბედისწერო ყრანტალი, მაგრამ დიდ ქართველ პოეტს, როგორც ჭეშმარიტ რეალისტს, ამერიკელი პოეტის სრულიად საწინააღმდეგო კონცეფცია აქვს გატარებული. ამირანის გაუტეხელი ნებისყოფით გამხნევებული ვაჟას მოთხოვნის გმირი კლავს ყორანს და იმედიანი ეგებება ახალ წელიწადს”(იქვე).

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი ყურადღება მიიპყრო კომენტარმა: „ვაჟას პოემის ამ პასაჟში გარკვევით არის აღბეჭდილი ედგარ პოს პოემის სათანადო პასაჟიო”. ვფიქრობთ, პირიქითაა ვითარება. ვაჟას ნოველაში (ჩვენ უანრობრივად

ნოველად მივიჩნევთ „ამირანის ხმალს“ ნოველისათვის დამახასიათებელი ყველა თეორიული ასპექტით). ედგარ პოს პოემის სათანადო პასაჟი ვერ იქნებოდა ადბეჭდილი რადგან ნოველა დაიბეჭდა 1902 წელს გაზეთ „ივერიის“ №1-ში, ბუნებრივია, დაწერის თარიღი და „ნაწარმოების შექმნის „განზრახვა“ ვაჟას უფრო ადრე დაებადებოდა. აბზიანიძის მოსაზრებას საფუძველი ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ ლ. ობოლენცვის თარგმანს (ითარგმნა 1879 წელს, გამოქვეყნდა ურნალ „სვეტში“) ადრევე, 1902 წლამდე, გაეცნობოდა ვაჟა-ფშაველა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ვაჟამ ედგარ პოს „ყორნის“ თარგმნის კონსტრუირებისას საშენ მასალად თავისი ნოველიდან წამოღებული დეტალები გამოიყენა. ძალზედ რომ არ გაგვიგრძელდეს საუბარი, ჯერ ერთ პატარა ლექსიკურ ანალოგიაზე შევაჩერებთ ურადღებას.

ნოველაში ვკითხულობთ: „...სიტყვას ვიდრე ვიტყოდი, ჩვენს დარბაზში შემოაფლაშუნა მხრები (ყორანმა)“, პოემის თარგმანში, 79-ე ტაქტში ნათქვამია: „შინ შემომეჭრა ფრინველი ერთი, ფრაშუნობს სახლში“... ჩვენს მიერ ხაზგასმული ორივე ზმნა-შემასმენლის ძირია ფრაშ//ფლაშ. ეს ფორმები ფშაური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. ქეგლ-ის VII ტომში მითითებულია: „ფრატუნი (ფრატუნისა) ფეხების მიწაზე (ჩვენს შემთხვევაში ფრთებით მიწაზე-ჭკ.) თრევით სიარული... 2. კუთხური (ფშ) იგივეა, რაც ფრაშუნი (ფლაშუნი)-(28,167) სხვა მოთხოვებში („ყორანი“) ვაჟას ნათქვამი აქვს: „ამ დროს ხანხალით, ფრატუნით, თანაც „ყვა-ყვას“ ძახილით ყვავი შემოფრინდა“.

შემდეგ საყურადღებოდ მიგვაჩნია პატარა პარალელის გავლება სტიქის სურათის აღწერისას, ვიდრე „შემოფრაშუნდებოდა“ ყორანი:

„ამირანის ხმალი“ ვაჟასი:

„გარეთ ქარი ჰქონდა, დმუოდა
საზარლად და ნამქერს ანიავებდა.
დედამიწას ჰგვიდა, თითქოს
სწმენდა ქვეყანას ცოდვათაგან“

(1902წ)

ედგარ პოს „ყორანი“:

„ზამთარი იყო, ჰყინავდა, თოვდა,
ქარი ღმუოდა, ძლიერად ჰქონდა.
გაჩაღებული ბუხრისა ალი
ჩემ ყრუ სადგურის კედლებზე
ჰკროოდა“(1906წ.)

ვფიქრობთ, საეჭვოდ ადარ უნდა იყოს ის, რომ ედგარ პოს „ყორანის“ პასაჟი ვერ აღიბეჭდებოდა ვაჟას „ამირანის ხმალში“. იმაში კი მთელი არსებით ვეთანხმებით ცნობილ მკვლევარს, რომ „...დიდ ქართველ პოეტს, როგორც ჭეშმარიტ რეალისტს, ამერიკელი პოეტის სრულიად საწინაღმდეგო ოპტიმისტური კონცეფცია აქვს გატარებული. ამირანის გაუტეხელი ნებისყოფით გამხნევებული

ვაჟას მოთხრობის გმირი კლავს ყორანს და იმედიანად უგებება ახალ წელიწადს”(2,3)

ვაჟა-ფშაველას მიერ ედგარ პოს „ყორანის” გადმოთარგმნა, გადმოქართულება, კიდევ ერთხელ ადასტურებს მის შემოქმედებით ინტერესთა მრავალმხრივობას. „თუ რამდენად დაინტერესებული იყო გენიალური ქართველი პოეტი საზღვარგარეთული ლიტერატურით, რა კარგად იცნობდა მსოფლიო მხატვრულ კულტურას”(იქვე).

ყორნის მხატვრული სახის ინტერპრეტაციამ ნათლად გვიჩვენა ვაჟა-ფშაველას პოეტურ მეტყველებაში ერთი მხატვრული სახე-დეტალის მნიშვნევნელობაც კი. ამ დეტალის ტიპოლოგიურობის კვლევამ ერთი შტრიხი შემატა ვაჟას შემოქმედებითი ისტორიის გარკვეულ ასპექტს.

მრიგად, ვაჟა-ფშაველას პოეზიასა და პროზაში „ყორნის” სახე-ხატთან დაკავშირებით, ვხვდებით ისეთ მხატვრულ პასაჟებს, თუ აზრობრივ მიმართებებს ედგარ ალან პოს თხზულებასთან, რომელიც ცხადყოფს, რომ დიდი ქართველი პოეტი თავისი პროფესიური აზროვნებითა და ინტერესებით უნისონშია ევრო-ამერიკულ სივრცეში არსებულ კულტურულ-ლიტერატურულ ველთან და ამავე დროს მისი ყველა თარგმანი ამერიკელი, ევროპელი, რუსი ავტორების ნაწარმოებებისა, მათი გადმოქართულება კიდევ ერთხელ ადასტურებს მის შემოქმედებით მისწრაფებათა საკაცობრიო ხასიათს.

V. თავი-1900-1910-იანი წლების ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა

ზევით აღვნიშნავდით, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინება წარმოდგენილია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის გარეშე. ერთნაირი დიდებით წარმოგვიდგება ვაჟა-პოეტი, ვაჟა-პროზაიკოსი, ვაჟა-ფოლკლორისტი, ვაჟა-ლიტერატურის კრიტიკოსი, ვაჟა-ეთნოგრაფი, ვაჟა-დრამატურგი, ვაჟა-მთარგმნელი, ვაჟა-პოლემისტი და... ვაჟა-პუბლიცისტი. როგორც ვხედავთ, აქ არ მოგაქციეთ ვაჟას საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, მედიატორული მოღვაწეობა. ამ მხრივაც ფასდაუდებელია მისი დამსახურება, მისი მამულიშვილურ ქმედებათა შედეგები სადღეისოდაც კი.

ერთნაირად დიდი ძალისხმევით ემსახურებოდა ვაჟა-ფშაველა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას და თავის მხრივ-ჟურნალ-გაზეთობაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამომზეურება-უკვდავყოფის საქმეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა; დიდი ილია თავის დროზე აღნიშნავდა: „ჟურნალ-გაზეთობა ერთ-გვარი ნაწილია ლიტერატურისა. ამის გამო თავის საკუთარის კუთვნილების გარდა უნდა ჰქონდეს ზოგადი კუთვნილებაც ლიტერატურისა. ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა და არა იმ ცრუპენტელობისა, რომელიც ჩვენში ლიტერატურის სახელით დაიარება”(112,236).

დასაწყისში მოკლედ შევეხებით ჟურნალ-გაზეთების, ანუ პუბლიცისტიკის „საკუთარ კუთვნილებას”, მის ჟანრობრივ ნიშან-თვისებებს.

მიუთითებენ, რომ პუბლიცისტიკის მეთოდი ითვალისწინებს ერთიან იდეურ ასახვას ეპოქის მოვლენებისას. კონკრეტული ცნობიერების, ინფორმაციების მოსაპოვებლად გამოიყენება ე.წ. ემპირიული მეთოდები: დაკვირვება, გამოკითხვა, საუბარი, ინტერვიუ, დოკუმენტური მასალის ანალიზი და ა.შ. ხოლო განზოგადებული დასკვნებისა და დახასიათებისათვის პუბლიცისტიკა იყენებს სოციალურ-ისტორიული კვლევისა და მხატვრული შემოქმედების მეთოდებს.

პუბლიცისტიკაში დიდი როლი ენიჭება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ ავტორის მიერ სამოქალაქო-ლირიკულ საწყისს, რომლითაც გამოიხატება პუბლიცისტის საზოგადოებრივი პოზიცია, მისი უნარი საზოგადოებაზე ზნეობრივი ზემოქმედებისა. ამ დროს მნიშვნელოვან კომპოზიციურ როლს თამაშობს მისი სიტყვის დამარტინუნებლობა, პოეტური სინტაქსი, მხატვრული გამოსახვის საშუალებები(104,214).

ილია ჭავჭავაძის განმარტებით: „ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, აღამიანის დირსებისა ფარიც არის და ხმალიცა”(112,236). ეს არ ნიშნავს იმას, პუბლიცისტი მხოლოდ „ტპბილ

ხმათათვის” იყოს მოვლენილი. მისი რწმუნით, აღმა მხევნელს და დაღმა მფარცხელს საქციელი არ უნდა მოუწონოს, არ უნდა გაჩუმდეს, ავის მოქმედი უნდა ამხილოს, გაკიცხოს და ეს „გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს”, კრიტიკის ობიექტის პიროვნული ლირსების არ უნდა შელახოს: „ის დვთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებურის ლირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანისთვის მომადლებული, უნდა პატივცემული იყოს ქველგან და ქოველს ადამიანში, გლახა თუ მდიდარი, ავაზაკია თუ ზეობა-მაღალი”(112,238).

მწერლობას რომ სააგიტაციო, პუბლიცისტური, აღმზრდელობითი ფუნქციები გააჩნია, არაერთხელ აღუნიშნავს თვით ვაჟასაც:

„ჩვენში მსუბუქად უცქერიან მწერლობას, თითქოს აბუჩად აგდებული ჰყავსთ, მწერლები კიდე უსაქმო, „საქმეგამოლეული” ხალხი ჰგონიათ; მაგრამ თუ ამ საქმეგამოლეულმა ბერავმა „გაუხახუნა” ვისმეს ამის მოუბარს გაზეთში, გაგიხარიან, ის ყალყზე შედგება ასტეს ჰაი-ჰუის: როგორ თუ გაზეთში ჩამწერეთ, ჩემი ცუდი საქციელი გამოაქვეყნეთო! აკი არაფერია გაზეთიო? თითქოს ბრძანებდით, უსაქმურობაა მწერლობაო?.. მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მის გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა... კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს”(34,376-377).

ვაჟა-ფშაველას თავის თანამედროვეთაგან ნიპილისტური დამოკიდებულება მწერლობისადმი, მეფელეტონეებისადმი საზოგადოების შეზღუდულობა-ჩამორჩენილობად მიაჩნია. ამ განწყობილებას კი ხელს უწყობდა ოფიციოზი, ცენზურა. პოეტმა პუბლიცისტის გაუსაძლისი ცხოვრება ირონიაგარეული იუმორით გამოხატა ლექსში „პუბლიცისტი”(34):

მინდა რამე დავწერო,
კალამს ვიღებ ხელშია.
„არაფერი წამოგცდეს!”
მუშტებს მცემენ ფერდშია,
„ჲა, ღმერთი არ გაგიწყრეს,
არ შეხვიდე ეშეშია!

(„პუბლიცისტი”. უთარიდო)

ვაჟამ შენიშნა, რომ ამის გამო ბევრ პუბლიცისტს წერის მადა წახდომია, კალამი გადაუგდია და „ბუზებს ითვლის ჭერშია”.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც მათ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არ მოდუნებულა, უსასოობაში არ ჩავარდნილა და ხმამადლა განაცხადებს: „თუ

დაგწო და გიქბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა კი არა, საქმიანობა ყოფილა; მაშასადამე, ძალა პქონია, საყურადღებო რაღაც რამ ყოფილა ეს სხვადასხვა ამბებით, სხვადასხვა ფიქრით და მოსაზრებით აჭრელებული ფურცელი... ჩვენ იმას ვცდილობთ, ეგები სასარგებლო რამ გავაგონოთ ქვეყანას, შევმატოთ რამ მის გონებასა და ზნეობასაო, ნუთუ ეს საქმე არ არის? ნუთუ ეს საქმე თქვენს საქმეს, რომელსაც მარტო თქვენი თავი ახსოვს, ჩამოურჩება უკან? არა მგონია. ვიცი, კარგად ვიცი, ამისთანა მსჯელობა საიდამაც მომდინარეობს და სარჩულად რაც უძევს.”(რამე-რუმე. უთარიდო. 34,403).

ქვეტექსტი ამონაწერი ციტატისა გულისხმობს როგორც ოფიციოზის ზეწოლას, ისე ხალხის დაბალ განათლებას, ხალხისა, რომელიც საქმეს იმას ეძახის—„მოხნას კაცმა, მომკოს, სახლს რამე შემატოს, ცოლ-შვილს რამ არგოსო”(იქვე). პოეტი იქვე სიმართლით განუმარტავს მკითხველს: „იმას რომ ესმოდეს მწერლობის მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცოდეს, ამას არ იტყოდა... ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ იმ მდგომარეობაშია, რომ ამისთანა მსჯელობის ნიადაგი აქვს...”(იქვე)

ხალხის სწორედ ამ მდგომარეობიდან გამოყვანას ემსახურება იმდროინდელი დიდი მამული შვილების ყოველდღიური საქმიანობა ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე, ეს იყო მათი საზრუნავი, ეს იყო სათქმელისათვის გამოხატვის სათანადო ფორმის ძიება, ანუ ნიჭიერად მიგნება თემისა და ასევე ნიჭიერად გამოხატვა მისი. მან ბრწყინვალედ განსაზღვრა ნიჭიერება ეროვნული მწერლისა.

ამავე სტატიაში ვაჟა წერს: „ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა იმით გაიზომება, თუ რამდენად ესმის თავისი ქვეყნისა და ერის საჭიროება,—მით, თუ რამდენად მადლიანად ემსახურება ამ მადლის შევსებას სიტყვით თუ საქმით”(34,405). ეს სიტყვები, ჩვენი რწმენით, ავტორის თვითდახასიათების ბრწყინვალე დადასტურებაა, რამეთუ ვაჟასმცოდნეობაში დადგენილია, თუ თვით ვაჟას რა კარგად ესმოდა თავისი ქვეყნისა და ერის საჭიროებისა, რომ მთელი თავისი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოდვაწეობით რა მადლიანად ემსახურებოდა ამ მადლის შევსებას სიტყვით თუ საქმით—1879წლის ზაფხულის ჩათვლით (1915 წ. 26ივლისი, „სახალხო ფურცელი”) ანუ, დაიწყო საქმიანი სიტყვით და დაამთავრა სიტყვიანი საქმით (ვგულისხმობთ მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას).

როგორც პროფ. გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს: „ვაჟა-ფშაველამ ამ ჩვენს ლიტერატურაში მთელი სისრულით პირველად ასახა ფშავისა, თუშეთისა და ხევსურეთის ყოფა. და ასახა ეს ისე, რომ ფშავლის, თუშის თუ ხევსურის დახასიათებას აღარ დაპკრავდა ეგზოტიკური იერი... ვაჟა-ფშაველამ ისე გაიაზრა და ასახა მთიელთა ცხოვრება, რომ აშკარა გახდა მათი განუწყვეტელი კავშირი

მთელი ქვეყნის საარსებო ინტერესებიდან... ეს ნიშნავს, რომ ძალიან დიდი იყო და არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის ჩვენების თვალსაზრისით.(49,7-8).

როგორც ვხედავთ, პატივცემული მკვლევარი შეეხო ვაჟას პუბლიცისტიკის განსაზღვრულ სფეროს, თუმცა, მონოგრაფიაში გზადაგზა განხილული აქვს ყველა საკითხი ვაჟას პუბლიცისტიკიდან მის მხატვრულ შემოქმედებასთან კავშირში.

ვაჟა-ფშაველა კიდევ სხვა მკვლევართაც აქვთ დახასიათებული როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, რომლის მახვილ თვალსაც მხედველობიდან არ გამორჩენია იმდროინდელი ცხოვრების თითქმის ყველა საჭირბოროტო პრობლემა, აქტუალური ლიტერატურულ-ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობრივი საკითხები. ვაჟას შემოქმედება XX საუკუნის დასაწყისიდან პუბლიცისტიკაში საგრძნობი ენერგიულობით ხასიათდება, ამის დასტურია როგორც წერილების სულისკვეთება, ისე მშრალი სტატისტიკაც. მაგალითად, XIX საუკუნეში ვაჟას კალამს ეკუთვნის 26 დასახელების წერილი, მაშინ როდესაც XX საუკუნის 900-იან, 915-იან წლებში შეუქმნია 49 დასახელების სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების სტატია. რვა უთარიდო წერილიდან ნახევარი მაინც 900-915-იან წლებზე უნდა მოდიოდეს.

ვაჟასმცოდნეობაში ზედმიწევნით დამუშავებულია ვაჟას ჟურნალისტური სამყარო (იხ. სათანადო ლიტერატურა). ლიტერატურის კრიტიკაში კვლევის ობიექტი მოქცეულია ზოგად სათაურში-ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა, რაც მართებულადაა მორგებული შინაარსისადმი.

კცდილობთ, საკითხი გავაშუქოთ განსხვავებული რაკურსით. კერძოდ, გვსურს წარმოვაჩინოთ ვაჟა-ფშაველა-პუბლიცისტი. ამით საშუალება გვეძლევა ერთიან ასპექტში წარმოვიდგინოთ ვაჟას წმინდა პუბლიცისტიკაც, ჩვენს მიერ პუბლიცისტურ ლირიკად გააზრებული ლექსების ანალიზიც, ზოგიერთი პროზაული თხზულებისა თუ ნათარგმნი ნაწარმოებების პუბლიცისტური ტენდენციებიც.

ჩვენი საკვალიფიკაციო შრომის რეგლამენტიდან გამომდინარე, კვლევის აქცენტს გადავიტანთ 900-915-იან წლებზე.

თუ გასულ XIX საუკუნეში ვაჟას წერილები იწყება ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიის გაშუქებით, ამ ტრადიციას ვაჟამ არც XX საუკუნის დასაწყისში გადაუხვია. კერძოდ, სიმბოლურად გამოიყურება 1900 წელს „ივერიის“ 176-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის სათაური—„მოხვედით მშვიდობითა!“ (მცირე ეთნოგრაფიული შენიშვნა).”სიმბოლურად მივიჩნევთ, რადგან „აღნიშნულის ქართულით უხვდება ფშაველი მამაკაცი და დედაკაცი შინ მოსულს სტუმრებს, ან თუ შინაურებს“(34,157) და გვაონია, რომ ამ სიტყვებითვე მიესალმა ვაჟა-ფშაველა

XX საუკუნის დადგომას, შემოსვლას. 1900 წლის თარიღით სხვა სტატია არ გამოქვეყნებულა ვაჟას მიერ.

სამართლიანია პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძის მიერ გამოთქმული სინანული რევოლუციამდელი კრიტიკისაგან გვერდის ავლის გამო ვაჟას შემოქმედების რამდენიმე საკითხზე: „ქართულ კრიტიკას თითქმის არ განუხილავს ვაჟას შემოქმედების ზოგიერთი მხარე (ლიტერატურული წერილები, პუბლიცისტიკა, დრამატურგია), კრიტიკოსები ძირითადად ლირიკასა და პოემებს ეხებოდნენ”(6, 306), ჩვენი მხრივ იმდროინდელ კრიტიკას ვალად დავდებდით უყურადღებობას ვაჟას მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართ. ეს კი XX საუკუნეში გარკვეულწილად გამოსწორებულია. (იხ. სათანადო ლიტერატურა).

„ქართული ლიტერატურის ისტორიის” IV ტომშიც მოკლედაა მითითებული: „ლიტერატურული მოღვაწეობის ამ სფეროშიც (მისი სამეცნიერო, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები იგულისხმება-ჟ.კ.) ვაჟა-ფშაველამ დაამტკიცა, რომ იგი ღრმად მოაზროვნე და საკითხების შესახებ არსებული ლიტერატურის ჩინებული მცოდნე იყო... მაღალ თეორიულ დონეზე აღმოჩნდა ვაჟა, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი... ვაჟა გვევლინება კლასიკური სალიტერატურო ენის სრულიად უნაკლო ოსტატად, რომლის მსჯელობის ფორმაც კი გვანცვიფრებს თავისი ბროლისებური სიწმინდითა და გამჭვირვალობით.... ვაჟას აზრი ლიტერატურული გავლენების შესახებ, აგრეთვე მისი მოსაზრებანი ენის განვითარების, ან ერების უკვდავების შესახებ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ იმათ შორის, რაც ამ საკითხებზე თქმულა... ამჟამად უკვე აღარაა საკამათო შეხედულება, რომ ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი უდიდესი მშენებელია ქართული ახალი სალიტერატურო ენისა... (35,491).

მართალია, ნარკვევის ავტორი პროფ. აკაკი გაწერელია გზა-და-გზა ეხებოდა ვაჟას ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებს, მაგრამ დასკვნაში შემოიფარგლა მხოლოდ მოკლე ინფორმაციით, რომელშიც ძალზე მოკლედაა მითითებული თითქმის ყველა ძირითადი საკითხი ამ თვალსაზრისით.

შედარებით ფართო მოცულობით არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური მოღვაწეობა პროფ. დიმიტრი ბერიძეს მონოგრაფიაში.

მოზრდილი სტატიის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების მანძილზე განსაკუთრებით აქტიური იყო ქართული პერიოდული პრესა. ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა იდეებმა ქართულ პრესაში განსაკუთრებული სიმკეთრით იჩინა თავი.

ბუნებრივია, რომ ეს ეპოქა თავისებურ ასახვას იპოვიდა არა მარტო მის მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ აზროვნებაშიც, კერძოდ პუბლიცისტურ

წერილებში. ამ წერილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ვაჟა აქაც ისეთივე ღრმა და შინაარსიანია, როგორც პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში, ფილოსოფიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორისტიკაში მისი პრობლემატიკა ისეთივე მრავალფეროვანია და რთული, როგორც პოეტური მოტივები (10,483).

როდესაც აქ მიუთითეს 80-90-იანი წლების შესახებ, ვფიქრობთ, უფრო აქტუალური გახდა ჩვენი ამოცანა, წინ წამოგვეწია XX საუკუნის 900-915-იანი წლების პრობლემატიკა ამ მხრივაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან.

პროფ. იუზა ევგენიძე როდესაც წარმოგვიდგენს თავის მონოგრაფიაში „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების” მოკლე მიმოხილვას, ვაჟას პუბლიცისტურ მოდგაწეობას აშუქებს პოეტის ჭაბუკობის ასაკიდან და კომპაქტურად იძლევა მთელი გზის საფუძვლიან ინფორმაციულ ანალიტიკას: „ვაჟა-ფშაველა ჭაბუკობიდანვე გატაცებით იწერს და აგროვებს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხოლო უფრო მოგვიანებით სხვის მიერ შეკრებილი ამგვარი მასალის რეცენზირებასაც ახდენს. ვაჟა ფშავში ცხოვრობს, ურთიერთობა უხდება ფშავ-ხევსურებთან და ბუნებრივია, როგორც მათი თანამომმე, დაინტერესებულია არა მარტო ამ ხალხის ყოველდღიური ჭირ-ვარამით (რაც ასახულია მის კორესპონდენციებში), არამედ მთიელთა ტრადიციებიც, მათი რწმენა-წარმოდგენებით, ზნე-ჩვეულებით, პოეზიითა და ამ პოეზიაში შემონახულ გმირთა ხასიათებით, ე.ი. იმით, რაც მისი გარემოს სოციალურ, მორალურსა და ესთეტიკურ სახეს ქმნის. ამის გამოხატულებაა ვაჟას მიერ ამ პერიოდში დაწერილი ეთნოგრაფიული წერილების წყება (მითოთებულია 9 წერილი-ჟ.კ.)... რაც უფრო და უფრო დრო გადის და პოეტურად მწიფდება ვაჟა, კიდევ უფრო ფართოვდება და ღრმავდება მისი ამგვარი ინტერესები. სწორედ თავისი პოეტური სიმწიფის ასაკში აქვეყნებს ვაჟა ცნობილ ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის სტატიებს: „(1995), „ფიქრები ვეფხისტყაოსნის” შესახებ (1911), „კრიტიკა ბ.იპ. გართაგავასი”(1914) და სხვა... დიდია ვაჟას მიერ მოსმენილი და მის წერილებში განხილული მასალის სიახლოვე ვაჟას მხატვრულ შემოქმედებასთან.”(27,235-236).

როგორც აღნიშნავენ,: „ამ პერიოდის ქართულმა პრესამ გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ლიტერატურათმცოდნეობა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა პუბლიცისტიკა, სათანადო შეფასება მისცა ამ პერიოდის ახალ სოციალურ ძვრებს, კლასთა ბრძოლას. სასტიკი ბრძოლა გააჩადა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცხოვრებასა და აზროვნებაში”(35,17).

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ მივუთითებთ, რომ ქართული პუბლიცისტიკის ახალ სიმაღლეზე აყვანაში სხვებთან ერთად ვაჟა-ფშაველას უდიდესი

დამსახურება მიუძღვის; მის მიერ შემუშავებული ესთეტიკური პრინციპები ჩვენს ეპოქაშიც თანამედროვედ უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ არსებითად ეხმიანება დღეგანდელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურათმცოდნეობის მიმდინარეობას, რეცეფციულ, ანუ აღქმის ესთეტიკას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ინტერპრეტაციის ხელოვნებასთან, ანუ ჰერმენევტიკასთან (16,169).

რეცეფციული ესთეტიკის „ყურადღების ცენტრში ექცევა მხატვრული ტექსტის აღმქმელი სუბიექტი-რეციპიენტი, მკითხველი. ეს განსაკუთრებული ინტერესი მკითხველის მიმართ იმ ფაქტის შეგნებამ განაპირობა, რომ ლიტერატურული ტექსტის რეალიზება, გაცოცხლება მხოლოდ მისი აღქმის პროცესში, აღმქმელი სუბიექტის ცნობიერებაში ხდება. ამის გარეშე მხატვრული ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი სქემა, ჩონჩხი, მკითხველის ფანტაზიის გამდიზიანებელ პირობით ნიშანთა ერთობლიობაა.”(იქვე).

როგორც ვხდავთ, საქმე გვაქვს შემოქმედებითი პროცესის ტრადიციული კლასიკური სამკუთხედის: „მწერალი-წიგნი-მკითხველი”-ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტან, მკითხველთან.

რეცეფციული ესთეტიკის მიხედვით, „ავტორი-ნაწარმოები-მკითხველი” შეიძლება წარმოვიდგინოთ ტოლგვერდა სამკუთხედად, ანუ როდესაც სამივე კომპონენტი თანაბარი ესთეტიკური დატვირთვის დოზითაა მოცემული. სათანადოდაა დასაბუთებული ყველა ფაქტორი. ანუ შემოქმედებით პროცესში ჩართულია მკითხველის, აღმქმელის ფაქტორი. ეს ასეც არის და ასეც უნდა იყოს, მაგრამ მისი როლის გათანაბრება „ავტორი-წუნის” ტანდემთან გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

ამდენად, „ავტორი-წიგნი-მკითხველი” ჩვენ მიგვაჩნია ტოლიგერდა სამკუთხედად, რომელშიც ტოლია „ავტორი-წიგნი”, და რომლებიც მიმართულნი და გამიზნულნი არიან მკითხველებზე; ერთ-ერთი მათგანის იგნორირება კი შემოქმედებითი პროცესის გაფოთლებას გამოიწვევს. ეს რომ არ მოხდეს, „აქ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს საზოგადოებრივ ფსიქოლოგისაც, რაც თავისთავად უკვე გულისხმოებს საზოგადოებრივისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთშესამებას (57,42).

როგორც ჩანს, რეცეფციულ ესთეტიკას წინ უსწრებს ისეთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, როგორიცაა ბიბლიო ფსიქოლოგია. თუ რეცეფციული ესთეტიკის კვლევის ობიექტია ტექსტი და მისი აღმქმელი, ბიბლიოფსიქოლოგიის ძირითადი ობიექტია წიგნი (ზოგადად) და ამ წიგნის მკითხველის ფსიქოლოგია. ბუნებრივია, ტექსტი წიგნის ყდებშია მოქცეული და ამ ასპექტით იკვეთება ბევრი საერთო თვისება რეცეფციულ ესთეტიკასა და ბიბლიოფსიქოლოგიას შორის:

„ბიბლიოფსიქოლოგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა წარმოება კითხვის პროცესზე როგორც ფსიქიკურის გარემოში, ისე სოციოლოგიურ გარემოში მომხდარი მოვლენები, რომლებიც ფსიქოლოგიური ოვისებისანი არიან”(57,43)

ორთავე შემთხვევაში ნათლადაა მითითებული, რომ „ხელოვნების დარგის ქმნილებათა რეციპიენტებს შორის ამ თვალსაზრისით ყველაზე აქტიური ტექსტის აღმქმედია, რაც მნიშვნელოვნად იმ მასალის თავისებურებებით არის გამოწვეული, რომლითაც მწერალი მუშაობს; ეს მასალა-ანუ სიტყვა, ენობრივი ნიშანი-ყველაზე აბსტრაქტულია ხელოვნების სხვა დარგთა (მხატვრობის, თეატრის, მოსიკის, კინოს...) მიერ გამოყენებულ მასალასთან შედარებით”(17,170).

თუ ფანტაზიის როლზე ვისაუბრებთ, განსხვავებული დატვირთვა მოუწევს მას უშუალოდ ლიტერატურული ჟანრების, სახეების აღქმისა და შეფასების მომენტში, რამეთუ „ნაწარმოებში წარმოსახულ სამყაროს იმ მსოფლგანცდის ჭრილში წარმოადგენს, რომელიც მან ცხოვრებაში შეიმუშავა (17,171).

კვიქრობთ, პუბლიცისტურ წერილებშია მოცემული ყველაზე ნაკლებად ეწ. „განუსაზღვრელი ადგილები”. ვაჟას ფელეტონებსა და კორესპონდენციებში მათი ფუნქციური დატვირთვა საკმაოდ საგრძნობია. სიახლის, ინფორმაციულობის თვალსაზრისით ხომ სწორედ პუბლიცისტიკა ხასიათდება. მკითხველი უფრო მეტად მისგან მოედის სიახლეს, რადგან ახლად გამოქვეყნებული ტექსტები, ინფორმაციები „მკითხველს აწვდიან აშკარა თუ ფარულ სიგნალებს, რომლებიც რეციპიენტებს ნაწარმოების აღქმის გარკვეულ, მათვის უკვე ცნობილ წესზე მიანიშნებენ. ახალი ნაწარმოები აღძრავს მოგონებას ადრე წაკითხულ ნაწარმოებებზე, უქმნის მკითხველს გარკვეულ ემოციურ განწყობას, აღვიძებს მასში რადაც ნაცნობის, ადრე წაკითხულის მსგავსის მოლოდინს.

გაზეთის ფუნქციის განსაზაღვრას. ერთდროულადაა წარმოდგენილი პირდაპირი სათქმელიცა და ქვეტექსტიც ანუ „განუსაზღვრელი ადგილები” და ფართო გასაქანი ეძლევა მკითხველის, მსმენელის აღმქმელობით მასშტაბსა და უნარს, მის ფანტაზიას. მაგალითად, ერთ ერთ „ქებათა-ქებაში” ავტორი ქვეტექსტით მიუთითებს, რომ ეკლესიასაც ჯარი შესევია და თავისებურად აფასებს ამას:

აქაც განგების დალატი:

შოლტის, მათრახის ჩქამია,

აზრის და გრძნობის თელვაა,

ძალიან ცუდი წამია.

ნუ გეგონებათ, გათენდა,

ჯერ ისევ ბნელა, დამია.

(„მეგაზეთენი შეყრილან”)

პუბლიცისტს თვალთახედვის არედან არც პოლიციელნი გამორჩენია. მუქ ფერებშია დახატული პოლიციელები, რომლებიც „თავის ხსნას გაჭირვებისგან მათრახისაგან ელიან... ზოგი ძუძუს სჭრის დედასა, არ პკრთება არა სცხვენიან”.

და იქვე გამანადგურებელი შეფასება პუბლიცისტი-ლირიკოსისაგან:

გიკვირთ? არ მიკვირს მე ჩემად:
მეტად არ უჭრის ტვინია.

(იქვე)

მიუხედავად აუტანელი, საზარელი ყოფისა, პუბლიცისტ პოეტს არ დაუკარგავს რწმენა, იმედი, ოპტიმიზმი.

„მაშ სჯობს რომ დასდგე, კალამო,
და შენც დასდუმდე ენაო?
ვერა, ვერა დროს! ინამდე
ცად გვიწევს აღმაფრენაო
გვჭირს ჭირი უნელებელი,
არ დაგვხშობია სმენაო.
ვერაფერს გიზამო, გამხნევდით,
კუდა-ძალლების დრენაო!

გადარჩენის იმედს ავტორი წმინდა სინათლის ნათებაში ხედავს:

ცოდვა და მადლი დამისა
იანგარიშოს დილამა.
გზა გაუნათოს სანთლითა
უნდა უკანას წინამა,
ეგებ სიცოცხლე დაიტყოს
ამა-პაპათა ბინამა!

(ქებათა-ქება (მეგაზეთენი შეყრილან)

„ქებათა-ქების” ამ საფინალო ტაქტებიდანაც ნათლად გამოჩნდა დიდი პოეტის ქრისტიანული მსოფლმხედველობა. მის ოპტიმიზმს ამაგრებს რწმენა და იმედი იმისა რომ, მხოლოდ მადლის ჩამდენისაა მომავალი, „გინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება.” ამის ბრწყინვალე დადასტურებაა უშუალოდ ვაჟას პიროვნება, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა მტკიცე მართლმადიდებლურ რწმენაზეა დამყარებული. სხვა მრავალთაგან გავიხსენოთ თუნდაც მისი ორი წერილი „დიდ-მარხვა”.

პირველი წერილი უფრო პოეტის მიერ ჩამოყალიბებულ ზნეობრივ კოდექსად შეიძლება აღიქვას მკითხველმა. ხუთ კომპოზიციურ კომპონენტად

წარმოდგენილი სხვადასხვა აზრი წარმოადგენს ერთიან მსოფლმხედველობრივ კონცეფციას ავტორისას.

დასაწყისში ავტორი განუმარტავს მკითხველს, თუ რატომ მოიგონეს დიდ-მარხვა: „დიდ-მარხვა სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ შიმშილის მეოხებით, ლეშის დატანჯვით მიეცათ ადამიანთათვის საშუალება კეთილ ფიქრთა და გრძნობათა ასაღორძინებლად. მარხვა სინანულისა და მოთმინებისა. „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო”, გვასწავლის მარხვის მომგონი და დამწესებელი” („დიდ-მარხვა.” 34,218).

პროფ. თამარ შარაბიძის მართებული შეფასებით: „...ვაჟა მონური მორჩილების წინააღმდეგ ილაშქრებს და მიიჩნევს, რომ ბოროტებასთან საჭიროა ბრძოლა და არა მოთმინება... ის მხოლოდ და მხოლოდ განასხვავებს მორალურ მოთმინებასა და მონურ მორჩილებას. მისი აზრით, როგორც მორწმუნე, ადამიანი უნდა იყოს მომთმენი და ღმერთის დიდსულოვნების მომლოდინე, რაც არ გულისხმობს ბოროტებასთან შერიგებას. მოთმინების ცნებაში უნდა ვივარაუდოთ რწმენის ბოლომდე შენარჩუნება... (101,23). ამაზე აქვს საუბარი ვაჟასაც წერილის მეორე მონაკვეთში.

მესამე მონაკვეთში ავტორი წერილისა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ბევრი ეკლესია დაუქმდა წელს, დიდ-მარხვაში, და ბევრი ზარი დადუმდა, რომ აღარც სამწუხარო, სადიდმარხვო ხმას გამოსცემს და აღარც სამხიარულოს-სდუმს, როგორც მკვდარი სამარეში... მოძღვარი კი აღარსადა სჩანს და!.. დიაკვნებს დარჩათ დღეს ბურთი და მოედანი; კიდეც უხარიანო, რომ იმათი მღვდლები საბნელოდან გამოიცქირებიან (34, 219). აქ პუბლიცისტი მწერალი აკრიტიკებს საზოგადოებრივ ვითარებას, დაუფარავად ამხელს რელიგიურ სამყაროში გამეფებულ მანკიერებას.

შემდეგ მეოთხე პუნქტში ავტორის მამხილებელი ტონი უფრო ფართო ასპარეზსს გადასწვდა. იგი ამ შემთხვევაშიც მოყვრულად პირში მძრახავია საზოგადოებისადმი. მას კარგად შეუმჩნევია მედროვეთა ფსიქოლოგია და დაუნდობელია მათ მიმართ: „დიაკვნები რა სათქმელია და რა ანგარიშში მოსატანი: ყველა ხილულმა და უხილავმა შავმა ძალმა, როგორც გაზაფხულზე სითბოს სუნზე გველებმა, თავები წამოყაყვა, იცქირება ამაყად, მამაცად. როცა ჰედავდნენ, საქვეყნო აზრი იმარჯვებსო, ერთობის ადამიანებად ასაღებდნენ თავიანთ თავს და დღეს კი, როცა დარწმუნდნენ, მოწინააღმდეგეთა ფიქრმა და ძალამ გაიმარჯვა, ერთობასაც სწყევლიან და ერთობის მიმდევართაც” (34,219).

მათ წინააღმდეგ შეუწყნარებელი მსჯავრი პოეტს ისევ წმინდა წერილიდან მოხმობილი სიტყვებით გამოაქვს: „კათაკმეველნო, განვედით!... რაოდენიც მორწმუნები ხართ, მერმე და მერმე უფლისა მიმართ ვილოცოთო”(34,220).

დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობისაა წერილის დამაგვირგვინებელი მონაკვეთი. თითქმის აფორიზმულ გამოთქმებად აღიქმება სიტყვები: „სულით მარხულობა ბევრით აღემატება ჭკუით მარხულობას”(34,220).

მოუწოდებს ქვეყნის ერთგულებისაკენ, სიმართლისაკენ მორწმუნებს და შეახსენებს: „ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი შეგიშალათ და ეცადეთ, მომავალში აიცდინოთ თავიდან.”-აქვე დღეისათვის გასათვალისწინებელ დარიგებას სთავაზობს პოლიტიკოსებს დიდი პოეტი: „დაპგმეთ პარტიული თავმოყვარეობა, წვრილფეხა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც ხელი შეუშალა ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას”(იქვე).

სენტენციურია ვაჟას შემდეგი მიმართვა: „ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ ადარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთეს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოაპოვებინებს” (34,220).

ლალგულაა და გულწრფელია მისი მიმართვის სიტყვები დიდ-მაარხვისადმი: „დიდო მარხვაო! დიდად მარხული ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს. ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს გვექმნეს მწედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ” (34,220).

ბუნებრივია, პავლე რაზიკაშვილის შვილი სხვაგვარად არ იქადაგებდა ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ.

„სახალხო გაზეთში” დაბეჭდილი წერილით „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე”(34,311-313) ავტორი შეახსენებს საზოგადოებას, რომ 1912 წელს ფშავ-ხევსურეთში უმოგზაურია „ყოვლად-სამღვდელო ანტონს” და, პოეტის რწმენით, სამწუხარო შედეგით დამთავრებულა ქართველთათვის მისი მოგზაურობა, რადგან „ეპისკოპოს ანტონის სასულიერო მთავრობის წინაშე ფშავ-ხევსურნი დაუხასიათებია როგორც წარმართნი კერპთაყვანისმცემლები, სადაც ვითომ საჭირო იყო ახლად გავრცელება ქრისტიანობისა მოძრავი ეკლესიების საშუალებით” (34,111).

ვაჟა-ფშაველა საქმიანად, ტაქტიანად პასუხობს ეპისკოპოსის მცდარ შეხედულებებს და რელიგიურ ასპექტში უმართავს უკომპრომისო ბრძოლას. წერილიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის მიწურულსაც გაუგზავნია სინოდს ამ მეთოდით ეპისკოპოსი ლეონიდე,-„ეპისკოპოს ანტონზე არა ნაკლებ განათლებული ფორმალურად და არა ნაკლებ სჯულისა და სარწმუნოების ერთგული, მაგრამ იმას არც ოფიციალურად, არც კერძო საუბრის დროს წარმართებად არ მოუნათლია ფშავ-ხევსურნი”(იქვე). ჩანს, ხელისუფლება არ დაუკმაყოფილებია ლეონიდის ანგარიშს და უფრო მკაცრი დავალებით იგზავნება ანტონი ფშავ-ხევსურეთში.

პუბლიკაციის ავტორი სვმს ბუნებრივ და ლოგიკურ შეკითხვას: „არ ვიცით, რამ აიძულა ყოვლად სამღვდელო ანტონი, შავდგინა ასეთი მკაცრი ოქმი მთიელთა სარწმუნოებრივ მდგომარეობის გამო?!” (იქვე). მომდევნო სტრიქონებში ნათლად, დამაჯერებლადაა გაქარწყლებული ეპისკოპოსისეული ბრალდებანი.

ვინაიდან სხვა , „თავის წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში ვაჟა მსჯელობს ქრისტიანულ აღმსარებლობაზე, საიდუმლოებებზე, დოგმატებზე, რიტუალებზე, ასევე თეოლოგიურ საკითხებზე, დმერთის ყველგან მყოფობაზე, მის შეუცნობლობაზე, ქრისტეს დაბადებასა და ადგომაზე, სულიწმინდის მადლსა და ა.შ. გასაკვირვი არ უნდა იყოს მაღალპროფესიონალური ჟურნალისტური დასაბუთება ეპისკოპოს ანტონის შეცდომებისა.

სპეციფიკურია განწყობილება-ინტონაციით იგრძნობა ეპისკოპოსის ანგარიშების მიზანდასახულება. ვაჟა-ფშაველა პუნქტებად ახარისხებს მის შინაარსს და წერს: „იქნებ წარმართობა, კერპთაყვანისმცემლობა იმაში უნდა დავინახოთ, რომ ფშავლები და ხევსურები ხატებსა ლოცულობენ? მერე რა ჰქვიან იმ ხატებსა? წმინდა გიორგი, დვთისმშობელი, მთავარანგელოზი და სხვა? ნუთუ ეს წმინდანები ქრისტიანული წმინდანები არ არიან (34,311).

ეპისკოპოსის სინოდისათვის შეუთავაზებია მოძრავი ეკლესიების შემოღება. ეს კი ვაჟას დია კარის მტვრევად მიაჩნია, რადგან; „ყოველი ეკლესიური წესი ისედაც სრულდებაო” (34,312).

ვაჟა-პუბლიცისტი ანტონს იმაში ეხმარება, რომ „მართლმადიდებლობა” ზნეობრივი ყოფაქცევით ხასიათდება და მითუმეტეს-„ფშავ-ხევსურთა არ შეიძლება გამოვართვათ ეს სახელწოდება; ოფიციალურად ცნობილია, რომ ყველაზე ნაკლები დანაშაული სისხლისა თიანეთის მაზრაშია, სადაც მცხოვრებთა მომეტებული რიცხვი ფშავ-ხევსურნი არიან... სჩანს, ფშვ-ხევსურთ არაფერს უშლის კურპთაყვანისმცემლობა, იყვნენ პატიოსანი ადამიანები, უკეთესი ზნეობისა იმათზე, ვინც ზეპირად იცის მართმადიდებელი კატეხიზმო და მთელი ზნეობრივი კოდექსი და საქრისტიანო ლოცვები” (34,313).

სათანადო ლიტერატურაში მითითებულია, რომ დიდი ვაჟა ქართველთა, განსაკუთრებით ფშვ-ხევსურეთის მკვიდრთა შემეცნების ძირითად კომპონენტად მიიჩნევს ლოცვას. თავად იგი დიდებულად აგრძელებს კლასიკური მწერლობის ტრადიციებს. ამის ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი გამოვლინებაა მისი ლექსი „ჩემი ვედრება”, რომელშიც მგოსანი გულმხურვალედ შესთხოვს დმერთს:

„არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი...“

თუ ძველ საბერძნეთში პოეტები მუზას ავედრებდნენ შემოქმედებით გზნებას; შოთა რუსთაველმაც ერთარსება დმერთს შესთხოვა მფარველობა, აღმაფრენის ბოძება; დავით გურამიშვილმაც დმერთის სადიდებლით დაიწყო თავისი წიგნი; თავიანთ შთაგონების წყაროდ მიიჩნიეს მაღალი დმერთი ჩვენმა რომანტიკოსებმა, მოგვიანებით ილიამ, აკაკიმ, ალექსანდრე ყაზბეგმა თავიანთ ლოცვა-ვედრებაში ჩააქსოვეს ზეობრივ-ეთიკური და ესთეტიკური ხასიათის თხოვნა-სურვილები. ამავე პოზიციებზე დგას ვაჟა-ფშაველაც.

როგორც უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავს: „ვაჟა-ფშაველას ლექსი „ჩემი ვედრება... არის უმაღლესი ქრისტიანული აზროვნების ნაყოფი, თავმდაბლობის, სიყვარულის, ერთგულების, ვაჟა-ფშაველის, სინაზის საგალობელი, რომლის ავტორიც ჭეშმარიტი მეგობარია და არა მხოლოდ კარგად მოაზროვნე შემოქმედი” (იხ. გაზეთი-„ვაჟა-ფშაველა”, სპეციალური გამოშვება, 23-24 სექტემბერი, 2006წ. გვ.1; გაზეთი მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 145-ე წლისთვავს).

ლოცვათა კონტექსტში პუბლიცისტური პოლითემატურობით გამორჩეულია ვაჟას სტატია-„ფშავლები (ეთნოგრაფიული მასალა), 1914წ. 34,296).

მოკლე, სხარტი მასალა ცხადყოფს, რომ დედაკაცის დალოცვის საფანელიც დვთიური სიყვარული, დვთის მადლი და მისი იმედია. ავტორმა ერთად მოუყარა თავი დალოცვის ნიმუშებს, შეიძლება ითქვას,-თავისებურ ფორმულებსაც, ყოფიერების სხვადასხვა სფეროდან. ლოცვის, დალოცვის მრავალასპექტიანობის აღსაქმელად გავეცნოთ ნაწყვეტს წერილიდან: „შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავი, შენამც გიშველის დმერთი; აგებ დმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილი, ისრე გიცოცხლოს, როგორც შენს გულს უნდოდეს; საცა გაიარო, ყველგან გამარჯვება მოგეცეს; შენი ამჯობინოს შენის მტრისასა; ნურავისი თვალი და

გული მოგრიოს; ჩვენის შვილისადა ღმერთმა გიშველოს; ხელ-მხარი მშვიდობაში მოგახმაროს; ჩვენი დახედვისადა, მოხედვისადა ღმერთმა კეთილად გნახოს... ღმერთიმც შაეწევა შენს ჯანსა; ღმერთიმც გიშველის; ა, იქამც გაგემარჯვება, საცა ხმალნ იქმენ გელასა, მოციქულობენ ისარნი, შუბნი იქნევდნენ ენასა (ძველებური დალოცვა), შენამც შაპრჩები და გაეზდები დედაშენსა... ბარაქა, გახანება (მკის დროს), ხარ-გუთანს გაუმარჯოს (ხვნის დროს)” (34,292).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჟას შემოქმედებით ინტერესს პუბლიცისტიკაში წარმოადგენს დრმა პატრიოტიზმი, მის წერილებში საფუძვლიანად არის დახასიათებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, როგორც მთელი ქვეყნისა, ისე კონკრეტულად ფშავ-ხევსურეთისა (იხ. მისი „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი”).

პუბლიცისტიკა, როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების გამომხატველი შემოქმედებითი სამყარო, არ ამოწურავს პოეტის ინტერესთა წრეს, რამეთუ „კიდევ მრავალი საკითხისა და მოტივის დაძებნა შეიძლება ვაჟასთან, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში უფრო წარმოაჩენს მისეულ თემებს” (27,231).

ერთ სტატიაში ვაჟა აღნიშნავდა, რომ საგანი მწერლობისა და პუბლიცისტიკისა „ერთი და იგივეა-ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი და ახალი”.

ისტორიულის, ეთნოგრაფიულის, პოეტურის, ფოლკლორისტულის ბრწყინვალე სინთეზით გამორჩეულია 1914 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში” გამოქვეყნებული სტატია-„ძველებური ომი და საომარი იარაღი სახალხო პოეზიაში”.

წერილში წამოჭრილი საკითხი, ჩვენი ფიქრით, „ემორჩილება მხატვრულ, ისტორიულ და სოციო-კულტურული კუთხით განხილვას, ანუ გარკვეულწილად ახალი ისტორიზმის პრინციპებს, რომლის თანახმადაც „სახეებს და ნარატივებს შეუძლიათ გამოავლინონ მრავალი ასპექტი. ამიტომაც ლიტერატურული ტექსტების განმარტებისათვის საუკეთესო საშუალებაა ნაწარმოების თავისივე ისტორიულ კონტექსტში განთავსება. ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახება ეპოქის სულისკვეთება და სხვადასხვა სახის წინააღმდეგობანი” (54,251).

კითხულობთ ვაჟას აღნიშნულ წერილს და აშკარაა, რომ ამ წერილში ისტორიაა განფენილი პოეზიის სამყაროში და პოეზიაც „თავისსავე ისტორიულ კონტექსტშია განთავსებული. თითოეული მოხმობილი ლექსის შინაარსში ასახულია შესაბამისი „ეპოქის სულისკვეთება”.

დასაწყისში ვაჟას მიერ მოკლედაა დახასიათებული ძეგლებური ომი ზექობრიობის თვალსაზრისით: „დღევანდელისთანა ადამიანთა მმუსვრელი და გამანადგურებული არასოდეს არ ყოფილა ომი და ეს გამოწვეულია თანამედროვე

ტქმის მიზანით. დღეს იმდენად საჭირო აღარც კი არის გულოვანობა... დღეს თავი და თავი საშუალება გამარჯვებისა მოხერხებაა. სახალხო პოეზია არ დაგიდევს მოხერხებას, ხრიკებს და ყოველ იმედს ამყარებს გულადობაზე...

გაჟკაცს არ გამოადგება
სოფლად შვენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრეინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

შემდეგ წერილში მითითებულია, რომ „უმთავრეს როლს თამაშობს ფარი და ხმალი, „ხმლის ქნევა, ფარის ფარება, ხმლით ცემა”. (34,441)

ისტორიულ წყაროებში წერია, რომ ეპოქათა ცვალებადობა ბადებდა ახალ იარაღს. მაგალითად: „ხმალი საქართველოში ჩნდება V-VI ს.ს-ში (გორგასალმა „...აღმოიხადა ხრმალი და შეამოხვია ჯვარსა”. ჯუანშერი).” (92, 59).

ხმლის მარჯვედ მომხმარებელი, ანუ „ნამდვილ მცემელი ხმლისა ის არი, ვინც ცხენ-მხედარს აწყვეტინებს და ხმლის წვერი მიწაში გარბის”. (34,441). აქვე გავიხსენოთ ქართული ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი” ამ ასპექტით.

პუბლიცისტი, თვალს გაადევნებს რა „სახალხო პოეზიის” ისტორიას, იტყვის: „სახალხო პოეზიაში ჩვენ ქვის სროლას ვერსად ვერა ვხვდებითო” და „ვეფხისტყაოსნიდან” დაიმოწმებს ციტატას, სადაც ნათქვამია, რომ ტარიელმა და მისმა ლაშქარმა „ქვითაც დალეწეს წვივები”. რაინდული სულის პოეტს ეთაკილება, რომ „საცა ხმალი, ფარი და შუბია, იქ გაჟკაცისათვის დიდი სირცხვილი იქნებოდა ქვებსა ჰკრეფდეს და მოწინააღმდეგებს იმას ესროდეს. რუსთაველი, უნდა ვიგულისხმოთ, ქვის სროლას და მისი საშუალებით მტრისთვის წვივების დალეწას, ქვის მტყორცნელ მანქანითა ჰგულისხმობს და არა ხელით.” (34,441).

ქვის მანქანების გამოყენების თაობაზეცაა მითითებული ჩვენს წყაროებში: „ძველი აღმოსავლეთის, განსაკუთრებით საბერძნეთისა და რომის არმიებში, აგრეთვე ქართულ ლაშქარში იყენებდნენ მძიმე ლოდსატყორცნ მანქანებს: „მეფემან ბაგრატ... მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი”-„მატიანე ქართლისა” (92,59). ფილაკავანნი იგივე ლოდსატყორცნი დანადგარია.

ზოგადსაკაცობრიო შეგონებად მიიჩნევს პუბლიცისტი პოეტი ქართველი დედის მოწოდებას შვილისადმი:

„ხმალსა სიმოკლე რას უშლის,
ფეხი წინ წასდგი, დასწვდება”
(34,442)

„ამას მარტო სპარტანელი დედა კი არ ეუბნებოდა შვილსა, მასთან ერთად ქართველი დედაც და ამათთან ერთად, ვფიქრობ, მთელი კაცობრიობა”(იქვე).

საინტერესოა ეთნოგრაფიული ინფორმაციები, დაცულნი ხალხურ ლექსებში, რომლებიც საილუსტრაციოდა აქვს გამოყენებული პოეტს:

1. სადაც ჩაჩქანი, ე.ი. ჩაფხუტი და მუზარადია, იქვე ვაჟკაცს ჯაჭვის პერანგიც აცვია (3,442);

2. „ნეტავ რად უნდა კარგს ყმასა სამკლავე, საფუხარია” (34,443).

3. „ყველა ზემოხსენებულ იარაღებს მოსდევს თან მშვილდ-ისარი, „ძველს მეომარს პქონდა ისრებით სავსე ბუდე ქარქაში, ქოჯონი” (იქვე).

4. ერთი საინტერესო ინფორმაციაა შემდეგ აბზაცში დაცული: „როგორც დღეს შრაპნელები, რაგება და კარტები ტყვიებთან ერთად „მოციქულებენ” ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის, ისე ძველი ომის დროს მოციქულობენ ისარნი...” (იქვე); ე.ი. 1914 წლისათვის სამხედრო შეიარაღებაში ხსენებულია რაგებაც.

5. შემდეგ ავტორი ახსენებს შუბს:

„...საცა ხმალნ იქმენ ველასა,

მოციქულობენ ისარნი,

შუბი იქნევდნენ ენასა”.

6. შუბის ენის ქნევა იმავე ომისა და სისხლის დვრის მომასწავებელია” (იქვე).

„მშვილდ-ისართან დიდი ნათესაობა აქვს ბოძალადს. ეს იარაღი თოფივით დასამიზნები, შემოსაყენები ვეხზე და დასასხლები. თოფის მსგავსს ხეზე მშვილდია დაკრული ისრის გასასროლად:

გამოუქადლა ჩონთამა

ბოძალდი მჭვარტლიანია”.

(იქვე)

თუ არა ვცდებით, ჩვენებური ბოძალდი იგივე დღევანდელი არბალეტის წინაპარი უნდა იყოს.

მოთავდება რა ეთნოგრაფიის წარმოდგენა ისტორიულ პროცესებში, წერილის ბოლოს ავტორი კვლავ ზნეობრიობაზე ამახვილებს ყურადღებას: „საბუთად და საფუძვლად ომისა ძველად, როგორც დღეს დედამიწა, მამული ითვლებოდა.” სწორედ ამიტომ უხდებოდათ ქართველებს ბრძოლა ათასი ჯურის მტერთან, რომ მამულ-დედული, საკუთარი ტერიტორია შეენარჩუნებინათ. ქართველი ერი „სხვას არ უტანებოდა წაეგლიჯა რამ, შაევიწროებინა სხვა ერი...”- შემდეგ კი ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ინტონაცია იგრძნობა ვაჟას კომენტარში: „ეხლანდელი მეფენი, ქვეყნის მმართველი, მარტო იმას კი არ სჯერდებიან,

საკუთარი ტერიტორია დაიცვან, სხვის საკუთრებას ებლაუჭებიან და სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ერთმა წაპგლიჯოს მეორესა, მიითვისოს” (34,444). რა ბრწყინვალედ ეხმიანება ეს სიტყვები ჩვენს დღეგანდელობას.

სახელმწიფოებრივი ვითარების დახასიათების შემდეგ პოეტი აქებს და ადიდებს ვაჟკაცობას. ქართველი მოლექსე, ქართველი კაცი „ყველა სხვა უნარზე წინ გულოვანობა-ვაჟკაცობას აყენებს... პურადობაც ვაჟკაცობას აყენებს... პურადობაც ვაჟკაცობაა, მაგრამ გულადობა სამჯერ მეტია:

ვაჟკაცს პურადზე-გულადი

სამის გაფრენით მეტია.”

(იქვე).

ამ წერილის განხილვისას ვსარგებლობდით რა „ახალი ისტორიზმის” პრინციპებით, დასტურდება ამ მიმართულების სპეციფიკური თვისებები:

„ეს ახალი მიმართულება გამოირჩეოდა ისტორიაზე, კულტურაზე, ინსტიტუციებზე, გენდერულ და კლასობრივ საკითხებზე, სოციალურ კონტექსტსა და მატერიალურ ბაზისზე ორიენტაციით” (54,259).

როდესაც ვაჟას პუბლიცისტიკაზე სააუბრისას გამოვიყენეთ „ახალი ისტორიზმისა” და „რეცეფციული ესთეტიკის” პრინციპები, ვცდილობდით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი ასპექტი, გაგვეშუქებინა თანამედროვე დასავლურ ფილოლოგიურ, ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ ჭრილობი.

მხატვრული აზროვნების ისტორიაში ცნობილია ის ფაქტი, რომ მწერალი, ავტორი სხვებზე უფრო დამარწმუნებლად განმარტავს ხოლმე თავის შემოქმედებით ნაყოფს. მოცემულ შემთხვევაში დიდ დახმარებას გვიწვდვს უშუალოდ ვაჟა-ფშაველა, როდესაც ბრწყინვალედ განსაზღვრავს სიმართლის არსეს მწერლობაში: „სიმართლე მწერლობაში ორნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთი პოეტურ-ბელეტრისტული და მეორე-პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა-ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი, ვსოდეთ, ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან, მაგრამ ერთის თქმა ძლიერ დონიერია, ხოლო მეორესი, თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ აღელვებს კაცის გულს და გრძნობას პირველივით. ეს ასეა იმიტომ, რომ პოეტი აზრს ტანსაცმელს ურჩევს, აკოხტავებს, ალამაზებს და ყველასთვის თვალგულ მისასვლელსს და მოსაწონარს ჰქინის, ხოლო პუბლიცისტი ამას არ დასდევს. პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს, ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოდებული ნაკლი.

ამას არ დასდევს. პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს, ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოდებული ნაკლი.

პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენათ არკვევს და მის მიზეზებს „უჩვენებს” (ვაჟა-ფშაველა „რამე-რუმე.” უთარიღო).

დასკვნა

ვაჟა-ფშაველამ XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე დიდ სამოციანელებთან ერთად ქართული მწერლობა, პუბლიცისტიკა აქცია ამ მშფოთვარე პერიოდის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მძღვრი იარაღად. ამ მიზნით მან ქართულ პოეტურ სიტყვას შესძინა ამაღლებული მოქალაქეობრივი, ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სილადე, სიმტკიცე და სიმახვილე. გურამ ასათიანის თქმით: „ვაჟა-ფშაველა იყო ის რჩეულთა შორის რჩეული, ორი ეპოქის მანძილზე მიმდინარე ესთეტიკური განვითარების დამაგვირგვინებელი პოეტი, რომელმაც შესძლო უაღრესი, სრულყოფილი ფორმით გამოეხატა „მიწისა” და „ცის”, „ნივთიერისა” და „იდეალურის”-რეალისტურისა და რომანტიკულის ურთიერთგამსჭვალავი, დრამატული მთლიანობა” (6,402). ბუნებრივია, მკვლევარს მხედველობაში პქონდა პოეტის შემოქმედებით ინტერესთა ფართო სპექტრი და მათი განვითარების მძღვრი პოეტური ენერგია;

ნაშრომის კომპლექსური ანალიზის გზით შეძლებისდაგვარად განვსაზღვრეთ მხატვრულ ძეგლებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში მხატვრულ სახეთა სისტემის ფუნქციები, ჟანრებს შორის ურთიერთმიმართებათა და პარალელების დადგენა.

აღნიშნულია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ამოზრდილია, როგორც ქართული მითოლოგიური, ხალხური პოეტური თუ კლასიკური მწერლობის მძღვრი ფესვებიდან. მწერალი შემოქმედებითად იყენებს ამას არა მხოლოდ სათქმელის, გამოხატვის საფანელად, არამედ მათში ჭვრებს ეზოთერულ სიღრმეებს და მაღალმხატვრულად უკავშირებს, სოციო-ზნეობრივ, ისტორიულ მოვლენებს, მიმდინარე დროის აქტუალურ საკითხებს.

მაქსიმალურად გცდილობდით ვაჟას ლირიკაში, ეპოსში, დრამატურგიაში, პუბლიცისტიკაში ზღაპრული თუ იგავური სტილის, ტიპოლოგიის ფორმათა გამოვლენას. განხილულია ვაჟას მთარგმნელობითი მოღვაწეობა და კონკრეტული სახე-ხატის საფუძველზე ეპოს „ყორანის” თარგმანი ვაჟას მიერ.

ნაშრომში კომპლექსურად გაანალიზებულია, ლირიკის, ეპოსის, დრამის, პუბლიცისტიკის, თარგმანის პრობლემატიკისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები. ჩვენ გცდილობდით კონკრეტულად განგვეხილა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებანი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში.

წარმოდგენილი მასალითაც, ვფიქრობთ წარმოჩენილია ის რეალობა, რომ დიდი ვაჟა-ფშაველა არის მსოფლიო რანგის მოაზროვნე შემოქმედი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე კ. ეტიუდები, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1970;
2. აბზიანიძე ზ. ედგარ პოს თარგმნა და „ამირანის ხმალი”, გაზ. „თბილისი”, 1961 წლის 27 ივნისი;
3. აბრამსი მ. პ. ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიტიკური კრიტიკა. „სჯანი”, IV, თბილისი, 2003;
4. აბულაძე ილია. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება”, თბილისი, 1973;
5. ავალიანი ლ. ვაჟა-ფშაველა-„საქართველოს ოცნების” მთარგმნელი.” ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1966;
6. ასათიანი გ. საუკუნის პოეტები, თბილისი, 1988;
7. ბალანჩივაძე რ., ასათიანი რ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1997;
8. ბარათაშვილი ნ. ჩვენი საუნჯე, VI, გამომც. „ნაკადული”, 1960;
9. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი, „გამომც. „ საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1968;
10. ბენაშვილი დ. ვაჟა-ფშაველა. შემოქმედი და მოაზროვნე, გამომც. „საბჭოთა მწერალი”, თბილისი, 1961;
11. ბეჭირიაძე მ. შურისძიების მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ვაჟას კრებული II, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, უნივ. გამომცემლობა, თბილისი, 1982;
12. ბიბლია, ახალი აღთქმა და ფსალმუნები, გადამუშავებული გამოცემა, სტოკოლმი, 1991;
13. ბოგდანოვი ა.ნ. ლიტერატურული ჟანრები, ლიტერატურის თეორია. ესთეტიკა, გამომც. „სოვეტსკი პისატერი”. 1970წ. (რუს);
14. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.21, გამომც. „სოვეტსკაია ენციკლოპედია”, მოსკოვი, 1975;
15. ბოძაშვილი ლ. ფშავი და ფშავლები, გამომც. „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1988;
16. ბრეგაძე ლ. ფსიქოანალიზი და მხატვრული შემოქმედება, ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006;
17. ბრეგაძე ლ. რეცეზციული ესთეთიკა. იქვე;

18. გაბესკირია ვ. ფრინგელ-ცხოველთა სამყარო და ვაჟა-ფშაველა, ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003;
19. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმნის პრობლემა, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1951;
20. გაწერელია აკ. ვაჟა-ფშაველა. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ.IV (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), გამომც. „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1974;
21. გაწერელია აკ. პოეტური გამოთქმების ისტორიული მოდიფიკაციის საკითხებისათვის. რებული „პოეზია და სტილისტიკა”, გამომც. „მეცნიერება”, 1977;
22. გიორგი ათონელი, ქებით დიდებაი, ჩვენი საუნჯე I, „ნაკადული”, თბილისი, 1960.
23. გოცირიძე დ. ფრაზული ტექსტების ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის პრინციპები, თსუ, თბილისი 1988 (რუს);
24. გრიგალაშვილი ლ. ვაჟა-ფშაველას პოემათა ფაბულის საკითხი. Ib. ვაჟას კრებული II, გამომც. „თსუ”, თბილისი, 1989წ, 486გვ
25. გურამიშვილი დ. დავითიანი, ჩვენი საუნჯე, V, ნაკადული, თბილისი, 1960;
26. დავითიანი აკ. ქართული ენის სინტაქსი, I, გამომც „განათლება”, თბილისი, 1973;
27. ევგენიძე ი. ვაჟა-ფშაველა (ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები), თსუ, გამომცემლობა თბილისი, 1989;
28. ელიზაროვა მ., მ. გიუდეუ და სხვა. XIX საუკუნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, გამომც „განათლება”, თბილისი, 1973;
29. ვაჟა-ფშაველა, ტ.VII, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, კორესპონდენცია, (ალ. აბაშელის რედაქციით), გამომც. „სახელგამი”, თბილისი, 1947.
30. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.I, ლექსები, გამომც „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961;
31. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.II. პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961;
32. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. III, მოთხოვები, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961;
33. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.IV, მოთხოვები, დრამატურგია, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961;

34. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.V, პუბლიცისტიკა, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961;
35. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, ვაჟას კაბინეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975;
36. ვასილიევის, გაიდუკი დმ; მისტიკური ტერმინების ენციკლოპედია, გამომც „ლიგა”, მოსკ. 1997;
37. ზანდუკაძი მ. თხზულებანი, V, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1989;
38. ზანდუკაძი ფ. წერილები საბავშვო ფოლკლორზე, „ნაკადული”, თბილისი, 1980;
39. თვარაძე რ. გადასახედი, მწერლობა. რელიგიური ფილოსოფია. ისტორია, გამომც „საქართველო”, თბილისი, 1997;
40. იაკობის სამრეკლო, გამომც „განათლება”, თბილისი, 1990;
41. იოანე ზოსიმე, ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი, ჩვენი საუნჯე, I, ნაკადული, თბილისი, 1960;
42. იუნგი კ-გ. ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბილისი, 1995;
43. კანკავა ლ. ვაჟას თარგმნილი „ქალის მთა”, ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966;
44. კვარაცხელია გ. მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995;
45. კვარაცხელია გ. ვაჟა-ფშაველა ახალი პოეზიის სათავეებთან, „სჯანი” IV, ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2003;
46. კვაჭაძე ლ. ქართული ენის სინტაქსი, განათლება, თბილისი, 1966;
47. კიკნაძე გრ. მეტყველების სტილის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957;
48. კიკნაძე გრ. ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, თბილისი, 1978წ;
49. კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1989;
50. კიკნაძე გრ. თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თხზულებანი, თბილისი, 2004;

51. კოტეტიშვილი გახუშტი, გაუაფშაველა რუსული ხალხური სიმღერის მთარგმნელი, გაუაფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გაუაფშაველას კაბინეტი, თბილისი, 1966;
52. კოტეტიშვილი ფ. ილია ჭავჭავაძის პროზის პოეტიკა. ქართველი მწერლების ესთეტიკური აზროვნებიდან. თბილისი, 1996;
53. კოტორაშვილი გ. სიმბოლური და მისტიკური სახისმეტყველება გაუაფშაველას პოემების მიხედვით („გველის მჭამელი”, „სული ობლისა”), ავტ. რევ. თბილისი, 2001;
54. ლომიძე გაგა, ახალი ისტორიზმი. „ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები”. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006;
55. ლომიძე გივი, კომედიის უანრობრივი თავისებურების პრობლემა, თბილისი, 1969;
56. ლომიძე გივი, დრამის თეორია XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ კრიტიკასა ესთეტიკურ ნააზრევში, თბილისი, 1984;
57. ლორია ალ. კითხვის ფსიქოლოგიური კვლევის შესახებ (ბიბლიო ფსიქოლოგია), თბილისი, 1979;
58. ლოცვანი. საღვთო წირვა. ჭყონდიდებელი მიტროპოლიტის (შალამბერიძის) ლოცვა-კურთხევით, შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი;
59. მინაშვილი ვლ. ილია ჭავჭავაძე, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995;
60. მინაშვილი ვლ. თვითგამეორებანი, სხვათა თქმები, აფორიზმები, გაუაფშაველას ხუთი პოემა, ვაჟას კაბინეტი, გამომცემლობა „თსუ”, 1975;
61. მერკვილაძე გ. „მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ნარკვევები, „მეცნიერება”, თბილისი, 1971;
62. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984;
63. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1977;
64. ნაკაშიძე თ, გორგაძე ი. გაუაფშაველა, ბიბლიოგრაფია (1879-1979), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987;
65. ნეიმანი ალ. ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი, საბჭოთა მწერლობა, თბილისი, 1961;
66. ნიკოლაიშვილი ნ, ვაჟასეული თარგმანი პოლონურიდან, გაზ. „თბილისი”, 1961 წლის 22 ივლისი;

67. პაპავა აკ. გულდაკოდილი არწივი. ვაჟას პოეზია, „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003;
68. პო ედგარ ალან, კომპოზიციის ფილოსოფია. ესეები, ინგლისურად თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, „მერანი”, თბილისი, 1989;
69. პოსპელოვი გ.ნ; ნიკოლაევი პ.ა; ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი „ვისშაია შეკოდა”, მოსკოვი, 1996;
70. პროპი ვლ. ზდაპრის მორფოლოგია. მ. კარბელაშვილის თარგმანი, გამომც. „მეცნიერება”, თბილისი, 1984;
71. ქორდანია ს. პოეტური ენის საკითხისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ვაჟას კრებული II, თსუ გამომცემლობა, ვაჟას კაბინეტი, თბილისი, 1982;
72. რატიანი ი. ტომას სტერნზ ელიოტი და ინგლისური ლიტერატურის ნოვატორული კვლევა. გამომც. „ზეპარი”, 2006;
73. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი (ალ. ბარამიძის, პ. პეპელიძის, ა.პ. შანიძის რედაქციით), სახელგამი, თბილისი, 1951;
74. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი (სასკოლო გამოცემა), „განათლება”, თბილისი, 2003;
75. საითიძე გ. ვაჟა-ფშაველას აფორიზმები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1961;
76. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995;
77. სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მერანი, თბილისი, 1979;
78. სახელმძღვანელო მართლმადიდებლური ეპლესის კატებიზმის შესასწავლად, თბილისი, 1990;
79. სერგია ვ. ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, 1997;
80. სირაძე რ. ძველი ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური ბუნებისათვის. იხ. ძველი ქართულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გამომც. „თსუ”, თბილისი, 1989, 486გვ;
81. სირაძე რ. დრო და ჟამი. რუსთაველის სახელმძღვანელოს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურული ძიებანი, XXII, „მერანი”, თბილისი, 2008;
82. სურგულაძე იო. ქართული ხალხურო ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986;
83. ტაბიძე ტ, თხზულებანი სამ ტომად. ტ. II, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1966;
84. ურუშაძე ნ. ვაჟა-ფშაველა ქართულ სცენაზე, ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ვაჟას კაბინეტი, თუგ, თბილისი, 1966;

85. ფილი ჯ. ნიშანთა და სიმბოლოების ენციკლოპედია, გამომც. „ენციკლოპედია”, მოსკოვი, 1996;
86. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, ვაჟას კაბინეტი, თბილისის სახელმწიფუ უნივერსიტეტი, თბილისი, 2003;
87. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1968;
88. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, მეცნ. აკად. გამომც., 1962;
89. ქართული ხალხური პოეზია, III, „მეცნიერება”, თბილისი, 1974;
90. ქართული ხალხური პოეზია, VIII, „მეცნიერება”, თბილისი, 1979;
91. ქართული ხალხური პოეზია, ქრესტომათია, სახ. უნ. გამომც. თბილისი, 1992;
92. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, მთ. სამეცნ. რედ., თბილისი, 1984;
93. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VIII, მთ. სამეცნ. რედ., თბილისი, 1985.
94. ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები. „მერანი”, თბილისი, 1985;
95. ქურდოვანიძე თ. ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი, თსუ გამომც., თბილისი, 1983;
96. ქურდოვანიძე თ. თ. XII, ზღაპარი. იხ. ქართული ფოლკლორი, თბილისი, გამომც. „მერანი”, 2001, 321გვ;
97. ღლონები ალ. ხალხური ნოველა და ლიტერატურული ნოველა. იხ. ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბილისი, გამომც. „თსუ”, 1989. 516გვ;
98. ყუბანეიშვილი სალომე, ვაჟა-ფშაველა-უიდას „მზითვის ლანგარის” და ერკმან-შატრიანის „ფეოდალის აღზრდის” მთარგმნელი. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, თსუ გამომც., თბილისი, 1966;
99. შალუტაშვილი ალ. როგორ შევაფასოთ სპექტაკლი, „განათლება”, თბილისი, 1981’
100. შანიძე აკ. ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თსუ გამომც., თბილისი 1962;
101. შარაბიძე თ. ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თსუ, ვაჟას კაბინეტი, თბილისი, 2005;
102. ჩიტაური ნ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთი საინტერესო მხარე, ლიტერატურული ძიებანი, XIII, „მერანი”, თბილისი, 2002;
103. ჩიქოვანი ს. ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ. გამომც „თსუ”, ვაჟას კაბინეტი, ილიას კაბინეტი, აკაკის კაბინეტი, თბილისი, 2003;

104. ჩიჩეროვი ვ.ი. ქართული ხალხური შემოქმედება, გამომც. „მზუ”, მოსკოვი, 1959;
105. ჩოლოფაშვილი რ. ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრების გმირთა გენეტიკური კავშირი, იხ. ლიტერატურული ძიებანი, XXIV, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, გამომც. „ზეკარი”, 2006, 261გვ.
106. ჩხერიმელი თ. წინათქმა. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თხუ, თბილისი, 1966;
107. ცეიტლინი, მწერლის შრომა, „სოვეტსკიპისატელი”, მოსკოვი, 1962;
108. ციციშვილი გ. დრამატურგია. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ.V, „საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1982;
109. წერეთელი აკაკი, თხზულებანი. სრული კრებული შვიდ ტომად, ტომი II, ლექსები, ა აბაშელის და პ. ინგოროვას რედაქტორობით, სახელგამი, თბილისი, 1941;
110. წერეთელი ნ. ვაჟა-ფშაველას ნათარგმნი ედგარ პოს „ყორანი”. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, თხუ გამომცემლობა, თბილისი, 1966;
111. წოწყილაური დ. სინდისის პრობლემა და მისი განსახიერების ფორმები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ვაჟა-ფშაველას კრებული. III, თხუ გამ. თბილისი, 1921;
112. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.III, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
113. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.II, მოთხოვები, პიესები. „მეცნიერება”, თბილისი, 1988;
114. ჭანტურაია მ. ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლების ეპოსი,-„ძაღლიკა ხიმიკაური”, ავტორეფერატი, თხუ გამომც., თბილისი, 1999;
115. ჭელიძე გ. ძვირფასი სილუეტები, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1988;
116. ჭილაია ა., ჭილაია რ. ლიტერატურისმცოდნეობის ცნებები, თხუ გამომც. თბილისი, 1984;
117. ჭილაძე თ. უკვდავების ათინათი, ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, გამომც. „თხუ”, თბილისი, 2003;
118. ჭუმბურიძე ჯ. მწერლები და კრიტიკოსები, თბილისი, 1974;
119. ჭუმბურიძე ჯ. დესკრიფცია, ავტოლოგია. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, თხუ გამომც. თბილისი, 1975;

120. ჭუმბურიძე ჯ. მეცხრამეტე საუკუნე. ლიტერატურული ნარკვევები, თსუ გამომც. თბილისი, 2004;
121. ხარბედია მ. ნარატოლოგია. იხ. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბილისი, გამომც. „ზეკარი”, 2006, 261გვ.
122. ხარებავა ჯ. ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა. ვტორეფერატი. „იმკოს” გამომც. თბილისი, 2001;
123. ხერხეულიძე გრიქოლ, მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ნარკვევები;
124. ხინთიძიძე აკაკი, „მეცნიერება” თბილისი, 1971;
125. ხინთიძიძე ე. შუასაუკუნოებრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში”, თსუ გამომც. თბილისი, 1993.